NEW

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

№9

მარტი, 2014 წელი
ფასი 2 ლარი

1970
2014

ახალი ტალღა

ნომრის ავტორები

ზაზა კოშკაძე & იან ერიკ ვოლდი

პოეზია & პროზა

ერეკლე დეისაძე
ნინო გიორგაძე
ბექა ყორშია
ოთარ ჯიერკვალიშვილი

ხელოვნება

დავით ანდრიაძე
გია ხადური



ახალი თარგმანები

როზე აუსლენდერი
ჟან ჟენე
უკრაინელი პოეტები
მაგსად ნური

კრიტიკა

ქეთი ნინიძე



ახალი თარგმანები

როზე აუსლენდერი – ლექსები
(გერმანულიდან თარგმნა ამირან (პაკო) სვიმონიშვილმა) 60

ჟან ჟენე – „სიკვდილმისჯილი“ (პოემა)
(თარგმანი თამარ კოტრიკაძის და ვასილ გულეურის) 64

თანამედროვე უკრაინელი პოეტები (ვასილ გოლობოროდკო, ანატოლი კიჩინსკი, სტანისლავ ჩერნილევსკი, ტარას ფედიუკი, ვასილ გერასიმიუკი, იური ანდრუხოვიჩი, ოქსანა ზაბუჟკო, ალექსანდრ ირვანეცი, მარიანა კიანოვსკა)
(უკრაინულიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ) 69

შოთა იათაშვილი – არქივიდან გამოსატანი ფირები (მაგსად ნურის „ქალაქის მერის“ შესახებ) 80

მაგსად ნური – „ქალაქის მერი“ (ფრაგმენტი რომანიდან)
(აზერბაიჯანულიდან თარგმნა იმირ მამედლიმ) 82

კრიტიკა

ქეთი ნინიძე – თანამედროვე ქართული საბავშვო პოეზია, როგორც ბიბლიოთერაპიის რესურსი 89

დავით ანდრიაძე – მამელუქნი სოციალიზმისა (ესსე I) 97

გია ხადური – პოლიტკორექტულობის მარწუხები და „პოპულარული“ მუსიკა 104

ხელოვნება

გამომცემლობა – „საუნჯე“
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com; axalisaunje@yahoo.com
Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing http://www.facebook.com/saunjee
www.saungeo.ge

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

პროექტის ავტორი:
ვაჟა წოწკოლაური

რედაქტორი-სტილისტი
მარიამ წიკლაური

დიზაინი:
თეა აკობია

დაკაბადნება:
ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გია ეიგვერაძე
დათო ტურაშვილი
ეკა ქევანიშვილი
ზაზა შათირიშვილი
დავით ჩიხლაძე
გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ:
ზაზა კოშკაძე
ეკა ქევანიშვილი
პაატა შამუგია
მანანა მათიაშვილი
თამარ კვიჟინაძე
ერეკლე დეისაძე
ნინე გიორგაძე
გელა ყორშია
ოთარ ჯირკვალიშვილი
პაკო სვიმონიშვილი
თამარ კოტრიკაძე
ვასილ გულეური
რაულ ჩილაჩავა
იმირ მამედლი
ქეთი ნინიძე
დავით ანდრიაძე
გია ხადური

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნომრის ავტორები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოშკა მთავარანგელოზის ქუჩიდან

ეკა ქევანიშვილი

ერთხელ, კოშკა, იგივე ზაზა კოშკაძე, ლევან ცერცვაძე იყო. ასე იყო 1982 წელს, იანვარში, როცა ის დაიბადა, 1983-ში, მერე კიდევ და კიდევ და მოკლედ, შემდეგი 25 წელი. პრინციპში, ამ ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტებსა თუ სხვა მსგავს საბუთებში არც არაფერი შეცვლილა. საარჩევნო ბიულეტენი (წესით) მისდის ლევან ცერცვაძეს და ქვეყნის საზღვარსაც კვეთს ლევან ცერცვაძე, მაგრამ მწერალი, რომელზეც ახლა ვყვები, ნამდვილად ზაზა კოშკაძეა და ის 25 წლის ასაკში გაჩნდა.

ერთ არცთუ ისე მშვენიერ... არა, ერთ კოშმარულ დღეს (როგორც ზაზა იტყოდა) ჯერ ყველა ახლო მეგობარი ერთად წავიდა მისი ცხოვრებიდან, შემდეგ გაქრა საყვარელი ქალი და ლევანი, ძალიან ცოტა ხანში კოშკად გადაქცეული, სამი თვე საწოლიდან არ წამომდგარა. ავლაბარში, მთავარანგელოზის ქუჩაზე, ერთი საერთო საცხოვრებლის პირდაპირ მდგარი სახლის კედელს, სხვა სახელების გვერდით, ახლაც აწერია დიდიშავიასოებითმისისახელი – „ლევანი“.

...

ლიტერატურულ პორტალ literatura.ge-ზე რამდენიმე წლის წინ ავტორებში ვიღაც ზაზა კოშკაძე გამოჩნდა. ძალიან ღია, ეროტიკულ ლექსებს წერდა, თითქოს მთელ სამყაროზე იყო ნერვებათხრილი. მის საავტორო გვერდზე ძირითადად სალანძღავი კომენტარები გროვდებოდა, იყვნენ ისეთებიც, ვისაც პირიქით, მისი ლექსები მოსწონდა. ეს იმდროინდელი ამბავია, პოეტების ჯგუფი „ვარდისფერი ავტობუსი“ რომ გამოჩნდა, რაღაცებს აპროტესტებდნენ, ხმაურობდნენ, მანიფესტებს წერდნენ, პოეზიის საღამოებს აწყობდნენ, ხან სად კითხულობდნენ და ხან სად. კოშკაც იქ იყო. სულ უფრო ხშირად იქცევდა ყურადღებას. გაიცნეს, როგორც ეპატაჟის მწერალი, არადა, როგორც თავად ამბობს, უბრალოდ აღარ უნდა მიცნობდნენ როგორც ეპატაჟისტ მწერალს. მაშინ კოშკა უფრო გამხდარი იყო და გრძელი თმა ჰქონდა. რამდენიმე წლის შემდეგ, 2013-ში, კოშკას ლექსების სადებიუტო კრებული გამოვიდა, „შუაღამის ცეკვა კიბოსთვის“, რომელიც მაშინ პრემია „საბას“ ნომინანტიც იყო, მისი მოთხრობა „მე, ბებია, დიდი ბებია და უცხოპლანეტელები“ 15 საუკეთესო მოთხრობაში შევიდა... ეს ბოლო ამბები ისედაც ვიცოდი, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა რა ხდებოდა მის ცხოვრებაში სულ რაღაც შვიდი-რვა წლის წინ.

კოშკა, სანამ ის ლევანი იყო

ამ წლის თებერვლის ყველაზე ცივი დღეა. ტალახიანი თოვლი და ჭყაპი. სუსხიანი ქარია, ნამქერივით. კოშკას ქუჩა, რომელსაც არცთუ ისე საშიში სახელი ჰქვია – მთავარანგელოზის, ამ ამინდში რატომღაც მაინც საშიშად მეჩვენება. ალბათ, მისი მონათხრობის ბრალია. ამ ქუჩის 23 ნომერში საერთო საცხოვრებელი დგას. უცნაური შენობაა, ორად გაყოფილი, ქვედა ნაწილი ეკლესიის კედლებია, ზემოთ საბჭოთა არქიტექტურის რაღაც გადმონაშთი, მორუხო დაშენება.

„ამ საერთო საცხოვრებელში იმიტომ ვცხოვრობდით, რომ მამაჩემმა, თამაზამ, თელავის სახლი გაყიდა. ის ფული მერე მთლიანად სხვა რამეში ჩაიყარა. ისე მოხდა, რომ

მამაჩემმა ტრამვაით ქალი გაიტანა. ამის გამო სამწელიწადნახევარი ციხეში იჯდა. მაგრამ მთელი ფული ქრთამებში დაიხარჯა", – მიყვება კოშკა თამაზაზე. თამაზა მამამისია და ის ადრე ტრამვაის მძღოლი იყო. ამ საერთო საცხოვრებელშიც მაგ მძღოლობის გამო მოხვდნენ. მე-18 საუკუნეში აშენებული მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია კომუნისტებმა მოანგრიეს, გუმბათი მოაცილეს, ზედ დააშენეს, ჯერ საავადმყოფოდ გადააკეთეს, მერე სასამართლოდ, ბოლოს საერთო საცხოვრებლად მძღოლებისთვის. მაშინ შესახლებული ოჯახები დღემდე იქ ცხოვრობენ. შესასვლელ კართან, რომელიც საშიშად ჭრიალებს, ხის ჯვარია მიკრული (კოშკა ამბობს, ბევრი მისტიკური სიკვდილი უკავშირდება აქაურობასო), მერე ბნელი დერეფანი და გვერდიგვერდ ჩამწკრივებული ოთახები. ერთ-ერთი კოშკას სახლია. სადღაც გარეთ არის საამბაზანო, ტუალეტი, საკუჭნაო... და ყველგან ცივა. ორი ოთახი აქვთ, ერთში თურმე სხვა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, რომლებსაც პატარა, წლის და შვიდი თვის ბავშვი მოუკვდათ, დღემდე არავინ იცის რა მოხდა, ერთ დღეს ბავშვს გული აერია და რამდენიმე საათში დაილუპა. მეორე ოთახში, რომელიც მერე კოშკას საძინებელი გახდა, ასევე სამი წლის ბავშვია გარდაცვლილი. კოშკა ამბობს, რომ ბავშვი ადულებულ ვედროში ჩავარდა და ვერ გადაარჩინეს.

კოშკა ორი წუთით დედის სანახავად ჩერდება, ამ დროს ბნელ დერეფანში სინათლე შემოდის, ვიღაცამ ძველი კარი შემოაღო, მოხუცი ქალია, დაეჭვებული მიყურებს და მეკითხება, ვის ვეძებ. სახელი კოშკა არ ეცნობა. მე კიდევ მავიწყდება, რომ მისთვის კოშკა – ლევანია. იქაურობას მალე ვტოვებთ. მე მგონია, რომ კოშკას იქაურობა არ უყვარს. ეზოში უზარმაზარი საფლავის ქვებია – წარწერებით. აქ ხან ჯოკერს ვთამაშობდითო, ხან ისე ვისხედით, პატარები როცა ვიყავით და მიწას ვჩიჩქნიდით, მიცვალებულების ძვლებიც გვიპოვია და გვიხმალავიაო. არ დავიჯერებდი, რომ არ მენახა.

...

როცა ზაზა კოშკაძე პატარა იყო და იყო ლევანი, მას ორი ანბანი ჰქონდა – ქართული და რუსული. ამ ანბანის დახმარებით ისწავლა კითხვა და სამი წლისა უკვე ორ ენაზე კითხულობდა. იხსენებს, რომ მეზობლები და

ახლობლები მიდიოდნენ ხოლმე და მის კითხვას, როგორც სანახაობას, ისე უყურებდნენ. თან აქებდნენ. ქება კარგად ახსოვს.

ზუსტად ამ დროს დააპატიმრეს მამამისი და ის კოშმარული წლებიც დაიწყო. ძნელზე ძნელი, უფულო და გაყინული წლები. დედა ორ ადგილას მუშაობდა, ხან ფაბრიკაში ხელთათმანების მკერავად, ხან საბავშვო ბაღში დამლაგებლად. რადგან დამხმარე არავინ ჰყავდა, სამი წლის კოშკას თვეების დას უტოვებდა: „მე ვუულიდი. სახლს ვალაგებდი. დედაჩემი რომ მოდიოდა ხოლმე, ბავშვი ხვდებდა გამოკვებილი და ჭურჭელი დარეცხილი. ცხოვრებაში არასოდეს მიტირია, რომ ეს მინდა ან რამე. მესმოდა, რომ რაღაცის ფული არ გვქონდა და მორჩა. და ფული კი... „ფული არ გვქონდა" არ ერქვა მაგ მდგომარეობას... დედაჩემი, სანამ მამაჩემი ციხეში იყო, იმისთვის მუშაობდა, რომ იქ მამაჩემი ერჩინა. ეს კი მთელი ციხის რჩენას ნიშნავდა, რადგან იქ ერთი ადამიანისთვის რამეს ვერ მიიტანდი".

თამაზას ისტორიები ცალკე თემაა. დღეს მასზე კოშკას ლაპარაკი აღარ უჭირს, დღეს თამაზაც და სხვებიც მისი პერსონაჟები უფრო არიან. მაგრამ მაშინ, როცა თამაზა ციხიდან (ჩასახლებაში იჯდა) იპარებოდა და ყოველ დათრობაზე სახლში მოდიოდა, ასე ადვილი არ იყო. თან ერთი რომელიმე პატიმარიც მოჰყავდა, მთელი ღამე სვამდნენ და მერე უკან ბრუნდებოდნენო, მიყვება კოშკა. იქ, ციხეში მუსიკალური ჯგუფიც გაკეთა, „იმედი" დაარქვა და ერთი დღით ციხიდან გამოპარული პატიმრები ქორწილებში უკრავდნენ და მღეროდნენ თურმე. ფულსაც აკეთებდნენ. მაგრამ მისი ბავშვობის მთავარი შოკი მაინც სხვა რამეს უკავშირდება:

„იცი, შოკს რა მგვრიდა და რა მახსენდება? როცა მეზობელთან მივდიოდით ხოლმე, იქ ვიღაც კაცი მუდამ იყო ტახტზე წამოწოლილი. ფეხზე რომ გახდილი აქვს, სპორტული შარვალი აცვია და ტელევიზორს უყურებს, ეგეთი კაცი. ჩვენთან მსგავსი რამე არ ხდებოდა, „პატრიარქი" არ გვყავდა ოჯახში

და ამ დროს კი ყველა სხვა ოჯახს ყავდა ასეთი „წამოწოლილი პატრიარქი“ და იმ ოჯახში ყველაფერი სწორედ ისე უნდა ყოფილიყო, როგორც მას სურდა. მგონი, კულტურული შოკი მქონდა, აქ თუ ასეა, ჩემთან ასე რატომ არ არის თქო. მამაჩემი რომ ციხიდან გამოვიდა, უკვე პირველ კლასში ვიყავი“.

რატომ „არ უნდა გაუშვათ მსხვერპლი მოსაფსმელად“?

საოცრება ის იყო, რომ ციხიდან გამოსულმა თამაზამ ისევ ტრამვაის მძღოლად დაიწყო მუშაობა. კოშკაც თან დაჰყავდა ხოლმე. სამსახურის მერე თავის თანამშრომლებთან ერთად სადმე მიდიოდა ხოლმე და სვამდა. ასე იხსენებს კოშკა. 90-იანი წლებია, ტაქსით თითქმის არავინ დადის, შემხვედრ მანქანასა თუ გააჩერებ და ეგაა. ეს ამბავიც ამ 90-იანების ერთ ღამეს მოხდა. კოშკამ და მამამისმა მანქანა გააჩერეს, მანქანაში მსხდომებმა კი მამა-შვილი მოულოდნელად სასაფლაოზე წაიყვანეს. ესეც კოშკას ბავშვობის ერთ-ერთი ყველაზე საშიში თავგადასავალი:

„ჩემი დასკვნით, ჩვეულებრივი მანიაკები იყვნენ. ორნი. ერთ-ერთის სახე მაინც არასოდეს დამავიწყდება. მე ძაან დავფრთხი, ეტყობა ამან ცოტა შეაშინათ, რადგან მაღაზიასთან გააჩერეს, ჩემთვის რაღაც რომ ეყიდათ, ოღონდ გავჩუმებულიყავი. მაგრამ უცებ, არ ვიცი როგორ მოხდა, რომ მანქანიდან ორივე გადავიდა. ამ დროს ჩვენც გადმოვედით და მამაჩემმა უთხრა ჩემზე, ეფსიაო. ვითომ იქვე უნდა მექნა, მაგრამ მიწაზე ფეხი დავდგით თუ არა, სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისთვის, ისე გამოვიქეცით. თავქუდმოგლეჯილები მოვრბოდით. მაგრამ პარადოქსი ის იყო, რომ სხვა ქუჩაზე, მამაჩემმა მეორე მანქანა გააჩერა და შიგნით ჩამსვა. ამჯერად ყველაფერი კარგად დამთავრდა. სახლში მიგვიყვანეს. გადავრჩით“.

ამის შემდეგ კიდევ ბევრი წელი გავა იქამდე, სანამ კოშკა სამეგობრო წრეს შეიცვლის და აღმოაჩენს, რომ სხვა სამყაროც არსებობს, სხვა ღირებულებებით, სხვა სისტემით. იქ, იმ ცხოვრებაში ცხოვრება ძალიან უჭირდა.

„ძალიან განვიცდიდი, რომ მამაჩემი სვამდა. მაშინ მისთვის დრო არ არსებობდა, დალევდა, მოვიდოდა, დაიძინებდა, წავიდოდა, ისევ დალევდა, მოვიდოდა... და მე უნდა მეყარაულა, რომ არ წასულიყო. ასეთ ყარაულობაში მაქვს გატარებული ძალიან დიდი დრო. ან მთელი ღამის განმავლობაში დავდიოდი ავლაბრის ქუჩებში მამაჩემის საძებნად, რომ არ გაყინულიყო. ხან ვინ პოულობდა და ხან ვინ, ნასვამს. მომიყვანდნენ, მომიყუდებნენ კარზე და მიდიოდნენ. მაგ დროს აღარც მუშაობდა. ერთ დღესაც ქუჩაში სიმღერა დაიწყო, რაც თავიდან ასევე ძალიან მძიმედ აღვიქვი. დამცინოდნენ ამის გამო. აი, მამაშენი ქუჩაში უკრავს...საშინელი დისკომფორტი მქონდა. დღემდე ასე უკრავს და დღეს უკვე მომწონს. რატომაც არ უნდა დაუკრას? მეც დავუკრავ, ჩემს შვილს თუ დასჭირდება“.

დევნა ლიმონათის დისტრიბუტორებისგან

ზუსტად იმ არამშვენიერ დღეებში, როცა ყველა ახლობელი ადამიანი ერთ დღეს გაქრა, კოშკას ქუჩაში ლიმონათის დისტრიბუტორები გამოეკიდნენ მოსაკლავად. ქუჩაში მოდიოდნენ, კოშკა და ერთიც მისი ახლობელი. უცებ დაინახეს, რომ ვილაცები ქალს სცემდნენ. იქვე სატვირთო მანქანა იდგა, ნარწერით – ლიმონათი. თავიდან ოჯახური კონფლიქტი ეგონათ და არ ჩაერიენ, მაგრამ ნაბიჯი შეანელეს, იფიქრეს, იქნებ ქალს დახმარება დასჭირდესო, მაგრამ ეს რომ იმ უცნობმა ტიპებმა დაინახეს, გინება დაიწყეს, მერე თავიანთი სადისტრიბუციო მანქანა დაქოქეს და ქუჩაში მომავალ კოშკას დაედევნენ. კოშკა ამბობს, იმან გადამარჩინა, რომ იქვე ქუჩა ჩადიოდა, სადაც ტროტუარზე ხეები იყო დარგული. მანქანას ტროტუარზე აასწრო, თორემ შეიძლება დასჯახებოდნენ. 90-იანი წლების ბნელი, არეული თბილისი. ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. და ტროტუარზე გადავინაცვლე და ისე გავრბოდი, ისინი კი ისევ მომდევდნენო. ბოლოს შეეშვნენ ლიმონათის დისტრიბუტორები. მეორე დღეს პოეტმა სანდრო ლორთქიფანიძემ ახალი ადამიანები გააცნო. ასე დაიწყო ახალი, სხვანაირი.

ამ ცხოვრებაში მას აღარავინ დაუძახებს ლევანს. არამედ ზაზა კოშკაძეს, რომელიც ლაშა ბუღაძის ერთი პიესის გმირი იყო, ვაკელი ნარკომანი. პიესის მიხედვით სპექტაკლს სანდრო ლორთქიფანიძე დგამდა. კოშკაძის როლი, რატომღაც, მაშინ ჯერ კიდევ ლევან ცერცვაძეს მისცეს. შემდგომში, კოშკას. ასე შერჩა ეს სახელი.

ზღაპრები და პარადოქსები
(ჩანართები უკომენტაროდ)

„მიყვარდა ზღაპრები. ზღაპრების კითხვამ მასწავლა მგონია ყველაფერი. მათში პარადოქსები მომწონდა და დღემდე ვგიჟდები ამ პარადოქსებზე. პარადოქსი კი არის ყველა ზღაპარში, ყველაზე მაგარ იუმორშიც. თუ იუმორში პარადოქსი არ არის, ის სასაცილო არ არის. თუ ზღაპარში არ არის პარადოქსი, მაშინ მას სიბრძნე აკლია. აი, რაც მახსოვს, ერთ-ერთი, ორი ძმანი არიან, პირველი სულ იტყუება და მაინც სჯერათ მისი და მეორე სულ სიმართლეს ამბობს და არავის მისი არ სჯერა. გადაწყვეტს ეს მეორე, მოდი, ერთხელ მოვიტყუები და იქნებ მაშინ მაინც დამიჯერონ, რადგან ჩემი ძმის ასე სჯერათო, გავა და იტყვის, სანადიროდ ვიყავი, ჯიხვი ვნახე და ერთი გასროლით ფეხშიც მოვარტყი და ყურშიცო. დასცინებენ და არავინ დაუჯერებს. თავის ძმას ეტყვის ამ ამბავს, ის კი, მე გასწავლი, ეგ როგორ უნდა ქნაო. გავა მატყუარა ძმა ხალხში და იტყვის, რა გაცინებთ, ჩემმა ძმამ რომ იმ ჯიხვს ესროლა, ის ფეხით ყურს იფხანდაო".

...

რადგან წერა-კითხვა ძალიან პატარამ ისწავლა, მეექვსე კლასამდე სკოლაში ისე იარა, რომ ყველაფერს ადვილად ითვისებდა. მეხუთე გიმნაზიაში სწავლა კი არც ისე ადვილი ამბავი იყო, იქ განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვებს იღებდნენ. ჩემი გარემოცვისთვის ეს შოკი იყო, გლეხი დედა და ლოთი მამა და ასეთი შვილი – ამის გამო რაღაც ვერატანას სულ ვგრძნობდი, ამბობს კოშკა. კითხვით სულ და ბევრს კითხულობდა, მაგრამ პირველი ლექსი იმ დღეს დაწერა, როცა ირაკლი ჩარკვიანი მოკვდა. ეს იყო ლექსი სახლზე, სადაც ვიღაცასთან ერთად ცხოვრობდა და როცა ის ვიღაც სახლიდან წავიდა, სახლში მისი მწვანე კაბა დარჩა. ეს ის პოეზია არ იყო, რასაც სკოლაში ასწავლიდნენ და რაც არ უყვარდა. რატომ არ უყვარდა, დღეს ამის მიზეზებსაც ადვილად ხსნის – კონკრეტული ესთეტიკის რომანტიზება ხდებოდა ხოლმე ლექსებში და ეს მძულდა:

„მე კიდევ ვერ ვხვდებოდი, რატომ არ შეიძლებოდა, რომ პოეტს ყვარებოდა მსუქანი ქალი და მასზე ენერა ლექსები. ამიტომ დავიწყე ასე. ვფიქრობდი, რომ ანტილექსებს ვწერდი. თუ არსებობდა ლექსი ქერათმიან ქალზე, მე ვწერდი – მსუქან ქალზე, რომელიც არ იყო ლამაზი. პოეზიის გარეთაც ასეა. ვერ აწონი ვერცერთ ქალს, თუ პეპლები იგრძენი ჭიპის გარშემო. ამ დროს მე ჯერ კიდევ არ მქონდა ბუკოვსკი წაკითხული და რომ წავიკითხე, უცებ მიხვდი, რომ ჩვეულებრივი პოეტი ვიყავი და არა ისეთი, ვისაც უნდოდა რაღაც გაეფუჭებინა. სინამდვილეში ახალს არაფერს ვქმნიდი".

კოშკას ანა

ყველაზე მთავარი კოშკასთვის დღეს მისი შვილია, ანა. ანა სამი წლისაა. მან კოშკას ცხოვრება თავდაყირა დააყენა. იმდენად, რომ თუ აქამდე არასოდეს ჰქონია შეგრძნება, რომ ვიღაცისთვის საჭირო იყო, დღეს ეს შეგრძნება გაჩნდა. უკანდასახევი გზები მოჭრილია, კოშკამ იცის, რომ არასოდეს აღარ უნდა დამარცხდეს, იმიტომ რომ პირობა დადო – ანა იქნება ყოველთვის ყველაზე მაგრად.

პირობა – პირობაა.

პირველი მოქმედების დასასრული

ერთი ექსპერიმენტული უძილობის შესახებ

„ინსსომნია“ ექსპერიმენტი იყო. ლიტერატურული ექსპერიმენტი. უფუულო პროექტი, რომლითაც კოშკამ მოსინჯა, რას დაწერდნენ მწერლები, თუკი მასში მონაწილეობის (ღამისთენების და წერის) მთავარი პირობა იქნებოდა დაეწერათ მოთხრობა ერთ კონკრეტულ ჟანრში – ჯერ საკუთარ ფობიოგრაფიებს წერდნენ, შემდეგ კი, 60 მწერლიდან რამდენიმე შეირჩა და ჰორორის ფენტეზისა და სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრში ერთ ღამეში მოთხრობებიც გამოაცხვეს. კოშკასთვის ეს მისი დიდი გეგმების თუ სურვილების თუ მიზნების ერთი პატარა ნაწილი იყო,

დღეს ბევრს ფიქრობს იმაზე, თუ საით მიდის ან არ მიდის, სულაც დგას ქართული ლიტერატურა და რა უნდა ვქნათ, რომ საზღვრები გაირღვეს. ლიტერატურაზე მაინც ყველაზე ბევრი ვილაპარაკეთ. აი, მაგალითად, კოშკას კომპიუტერში ინახება მისი პირველი ქართული ვამპირული რომანი, რომელიც ჯერ არ გამოუცია. ბევრს ფიქრობს იმაზე, როგორ უფრო სწორი იქნება წიგნის გამოცემა და ვინ წარადგენს ამ წიგნს. ახსენებს ერთ უცხოელ ავტორს, რომლის წიგნსაც უკანა ყდაზე მიწერილი ჰქონდა: „ეს კარგი წიგნია, თუ საინტერესო საკითხავია“, – სტივენ კინგი. და ეს წიგნი ბესტსელერი გახდა.

კი, მასაც ძალიან აინტერესებს როგორ აღიქვამენ მის ნაწერებს: „ჩემთვის, როგორც მწერლისთვის, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიღაცამ ჩემზე რამე დაწეროს, ვიდრე რაღაც პრიზი მოვიგო.მართლა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ერთი აბზაცი, ვიდრე ის, რომ მილიონი დოლარი მაჩუქონ“.

ენა
(ჩანართი უკომენტაროდ)

„ლიტერატურულ სამყაროში ლიტერატურა მეორეხარისხოვანია. ლიტერატურას კულტურული ნარიული მხარე, დეგუსტაციის, სიამოვნების მიღების მხარე. ჩვენ ძალიან პოლიტიზირებული სამყარო ვართ, აი, მაგალითად ორი მოთხრობა რომ გაგზავნო რამე კონკურსზე და აქედან ერთი იყოს აფხაზეთის ან სამაჩაბლოს თემაზე, ხოლო მეორე სიყვარულზე, ეს ბოლო ალბათ ასჯერ უნდა ჯობდეს იმ მეორეს, რომ საერთოდ წაიკითხონ. რა გამოდის, რომ თემა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ლიტერატურული ხელოვნება? განა ცუდია აქტუალურ თემებზე წერა. არა, მაგრამ სინამდვილეში თუ დავაკვირდებით, ოცი წლის შემდეგ ის აქტუალური თემები აღარ იქნება აქტუალური და აქტუალური იქნება ის, ვინ რა მისცა ქართულ ლიტერატურას. და რამე რომ მისცე ქართულ ლიტერატურას დღეს, აუცილებლად უნდა გაიარო ენის გზა. მე მგონია, რომ რა ენაზეც ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ, ეს არის გასაგები ენა და ამ ენით უნდა დაიწეროს ყველაფერი და არა იმ ყალბი ენით, რომლითაც ინერება. შესაძლოა, პერსონაჟის ქმედებები აბსოლუტურად ასახავდეს თანამედროვე ქართველ ადამიანს. მაგრამ ის არ ლაპარაკობს ამ ენით, რომლითაც ეს ნაწარმოები უნდა ამოიცნონ წლების შემდეგ. ძაან მარტივია, ჰიუგო რა ენითაც წერდა საფრანგეთში, ბეგბედერი მაგ ენით წერს დღეს? ან უელბეკი? ქართული რეალობა რომ ავიღოთ, შუშანიკის წამება რა ენითაცაა დაწერილი, ილიამ მაგ ენით დაწერა „კაცია-ადამიანი?“ ილია ჭავჭავაძემ მაშინ თანამედროვე წიგნი დაწერა და ის ენა, რა ენაზეც წერდა მაშინ, იყო აბსოლუტურად ბუნებრივი. დღეს ეს გვაკლია. როგორ უნდა შეიგრძნო წიგნი დღეს, როცა მწერალი სხვა ეპოქიდან გელაპარაკება?“

რა უყვარს და რა არ უყვარს

კინო მიყვარს დიდ ეკრანზე. მიყვარს ქალაქიდან მოულოდნელად წასვლა. ჩავჯდები ტაქსიში და მივდივარ სადმე გაურკვეველი მიმართულებით. მიყვარს კითხვა. ელექტრონულ რიდერს წიგნი მირჩევნია. კიდევ ფლირტი მიყვარს. როცა ვგრძნობ, რომ შემიძლია ვიღაც მოვხიბლო. კიდევ მიყვარს



ფულის ხარჯვა სხვებისთვის. თავისუფლება მიყვარს. ბრძოლა მიყვარს.

არ მიყვარს ჰომოფობია, სივრცე, სადაც ადამიანებს ახარისხებენ და თვლიან, რომ ვიღაც ვიღაცაზე აღმატებულია. ასეთ სივრცეში მიჭირს გაძლება და ძალიან ბევრი ახლობელი ადამიანი დავკარგე. დავკარგე იმის გამო, რომ მათ აქვთ შუასაუკუნებრივი წარმოდგენები. უთანასწორობას ვერასოდეს შევეგუები, ვერ ავიტანა. დღემდე არიან ჩემს მეგობრებში ადამიანები, ცუდად რომ ელაპარაკებიან მაგალითად, მომსახურების სფეროში მომუშავე ადამიანებს. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ხშირად ისინიც უხეშები არიან, ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი უნდა დაამცირო. კიდევ არ მიყვარს,როცა მაგრძნობინებენ, რომ რაღაცაში ვალდებული ვარ. არ მიყვარს ვიწრო შეხედულებების მქონე ადამიანები, რომლებიც ვერ ხედავენ მთელ კონტექსტს. აი, მაგალითად, თუ მე ვიხუმრე ვთქვათ, ქალზე, ესე იგი ვარ „სექსისტი“.

რა ჰგონია

ჰგონია, რომ ალბათ არასოდეს დაწერს ისტორიას, რომელიც არ იქნება უფრო მეტი, ვიდრე მისი ამბავი. ამის მაგალითად კი კოშკას თავისი მოთხრობა, „მე, ბებია, დიდი ბებია და უცხოპლანეტელები“ მოჰყავს, რომელიც კოშკას ისტორიაცაა, მაგრამ სქესობრივი აღზრდის პრობლემას შეეხება და მოგვითხრობს, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში და რა შედეგები მოაქვს არასწორ სექსუალურ აღზრდას ადამიანის ცხოვრებაში.

კიდევ ძალიან სჯერა იმის, რომ ყველაფერი, რაც თავს გადახდა, უნდა დამართნოდა. კოშკა ამბობს, რამე რომ გამოვაკლო, ისევ მე დამაკლდებაო. კიდევ სჯერა, რომ სამყარო ისე გილაგდება ნინ, როგორი წარმოდგენებიც გაქვს: „ძალიან მნიშვნელოვანია, ადამიანს შეგნებულად ტკივილი არ მიაყენო. მაგის მეშინია, მგონია, თუ ამას ვიზამ, ეს აუცილებლად დაბრუნდება რაღაც ფორმით“.

კოშკას სჯერა, რომ არ შეიძლება წერო ისე, რომ ვიღაცები გააბრაზო. უნდა წერო იმის გამო, რომ ვიღაცებს სიამოვნება მიანიჭო. მან ზუსტად იცის, რომ თუ ხვალ რელიგიურ ეპატაჟურ წიგნს დაწერს, ზეგ საქართველოში ყველაზე პოპულარული ტიპი იქნება, მაგრამ ეს უკვე მისი თქმით ეპატაჟია. კოშკას კი, ზემოთაც ვახსენე, აღარ უყვარს როცა ეპატაჟისტს ეძახიან.

ცხოვრებაში ყველაზე მეტად რაც სჭირდება, თანამოაზრეა. მით უკეთესი, თუ ეს თანამოაზრე ქალი იქნება. თანამოაზრეობა კოშკასთვის ნიშნავს რაღაცის ერთად კეთებას. და იმას, რომ მისთვის სულერთი არ არის, როცა შენ ცუდად ხარ.

შარვლის ჩახდა

ერთხელ კოშკამ, როცა ის უკვე ზაზა კოშკაძე იყო, პოეზიის საღამოზე ჩაიხადა. გადაღება ვერავინ მოასწრო, მაგრამ მონმეები არსებობენ, მოულოდნელად როგორ იხდის შარვალს გაბრაზებული კოშკა. მას ახასიათებს ისეთი მოქცევა, როგორსაც მისგან არასოდეს ელიან. მაგრამ ეს კონკრეტული გადაწყვეტილება როკ-კლუბში შეკრებილი მსმენელის ერთი ნაწილის რეაქციას მოჰყვა – თავზე ფერადლენტებშემოხვეულ, ჰიპურად ჩაცმულ რამდენიმე ახალგაზრდას კოშკას ლექსები არ მოეწონა. იყო უხერხული რეპლიკები, მორალის კითხვა. კოშკამაც იგინა, რა დასამალია. იქამდე დაიძაბნენ, რომ ვიღაცამ მოაძახა – შენ ეგრე იმიტომ წერ, რომ სასქესო ორგანო არ გაქვსო. ესეც ადგა და ჩაიხადა, არ ხართ თქვენ ლექსების მოსასმენად მოსული და თუ ამის სანახავად ხართ, აი, აგერ მაქვსო. სრული შოკი იყო. იმ დღეებში მედიას სალაპარაკო მიეცა.

P.S. მე კიდევ ველოდები კოშკასგან რაიმე ავანტიურისტულს.

რატომაც არა, ეს საინტერესოა და სხვანაირი. კოშკა, ალბათ, ვერასოდეს გახდება მეინსტრიმის ნაწილი და მე ეს მომწონს. ხანდახან მაღიზიანებს კიდეც, მაგრამ როგორც თვითონ ამბობს, არც ისე ადვილია გააღიზიანო მკითხველი.

და კიდევ მინდა, რომ კოშკამ ფული იშოვოს. მგონია, რომ ბევრისგან განსხვავებით, კარგ რამეში დახარჯავს.

ზაზა კოშკაძე

ზომბი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა

ესაა პირველი გორხის დაცემა საფლავში ჩადგმულ კუბოს სახურავზე...

გურამ დოჩანაშვილი

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ხელმძღვანელმა დამიბარა და თქვა:

„შენს მომავალ ნაშრომში უნდა აისახოს ზომბების კოლონიაში მცხოვრები ზომბი-მომსახურეების ყოველდღიური საქციელის ასპექტები...“

„რაა?“ გამიკვირდა მე. ხელმძღვანელს სიცილი აუტყდა.

„კაი გეხუმრე. როგორ ხარ?“ თქვა მან.

„საკაიფოდ, შენ?“ ვთქვი მე.

„მეც. მოკლედ, წეღან რაც გითხარი, მთლად ხუმრობა არ იყო. მართალი უნდა წახვიდე იმ ზომბილენდში და გაარკვიო რა ხდება.“

„და რა ხდება რო?“ ვკითხე მე.

„ხმები მომივიდა, რომ ხალხს ესხმიან თავს და ჭამენ...“

„ვაა...“

„აბა?!“

„რას ითხოვენ?“

„უკეთეს ცხოვრებას, ჩემო კარგო, ყველას უკეთესი ცხოვრება უნდა, ზომბებსაც კი. აიღე ბეჯი და დაახვიე. ყველაფერი უნდა გაარკვიო რა ხდება, რატო ხდება... ფოტოებიც შენ თვითონ უნდა გადაიღო, ჩვენ ფოტოგრაფს არ სცალია.“ თქვა ხელმძღვანელმა.

„სად არის ეგ კოლონია ტერიტორიულად?“

„შენ ამ პლანეტაზე არ ცხოვრობ შვილო? ბავშვობაში არასდროს ყოფილხარ ექსკურსიაზე მაგ საცოდავი არსებების სანახავად?“

„არა, არასოდეს.“

„ნნუ, ნნუ, ნნუ, ნნუ...“ თავი გააქნია. ფურცელზე რაღაცა დაწერა და მომაწოდა.

„აი მისამართი.“

ერთადერთი, რაც მე ამ კოლონიაზე ვიცოდი, ის იყო, რომ იგი 25 წლის წინ შეიქმნა. მანამდე ცოტა ხნით ადრე, ერთმა ცრუ სასწაულმოქმედმა გადაწყვიტა, რომ ღმერთია. ჯერ ადამიანების განკურნებით გაითქვა სახელი და ბოლოს მკვდრების გაცოცხლებით შოკში ჩააგდო ყველა და ყველაფერი. ეს მკვდრები, ვინც მან გაცოცხლა, ძირითადად მდიდარი ხალხის ნათესავები იყვნენ, რადგან ადამიანის გაცოცხლება ძალიან ძვირი ღირდა. ერთ წელიწადში ათასობით ადამიანის გააცოცხლება შეძლო. თავიდან ისინი სახლებში ცხოვრობდნენ, თავიანთ ნათესავებთან და ოჯახის წევრებთან ერთად. სრულიად უსფრთხო არსებებად ითვლებოდნენ. თუმცა შემდეგ მოხდა ინციდენტი, რომელმაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ერთ-ერთმა მათგანმა პატარა ბავშვი შეუჭამა ოჯახს. ამის შემდეგ დაიწყო ამ არსებების კვლევა, რომელსაც მანამდე თავად ოჯახები ეწინააღმდეგებოდნენ. აღმოჩნდა, რომ ისინი უამრავი დაავადების მატარებლები არიან და საზოგადოებისთვის საშიშროებას წარმოადგენენ. ხოლო მათი ნაკბენი კი შენც ზომბად გაქცევს. გამოვიდა კანონი, რომლის მიხედვითაც ადამიანებს ეკრძალებოდათ სახლში ზომბების ყოლა. ზომბებიც იმიტომ ეწოდათ, რომ კანონში ასე იყვნენ მოხსენიებულები, ხოლო კანონში ასე რატომ იყვნენ მოხსენიებული, ეგ ნამდვილად არავინ იცის.

შემდეგ ცრუ სასწაულმოქმედი თაღლითობის ბრალდებით დაეპატიმრეს. ის სასამართლოზე გარდაიცვალა, მოულოდნელად. ამბობენ, როცა ის მოკვდა, პროცესზე სიჩუმე ჩამოწვაო. მთელი დარბაზი ელოდა

მის გაცოცხლებას, თუმცა როგორც ჩანს სასწაულმოქმედმა იმდენი ვერ მოიფიქრა, რომ ვინმესთვის მიეცა მის გასაცოცხლებლად საჭირო ძალა და ცოდნა. მოკლედ, ასე დასრულდა ეს ამბავი.

ზომბების ანუ ცოცხალი მკვდრების კოლონია, რომელსაც ზოგი გეტოდაც კი მოიხსენიებს, რამდენიმე თვეში აიგო. ის ადამიანებმა ააგეს და მათ ზომბებიც ეხმარებოდნენ. ეს მოხდა 25 წლის წინ, მას შემდეგ ზომბები არავის მოუკითხავს, ისევე როგორც ომის მსხვერპლი ლტოლვილები – ისინი ყველას ფეხებზე კიდია. ხანდახან ვინმე სიუჟეტს თუ მოამზადებს ან ექსკურსიაზე თუ წაიყვანენ ბავშვებს სკოლიდან. ეს არის და ეს. ნათესავებმაც კი დაივიწყეს. ასე იქცნენ ისინი თანამედროვეობის მონებად. არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც მათ უფლებებზე ლაპარაკობენ, მაგრამ მგონი თავადაც არ სჯერათ, რომ ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს. ისინი ციხეში არიან, როგორც შრომა-გასწორების კოლონიაში. იქ მათ ჩვენგან იცავენ და ჩვენ კი მათგან.

როცა მათ დასახლებას მივდექი, უზარმაზარ ჭიშკართან ორი მთვრალი მცველი დამხვდა. მოწრიპულ კაბინაში ისხდნენ და თევზს და ლუდს უბერავდნენ. საათზე მეტ ხანს არკვევდნენ, უნდა შევეშვი თუ არა, მიუხედავად იმისა, რომ გაფრთხილებული იყვნენ. საბოლოოდ მაინც შემიშვეს, უფრო მეტიც, ერთ-ერთი მთვრალი მცველი თან გამომყვა.

„მე არ მჭირდება მცველი!“ ვუთხარი უხეშად.

„მე ყლეზე მკიდია, შენ რა გჭირდება, ბრძანება მაქვს და უნდა წამოგყვე!“ მიპასუხა უხეშად.

„ვისგან გაქვს ეგ ბრძანება?“

„შენი საქმე არაა.“

„რა მიზნით მომყვები?“

„რო არ დაიკარგო ან ზომბებმა რო არ შეგჭამონ... აბა მე რა ვიცი. მითხრეს გაყევიო და მოგყვები.“

„რას ქვია შემჭამონ, ესენი მართლა ხალხს ჭამენ აქ?“

„კი, ხანდახან.“

„რამდენი შემთხვევა იყო ასეთი?“

„შვიდი... აქედან ხუთი შემთხვევა ბოლო ერთ თვეში.“

„რამ გამოიწვია ეს? რა ხდებოდა ამ ბოლო ერთ თვეში?“

„არ ვიცი. მარტო ის ვიცი რო ძალიან აგრესიულები გახდნენ, მაგიტომაც მომაქ ეს დალოცვილი რკინა. რა იცი რა ხდება.“ ხელი იარაღზე მიირტყა.

სამხედრო პიკაპში ჩავსხედით და დავიძარით.

„მაგ ჩანთაში რა გიდევს?“ ვკითხე მე.

„ხორცი.“

„რა ხორცი?“

„უმი ხორცი თან უნდა ვიქონიოთ. თუ თავს დაგვესხნენ, გადავუგდებთ და გაჩერდებიან.“

„თქვენ რა, აშიმშილებთ ამათ?“

„მე არავის არ ვაშიმშილებ, მე კარისკაცი ვარ, რასაც მეტყვიან, იმას ვაკეთებ.“

მთელი ამ ხნის განმავლობაში მანქანით მივდიოდით, სანამ რამდენიმე საგუშაგო არ გავიარეთ და პატარა ბარაკები არ გამოჩნდა. ეს ბარაკები ძალიან დიდ ტერიტორიაზე იყო გადანოლილი, თვალი არ მიმინვდებოდა. სადღაც მოშორებით ნვრილდებოდა მათი რიგები და ქრებოდნენ. ნისლი იდგა. ცოტა ციოდა კიდეც. ჩვენ მანქანიდან ჩამოვხტით.

„აქ კიდე ვინმე შეგვხვდება, რომელსაც რამე შეიძლება ვკითხო?“

„არა, აქ ახლა ჩვენს გარდა არავინაა.“

მე ფოტოაპარატი ამოვიღე და ბარაკებს ფოტო გადავუღე. ჩხაკუნის ხმაზე ჯარისკაცმა სწრაფად შემომხედა და დაიძაბა.

„არ გადამიღო!“

მე თავი დავუქნიე.

ბილიკს დავუყევით, რომელსაც ბარაკებთან მივყავდით. აქედანვე მოჩანდნენ ჭიანჭველისოდენა ორფეხა არსებები, რომლებიც აქეთ-იქით დააბოტებდნენ. რაც უფრო ვუახლოვდებოდით ამ საშინელ გეტოს, მით უფრო შემზარავი ხდებოდა იქ ყოფნა.

„ადრე აქ გიდად ვმუშაობდი. მახსოვს, ექსკურსანტებს ვერ ავუდიოდით, ახლა ხალხი ძალიან არის შეშინებული.“

„აღარ მოდიან?“

„ძალიან იშვიათად. სკოლებიდან საერთოდ აღარ დაყავთ ექსკურსიაზე.“

„გიდობას რატომ შეეშვი?“

„ორი კვირაა, რაც დაცვაში გადმოვედი, არ მოსწონდათ ჩემი გიდობა და ამის გამო დამაქვეითეს თუ შეიძლება ასე ითქვას.“

მე ხელში ბლოკნოტი მეჭირა, რომელშიც ყველაფერს ვიწერდი, დროდადრო ფოტოებსაც ვიღებდი.

გზაზე რამდენიმე ზომბი შეგვხვდა. როგორც კი ჩვენი ხმა გაიგეს, გახევდნენ და უცნაური ხმების გამოცემა დაიწყეს. ნაბიჯს შევუნელეთ.

„ძალიან ახლოს ნუ მიხვალ, შეიძლება გეცეხ რომელიმე.“ მითხრა მან.

„კარგი.“ ვუპასუხე მე.

ზომბებს ვათვალიერებდი. ისინი ძალიან უსუსურები და შეშინებულები ჩანდნენ. გვიფრთხოდნენ კიდეც. აშკარად ეშინოდათ ადამიანების. აგრესიის არაფერი ეტყობოდათ. მანერებით ერთმანეთისგან ვერ გამოარჩევდი. ბარაკებთან საფლავის ქვები ელაგა თარიღებით და ამოხატული სახეებით. ამ ქვების მიხედვით აგნებდნენ საკუთარ საცხოვრებელს ისინი.

„ცდილობენ სულ ერთად იყვნენ, ერთად იცხოვრონ და ერთად აკეთონ ყველაფერი. მარტოობა არ უყვართ.“ მითხრა კარისკაცმა და ჩემმა გიდმა. ვხედებოდი, რომ ეს ადამიანი სპეციალურად გამომაყოლეს, რომ მე ეს ყველაფერი ისე დამენახა, როგორც მათ უნდოდათ რომ დამენახა. თუმცა ვერ ვხვდებოდი, მართლა რამეს მალავდნენ თუ არა. თუ მალავდნენ, მაშინ რას? არც დაფიქრებულა, ისე გამიმხილა, რომ აქ ზომბები ადამიანებს ესხმიან თავს. ეს აშკარად არ იყო მათი საიდუმლო. დაძაბულობას მაინც ვატყობდი.

რამდენიმე საცხოვრებელი მოვინახულეთ. მათ ცხოვრებას გავეცანი და აღმოვაჩინე, რომ ცხოველებივით ცხოვრობდნენ. დილიდან საღამომდე ამუშავებდნენ და უმ ხორცს აჭმევდნენ. თუ რომელიმეს რამე შეეშლებოდა, იმით სჯიდნენ, რომ საჭმელს არ აძლევდნენ.

დიდხანს ვიბოდიალეთ ერთად. უამრავი ფოტო გადავიღე. წამოსვლას ვაპირებდი, როცა ერთი ზომბი შევნიშნე. ის დიდ ქვაზე იყო ჩამომჯდარი, ნიკაპი ერთი ხელის მტევანზე ჩამოეყრდნო, თითქოს კოცნისო, მეორე ხელი კი მუხლზე ედო. როდესაც „მოაზროვნის“ ქანდაკების პოზა ეჭირა ერთი ერთში. თავიდან ქანდაკებაც კი მეგონა.

„ეს ვინღაა?“ ვიკითხე მე.

„ესეც ზომბია.“ სწრაფად მიპასუხა მან.

„სულ ასე ზის?“

„კი... მალე უნდა გავიდეთ აქედან, უკვე ბნელდება. ღამით ესენი საშიშები ხდებიან. ყოველთვის ღამით ესხმიან ადამიანებს.“ თქვა მან.

ვატყობდი, რომ ნერვიულობდა. თითქოს ეს იყო მათი საიდუმლო. ან იქნება არც ყოფილა არანაირი საიდუმლო და უბრალოდ მოსაღამოვების ეშინოდა? რაც არ უნდა ყოფილიყო, აქედან ისე არ წავიდოდი, რომ ეს უცნაური ზომბი ახლოდან არ მენახა და გადამეღო. კილომეტრზე იგრძნობოდა, რომ ის არავის ჰგავდა. ზომბები კი როგორც წესი არასდროს არაფრით გამოირჩევიან ერომანეთისგან. ზომბები ბრბოა, სადაც არ არსებობენ ინდივიდები. ისინი ბრმად ასრულებენ სისტემის ბრძანებებს და მხოლოდ შიმშილის გრძნობას ემორჩილებიან.

„ამას ვნახავ და მერე წავიდეთ.“

„ძალიან საშიშია!“ მითხრა მან.

„არა მგონია.“

ვთქვი მე და მოძრავი მოაზროვნის ქანდაკებისკენ წავედი. მან რაცია ჩართო და ვიღაცას დაელაპარაკა. კაი ხანს ვიარე. ასიოდე მეტრიღა მაშორებდა იმ ადგილს, სადაც ის უცნაური ზომბი იჯდა, როცა დავინახე, რომ მცველი ჩქარი ნაბიჯით მორბოდა ჩემკენ. მე გზა ჩვეულებრივ გავაგრძელე. ის დამეწია და წინ გადამიდგა.

„ახლავე უნდა გამომყვე!“

„შანსი არაა! სტატია მაქვს დასაწერი!“

„ყლეზე მკიდია შენი სტატია, ბრძანება მაქვს!“

„მე შენი ბრძანება მკიდია ყლეზე, აქედან არ გავალ, სანამ მასალას არ მოვაგროვებ!“

ამ სიტყვებზე მან ჩემს ბლოკნოტს დახედა, საიდაც ყველაფერს ვიწერდი. ხელიდან გამომტაცა და მისი დანაკუწება დაიწყო, დემონსტრაციულად. მე სისხლმა თავში ამასხა. წამიც და რაღაცას ვხვედი თავში, მაგრამ იმ მომენტში ორივე ადგილზე გაგვაქვავა გამაყრუებელმა ღრიალმა. უკან მივიხედე. მოაზროვნე ზომბი ჩვენსკენ იხედებოდა და ცოფიანივით ილრინებოდა. ჩვენსკენ დაიძრა, მაგრამ ჯაჭვებმა შეაკავა. ახლაღა აღმოვაჩინე, რომ დაბმული იყო. კიდევ ერთხელ სცადა გამოქცევა და ისევ ჯაჭვებმა შეაჩერა.

„ეს აქ რას აკეთებს და დაბმული რატომ?“

„დასჯილია...“ თქვა მცველმა ისე, რომ ჩემსკენ არც გამოუხედავს. იარაღი ამოიღო და მისკენ გაიშვირა.

„გაიქეცი!“ მიყვირა მან.

მე არ გავნძრეულვარ. აშკარა იყო, რომ ეს გამორჩეული არსება აქ სპეციალურად ჰყავდათ დაბმული. ასე ანამებდნენ. აქ სცემდნენ, საჯაროდ, ყველა სხვა ზომბის დასანახად, რათა ამის შემდეგ

აღარავის გაებედა „ზედმეტი“...

მცველმა რაცია ჩართო და თქვა:

„ისევ დაიწყო!“

„მოახდინეთ ლიკვიდაცია!“ იყო ხმა რაციიდან.

„გასაგებია!“

მან აიწყვიტა და ჩვენსკენ გამოქანდა. მცველმა ესროლა. ზომბი წაიქცა. ადგა და ისევ გამოიქცა. მცველმა კიდევ ესროლა, მაგრამ ამჯერად ააცილა. ზომბი მას შემოახტა და სახე მოაჭამა. მე ადგილიდან ვერ ვინძრეოდი. შიშისგან.

როცა მცველის სახისგან აღარაფერი დარჩა, ზომბი წამოდგა და ჩემსკენ წამოვიდა. მე ფეხს არ ვიცვლიდი. ეს ინსტინქტია. საფლაგე წამიკითხავს, ადამიანები სამი სახის ქცევით გამოირჩევიან, როცა სიკვდილის საფრთხეს ეჯახებიანო: 1 – თავად ესხმიან თავს, 2 – გარბიან და 3 – ადგილზე შეშდებიან. მე მესამე მჭირს. ყოველთვის ასე ვიყავი. ბავშვობაში უზარმაზარი ძაღლი გამოქანდა ჩემსკენ. არც ვიცი რა ჯიშის იყო. მახსოვს, როგორ გავხევედი. ის მოვიდა, დამსუნა და გაიქცა. კიდევ ის მახსენდება, როცა მე და მამაჩემს ნავთლუღის ბაზართან იარაღი დაგვიმიზნა ტიპმა, რომელიც ნივაში იჯდა, მაშინაც გავხევედი. და აი, ახლაც, ვდგავარ აქ, ერთ ადგილას გაშეშებული. ის კი ჩემსკენ მოდის. ეს უცნაური არსება. გაცოცხლებული გვამი, რომელიც რაღაცამ ძალიან ააცოფა.

ჩემს წინ დადგა და სახე სახესთან მომიტანა. ძალიან ახლოს. თითქოს მყნოსავდა. მთელი სახე სისხლიანი ჰქონდა. ვუყურებდი ამ გამძღარ პირსისხლიან ზომბის, თუმცა მაინც ვერ ვატყობდი ისეთ უსიამო გამომეტყველებას სახეზე, როგორიცაა სიტყვა... „გავძეხი.“ სახეზე აგრესია დაუცხრა. ბლოკნოტის ნაკუწებთან დაიჩოქა და მათი აკრეფა დაიწყო. ფურცლების ნაფლეთებს იღებდა და ათვალიერებდა. ტექსტიან ნახევებს დიდხანს ატრიალებდა ხელში, ეფერებოდა და ისევ ადგილზე დებდა. მე ამ სანახაობით ბოლომდე მონუსხული ვიყავი. ჩემს წინ დაჩოქილი ზომბი, რომელიც ჩემი ბლოკნოტის ნაკუწებს ეფერებოდა. ჩემი სტატიის მასალას კოცნიდა. ტანზე დაგლეჯილი ყვითელი ფრაკი ეცვა და შავი შარვალი უზარმაზარი ჯიბეებით. ნაწამებს გავდა. მე ვეღარ მოვითმინე, ფოტოაპარატი ძალიან ფრთხილად მოვმართე და დავაჩხაკუნე.

„ჩხაკ.“

ამ ხმაზე ზომბი წამოხტა. გაცოფებული სახე ჰქონდა. ერთ წამში ჩემთან გაჩნდა და აპარატი ხელიდან გამომგლიჯა. ხან მე მიყურებდა, ხან აპარატს. ისევ ძალიან ახლოს მოვიდა და დამაკვირდა. ბოლოს თითქოს რაღაცის თქმა სცადა.

„კკკ...“

„რა?“ ვკითხე მე.

„კკკლლლ...“ აშკარად რაღაც სიტყვის თქმას ცდილობდა.

„ვერ გავიგე.“ ვუთხარი მე.

„კლმმმმმმმ...“

„რა, კლმმმმ? ვერაფერი გავიგე, არ ვიცი რა გინდა ჩემგან.“ ვუთხარი მე.

„კლმ...“

„არა, მე კლმმ არ ვარ, ვიღაცაში გეშლები.“ ვუთხარი მე.

ის ცოტა მოიღუშასავით. აპარატს მიუბრუნდა. ეს აპარატი მასზე ძალიან ძლიერად მოქმედებდა. უცნაურ ემოციებს იწვევდა. ვერ გამოხატავდა, მაგრამ ვგრძნობდი. თითქოს რაღაცას ეძებდა მასზე. ბოლოს მიაგნო მთავარ ღილაკს და კიდევ ერთხელ გაისმა:

„ჩხაკ.“

ამ ხმაზე მე ამომხედა. ისევ აპარატს დახედა და დაიწყო ჩხაკუნი. ეს ხმა აშკარად ძალიან სიამოვნებდა. როცა აპარატით გართობა დაასრულა, მოვიდა და ხელი გამომიწოდა. ხელზე სამაჯური ეკეთა ინიციალებით „ვ.კ“.

მივხვდი, რაც უნდოდა. უნდოდა მას გავყოლოდი და მისი სახლი მოგვეძებნა. ეს ინიციალები კი სახელსა და გვარს აღნიშნავდნენ. მოკლედ, უნდა გვენახა სახლი, რომელთანაც იდებოდა საფლავის ქვა სახელითა და გვარით და მასზე ნახატი ზომბის სახით წინა ცხოვრებიდან. შოკს მგვრიდა მისი ქცევები. მივხვდი, რომ უნდა დავმორჩილებოდი. ნაბიჯი გადავდგი თუ არა, ისევ წინ გადამიდგა. ტუჩებზე მცველის სისხლი ჯერ კიდევ წურნერით სდიოდა. არ მიშვებდა, რაღაც არ მოსწონდა. რაღაცას მეთამაშებოდა. აქეთ-იქით მიმოიხედა, მერე რაღაც ქვას დასხვდა და გამომიწოდა. გამოვართვი. ის მიყურებდა. მე არ ვიცოდი, რა უნდოდა ჩემგან. მან ქვაზე მანიშნა და რაღაც ბგერები ამოუშვა. მე კიდევ ვერ მივხვდი, რას ითხოვდა ჩემგან. შემდეგ გაბრაზებულმა ხელები ჩემს ხელებს მოუჭირა. მე ხელი სიგიჟემდე მეტკინა და მთელი ხმით ვიყვირე. მან რაღაც ბგერები ამოუშვა, რაც ჩემი ვარაუდით მისი სიცილი უნდა ყოფილიყო. ქვა გამომგლიჯა და მოისროლა. შემდეგ ზურგიდან მომიდგა და შემომახტა.

„ღმერთო...“ წამოვიძახე მე.

საშინლად მძიმე იყო. თუმცა ეს არ იყო ჩემი გაოცების მთავარი მიზეზი. საკუთარი აზრების აღარ მჯეროდა, რომლის მიხედვითაც ეს ზომბი „ნაცარქექაის“ თამაშობდა, ქართული ზღაპრის გმირს.

შოკირებული ვიყავი. „მოაზროვნე“ ზომბი მომყავდა ზურგზე შემოსმული. ძალიან ბევრი მატარა. უკვე ბნელდებოდა. სხვა ზომბებიც სულ თან დაგვყვებოდნენ. ჩვენს მიმართ აგრესიას არ ავლენდნენ, ისე კი ეტყობოდათ, რომ რაც უფრო ბნელდებოდა,

უფრო აღგზნებულები ხდებოდნენ. უფრო აქტიურები და სწრაფები. ალბათ მთვარის ენერგია ანგრევს მათ შინაგან ბალანსს... უკვე ვბოდავ.

რომელიღაც ბარაკთან შევჩერდით. უფრო სწორად ზომბი ჩემი ზურგიდან ჩამოხტა და მე ძირს დავეცი. წელი მტკიოდა. კართან საფლავის ქვა ეგდო. წარწერით:

„ვასილ კეკელრაძე“

ქვემოთ კი დახრილი ასოებით იკითხებოდა:

„კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“

კიდევ უფრო ქვევით კი ეწერა:

„სიყვარულით ძმებისგან“

უცნაური წარწერა იყო, თუმცა ეს იმდენად აღარ მიკვირდა, რამდენადაც უფრო ნათელს ხდიდა იმას, რა დასკვნებისკენაც მივდიოდი ჩემდა უნებურად.

ის შესასვლელისკენ წავიდა. მე ავდექი და გავყევი. შიგნით რომ შევედი, არაფერი არ მეუცხოვა, ეს ბარაკი ვერაფრით განვასხვავე სხვებისგან. ისევე როგორც სხვა ბარაკებში, საწოლი აქაც არ იდგა. ზომბებს არასდროს ძინავთ. ისევე როგორც სხვა ბარაკებში, აქაც იდგა მაღალი მაგიდა, როგორც საბჭოთა სახინკლეებში, რომელსაც ფეხზე მდგარი და დამშეული ადამიანები ეხვივნენ გარს. მასზე უმი ხორცის ნამცეცები ჯერ კიდევ შეინიშნებოდა. ერთადერთი, რამაც გამაოცა და სხვა ბარაკებში არასდროს შემინიშნავს, ეს იყო სარწეველა სავარძელი. უცებ წარმოვიდგინე, რომ ეს არსება ამ სავარძელში ზის და ნებივრობს, ახალი ნაჭამი და ღმერთმა იცის რაზე ფიქრობს ამ დროს. რა ახსენდება. ან ვინ ახსენდება.

ზომბი ოთახის ერთ კუთხეში იქექებოდა. რაღაცას ეძებდა. ბოლოს როგორც იქნა იპოვა და ჩემთან დაბრუნდა. ის, რაც მან იპოვა, ერთი დაფლეთილი წიგნი აღმოჩნდა. მე მომიტანა, ხელში მომცა და მომაჩერდა. წიგნს ყდა შემოხეული ქონდა. სატიტულო ფურცელზე ეწერა:

„მსოფლიო ლიტერატურის ანთოლოგია.“

გამოვყლეკდი.

შემდეგ წიგნი გადამიშალა და სიტყვებზე ადებდა თითებს.

„უნდა.“

„გაქცევა.“

„აქედან.“

გამოდის, რომ ეს ზომბი წიგნების მეშვეობით მელაპარაკება.

„გინდა თქვა რო უნდა გავიქცეთ?“ ვკითხე მე. ის წიგნს ჩააშტერდა და სიტყვის ძებნა დაიწყო.

„ჰო.“ იპოვა მან სიტყვა.

შემდეგ კიდევ იპოვა სიტყვები:

„აქ“, და „ცუდად“.

მის მიერ შეჭმული მცველი გამახსენდა და ყველაფერი ნათელი გახდა. გამახსენდა ისიც, რაც მცველმა მითხრა შეჭმამდე. მან მითხრა რომ ეს ზომბი დასჯილი იყო. კიდევ უფრო ნათლად დავინახე, რატომ მთავაზობდა ზომბი აქედან გაქცევას. ის სინამდვილეში ჭველას მთხოვდა და ამავდროულად, ჩემი დაცვაც უნდოდა.

გარედან სროლის ხმა შემომესმა. კარი ოდნავ შევაღე და დავინახე, რომ რამდენიმე ჯარისკაცი ჩვენი ბარაკისკენ მოდიოდა. შეიარაღებულები იყვნენ, მათ ზომბები თავს ესხმოდნენ, ისინი კი მათ ხოცავდნენ. ვერ ვიტყვი, ზომბები ჩვენს დაცვას ცდილობდნენ თქო, უბრალოდ, როგორც ჩანს აგრესიის მორიგი შეტევა ქონდათ მზის ჩასვლის ნიადაგზე. მოკლედ, სიტუაცია თანდათან ადამიანებსა და ზომბებს შორის შეტაკებას ემსგავსებოდა. ის ერთად გაქცევას მთავაზობდა. მე ცოტა ხანს მდუმარედ ვიდექი. მან კიდევ ერთხელ მიიტანა თითი სიტყვასთან „გაქცევა“.

ჩვენ ფრთხილად გამოვედით მისი ბარაკიდან და შევეცადეთ, ჩუმად გავპარულიყავით. თუმცა შეგვამჩნიეს.



„არ გაინძრეთ.“ ყვიროდნენ იარაღიანი ადამიანები. უცნაური ფორმები ეცვათ. სპეციალურ სადამსჯელო რაზმს გავდნენ.

„წადით, თქვენი დედაც მოვტყან...“ მივაძახე მე და გავიქეცი. ზომბიმ მათ შუა თითი აჩვენა და ძუნძულით გამომყვა. მთავარ კედელთან მივედით. არც ისე მაღალი აღმოჩნდა. ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე ეს არსებები, მითუმეტეს ერთი რომელიმე ამათგანი, ოდესმე შეძლებდა აქედან გასვლას. ამაში პირველ რიგში ფანტაზიის არქონა შეუშლიდა ხელს. შეირაღებული ადამიანები მოგვდევდნენ, თუმცა მათ სხვა ზომბები უშლიდნენ ხელს, რაც ჩვენს წისქვილზე ასხამდა წყალს.

კედელზე გადავძვერით. პირველი ის აძვრა და ხელი გამომიწოდა. მე ხელი მივეცი, მან ღონივრად ამიტაცა და ჩვენ კედლის მეორე მხარეს ვისკუპეთ. სუპერგმირივით იქცეოდა. ბევრი ვირბინეთ თუ ცოტა ტრასამდე გავედით. შორიდან სროლის ხმები ისევ გვესმოდა. გამვლელ მანქანას გამოვყევით ქალაქამდე. მძღოლი მთელი გზა სარკიდან თვალებით ჭამდა ზომბის, რომელიც უხმოდ იჯდა და ჭკვიანი თვალებით გაჰყურებდა ტრასის პირას გაშლილ მდელოებს. ხელში ჩემი ფოტოაპარატი ეჭირა.

„ეს კანონიერია?“ იკითხა ბოლოს მძღოლმა და ზომბიზე მანიშნა.

„ვიყიდე!“ მკაცრად ვუპასუხე. მას შემდეგ ხმა აღარ ამოუღია.

შუაღამე იყო და ვერავინ გვხედავდა. რედაქტორის სახლში ავედით. კი ხანი ვრეკე ზარი და ვაბრახუნე. როგორც იქნა გააღო. ნამძინარები იყო.

„რა ხდება?“ შემდეგ ზომბის მოკრა თვალი.

„ფუ შენი, ეს ვინღაა?“ შიშისგან უკან გადახტა, იატაკზე გაიხლართა.

„დამშვიდდი, არაფერს დაგიშავებს, ძაან მაგარი ტიპია.“

„რატო? ახალი ნაჭამია?“

„არა, მართლა გეუბნები, ნუ გეშინია.“

„გაგიჟდი? შეხედე რას გავს, სახე სულ სისხლიანი აქვს... მოაშორე აქედან!“

ზომბი მასთან მივიდა, დაიხარა და ფეხზე წამოაყენა. გაოგნებულმა რედაქტორმა მე შემომხედა.

„არ შემჭამს?“

„არა, ეს სხვანაირი ზომბია. მაგიტო მოგიყვანე, რომ მომეყოლა არ დამიჯერებდი.“

„სხვანაირი როგორი?“

„წიგნები უყვარს და ფოტოების გადაღება.“

„რას ბოდავ, მომიყევი რა მოხდა იქ და როგორ მოახერხე ამის გამოყვანა იქიდან.“

„მაგას მერე მოგიყვები.“

მისაღებ ოთახში შუქი აინთო. ჩვენც იქით წავედით. ოთახში წიგნებით სავსე თაროები იყო. ზომბის ხელში გადაშლილი ბიბლია ეჭირა, კითხულობდა და ტირილის მაგვარ ხმებს გამოსცემდა. შემდეგ დადო და ვიქტორ ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ აიღო ხელში. ამ წიგნს განსაკუთრებით მოეფერა. მერე ჩვენ გამოგვხედა და წიგნზე გვანიშნა. ვერ მივხვდით, რას გულისხმობდა. შესაძლოა თავს კვაზიმოდოდ გრძნობდა, განსხვავებულობის გამო საზოგადოებისგან განდეგილ და ჩაგრულ არსებად. ეს ეჭვი კიდევ უფრო გამიმძაფრდა, როცა შემდეგი წიგნი აიღო ხელში. ეს „ფრანკენშტეინი“ იყო. ყველაფერი გასაგები იყო, რისი თქმაც უნდოდა.

„რას აპირებ?“ მკითხა რედაქტორმა.

„დედის მტყვნელი სტატიის დაწერას... თუმცა ეგ ალბათ აღარ გამოვა.“

„რატო?“

„იმიტომ, რომ აუცილებლად დამაპატიმრებენ თუ არ გადავიმალე სადმე.“

„აღარ მეტყვი, რა მოხდა?“

„მოდი ტელევიზორი ჩავრთოთ.“

ტელევიზორი ჩავრთეთ და დივანზე ჩამოვსხედით. ზომბი მოშორებით იდგა და ისევ წიგნებს ათვალიერებდა. ყველა არხზე ერთი და იმავეს ატრიალებდნენ. შემზარავი კადრები, სადაც ასახულია, როგორ დარბიან ზომბები ქუჩებში და ადამიანებს ჭამენ. ნათელი იყო, რომ ის შეტაკება, კოლონიაში, ზომბების გამარჯვებით დასრულდა. შესაძლოა ჩემი მოაზროვნე ზომბი ამის რევოლუციონერ, ბელად ზომბად მოვიაზროთ, რადგან ის პირველი იყო, ვინც გადაახტა გეტოს კედელს და გაიქცა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ის, რასაც ახლა ვუყურებდით ტელევიზორში. ეს იყო ხოცვა-ულეტა.

„ღმერთო, ეს რა ხდება...“ თქვა რედაქტორმა.

კარზე არაადამიანური ბრახუნი ატყდა. ჩვენ შევხტით და ძალიან შეშინებული სახეებით მივაჩერდით ერთმანეთს. სწორედ ამ მომენტში გაისმა:

„ჩხაკ.“

მან ფოტო გადაგვიღო.

ეს ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ ხელმძღვანელმა დამიბარა და თქვა:

„და ამიტომაც ხაზგასმული ყურადღება უნდა მიექცეს გეტოს ტიპის დასახლებაში მცხოვრებ ზომბთა თავისუფალ დროს, რომლის სფეროც განისაზღვრება, ჯერ ერთი, იმით, რომ წარმოადგენს მათი ფორმირების ერთ-ერთ ფაქტორს, შედის რა კომპონენტად მათი ცხოვრებისა და მოქმედების კომპლექსში; მეორე – რომ ასეთი გამოკვლევა გვეხმარება...“

ჩამოგვაზომბიაპოკალიფსეს.

პაატა შამუგია

საქართველო კოშკას

დაახლოებით ათი წლის წინ, ლიტერატურის მკვლევართა გარკვეული ნაწილი საგონებელში ჩაცვივდა, როცა კოლრიჯის და ედგარ პოს პლაგიატი აღმოაჩინა. უბრალოდ პლაგიატი კი არა, ამ განთქმულ მწერლებს მთელი გვერდები ჰქონდათ გადმოწერილი სხვადასხვა ავტორებისგან. მერე თქვეს, რომ ეს კრიპტომნეზია იყო, რაც გაუცნობიერებელ პლაგიატს ნიშნავს. აქაოდა, მთლად ასე უსინდისოდ როგორ მოიპარავდნენ, ისე, შემთხვევით „გადმოეწერათ“ სხვისი ტექსტებიო.

ზაზა კოშკაძის „საქართველო“-ს ნაკითხვის შემდეგ შესაძლოა, მავანს გასჩენოდა აზრი, რომ სულ მცირე, კრიპტომნეზთან გვქონდა საქმე. თუმცა, ეს აზრი ავტორმა თავიდანვე გაანულა და მიაწერა ალენ გინსბერგის „ამერიკის“ ადაპტირებული თარგმანი.

ჩემი აზრით, ამის არანაირი საჭიროება არ იყო, მეტიც – ეს შეცდომა მგონია. ზაზა კოშკაძის „საქართველო“ ექსკლუზიური ლექსია და არა თარჯიმნული ნამუშევარი. სულაც არ ვაკნინებ თარჯიმნებსა და მთარგმნელებს, პოეტებზე მეტს თუ არა, ნაკლებ საქმეს არ აკეთებენ, მხოლოდ ფაქტის აღნიშვნა მინდა.

ზაზას „საქართველო“ მედლის ის მხარეა, რომელსაც საგულდაგულოდ გვიმალავენ გლამურულ გადაცემებსა და გამოცემებში, რომელზე საუბარიც დისკომფორტს უქმნით პოლიტიკოსებსა და ბელადებს. ეს არის უნყვეტი ქრონიკა 1989 წლის 9 აპრილიდან დღემდე, ეს არის LIVE საქართველო.

სასტიკია ეს ლექსი, ისევე, როგორც საქართველოს წარსული და აწმყო.

კომიკურია, ისევე, როგორც საქართველოს წარსული და აწმყო...

და ცხადია, ტრაგიკულია, ისევე, როგორც საქართველოს წარსული და აწმყო.

გინსბერგის ლექსისგან კი მხოლოდ წოდებითი ბრუნვის ფორმა და ობსტრუქციული პათოსი გადმოჰყვა ამ ლექსს.

როგორც სხვა შემთხვევებში, ზაზა კოშკაძე არც ამ ლექსშია ტექნიკაზე, პოეტურ ეკვილიბრისტიკაზე გამეცადინებული და ეს მხოლოდ კარგად აღწერს მას. ერთი შეხედვით, სულაც დაუდევრად წერს, მაგრამ მიუხედავად ამისა, სიტყვების კონსტრუქციები უშუალოდ, ავტორისგან დამოუკიდებლად ასწრებენ ისეთი საინტერესო რამის ჩადენას, რასაც პოეზია ჰქვია.

„ჰავაელებს აქვთ ასეთი სიტყვა „ალოჰა“, რომელიც ნიშნავს როგორც „გამარჯობა“-ს, ისე „ნახვამდის“-ს. ზაზას „საქართველოც“ ალოჰაა, ორმაგად კოდირებული, წართქმით-უკუთქმით საკითხავი. ალოჰა აკბარ, საქართველო!

„როცა კოშკა მოკვდება, მას, რა თქმა უნდა, მთაწმინდაზე არ დამარხავენ, რადგან იქ უკვე პაატა შამუგია იქნება დაკრძალული.

კოშკას ადრე ქართველი ბუკოვსკი შევარქვი, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ კოშკა ბუკოვსკიზე უმცროსია.

კოშკა პროფესიით დირიჟორია, მაგრამ სადირიჟორო ჯოხის ნაცვლად ხელში სხვა რამე უჭირავს, იმიტომ, რომ დირიჟორობა ადვილია, პოეზია კი – ორჯერ უფრო ადვილი.

ერთხელ კოშკა მამამისთან ერთად ვიღაცებმა გაიტაცეს, ეს იყო 90-იან წლებში, როდესაც მე „ტომ სოიერის თავგადასავალს“ ვკითხულობდი.

მე მშურს, რომ კოშკას რამდენიმე ლექსი ჩემი დაწერილი არ არის. თუმცა ერთხელ იყო შემთხვევა, როცა ისეთ წრეში მოვხვდი, სადაც მისი ლექსების ავტორობა დავიბრალე, მახსოვს, ყველა გოგო კმაყოფილი იყო და ერთ-ერთმა გენიოსიც კი მიწოდა. რა თქმა უნდა, მე ეს კომპლიმენტი მარტივად შევიფერე.

როდესაც კოშკას ლექსებს ვკითხულობ, მე მაეჭვებს ფემინისტების უმოქმედობა.

ერთხელ მე და კოშკამ დეფის ლექსები წავიკითხეთ და ძალიან ბევრი ვიცინეთ, თუმცა რაღა ერთხელ, ეს რამდენჯერმე იყო.

თუკი კოშკას ლექსებს ოდესმე სასკოლო პროგრამაში შეიტანენ, მე ვიქნები ძალიან ბედნიერი. ხოლო ბავშვები ორმაგად ბედნიერები იქნებიან.

კოშკამ ჩემზე კარგად იცის, რომ დიდი მწერლები ადრე კვდებიან. თუ მას ამის სურვილი აქვს, ეს ჩემს გარეშე უნდა მოახერხოს“.

ერეკლე დეისაძე

ზაზა კოშკაძე

რატომ მძულს ქართული ნაციონალიზმი

მახსოვს სამოქალაქო ომის დროს ოჯახები ერთმანეთის მიყოლებით იწყრეოდა საქართველოში, ნათესავები ერთმანეთს ხოცავდნენ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ხოცავდნენ ცეცხლსასროლი იარაღით და ზოგჯერ განსაკუთრებული სისასტიკითაც კი, ნაჯახით ან ცხელი უთოს თავში ჩარტყმით. ასეთი ისტორიები ყოველდღიურად შეიძლებოდა მოგვესმინა იმ დროს, თბილისში ხმები მალე ვრცელდება. ამ ამბებიდან ზოგი აღბათ მართალი იყო, ზოგი ტყუილი, ერთი კი ფაქტია, რომ ამ ყოველი დანაშაულის მიღმა იდგა პოლიტიკა, პოლარიზებული საზოგადოება და ერთმანეთზე უკეთესი, ორი პოზიცია საქართველოს გადარჩენასთან დაკავშირებით. დღეს ჩვენ არ გვიჭირავს იარაღი, მაგრამ მაინც ვდგავართ პარლამენტთან ან სადმე და ვყვირით მიშას ან რომელიმე ალტერნატიული მესიის სახელს. მგონი არაფერი შეცვლილა, ყოველ შემთხვევაში ადამიანთა თავებში.

რამდენიმე დღის წინ ერთმა ნაცნობმა მითხრა ორი ისეთი წინადადება, რომ თავი ისევ ოთხმოცდაათიან წლებში მეგონა. არასდროს დამავიწყდება ეს ორი წინადადება.

პირველი წინადადება: „აღარ მახსოვს სად ამოვიკითხე, „ალიაში“ თუ „ასავალ-დასავალში“ კიდე ერთი ომი იქნება აუცილებლადო. ენერა კაცო შავით თეთრზე და როგორ არ გჯერა?!“

მეორე წინადადება: „ათ წელინადში იქამდე მივალთ, რომ აზერბაიჯანელი პრეზიდენტი გვეყოლება.“

რომელ წყაროს ან სტატისტიკას ეყრდნობოდა ეს ადამიანი, როცა ამ მეორე წინადადებას ამბობდა, არ ვიცი, ალბათ, სწორედ იმას, რომელსაც საქართველოს ძალიან დიდი ნაწილი: აქუბარდიას რომელიმე რესპონდენტს და მის უკიდეგანო წინასწარმეტყველურ შესაძლებლობებს.

ოდესღაც მე მქონდა სოფელი დედოფლის წყაროს რაიონში, სოფელს გამარჯვება ერქვა. ჩვენ გვქონდა დიდი ეზო ბოსტნით და ვენახით. გვყავდა ქათმები, წიწილები, ძროხები და უამრავი ხეხილი ეზოში. იქ ცხოვრობდნენ ჩემი ნათესავები, ადამიანები, რომლებიც მიყვარდა და ერთი სული მქონდა ზაფხული დამდგარიყო და მე ისინი მენახა. ეს იყო ჩემი ბავშვობა, ჩავსულიყავი სოფელში, მებანავა მდინარეში, მომეპარა სიმინდები, დამეწერა თემა სკოლაში: „როგორ გავატარე ზაფხული“.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ეს ყველაფერი გაქრა. მე დავკარგე სოფელიც და ნათესავებიც და ვიყავი ყველაზე უბედური ბავშვი მსოფლიოში, რომელსაც აღარასდროს ელოდა მხიარულება და დასვენება. ერთ, არც თუ მშვენიერ დღეს, როცა დედაჩემმა მე და ჩემი და სოფელში წაგვიყვანა, აღმოჩნდა, რომ ჩვენი ნათესავები იქ აღარ ცხოვრობდნენ. ჩვენ შევედით ეზოში და არავინ გამოგვეგება, შემდეგ, როცა ვნახეთ რომ კარებები ღიაა და არცერთ ოთახში ავეჯის მსგავსიც კი არაფერი შეინიშნება, დედაჩემი მიხვდა, რომ რაღაც ძალიან ცუდი მოხდა. შემდეგ უკვე მეზობლებმა აუხსნეს საქმის არსი...

დედა ოსი მყავს (მზია სააკაშვილი, გვარი გადაკეთებული აქვთ, რა თქმა უნდა, მისი წინაპრები საკაევები იყვნენ), მამა ქართველი. როგორც კი გამსახურდია პრეზიდენტი გახდა, მათ გადაწყვიტეს ყველა სხვა ეროვნების ადამიანი გაეძევებინათ საქართველოდან და რატომღაც ოსებით დაიწყეს ეს დიადი საქმე, ეთნიკური წმენდა. და იცით როგორ კეთდებოდა ეს ყველაფერი? ერთი, ბნელებამდე შეიარაღებული ქართველებით სავსე ავტობუსი მოგზაურობდა მთელ საქართველოში, მათ ქონდათ სია და მისამართი ოსური ოჯახების. ადგებოდნენ თავზე შუაღამისას, აღვიძებდნენ ოჯახის ყველა წევრს, მათ შორის ძალიან პატარა ბავშვებსაც, აყენებდნენ მწკრივად და ხუთი-ათწუთიანი დაცინვისა და იარაღით დაშინების შემდეგ ეუბნებოდნენ: „ხვალ ამ დროს მოვალთ და თუ ვინმე დაგვხვდა თქვენგან, მოვკლავთ!“ და მიდიოდნენ შემდეგ ოჯახში.

აი, რატომ მძულს ქართული ნაციონალიზმი.

სწორედ ასე მოექცნენ ჩემებს. მათ ბინა დაცალეს და დატოვეს საქართველო, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი ცრემლისა და გოდების შედეგად. ეს მათთვის ტრაგედია იყო, რადგან ისინი სინამდვილეში საკუთარი ქვეყნიდან გააძევა საკუთარმა ხალხმა. ისინი გადაიხვეწნენ ვლადიკავკაზში და იქ მათ საცხოვრებლად მისცეს ფერმა. ცხოველები შეავიწროვეს თუ რაღაც მსგავსი და გაარეგმონტეს. უბრალოდ გალესეს და შეყარეს ლტოლვილები. მე იქ ნამყოფი ვარ. ეს იყო გრძელი სახლი, რომლის ჭერიც ერთგან ძალიან მაღალი იყო და მეორეგან ძალიან დაბალი. ისინი იტანჯებოდნენ, რადგან საქართველო ენატრებოდათ, დღემდე ენატრებათ. მაგრამ დღეს ამ მონატრებას უკვე შიშიც შეერია და ისინი ძალიან ცუდად გრძნობენ თავს ყოველთვის, როცა საქართველოზე მიდის ლაპარაკი. ძალიან ადრე მე მახსოვს ერთი მეტად საგულისხმო შემთხვევა, რომელიც ჩემი თვალით ვნახე. ამ ამბავმა მიწასთან გამასწორა.

ერთხელ, როცა ვლადიკავკაზიდან თბილისში ვბრუნდებოდით, ჩვენთან ერთად მგზავრობდა ჩვენი ნათესავი, რომელიც პირველად მოდიოდა საქართველოში მას მერე, რაც აქედან გააძევეს. გზაში ძალიან ნერვი-

ულობდა, ხოლო როცა უკვე საზღვარს გამოვცდით და საქართველოში გადმოვედით, ისეთი ნერვული შეტევა დაეწყო, რომ ავტობუსიდან ჩამოვსვით და გადავსვით სხვა ავტობუსზე, რომელიც ვლადიკავკაზის მიმართულებით მოძრაობდა. მას უკვე ძალიან ეშინოდა საქართველოსი, იმდენად ეშინოდა, რომ ვერ შეძლებდა აქ ჩამოსვლას.

ყველაზე უარესი კი, რაც ამ ამბებიდან დამამახსოვრდა, არის დედაჩემის ატირებული სახე. ჩვენ საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდით და ახლაც იქ ვცხოვრობთ. აქ ყველაფერი საერთოა, ტუალეტიც კი. კარგად მახსოვს, როგორ ავიწროვებდნენ. არ მახსოვს, გარეთ რამეზე გასულიყოს და ტირილით არ დაბრუნებულიყოს, შეურაცხყოფილი და დამცირებული. ის იყო ოსი, ლოთი ქართველის ცოლი, მას ვერავინ დაიცავდა. არ აძლევდნენ სარეცხის გაფენის საშუალებასაც კი. ის უცდიდა ხოლმე ღამეს, რომ ყველას დაეძინა და მას მშვიდად გაეფინა სარეცხი, რადგან გარშემო მხოლოდ ზიზღი იყო და მეტი არაფერი, ზიზღი, რომლის უკანაც იდგა ქართული ნაციონალიზმი, რომელმაც წამართვა ბავშვობა, ნათესავები, სოფელი... ყველაფერი.

ახლა კი დროა ისიც ვთქვა, რის გამოც დავიწყე ამ წერილის წერა.

მე მძულს ქართული ნაციონალიზმი. მძულს ნებისმიერი ნაციონალიზმი და მძულს ნებისმიერი ადამიანი, ვინც ფიქრობს, რომ ჯობია სხვას სისხლით, ენით, მამულით, სარწმუნოებით და მიწა-წყლით. არ გეგონოთ ამას იმიტომ ვამბობდე, რომ ჩემი რადიკალურ-ლიბერალური პოზიცია დავაფიქსირო (რომელიც არ მაქვს). არა, უბრალოდ მინდა, ადამიანებს ავუხსნა, რომ სანამ ერთ ტონიან ყანნს აწევდნენ საქართველოს სადღეგრძელებლად დაფიქრდნენ ერთ ძალიან მნიშვნელოვან ამბავზე, რომელიც მე შემემთხვა და უამრავ ჩემნაირს.

ჩვენ ისევ იქ ვართ, სადაც ოცი წლის წინ, ვაპირებთ ჩავიდინოთ ძალიან ბევრი დანაშაული და მერე ვდიოთ და ბოდიშები ვუხადოთ და, თუ ისინი არ მიიღებენ ამ ბოდიშებს, ჩვენ გავუშვებთ საკუთარ შვილებს მათთან საომრად და დავკარგავთ შვილებსაც, ტერიტორიებსაც და მთლიანად ქვეყანასაც. ასე რომ, ცოტა აზრზე მოდით.

netgazeti.ge 2010.08.31

გენიოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაჩემი გენიოსია.
მისი სიტყვები
ყოველთვის ახერხებდნენ
ნახვრეტების დადებას ჩემზე.

როცა მე კარატეზე მივედი
მან მითხრა:
– შენ რა ჩემი ყლის კარატისტი ხარ შვილო
კარატისტები იყვნენ ჩემ დროს
ჯარში
შაულინელ ბერებს ერეოდნენ,
და ჩემში მოკვდა კარატისტი.

როცა მე მუსიკაზე მივედი მან მითხრა:
– შენ რა ჩემი ყლის მუსიკოსი ხარ შვილო
მუსიკოსები იყვნენ ჩემ დროს
ბარებში
სვამდნენ
და პრიბალტიკელ ნაშებს ტყნავდნენ
და ლექსებს უძღვნიდნენ,
და ჩემში მოკვდა მუსიკოსი.

როცა მე ლექსების წერა დავიწყე
მან მითხრა
– შენ რა ჩემი ყლის პოეტი ხარ შვილო
პოეტები იბეჭდებოდნენ ჩემ დროს
ლიტ.გაზეთებში
და სამშობლო უყვარდათ
და ჩემში მოკვდა პოეტი.

როცა მე ყლეზე დავიკიდე ყველაფერი
და გავლოთდი
და დედა მომეტყნა
მან მითხრა
– შენ რა ჩემი ყლის ლოთი ხარ შვილო
ლოთები იყვნენ ჩემ დროს
დუქნებს ხატავდნენ
და სახლი არ ქონდათ,
და ჩემში მოკვდა ლოთი.

როცა მე ხატვა დავიწყე მან მითხრა
– შენ რა ჩემი ყლის მხატვარი ხარ შვილო
შეეშვი ამ ცანცარობას
და ისწავლე რაიმე ხელობა
რომ ლუკმა-პურის ფული იშოვო,
და ჩემში მოკვდა მხატვარი.

როცა მე მეწაღეობა ვისწავლე
რომ ლუკმა-პურის ფული მეშოვა
მან მითხრა
– შენ რა ჩემი ყლის მეწაღე ხარ შვილო

ამ ფეხსაცმელს მაიმუნიც კი არ ჩაიცვამს სირცხვილით
და ჩემში მოკვდა მენაღე.

როცა მე ფილტვის კიბოთი ვკვდებოდი
მან მითხრა
– შენ რა ჩემი ყლის ავადმყოფი ხარ შვილო
ავადმყოფები იყვნენ ჩემ დროს
ციხეებში
ზეზეულად ლპებოდნენ
და მაინც არ ნებდებოდნენ ცხოვრებას,
და ჩემში მოკვდა ავადმყოფი.

ის გენიოსია
ცოცხალი
და მარად მართალი გენიოსი
რომელმაც ყოველთვის იცოდა
რა მინდა მე.

ბოდვა გაახდის წინ

მე გაგხდი კაბას
გაგხდი ლიფს
გაგხდი საცვალს
და შავ კოლგოტს
გაგხდი სხეულის ტემპერატურას
მე გაგხდი კანს
და მთელ კანისქვეშეთს
გაგხდი ძარღვებს
და სისხლს
გაგხდი გულს
და ფილტვებს
გაგხდი ოცნებებს
გაგხდი ანგელოზის უხილავ ფრთებს
მე დედამიწას გაგხდი
და შენ დარჩები მხოლოდ კოსმოსი
გაგხდი მთვარეს
და მზეს
და მარსს
უსასრულოდ გაგხდი
და გაგხდი
გავარვარებულ მეტეორებს.

ლორეგი კონფლიქტის ზონიდან

„სად მიდიან იხვები, როცა ტბა იყინება?“

ჰაიკუ

სად მიდიან ღორები კონფლიქტის ზონიდან
როცა მთავრდება ომი
და გვამები უკვე შეჭმული
ან დამარხულია?
სად მიდიან და ვის ჭამენ ისინი?
იქნებ თვეობით ლოცულობენ
სასტიკ ომებზე
კასეტურ ბომბებზე
და პოლიტიკურ კრიზისებზე.
იქნებ ისინიც იმედით ცოცხლობენ
და უძლებენ ამ საზიზღარ ხელშეკრულებებს
და სამშვიდობო მოლაპარაკებებს
იქნებ ისინიც ბოზდებიან გაჭირვებისგან
და დადიან თურქეთში
და საბერძნეთში მისაცემად
ან ავადმყოფი მოხუცის მომვლელად.
იქნებ მათ სჯერათ
რომ ერთ უწყინარ დღეს
ჩვენ ყველანი დავიხოცებით
დედამიწაზე იქნება სიჩუმე
და მათ ექნებათ ულევი საჭმელი
რომელიც ეყოფათ დიდხანს
სანამ გლობალური დათბობის შედეგად
ჩამომდნარი ჩრდილოეთ პოლუსი
მთელ პლანეტას არ გადაფარავს.

„მე თითქმის არ ვიცნობ ქართულ ლიტერატურას, მაგრამ ვიცი, რომ შეუძლებელია ზურგზე დადო კარგი პოეტი. ზაზა კოშკაძის ლექსები ისე ხტებიან ფურცლებიდან, როგორც ადგილიდან, სადაც ღამის არსებები, ცუდად განათებულ ქუჩებში დაძრწიან, სადაც სხეულები გაშშაგებული ცახცახებენ ჭუჭყიანან თეთრეულში, სადაც გამარჯვებულები დაუკმაყოფილებელი და ოფლიანები არიან, დამარცხებულები კი – მკვდრები, სადაც ურბანული ოცნებები დღის მკრთალი სინათლის გამოჩენისთანავე იწრიტებიან და თავისუფლება არახელსაყრელ გარიგებებს დებს სასოწარკვეთასთან. ზაზა ის ავტორია, რომელსაც თვალი არ უნდა მოაშორო. მისი ლექსები ზეიმობენ სიცოცხლეს და ლანძღავენ მას, კერუაკის და ბუკოვსკის აჩრდილები სუნთქავენ მის კისერთან, რომ ეს „საოცარი, ახალი სამყარო“ დაიპყროს.“

რიჩარდ გვინი
ავტორი 2005 წლის საუკეთესო რომანისა
ბრიტანეთში „გაქცეული ძაღლის ფერი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

Jan Eric Vold

მანანა მათიაშვილი

იან ერიკ ვოლდი ის პოეტია, რომელსაც თავისი თაობის პოეტებს შორის დღესაც ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავს ნორვეგიაში, ქვეყანაში, სადაც ყველაზე მეტი მკითხველი ცხოვრობს. ვოლდი დაიბადა 1939 წლის 18 ოქტომბერს, ოსლოში, გერმანული ოკუპაციის დროს. 1960-იან წლებში სწავლობდა ენასა და ლიტერატურას ოსლოს, უფსალასა და სანტა-ბარბარას უნივერსიტეტებში. პირველი პოეტური კრებული გამოაქვეყნა 1965 წელს და მას შემდეგ მრავალმხრივი მოღვაწეობითაა დაკავებული: გამოცემული აქვს 23 პოეტური, 10 ესეისტური, 2 პროზაული კრებული და ვოკალური ჩანაწერების 17 ალბომი. არის ევროპულ-ამერიკული პოეზიის მთარგმნელი. მიღებული აქვს 6 სხვადასხვა ლიტერატურული პრემია. ოსლოს პატრიოტად აღიარებული პოეტი ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს სტოკჰოლმში.

ვოლდი – „სიტყვის იატაკზე მდგარი პოეტი“

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც იან ერიკ ვოლდი განუწყვეტლივ ავსებს ნორვეგიულ პოეზიასა და პოეზიის აღქმის მოდელს ახალ-ახალი წიგნებით. ეს ის წიგნებია, რომლებმაც გააფართოვა მკითხველის წარმოდგენის ზღვარი იმის შესახებ, თუ რა შესაძლებლობები შეიძლება გააჩნდეს ლექსს. ამ შესაძლებლობებზე მისი ლექსების ჟანრული მრავალფეროვნებაც მეტყველებს: ვოლდს უწერია ბარროკოს ეპოქისათვის დამახასიათებელი ფიგურალური ლექსები, ტოპოგრაფიული და მეტისმეტად დაკონკრეტებული ლექსები, იაპონური ჰაიკუს მსგავსი მოკლე ლექსები, ვერგელანდისა და უიტმენის მანერით შესრულებული გრძელი ლექსები, პოლიტიკური ლექსები ბრეხტის სტილში; ლექსების ციკლი ლიანდაგებზე, ციგურებზე, ოსლოზე; ფიქრები თემაზე – კვერცხი; აბსურდული, ე. წ. ლექსი-ნონსენსი და გლობალისტური ლექსები; მედიტაციები ბუდას ქანდაკების წინ, რეკვიემი; ლექსები სხვადასხვა ქვეყნიდან და ქალაქიდან.

სამშობლოში ვოლდი, უპირველესად, თავისი პოეზიის გამოა პოპულარული. ნორვეგიულ ლიტერატურაში მან შეიტანა ისეთი მიმდინარეობები, როგორიცაა იმაჟიზმი და კონკრეტიზმი და ხელი შეუწყო პოეზიის, როგორც ჟანრის, განახლებასა და ლირიკისადმი ინტერესის გაღვივებას. მან ეს მოახერხა როგორც პერიოდიკაში გამოქვეყნებული სტატიებით, ისე საკუთარი პოეტური პრაქტიკით. ასევე ეფექტური აღმოჩნდა ჯაზ-აკომპანემენტით დისკებზე ჩაწერილი ლექსები, რითაც, როგორც კრიტიკოსები შენიშნავენ, ვოლდმა ახალი სიცოცხლე მიანიჭა თანამედროვე ნორვეგიულ პოეზიას.

1960-იან წლებში პოეტი გაემიჯნა 1950-იანი წლების გვიანდელ ლირიკულ სიმბოლიზმს სინამდვილესთან მიახლოებული პოეზიის სასარგებლოდ. ერთ-ერთი უმთავრესი, რაც მისმა პოეტურმა პრაქტიკამ მოიტანა, იყო ის, რომ ყოველდღიურობის ენა შეიჭრა პოეზიაში და დაირღვა ტრადიციული ლირიკის ტენდენცია – ასახულიყო სამყარო ლამაზი სურათხატებითა და ნაზი რითმებით. ის იბრძოდა ასევე ტრადიციული ლირიკის მიერ „მე“-ს

გამოხატვის წინააღმდეგ. ვოლდის პოეზიაში მე-ცენტრისკენული აღქმა ჩანაცვლებულია კონკრეტული ნივთებისა და გარემომცველი გარემოსადმი გამძაფრებული ინტერესით, ხოლო მეტაფორები და სიმბოლოები – ისეთი ხატებით, რომლებიც ილუსტრაციას კი არ წარმოადგენენ, არამედ აზრსა და შეგრძნებას.

ვოლდი ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა ე. წ. „პროფილის“ თაობაში (ასე ეწოდებოდა შემოქმედთა ჯგუფს, რომელიც ლიტერატურულ ჟურნალ „პროფილთან“ იყო დაკავშირებული). ამ წრის განცხადებით, ნორვეგიულ ლიტერატურას განაგებდა ეზოთერული და აბსტრაქტული ესთეტიზმი და ვოლდიც სწორედ ამ ყალბი ესთეტიზმის გამოსააშკარავებლად მოღვაწეობდა ჟურნალში. ახალი თაობის პოეტები და მწერლები ცდილობდნენ, თავიანთი ნიგნებისთვის უფრო სახალისო ელფერი მიეცათ, რათა ისინი ღია ყოფილიყო საერთაშორისო მიმართულებებისათვის. თავად ვოლდი ამერიკისაკენ იყო მიმართული.

ვოლდი და ჯაზი

ჯაზისადმი ინტერესის გამო ვოლდმა კარგად გაიცნო ის ამერიკელი პოეტები, რომლებიც ამერიკელ „ბიტნიკთა“ თაობას ეკუთვნოდნენ და, მათ მსგავსად, თავის პოეზიაში შეიტანა აღმოსავლური პოეზიის მოტივები და ცხოვრებისადმი ძენ-ბუდისტური დამოკიდებულების მოდელი.

როგორც პოეტი, ვოლდი დიდ ყურადღებას უთმობს ზეპირ პერფომანსს და საკმაო აუდიტორიასაც იკრებს, როცა ხმამაღლა კითხულობს საკუთარ ლექსებს. ალბათ, იმიტომ, რომ ბგერა, ულერადობა, მუსიკა პოეზიაში და პოეზიასთან ერთად, მისთვის ყოველთვის მნიშვნელოვან საწყისს წარმოადგენდა. მისი ფორმულირებით, პოეზია მუსიკისა და ოსტატობის შერწყმაა.

განსაკუთრებულია ვოლდის დამოკიდებულება ჯაზთან. მან ადრევე სცადა ნორვეგიაში ამერიკული „ჯაზისა და პოეზიის მოძრაობის“ შეტანა და 1969 წელს გამოუშვა კიდეც თავისი პირველი ალბომი „Briskeby Blues“ – აქ ის საკუთარ ლექსებს კითხულობს იან გარბარეკის კვარტეტის მუსიკის თანხლებით. პირველს მოჰყვა კიდევ 17 მუსიკალური ალბომი, სხვადასხვა დროს ჩაწერილი სხვადასხვა მუსიკოსთან (იან გარბარეკი, ჩეტ ბეიკერი, რედ მიტჩელი, ბილ ფრისელი, ნისე სანდსტრიომი, ეგილ კაპსტადი) თანამშრომლობით.

ჯერჯერობით ბოლო ალბომში, რომელიც ჩაწერილია 2011 წელს, ბილ ფრისელთან ერთად, ვოლდი უოლეს სტივენსის ლექსებს კითხულობს.

ვოლდი – მრავალმხრივი ლიტერატორი

იან ერიკ ვოლდს, როგორც ხელოვანს, მთელი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე გააჩნდა განსაკუთრებული უნარი, ხმა მიეწვდინა საზოგადოებისათვის, იქნებოდა ეს ლირიკისა, თუ პოლიტიკური შეხედულებების საშუალებით. გავლენიანი სტატიებითა და საჯარო გამოსვლებით მან არაერთხელ გააღვივა ცხარე დებატები ლიტერატურის, კულტურისა და პოლიტიკის საკითხებზე; ახალი სისხლი გადაუსხა ნორვეგიულ დისკურსს ლიტერატურისა და კულტურის მიმართულებით და, ამგვარად, ფართო აუდიტორიას გაუჩინა ინტერესი თანამედროვე ლიტერატურის მიმართ.

როგორც რედაქტორმა და ლიტერატურის კრიტიკოსმა, ვოლდმა გზა გაკვალა ნორვეგიაში მოდერნისტული ლიტერატურის უფრო ღრმა აღქმისაკენ. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მისი რედაქტორობით გამოიცა სკანდინავიელი ავტორების (ძირითადად, ნორვეგიელი პოეტების: გუნვორ ჰოფმუს, ოლავ ჰ. ჰაუგეს, ერნსტ ორვილის, გუნარ ლარსენის და სხვ.) მრავალი წიგნი. დაწერილი აქვს ასევე შესავალი წერილები ნორვეგიელი და უცხოელი პოეტების კრებულებისათვის, არის რამდენიმე პოეტური ანთოლოგიის ავტორი; ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას; ნათარგმნი აქვს ევროპელი (სემუელ ბეკეტი, ტომას ტრანსტრიომერი) და ამერიკელი (პიტერ ბიშელი, რიჩარდ ბრაუტიგანი, უილიამ კარლოს უილიამსი, რობერტ კრილი, ბობ დილანი, ფრენკ ო'ჰარა) ავტორების პოეზია.

მისი ყველა გამოცემა, რომლებიც ფილოლოგიური კვლევისა და რედაქტორის მუშაობის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს, არის და იქნება უმნიშვნელოვანესი მასალა თანამედროვე სკანდინავიური ლიტერატურის შესასწავლად. ეს ნამუშევრები, თავისთავად, უმნიშვნელოვანეს კრიტიკულ ნაღვაწს წარმოადგენს ნორვეგიული ლიტერატურის კანონის განახლებისათვის.

ნორვეგიაში ვოლდი ცნობილია ასევე საზოგადოებრივი აქტიურობით, განსაკუთრებით, სათხილამურო და საციგურაო სპორტის მიმართ. მისი დამოკიდებულება სპორტის ამ სახეობებთან ყველაზე კარგად არის ნაჩვენები 1978 წელს გამოცემულ პოეტურ კრებულში – „კვალი. თოვლი“.

ვოლდის პოეტური კრებულები

იან ერიკ ვოლდის დებიუტი შედგა 1965 წელს პოეტური კრებულით „სარკესა და სარკეს შორის“. ამ წიგნმა ახალი ხედვა შეიტანა ნორვეგიულ პოეზიაში, რადგან მასში

ყოველდღიური მეტყველებით საგანგებოდ იყო ჩანაცვლებული რომანტიკულ-მეტაფორული სტილი. მას შემდეგ ვოლდი უზარმაზარი ლიტერატურული პროდუქციის ავტორად იქცა. დიდი გარდატეხის მანიშნებელი აღმოჩნდა 1968 წელს გამოცემული პოეტური კრებული „გულმოწყალე დედის მხარული ვერსია. დიახ". აქ, მეტაფორებისგან თავისუფალ გრძელ ლექსებში, ავტორი აღწერს იმას, რაც დაფარულია. ის არ იგონებს იდილიურ სცენებს, უფრო ყოველდღიურ მოვლენებზე სვამს აქცენტებს და გამოხატავს სიხარულს ქალაქსა და მის მაცხოვრებლებთან დიალოგის გამო. „გულმოწყალე დედასთან" ერთად ყველაზე პოპულარული, დროშიც მომდევნო, კრებულია „ყიყლიყოს ძახილი" (1969), რომელიც მოიცავს ე.წ ლექს-ნონსენსებს, და ბევრმა მკითხველმა ეს იმდენად შთამაგონებელად ჩათვალა, რომ გაზეთებში დაიწყეს მოდერნისტულ პოეზიასთან ამ ლექსების ოპონირება. „ყიყლიყოს ძახილი" გროტესკითა და შავი იუმორით იყო შეფერილი, თუმცა ეს წიგნი დღემდე შესაძლებელს ხდის მკითხველთან ემოციური და ლინგვისტური კავშირის გაბმა-შენარჩუნებას.

1970-იან წლებში ვოლდმა გამოაქვეყნა პოეზიის 4 კრებული, მათ შორის, „კვალი, თოვლი" (1970) – ჰაიკუს სტილის მინიმალისტური ლექსების კრებული, რომელმაც ნორვეგიელებს გაუღვიძა ინტერესი აღმოსავლეთის პოეზიისადმი, და „წრე, წრე. წიგნი უფლისწულ ადრიანის მოგზაურობის შესახებ" (1979) – პოეზიის ვრცელი კრებული, რომელიც აღწერს მოგზაურობას ოსლოდან იაპონიაში რუსეთის გავლით, შემდგომ, წყნარი ოკეანის გადაჭრით ამერიკისაკენ, დაბოლოს, წრედის შესაკრავად, ნიუ იორკიდან კვლავ ოსლოში დაბრუნებას. ამ კრებულის ლექსები ასახავს იმ შინაგან მდგომარეობას, რაც მოგზაურის ცნობიერებაში მიმდინარეობს. ამ ორ კრებულს ეტყობა აღმოსავლური პოეზიისა და რელიგიის, კერძოდ, ბუდიზმის, გავლენა.

კრებულები „დარდი. სიმღერა. გზა." (1987) და „მარტოობა. აბელ ეკი" (1988) უფრო მომნუსხველი, ეგზისტენციალური, მეტაპოეტური სახეებითა და საკითხებით დაკავებული წიგნებია, რომლებიც კონცენტრირდება ჩაკეტილობის, სევდისა და სიკვდილის თემების გარშემო. თუმცა „მარტოობა. აბელ ეკი" უფრო მსუბუქი თემატიკისაა და მასში ხაზგასმულია ის აზრი, რომ დარდში ცხოვრებას შეუძლია სიხარულისაკენ მიმავალი გზა აპოვნინოს ადამიანს. ორივე კრებულით ვოლდი მარტივად, დიალოგის საშუალებით, ანტი-მეტაფორულად მეტყველებს.

კრებულები „არა" (1993), „კალენდრის ლექსები" (1995) და „ცხენირემი" (1989) გაჟღენთილია პოლიტიკური სატირით. უკანასკნელი ვოლდის ყველაზე ექსტრავერტულ და პოპულარულ ლექსებს მოიცავს, სადაც მისი პოლიტიკური აქტივობა ყველა იდეოლოგიის ფონზე წინა პლანზეა წამოსული. აქ ვხვდებით ჩვენ ღვარძლიან ლექსებსა და ალიყურებს ცნობილი პოლიტიკოსების მიმართ, ისევე როგორც კარგად ფორმულირებულ წუხილს ნორვეგიაზე მისი იდენტობის კარგვის გამო.

ვოლდის ლირიკის ყველაზე სქელი კრებული „სასწორის ნიშნით" 2000 წელს გამოიცა. მას მოჰყვა პოეტური კრებულები „ლექსი მახსენებს სამყაროს" (2003), „თორმეტი მედიტაცია" (2002), „სიზმართმეუფეს თქვა" (2004), რომლებითაც ვოლდმა ინტუიტური და გლობალისტური ლექსების ხაზი შეიტანა ნორვეგიულ პოეზიაში. ეს მიმართულება გრძელდება 2011 წელს გამოცემული „სანახავი დიდი თეთრი წიგნით". კრიტიკოსების აზრით, ეს, ჯერჯერობით, ბოლო კრებული, სამომავლოდ, როცა ბიოგრაფები და ლიტერატურისმცოდნეები ვოლდის მოღვაწეობას შეაჯამებენ, ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს მის შემოქმედებაში. თოვლის თემატიკასთან დაკავშირებული ლექსებით ავტორი ლაპარაკობს ბავშვობაზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე, ასაკზე, საკუთარ მშობლებსა და ჩრდილოეთის თეთრ დათვზე, ადიდებულ ზღვებზე, იესოსა და ბუდას შორის განსხვავებაზე, დიდ ცხოვრებისეულ ნონსენსურობაზე, დაბოლოს, საკუთარი თავის შეგუებაზე იმ დიდ სითეთრესთან, რომელიც ყველა მოკვდავს ელოდება.



სტრუქტურას ვხედავ მაშინ, როცა სხვები თეფშს ხედავენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორვეგიული გაზეთის „დაგბლადეს“ (13 მაისი, 2000 წ.)
ჟურნალისტის, მარიან ალმო ფრედინის ინტერვიუ
იან ერიკ ვოლდთან

იან ერიკ ვოლდი კვლავ აქტუალურია თავისი 777-ლექსიანი რჩეულის გამო, რომელსაც „სასწორის ნიშნით“ ჰქვია. 35 წლის განმავლობაში 17 კრებული. როგორ დაიწყო ეს ყველაფერი და საიდან იღებს სათავეს ვოლდის ლექსები?

– „დაგბლადეში“ აღარ ვიბეჭდებოდი, მაგრამ მერე უკანა კარით მაინც მოვხვდი იქ „დუსთერფორბუნდეს“ საშუალებით“ – ამბობს იან ერიკ ვოლდი, თუმცა ახლა ის დაკავებულია განსხვავებული საგნებით, რომლებსაც ლამაზი გეომეტრია აქვთ. მისთვის ასეთია, მაგალითად, ტრამვაის ლიანდაგები.

– მოდით, თავიდან მოვყვეთ. როგორ დაიწყო იან ერიკ ვოლდის ამბავი?

– მამაჩემი 1934 წლიდან მუშაობდა „დაგბლადეში“, პოლიტიკურ სტატიებს წერდა. ჩემთვის აღმოჩენა არ ყოფილა ის, რომ წერა შემეძლო. არც ისე ბევრ ლექსს ვკითხულობდი, მაგრამ ვერგელანდისა და ობსფელდერის ლექსებს არ ეტოვებდი. ჩემი საყვარელი საკითხავი იყო იოჰან ბორგენის „პატარა ღმერთი“. ჰო, ასევე ძალიან მომწონდა ჰარალდ სვერდრუპი, სტანი მერენი და თურ იონსონი.

ვოლდი ცოტა ხანს ჩაფიქრდა.

– სანამ მოზრდილობის ასაკს მივაღწევდი, რაღაც მოხდა ჩემ ცხოვრებაში – სიყვარულის ლაბირინთებში გავიხლართე. ეს გრძნობა მეც ისევე განვიცადე, როგორც ყველა განიცდის ხოლმე, და ისევ მარტო დავრჩი. სევდა მომეძალა და თავგზა ამებნა. ნელ-ნელა წერა დავიწყე და რასაც ვწერდი, იმას ლირიკასთან უფრო მეტი საერთო ჰქონდა, ვიდრე რომანთან.

ამავე დროს, ვოლდი ხშირად უსმენდა მუსიკას.

– მუსიკამ, და, განსაკუთრებით, ჯაზმა, გამოხატვის ახალი გზა მაპოვინა, რომელსაც მიჰყვებოდნენ ამერიკელი ბიტნიკები: კერუაკი, გინსბერგი, ქრილი და ბევრიც სხვა.

1962-63 წლებში პოეტი კალიფორნიაში, სანტა-ბარბარას უნივერსიტეტში სწავლობდა. იქ წაიკითხა მან სემუელ ბეკეტი და ალბერ კამიუ, რომლებიც იმ დროისათვის ახალსა და შთამბეჭდავ აზრებს გამოთქვამდნენ. გარემოც პროგრესული და სასიამოვნო ოყო.

– იქ ვისწავლე, რამდენად მშვენიერი და რელევანტური შეიძლება იყოს ლიტერატურა...

– და მთელი ამ ხნის განმავლობაში, თქვენც ცოტ-ცოტას წერდით, არა?

– დიახ, და მესამე ცდაზე გილდენდალს გადავეყარე. მაშინ ბევრს ვკითხულობდი მოდერნიზმზე და იდეებს ვაგროვებდი. 1965 წელს გამოვიდა ჩემი სადებიუტო კრებული „სარკესა და სარკეს შორის“, რომელშიც შესული იყო სტილიზებული ლექსების ციკლი, რომელთა თემები იყო თანაყოფა და არყოფნა და კიდევ ჩემი წარმოდგენები იმის შესახებ, თუ საით მიდის სამყარო. ეს კრებული, ცოტა არ იყოს, დღევანდელობისგან უკვე შორსაა, ჩემი ახალგაზრდობის პერიოდს ეკუთვნის, თუმცა, ის ნორვეგიაში იმ დროისათვის რაღაც ახალსა და განსხვავებულს გამოხატავდა და ამიტომ ხშირად დღესაც აინტერესებთ ხოლმე.

ვოლდი წამით გაირინდა. ოდნავ ირწევა. მეჩვენება, რომ თავის ცხოვრებას ფილმივით ადევნებს თვალს. გადაწყვიტა, მთელი სერიოზულობით გვიამბოს თავისი ამბავი.

ხმაური

– როგორც სტუდენტთა კულტურის წრის თავმჯდომარე, ტარეი ვესაასს შევხვდი. მდინარე ვინიეანნეს პირას თავისი საზაფხულო ქოხი დამითმო და იქ ვთარგმნე ბეკეტი. მერე, რამდენიმე წელი ჩემთვის, ჩუმად ვიყავი, მერე თანდათანობით ძალები მოვიკრიბე და ვიეტნამის ომიც დაიწყო. და აი, 1966 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების კრებული „კაუჭი“, სადაც წარმოდგენილია მთელი სამყარო. ამგვარად, ჩართული აღმოვჩნდი ლიტერატურულ პროცესში.

– მერე იყო დიდი ხმაური. მე ვკითხულობდი „ჯანდაბაში გაგზავნის ლექსს“ და „კულტურის კვირეულს“ და აღარ ვიბეჭდებოდი „დაგბლადეში“, მაგრამ „დუსთერფორბუნდეს“ საშუალებით მაინც ვანვდენდი ხმას მკითხველს. იგივე ხდებოდა რადიოში. შეიძლებოდა, ჩემი ლექსები წაგეკითხათ საბავშვო ან სპორტულ რუბრიკაში, ყველგან, გარდა კულტურისა და ლიტერატურის გვერდებისა. თანდათანობით მავიწროებდნენ. „დაგბლადეს“ კულტურის განყოფილების რედაქტორმა

წერილით მაცნობა, რომ აღარაფერი გამეგზავნა მათთვის. არადა, სწორედ ეს კაცი იყო, რომელმაც მიმიწვია გაზეთის წარმომადგენლობაში. თუმცა, მომავალში მაინც მომიწევს წასვლა მათ გენერალურ ყრილობაზე, – ილიმება ვოლდი ეშმაკურად.

„სიტყვა, მიძღვნილი პურისადმი“

1966 თუ 1967 წელს, საშობაოდ, ვოლდის ლექსი დაიბეჭდა დანიური გაზეთის "ინფორმაციის" პირველ გვერდზე და ნორვეგიული „დაგენს ნიჰეთერის“ კულტურის რუბრიკაში.

– მახსოვს, როგორ ვიდექი ურანიენბურგის ეკლესიის კედელთან ჩაფიქრებული. გვერდით ტრეი ვესაასი და გუნარ ეკელიოფი მედგნენ. ეს საკმარისი იყო ჩემთვის, – ამბობს ვოლდი.

1968 წელს გამოვიდა „მოწყალე დედის მხიარული ვერსია. დიახ“. მოხდა გადატრიალება. ვოლდმა ეს ლექსი ტელევიზიითა და რადიოთი წაიკითხა და ყურადღება მიიპყრო. ვერავინ დაივიწყებს ვოლდის მიერ წაკითხულ კიდევ ერთ ლექსს – „სიტყვა, მიძღვნილი პურისადმი“. ერთი წლის შემდეგ მორიგი კრებული, „ყიყლიყოს ძახილი“, გამოვიდა, რომელსაც სანინააღმდეგო რეაქცია ხვდა წილად. ვოლდი უაზრო და პროვოკაციულ ავტორად მიიჩნიეს.

– „მოწყალე დედამ“ ისეთი აჟიოტაჟი გამოინვია, რომ ბოლოს რაღა უნდა ექნათ? შეწყვიტეს მასზე ლაპარაკი, და ფიქრობდნენ, მართლაც არის რაღაც საინტერესო ამ კაცშიო. „ყიყლიყოს ძახილის“ გამო კი ჩემზე ასე ამბობდნენ, – ადრე რა კარგი იყო და ახლა რა სისულელეები დაუწერიაო.

ვოლდს აკვირვებს ის ფაქტი, რომ ბევრს გამოეპარა, შეემჩნია ის სევდა და ნაღველი, რაც „მოწყალე დედაშია“ გამოხატული: პოეტი ხომ იმ პერიოდში მამის სიკვდილით გამოწვეული მნუხარებით იყო შეპყრობილი.

– არასდროს შემხვედრია „მოწყალე დედის“ სწორი წაკითხვა. ვინ არის ის სინამდვილეში? – სვამს კითხვას ავტორი. ცოტა ხნის შემდეგ ამოიოხრებს და თვითონვე უპასუხებს:

– ყოველ შემთხვევაში, ის გულმოწყალეა..

შუამავალი

– როგორ იქმნება თქვენი ლექსები, საიდან მოდის, გარედან თუ შიგნიდან?

– ლექსები გარედანაც მოდის და შიგნიდანაც. ან, საერთოდ, რას ჰქვია „შიგნიდან“ და „გარედან“?! რა არის ლექსი? ლექსის დამახასიათებელი ნიშანია – ვაკეთო ის, რაც მინდა.

– 1965-70 წლებში მოხდა გარდატეხა ლექსის გამომსახველ საშუალებებთან დაკავშირებით. ვოლდმა 7 კრებული გამოსცა. ეს ის დროა, როცა „ბითლზმა“ და ვიეტნამის ომმა საკმარისად შეცვალა მსოფლიო. 1970 წლის შემდეგ ვოლდი წერდა „ძენ-ლექსებს“. 1979 წელს გამოვიდა კრებული „წრე, წრე“, რომელიც მიანიშნებდა ყველაზე დიდი წრეზე – დედამიწაზე. 1987 წელს გამოიცა „სევდა. სიმღერა. გზა“, რომლის სათაური თავად ლაპარაკობს წიგნის შინაარსზე. ოთხი უახლესი კრებული უფრო მეტად ექსტროვერტულია. „წრიული ყინული“ (1994) მოიცავს ციგურების ლექსებს, რომლებიც რამდენადმე ეხება ვოლდის ბავშვობასაც, თემას, რომლის შესახებაც პოეტს არც ისე ბევრი აქვს დაწერილი.

– თქვენ ბევრი გიმუშავიათ უცხოელ ლირიკოსთა შემოქმედებაზე. რამდენად მნიშვნელოვანია შუამავლის როლი?

– რაც სურთ, ის იფიქრონ ჩემ ლექსებზე, მაგრამ სხვა ავტორებზე რასაც ვაკეთებ, ვფიქრობ, რომ, ნორმალურად გამომდის.

გასულ კვირას ლექსების კითხვის საღამოზე პოეტმა ეივინდ ბერგმა აღნიშნა, რომ თქვენ ყოველთვის გაფასებდნენ და, ამის მიზეზად დაასახელა თქვენ მიერ განეული შრომა სხვა პოეტთა შემოქმედების წარმოჩენის, გავრცელებისა და გაცნობის მიმართულებით.

– მე უფრო ხშირად მიგრძვნია ის, რომ ვერ მიგებენ, ვიდრე ის, რომ არ მაფასებენ. მაგრამ, ამ ბოლო დროს, უფრო მეტი გააზრება წამოვიდა...

– და მერე, როგორ მოგწონთ ეს ახალი დამოკიდებულება?

– ვფიქრობ, ასთი გააზრება იყო, მაგრამ ცოტა, და მიხარია, რომ ახლა შეცვლილია სიტუაცია. აქტუალური რომ ხდები, თემად რომ იქცევი, ეს არ ნიშნავს, რომ საამისოდ სპეციალურად იღვწოდი, თუმცა, ეს უკვე ხარისხის აღიარებას ნიშნავს. როგორც ჩანს, ბევრს აკლდა საიმისო ცოდნა, რომ ერთმანეთთან შეეკავშირებინა ყველა ის ელემენტი (პოეზია, მუსიკა, ჯაზი), რომელიც ჩემ ლექსებში ერთიან ჯაჭვს ქმნის...

არაფერი

– რას არ აქვს აზრი?

– კენჭებს, მაგალითად. ასევე უაზრობაა, წერო ფიჭვის გირჩებზე ნაძვის გირჩების მაგივრად, ბელურებზე – არწივების მაგივრად. სხვათა შორის, არწივებზე არაფერი დამიწერია.

ვოლდი მიყურებს.

– არ შემიძლია ასეთ რაღაცეებზე ლაპარაკი. უაზრობა გამოდის. სისტემურად ამაზე არ მიფიქრია. რასაც ვიტყვი, არ იქნება გარკვეული თეორიით გამაგრებული, ამიტომ არ შემიძლია.

მერე მაინც ამბობს:

– მშვენიერია, გქონდეს ნათქვამი, რომ „არაფერი არაფერია“ და თან ეს ორჯერ გქონდეს გამეორებული და არა – სამჯერ. რა თქმა უნდა, აქ არაფრის მტკიცება არ იგულისხმება.

არაფერია ისეთი, მაგალითად, 18-საათიან „ახალ ამბებში“ რომ ითქვას. ვოლდი იხსენებს თავის ლექსს „არაფერი“ კრებულიდან „კვალი. თოვლი“ (1970):

„არაფერი
არაფერია, არაფერი
არის არაფერი“.

წრეები და ხეები

– რატომ გიყვართ ასე წრეები?

– ჯერ მარტო ამ მაგიდას დახედეთ, რამდენი წრეა ზედ.

ვოლდი ითვლის.

– 20 წრეა ჩვენ წინაშე. უფრო სენსაციური კი ისაა, რომ ეს სიტყვა იშვიათად იხმარება. 20 წრე! – ამაზე საგანგებოდ არასდროს მიფიქრია, თუმცა ნამდვილად დამაფიქრებელია.

– ახლა ძალიან კონკრეტულად ლაპარაკობ.

– ჰო, მაგრამ ასეც უნდა იყოს. სულ ცოტა რასაც ვაკეთებ, ისაა, რომ ნანილაკებს ვაკვირდები. მე სტრუქტურას ვხედავ მაშინ, როცა სხვები თეფშს ხედავენ, თუმცა ამ დროს თეფშსაც ვხედავ. თავის მოსაწონებლად არ ვიქცევი, როცა ვამბობ: „ო, მე მჭეფდელი ვარ...“. უბრალოდ, ეს ასეა.

– თქვენ ბევრს წერთ ხეებზე. ასეთი მნიშვნელოვანია თქვენთვის ბუნება? სად გადის ზღვარი ბუნებასა და კულტურას შორის?

ვოლდი რიტმულად ირწევა, თითქოს მელოდიას უსმენს.

– ხეები მიგვანიშნებენ წელიწადის დროებზე. ოსლოში ბევრია ჰასტორალური ადგილი... მე აქ გავიზარდე – ქვაფენილსა და ლიანდაგებს, ტყესა და ზღვას შორის.

ვოლდი წიგნს შლის და ხმამაღლა კითხულობს თავის ლექსს „ფიჭვის გირჩის სიმღერა“....

– მშვენიერია. ახლა გაზაფხულია. ჩვენ ვიცვლებით გაზაფხულობით. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ შპალერიც კი უამრავჯერ იცვლის ფერს – ხოდა, მთავრდება წარმოდგენა. ასეა ეს ყველასთვის. ეს ღრმა გრძნობაა.... ჩემი ფანჯრის წინ თელა დგას. ახლა შემიძლია ცარიელ ტოტებს შორის ყურება, მაგრამ ვიცი, რომ ერთ კვირაში ამას ვეღარ შევძლებ. ეს ყველაფერი თან სრულიად ხელშესახები და თან სრულიად გაუუბარია. ამას „ღლის ქრონიკას“ ვერ შევადარებთ. ვოლდი გულზე ხელს იბრაგუნებს და ამბობს:

– ღმერთი დიდია.

– ამას კონკრეტულად ამბობთ?

– რაც გინდათ, დაარქვით, მაგრამ მე ის ვიცი, რომ ქმნა, ეგზისტენცია დიდი რამაა. ღვთის ხატების არანაირი გამოვლინების წინააღმდეგი არ ვარ. ისიც კი არ ვიცი, მე თვითონ ვატარებ თუ არა, საერთოდ, ღვთის ხატს, – ამბობს ის.

მეგობრობა

სასაუბრო თემას ვცვლით. წინა კვირას ლექსების კითხვის საღამოზე ეგილ კაფსტადმა, რომელთან ერთადაც ის 15 წელია მუშაობს, პოეტისადმი მიძღვნილი ახალთახალი ჯაზკომპოზიცია შეასრულა. მშვენიერი რამ იყო. ვოლდი ცოტახანს დადუმებული იჯდა, ჩანს, ნაწარმოებმა მასზე შთაბეჭდილება მოახდინა.

– ეგილი მიცნობს, მე ამას ვგრძნობ. ჩემში მან დაინახა დაუმორჩილებელი, მოუსვენარი ადამიანი. სიყვარულშიც და მეგობრობაშიც ყველაზე დიდებულია იმის განცდა, რომ მეორე მხარე შენ ისე გიყურებს, როგორც, უბრალოდ, ადამიანს.

ნორვეგიულიდან თარგმნა მანანა მათიაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსი თაროებზე

ქვეყნად არსებობს თაროები
ყველაფრისათვის წიგნებისა და
წვრილმანებისთვის
ჩარჩოიანი და უჩარჩოო
ფოტოებისთვის თაროები
ყვავილიანი ვაზებითა და
უყვავილებო ვაზებისათვის თაროები
შაქრის საგოს ფქვილისა და მარცვლეულისთვის
შედარებით პატარაა თაროები
ჯანჯაფილისთვის კარისათვის
შავი ილის და დარიჩინისთვის თაროები
სიყვარულის მარტოობის
უიმედობის და ზიზღისათვის თაროები
შენთვის და ჩემთვის

თურ ჰეიერდალის დედა

თურ ჰეიერდალს, ნორვეგიელს
მშვიდს და გაბედულს,
აწვალებდა ერთი იდეა
და მოინდომა,

დაედგინა ამ იდეის
ტყუილ-მართალი.
ბალსას ხისაგან
ტივი ააგო

ძველი ინკების
დროინდელი ტივის
მოდელით, და მოემზადა
ოკეანის

გადასაცურად. მის გარშემო ყველა
ფიქრობდა, რომ ვერ შეძლებდა.
მაგრამ დედას
მისი სჯეროდა.

შვილს გაუგზავნა ტელეგრამა: „გვაცნობე,
როცა მიაღწევ მიზანს“.
მან გადაცურა ოკეანე
და მიაღწია დასახულ მიზანს.

პატარა წრე

ერთხელ მკითხეს იმის შესახებ,
იქნებოდა თუ არა ომი.
ვითომდა, რასაც ვუპასუხებდი,
გაგრძელდებოდა ცხოვრება ისე. მილადამ,
ჩემმა მეგობარმა, ამაზე მითხრა:
„იცი თუ არა, რომ ყოველღამ
ნელ-ნელა ვკვდებით?“

* * *

პირსახოცი
სისხლის წვეთებით
და მის გარეშე

გაზეთი
ტექსტით
ანდა უტექსტოდ

სამზარეულოს მაგიდა
შენით
და შენ გარეშე

დიდი ქალაქის სარეკლამო სვეტები

დეკემბერი
მოდის და მოჰყვებიან

სიცივე და შიშველი გოგონები
რომლებიც

დიდი ქალაქის სარეკლამო სვეტებიდან ჩურჩულით

ამბობენ, რომ ეს ყველაფერი მშვენიერი
ტყუილია.

4-ჯერ ზღვა

ზღვა და ზღვა და ზღვა.
უნდა უყურო
რაიმე საგანს
როცა
გწყევლიან.
ეს არის ზღვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა, მიძღვნილი პურისადმი

ახლა მინდა, სიტყვა წარმოვთქვა
მსუქნებისა და გამხდრების გამო, – თუმცა არა,
გადავიფიქრე, ვილაპარაკებ სანაცვლოდ
პურზე – ყველა ჩვენგანის მეგობარზე
პურისაკენ სავალ დიდ გზაზე, ვილაპარაკებ
დაბრანულ პურზე, თბილ-თბილს ჯერ ისევ
რომ ასდის ორთქლი, მაღაზიიდან გამოტანილს მაშინვე რომ
თითს დავატაკებთ და ამოვღრუტნით გემრიელ შიგთავსს. პურს ვუძღვნი
სიტყვას – ცალ მხარეზე შეუფუთავს რომ ამოჩიჩქნის
10 წლის ბიჭი, რასაც მოასწრებს სულ ერთ წამში
საჩვენებელი თავისი თითით. – რას მეტყოდა
დედაჩემი ამ შემთხვევაში,
დამვიწყებია; სამაგიეროდ, ცოცხლად ჩამრჩა მახსოვრობაში
პურის გული, თეთრი და თბილი. პურის ჭამა
ასუქებსო ადამიანებს, და საერთოდ, არც ისეთი სასარგებლოა, – ეს,
შეიძლება, იყოს სიმართლე! მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი (ჩემი აზრით)
არის ის, რომ პურის ჭამისას
ხალისდება ადამიანი. ასე რომ, ჰკითხეთ, თუ უყვარს პური
პირველივე მომღიმარ გამვლელს,
და დაელოდეთ, პასუხსაც
გაგცემთ.
(შეგიძლიათ, მე მკითხოთ აქვე!)

შეხვედრა ძველ ნაცნობთან რამდენიმე წლის შემდეგ

ჩემო ძმაო და მეგობარო, ჩემო ძვირფასო,
ოჯახის საქმემ დაგამძიმა, გაგიჩნდა ბინა,
დაეპატრონე, კმაყოფილი ხარ. უკვე დაიწყე ლაპარაკი
სერიოზულად ცხოვრების და ფულის
თემებზე; ჰო, როგორ არა, – რასაც ამბობ,
მართლაც ისმის დამაჯერებლად, თუმცა ჩემთან
შეგიძლია, არ იფიქრო,
როგორ მივიღებ შენს არგუმენტებს; გოგო რომ ვიყო,
მკლავებს შორის მოვიმწყვდევდი
მოლაპარაკე მაგ შენს სახეს, ჩამოგიშლიდი
დავარცხნილ თმას და, ვნებიან ტუჩებს
როცა გახსნიდი, დაგიკოცნიდი
უძირო თვალებს, განუწყვეტლივ მოლაპარაკეთ,
მონაცვლეობით – ჯერ რომ ერთი, მერე მეორე
შეპარვით იწყებს. და გეტყოდი ჩუმად, ჩურჩულით
კისერთან, ღარში: მერე, რა მოხდა, მომიყევი, ჩემო ძვირფასო,
მე გისმენ, მიდი –

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგონა კუნძულ გუამიდან

მე ერთ გუამელ გოგოს ვიცნობ.
ვიცნობდი, ყოველ შემთხვევაში, დიდი ხანია
არაფერი მსმენია მისგან. სამაგიეროდ,
ხშირად მესმის სიტყვა „გუამი“
მძიმე B-52-ებთან დაკავშირებით,
რომლებიც გაჰყავთ ბაზებიდან –
როგორც ჩანს, ახლა ამ ტექნიკის დიდი ნაწილი
(80 % – „ობზერვერის“ უკანასკნელი მონაცემებით) ტაილანდშია
განლაგებული. იქნებ ოდესმე, მომავალში,
გუამი უფრო მშვიდობიან ადგილად იქცეს,
უფრო უსაფრთხოდ,
ვიდრე ის ამ უკანასკნელ წელიწადს იყო. ეს უთუოდ
გაახარებდა ვერნიტას – გოგოს, ვინც მთელი არსით
წინააღმდეგი იყო ყველაფრის, რასაც
საერთო შეიძლება ჰქონოდა
ომთან; ყველაზე მეტად მას უყვარდა
ფეხშიშველი სიარული სანაპიროზე, ფეხქვეშ
რომ ეგრძნო მოლუსკები და ცხელი
ქვიშა. ბალახის თითო ღერი,
თითო ლექსია, – ამბობდა იგი.

KULTURUKE

ulturkuke
tulkuruke
ultkuruke
ukturulke
tlukuruke
ukturkule
urtukulke
turlukuke
kulrukute
ultrukuke
kuleturuk
rulekukur
tulekukur
luretukuk
kukutelur
ruktukule
lurekuktu
luekuktur
kuktulure
rukletuku
tuklekuru
urukekult
kuruketul

თავს შემოევლეთ!

მეგობრებს უნდა თავს შემოევლოთ,
მეგობრობაზე იზრუნოთ, უნდა. თუ გაქვთ ეს გრძნობა,
აჩვენეთ ყველას. ჩვენი დღეები ზოგჯერ ლურჯია,
ზოგჯერ მწვანეა და ზოგჯერ
თეთრი, – სხვანაირად არ ხდება ჩვენში,
ცხოვრებაა თვითონ ასეთი; ადრე თუ გვიან –
ყველანი წავალთ, ტაკე იტ ეასყ, ადამიანო,
დამშვიდდი და იცხოვრე ისე. ეს არის ჩვენი
სინამდვილე, აბა, უყურე:
ხან 101 სამწუხარო გვაქვს, ხან 101 სასიხარულო,
მეგობრობა კი უფრო მეტია, იზრუნეთ
მასზე. თავს შემოევლეთ თქვენ-თქვენ
მეგობრებს – აი, მეც აქ ვარ. მოგესალმებით! მოდით,
დავიწყოთ ახლავე ზრუნვა.

ნორვეგიულიდან თარგმნა მანანა მათიაშვილმა

პოეტი, რომელიც გრძელ დისტანციებს ფარავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტატიის ავტორი: შეთილ ს. ესთლი
გაზეთი „Aftenposten“, 2005 წლის 5 თებერვალი

იგი სასაუბროდ ემზადება. ნეტა რას იტყვის?

სამსახურში სანაძლეო დავდეთ იმაზე, თუ რამდენ ხანში ახსენებდა სიტყვას „ბიშლეტი“[1] იან ერიკ ვოლდი. ერთი ფიქრობდა, რომ ვოლდი ამ სიტყვას თავს აარიდებდა, ვინაიდან უკვე დანგრეულია. მეორეს კი მიაჩნდა, რომ ვოლდი სწორედ ბიშლეტით დაიწყებდა, გულს მოიოხებდა და მერე სხვა თემაზე გადავიდოდა.

ნორვეგიაში ყველაზე ცნობილი პოეტი ისე ხმადაბლა საუბრობს, რომ მისი სიტყვები წარმოთქმისთანავე იკარგება. როგორი გარეგნობისაა? სქელი და ჭაღარა თმა აქვს, ლურჯი ფერის უხეში ტილოს შარვალი და გაცვეთილი ფეხსაცმელი აცვია. სვიტერზე დიდი ლოსი ახატია.

– გუშინაც ეს ლოსიანი ზედატანი გეცვათ. მხოლოდ ამას ხმარობთ?

– ასეთი ხუთი ცალი მაქვს. ასე რომ, დღესაც ლოსიანი სვიტერი მომხვდა ხელში. – შედარებით ხმამაღლა ამბობს პოეტი. მისი შვედი ცოლი ბევრს ეცადა, მეუღლის ჩაცმის სტილი გამოესწორებინა, მაგრამ ბოლოს ხელი ჩაიქნია. ვოლდი ისევ ჩურჩულით, თუმცა საკმაოდ გარკვევით საუბრობს. ეს ის ხმის ტემბრია, ლაშ ლილო სტენბერგს[2] 20 წელინადში რომ ექნება. ჯერჯერობით, პოეტს ბიშლეტი არ უხსენებია.

– ახალი მუსიკალური ალბომის გამოცემას აპირებთ. ალბომს „ვოლდი ლაქლაქის წელიწადს სიმღერით ხვდება“ დაარქვით. რატომ?

– იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში სულ მჭევრმეტყველება ისმის. განსაკუთრებით, ახლა, როცა ეგრეთ წოდებული „იუბილე“ იგეგმება. 133-ნლიანი სარკინიგზო კავშირის შემდეგ სტოკჰოლმის მატარებელს აუქმებენ. გგონიათ, საზეიმო სიტყვით გამოსვლისას ამ ფაქტს ვინმე ახსენებს? სულაც არა. ნორვეგიის სახელმწიფომ შვედეთი საიუბილეო ნლის პირველივე დღეს გაანაწყენა. ვინაიდან ამაზე კრინტსაც არავინ ძრავს, ხმა მე უნდა ავიმაღლო.

ნაწყენი არ არის

– ხმა რამდენჯერ აუმაღლებია? რამდენჯერ გაუგონია ოჯახს მისი „ხმა მღაღადებლისა“?

ვოლდის მეუღლე გვეუბნება, რომ პოეტი მექანიკურად არასდროს მოქმედებს. ის სათქმელს ყოველთვის სიყვარულით ამბობს და იმის მიუხედავად, რომ დროდადრო მარცხდება კიდეც, იმედგაცრუებას არ განიცდის. პოეტის მეუღლე მონტი პაითონის იმ პაროდიას იხსენებს, სადაც ერთ-ერთ დუელიანტს ჯერ მკლავებს მოაჭრიან, მერე ფეხებს. დიახ, სხეულის ყველა ნაწილს მოჰკვეთენ და ბოლოს მხოლოდ თავი დარჩება. ის კი მაინც გაიძახის, ახლოს მოდი, ფეხზე უნდა გიკბინოო.

– იქნებ იმ მატარებლის ბედი ბევრს სულაც არ ადარდებს?

– მიდით და კონგსვინგერის[3] მოსახლეობას დაელაპარაკეთ. აბა, იმათ ჰკითხეთ?!

– თქვენ გამოდმებით სტოკჰოლმსა და ოსლოს შორის მიმოსვლა გიწევთ. რომელი ტრანსპორტით სარგებლობთ?

– რა თქმა უნდა, მატარებელი მირჩევნია. დიახ! დროის თვალსაზრისით, გაცილებით მომგებიანია. მატარებელი სტოკჰოლმში ჩასვლას მხოლოდ 4 საათსა და 50 წუთს ანდომებს. აქედან 7-ზე თუ გახვალ, 11 საათსა და 50 წუთზე უკვე ადგილზე იქნები. ნორვეგიას პირობა რომ შეესრულებინა და ლი-

1 იგულისხმება ოსლოში, ბიშლეტის უბანში მდებარე სტადიონი, რომელიც 2004 ნელს დაანგრიეს, რათა ახალი აეშენებინათ.

2 ლაშ ლილო სტენბერგი (დაბ.1962 ნ.) – ნორვეგიელი როკ-მუსიკოსი, მომღერალი, გიტარისტი და კომპოზიტორი,რომელსაც თავისებური, მშვიდი ხმის ტემბრი აქვს.

3 კონგსვინგერი – სასაზღვრო ქალაქი ნორვეგიაში (ჰედმარკის ოლქის რაიონული ცენტრი). 1814 ნელს, როცა ნორვეგია-შვედეთის უნია გაფორმდა, კონგსვინგერი, როგორც სასაზღვრო ქალაქი, ამ ორი ქვეყნის მნიშვნელოვან მაკავშირებლად იქცა.

ლესტრომის საზღვრიდან სწრაფმავალი მატარებლები გაეშვა, მგზავრობის დრო თითქმის 4 საათით შემცირდებოდა. ამ სარკინიგზო ხაზის გაუქმება იმაზე მეტყველებს, რომ ბონდევიკისთვის[4] კიოტოს ოქმი ბევრს არაფერს ნიშნავს.

– მგონი, თქვენ გარდა, არავინ არის ისეთი, ვინც ამ კონკრეტულ საკითხს ასე სერიოზულად უდგება...

– ყველა იმ საკითხს, რაც ჩემ გულისტკივილს იწვევს, ამგვარად ვუყურებ. ხომ იცით, ძირითადად, ოთხი საფიქრალი მაქვს: 1.ტრამვაი, 2. ბიშლეტი და... ეჰ! 3. დეიკმანის ბიბლიოთეკა და 4. კლუბი 7.[5] ახლა კი... დიახ... ოსლოს აბანოებიც დაემატა!

ესეც ვოლდის ოთხი ძირითადი საფიქრალი! ოთხ თითს შლის და კმაყოფილი ჩანს. სიტყვა ბიშლეტი 6 წუთისა და 31 წამის შემდეგ ახსენა.

– როდესაც ტაქსით მგზავრობთ, მძღოლები თქვენთან საუბრისას „კულტურის კვირეულს“[6] უფრო ახსენებენ თუ ბიშლეტს?

– ბიშლეტს! არა, ახლა არც „კულტურის კვირეული“ ახსოვთ და არც „სიტყვა, მიძღვნილი პურისადმი“.

ბიშლეტი, როგორც უბანი, დღესაც აქტუალურია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იქ მცხოვრები ადამიანებისთვის ეს სტადიონიც მნიშვნელოვანია... ოსლო ძალიან სწრაფად იზრდება. ვერგელანდის დროს ოსლოში 30 000 მოქალაქე ცხოვრობდა. ახლა რაიონებიდან ყველა აქეთ გამორბის და ეს ფაქტი ჩვენი ქალაქის იდენტურობის განსაზღვრას ართულებს. ვოლდის საჯარო პროექტი იმ ყველაფრის შენარჩუნებას გულისხმობს, რაც წარსულიდან შემოგვრჩა. იყოს ეს თუნდაც ტრამვაი და მისი შეფერილობა. ტრამვაი ლურჯი უნდა იყოს! – გაბრწყინებული სახით ამბობს პოეტი და თითებს იკოცნის.

მე პოეტი ვარ!

– ოდესმე მონომანად[7] თუ გიგრძვნიათ თავი?

– არა, მაგრამ მარტოსულად კი მიგრძვნია. ჩემი თანამოაზრეები თითქოს ფიქრობენ: კი, კაცო, ამ საქმეს იან ერიკ ვოლდი მიხედავსო. ისინი მაიძულებენ, ზოგჯერ ცოტა სასაცილოც კი გამოვწნდე, მაგრამ ამას თავად ვერ ხვდებიან. არადა, მტერი თავისას განაგრძობს. ექსკავატორის მძღოლების ენაც მესმის... ისე კი, როგორც ამ საქმეში დამარცხებული, ჩემ განუსაზღვრელ უპირატესობას გამოვიყენებ და მავანთა გასაგონად ვიტყვი, რომ მათ ყველაზე მშვენიერი წაგვართვეს და ამის შემდეგ ველარაფერს მიიღებენ.(იცინის).

– ამბობენ, რომ ქალაქში მოძრაობისას ბიშლეტს თავს არიდებთ და შემოვლითი გზით დადიხართ...

– მათ „დედაჩემი“ გაფატრეს და დაასამარეს. საკუთარი დედის გვამის დანახვა კი ვის ესიამოვნება... – ამბობს ვოლდი და უკვე აღარ ეცინება. – თუმცა, ამჟამად სტოკჰოლმში ვცხოვრობ და, ფაქტიურად, ბიშლეტის გარეშეც გამაქვს თავი. მე პოეტი ვარ! გადასარევ ლექსებს ვწერ და ლექსები რომ არა, ვოლდი სულმთლად ფსკერზე დაეშვებოდა. გნებავთ დაიჯერეთ, გნებავთ არა, მაგრამ რადგან ვამბობ, ესე იგი, მართლა ასეა.

მე ვეუბნები, რომ ვოლდის საოცრად რიტმული ლექსები და წაკითხვის მისეული მანერა საქვეყნოდაა ცნობილი. ვეკითხები, ეს როგორ გამოსდის.

– რიტმი? როგორ აგიხსნათ... – მპასუხობს იგი. – სიარულისას ერთ ფეხს მეორის გასწვრივ 50 სანტიმეტრის მოშორებით დგამ. მერე, იმავე მანძილზე მეორე ფეხს გადადგამ.

---

4 შელ მაგნე ბონდევიკი – ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი 1997-2000, 2001-2005 წლებში.

5 კლუბი 7 (Club 7) – კულტურის კლუბი ოსლოში 1963-1985 წლებში, სადაც რადიკალურად განწყობილი ხელოვანები იკრიბებოდნენ.

6 იგულისხმება იან ერიკ ვოლდის ლექსი „Kulturuke“.

7 მონომანი – ადამიანი, რომელიც ამა თუ იმ აზრს, ან საგანს, აიკვიატებს.

ამგვარად, იქმნება რიტმიც. განა ასე არ არის? გულიც ხომ რიტმულად გვიცემს? რეგულარული გულისცემა აუცილებელია. სნორედ ეს არის რიტმი.

– გამიგონია, რომ ლექსის რიტმულობისთვის რიცხვებს იყენებთ და 11-ის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვთ.

– აჰა, გასაგებია... და შენი საყვარელი რიცხვი რომელია? შვიდი? ზოგს 13 მოსწონს, ზოგს 11, ზოგსაც 12. თუმცა, 12 ბანალური რიცხვია. თითქოს, წელიწადის 12 თვეს უკავშირდება. უდაოდ, ბანალურია! მე 8 და 11 მომწონს... და, რა თქმა უნდა, 4. მაგრამ, ეს რიცხვები ვოლდზე რამეს გეუბნებათ? – მეკითხება პოეტი, რომელიც საკუთარ თავზე ისევ მესამე პირში საუბრობს.

უფრო რეალისტური, ვიდრე ბოჰემური

ვოლდის ერთი მეგობარი ამბობს რომ პოეტის უწესრიგო და თავისებური გარეგნობით არავინ არ უნდა მოტყუვდეს. იგი რეალისტი და მათემატიკოსი უფროა, ვიდრე ბოჰემის აყოლილი. პირობას ყოველთვის ასრულებს და შეხვედრებზე არასდროს აგვიანებს.

– როდესაც პოეტურ კრებულზე მუშაობთ, მაშინაც მათემატიკური სქემით მოქმედებთ?

– სასაურველია, რომ ასე იყოს. დიახ, მე 777 ლექსი შევაგროვე და ამ რიცხვზე კარგა ხანს ვყოყმანობდი. თუმცა, 666 ულამაზოდ მეჩვენება. 555 ძალიან ცოტა მგონია, 888 კი ძალიან ბევრი. ამიტომაც დავტოვე შვიდიანები და ეს რიცხვი თანდათანობით უფრო შემიყვარდა. ბევრი ჩემი კრებული თერთმეტ ნანილადაა დაყოფილი. მაქვს 22, 33, 44 ლექსი... აქედან ჩნდება კითხვა: რა მოხდებოდა, მაგალითად, 43 ლექსი რომ ყოფილიყო... სრული კატასტროფა იქნებოდა. ამიტომაც არ უნდა იყოს 43. ამ პრინციპით ორმოცი წელი ვიმუშავე ისე, რომ არავის არაფერი შეუმჩნევია.

– როდესაც მუშაობისას მიზანს აღწევთ, საკუთარ თავს ტაშს თუ უკრავთ?

– არა, ნამდვილად არა! თუმცა, მყისიერი ზეიმის განცდა კი მეუფლება. მერე ძველებურად ვაგრძელებ და ახალი წინაღობის გადალახვად ვემზადები.

– დილის 5 საათზე იმიტომ დგებით, რომ ყველაფერი მოასწროთ?

– არა, არა, არა და არა! მკაცრად განსაზღვრული სამუშაო დრო არ მაქვს, მაგრამ გასაკეთებელი აუცილებლად უნდა გაკეთდეს. მშვიდად და უსაქმოდ მჯდომი ვოლდი ვერ წარმომიდგენია. ასეთი რამ არ არსებობს.

თოვლის გუნდა

ვოლდი, თავდაპირველად, სულიერი სამყაროს შესახებ წერდა. მოგვიანებით კი სოციალური პრობლემებით გაჟღენთილ ლექსებზე გადავიდა. ზოგი მიიჩნევს, რომ ამ ცვლილებით პოეტმა ბევრი ნააგო. თავად ვოლდი კი ფიქრობს, რომ მისი სულიერი სამყაროს კიდევ უფრო ძირეული კვლევა-ძიება ნაკლებად საინტერესო იქნებოდა. იმ ადამიანთა რიცხვს არ მიეკუთვნება, ერთ ადგილს რომ ტკეპნინან და გამუდმებით წუწუნებენ. ხელახლა ფეხზე წამოდგომას ყოველთვის ახერხებს! ერთხელ, გაზეთ „Dagsavisen"-ის ჟურნალისტმა ჰკითხა, ფარ-ხმლის დაყრას ხომ არ აპირებთო. ვოლდმა უპასუხა: „საკუთარი თავისთვის წერტილის დასმა შენი უბედურების ზედმეტად გაბუქებას ნიშნავს. ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე: შეიძლება, მდინარეზე საბანაოდ მიდიოდე და გზაში რაღაც ისეთი შეგემთხვეს, რაც გაიძულებს, რომ წყალში აღარ ჩახტე. მერე რა მოხდა? ანდა, შეიძლება, თვალში თოვლის გუნდა მოგარტყან. თავიდან გაბრაზდები და იტყვი, ეს ვინ ოხერმა მესროლაო. ცოტა ხანში კი ყველაფერი დაგავიწყდება. იმ პერიოდის დასასრულს, რომელსაც მე „განგსტეროიდულ" ოთხმოციან წლებს ვუწოდებ, იმდენი სიგიჟე ხდებოდა, ვალდებულიც ვიყავი, იმ ყველაფრის შესახებ მეწერა. ნორვეგია მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრესი სახელმწიფო გახდა, თუმცა არც ისე სოლიდარულად იქცეოდა. ჩვენი ღარიბი, მაგრამ ღირსეული ხალხი მაშინ პარადოქსულ ერად ჩამოყალიბდა".

– ღარიბი ადამიანი უფრო ღირსეულია?

– დიახ. ხშირად ასეა. ღარიბი კაცის ხრიკებსა და ფანდებს ახსნას უფრო ადვილად მოუძებნი. სიმდიდრე ვალდებულებებს განიჭებს. როლფ სტენერსენმა[8] საკუთარი მატერიალური კეთილდღეობის შესახებ ასეთი რამ თქვა: მე საზოგადოებრივ მექანიზმში არსებული ნაკლით ვისარგებლე. ახლა კი, სანაცვლოდ, ვალდებული ვარ, ჩემი ნახატები გავაჩუქო.

– ისეთი წელი თუ გახსენდებათ, ფილიც თქვენი აზრით, ნორვეგიისთვის საუკეთესო იყო?

– ერთხელ ვიღაცის შესახებ ვკითხულობდი და მახსოვს, მან თქვა, 1962-დან 1972 წლებამდე პერიოდი ყველაზე სტაბილური მგონიაო. მოდი და ნუ გაგიკვირდება! ახალგაზრდების საპროტესტო გამოსვლები ხომ სწორედ იმ პერიოდს უკავშირდება. ის კაცი ალბათ, ზოგადად, იდეას, საფუძველს გულისხმობდა. ძალიან ცოტა ადამიანი თუ იტყვის, რომ იმ გამოსვლების შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა. ორმოცდაათიან წლებში ხელს თუ არ გაანძრევდი, არაფერი გექნებოდა. მე იმ გემზე დავიწყე მუშაობა, რომელსაც მგზავრები ამერიკაში გადაჰყავდა. ნიუ-იორკში ვიყავი, ჯაზს ეუსმენდი, წიგნების მაღაზიებში დავძვრებოდი. მშვენიერი დრო იყო. და კიდევ:

8 როლფ სტენერსენი (1899-1978) – ნორვეგიელი ფინანსისტი, მწერალი და ფერწერულ ნიმუშთა კოლექციონერი. თავისი კოლექციის უდიდესი ნანილი მუზეუმებსა და დაწესებულებებს გადასცა.

ორმოცდაათიან წლებში დღევანდელზე უკეთესი სასკოლო სისტემა გვქონდა. ბედნიერი ბავშვობა იმას ნიშნავს, რომ იმავეს აკეთებ, რასაც სხვები. დღევანდელი სასკოლო პოლიტიკა, რომელიც მოზარდს უფლებას აძლევს სკოლა თავად აირჩიოს, სისულელედ მიმაჩნია. ბავშვმა მიმართულება თავად კი არ უნდა აირჩიოს, არამედ უფროსმა უნდა მიუთითოს, – ამბობს პოეტი.

ვოლდი გამოცოცხლდა. თავიდან შედარებით უხალისოდ საუბრობდა. გადაღლილი ჩანდა. ახლა კი თვალებიც მეტად გაახილა.

– სასწორის ნიშნის ქვეშ ხართ დაბადებული...

– და სწორედ სასწორივით ვგრძობ თავს. სოციალური თვითშეგნება მკარნახობს, რომ რაღაც უნდა დაიწეროს. ამიტომაც ვწერ „ბიშლეტზე“, გუნვორო ჰოფმუზე ან გნებავთ, არილდ ნიქუსტზე[9]. მე გულმავიწყობას ვებრძვი და იმდენს ვიშრომებ, ვიდრე ბალანსი არ აღდგება.

– კრიტიკოსები ნოსტალგიით შეპყრობილს გინოდებენ?

– კიი... არა�ა... ძველ დროს ნამდვილად არ მივტირი, მაგრამ რაც კარგია, იმას რომ ანადგურებენ, ვერ ვეგუები. კარგით... მოდით, მაგალითისთვის, ზამთრის სეზონი ავიღოთ. ახლა უკვე წინასწარ გამზადებული სათხილამურო ტრასებით სარგებლობენ. ის დრო კი არ მენატრება, როცა თხილამურებით თავადვე ვიკვალავდით გზას. არა! კომპიუტერისა და ინტერნეტის არსებობა, უდაოდ, წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ სამაგიეროდ, ციგურების სეზონი დაგვავიწყეს, შეჯიბრებები აღარ ტარდება. თხილამურებზე დგომის ნიჭიც წაგვართვეს!

ეცინება და ხელებს კისერზე იწყობს. ცალი ხელით თმას აწვალებს.

ზამთარი უყვარს

– ზამთრის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვთ?

– ძალიან მიყვარს. მომწონს იმ ქვეყანაში... არა, ქვეყანაში არა... დედამიწის იმ სფეროში ცხოვრება, სადაც წელიწადის ოთხივე დროა. ამას წინათ ძველი ბლოკნოტი ვიპოვე. საერთოდ, ძალიან „დოკუმენტალისტური“ ვარ. ყველა შეჯიბრი, რომელსაც დავსწრებივარ, ჩანიშნული მაქვს. როგორ ფიქრობთ, 1953 წელს რამდენ ლონისძიებაზე ვიყავი? აბა, გამოიცანით. კარგით, გამოცნობა საჭირო არ არის. სამოცდახუთზე. დიახ, 65 შეჯიბრზე. აქედან 30 ბიშლეტზე გაიმართა.

– მსგავს სტატისტიკურ აღრიცხვებს დღესაც მიმართავთ?

– ყოველთვის ზუსტად ვიწერ, 5 კილომეტრიანი მონაკვეთი რა სისწრაფით გავირბინე. სტარტისა და ფინიშის დროსაც ვინიშნავ. განა ეს ვოლდის შესახებ რამეს გეუბნებათ? თავად გადაწყვიტეთ.

– სირბილის დროსაც ისეთივე რიტმული ხართ, როგორც პოეზიაში?

– სირბილის ნიჭი არასდროს მქონია. ეს საკითხი, სკოლაში რომ ვსწავლობდი, მაშინ უფრო მაწუხებდა, ვიდრე ახლა. სამაგიეროდ, ამტანი ვარ, ფიზიკურადაც და გონებრივადაც, – ამბობს პოეტი და გულზე ხელებს იკრეფს.

მაშინღა ვამჩნევთ, რომ მისი ხელები მეტყველის ხელებს უფრო ჰგავს. „სიბნელე ისეთი ვრცელია, რომ ყველა ჩვენგანს დაიტევს...“ წარმოიდგინეთ, ეს სიტყვები სწორედ ამ მარჯვენამ დაწერა.

ინტერვიუსთვის მადლობას ვუხდით. ვოლდი ადგილიდან ფეხს არ იცვლის. ჩვენც ვდგავართ, ერთმანეთს შევყურებთ და ვიცდით.

პირდაპირი

– იცი, ახლა ნორვეგიის შესახებ სატელევიზიო გადაცემა უნდა უჩვენონ. მეც მაიძულეს, რომ ორიოდე სიტყვით სამოციანი წლები გამეხსენებინა. არ ვიცი, „კულტურის კვირეული“ ნავიკითხე თუ სხვა რომელიმე ლექსი. აღარ მახსოვს... მაგრამ რაღაც კი ნამდვილად ვთქვი. მგონი, ძალიან პირდაპირი ადამიანი ვარ.

– პირდაპირი?

– დიახ! საშინლად პირდაპირი! ჩემზე პირდაპირი კაცი არ მეგულება! ბოლომდე გულწრფელი ვარ და, უმეტესწილად, ნორმალური, მისაღები შეხედულებები მაქვს. თუმცა, ბუნებრივია, ემოციურობაც მახასიათებს. ძალიან არა, მაგრამ სხვებზე ცოტათი უფრო ემოციური ნამდვილად ვარ და არანაირი განსაკუთრებული პრიორიტეტები არ გამაჩნია. ხელოვანი არ გახლავართ. ერთი უბრალო კაცი ვარ ბოლტელოკადან![10] (ხელებს ასავსავებს). მართალია, ახალგაზრდობაში შვიდწლიანი უიღბლო სიყვარულით ვიტანჯებოდი, მაგრამ 45 ან თუნდაც, 50 წლის ასაკში ხვდები, რომ ამაში უჩვეულო არაფერი ყოფილა. მე პირდაპირი, სანდო ადამიანი ვარ და ამას რომ გეუბნები, სინდისის ქენჯნას არ ვგრძნობ!

– ყველა ძალიან გაქებთ. ასე ამბობენ, რომ თქვენზე ერთგული და გულუხვი კაცი არ არსებობს.

– არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. მაგას არ ვგულისხმობდი, – მორიდებით ამბობს პოეტი.

ნორვეგიულიდან თარგმნა თამარ კვიციანაძემ

---

9 არილდ ნიქუსტი (1937-2004) – ნორვეგიელი რომანისტი, ლირიკოსი, საბავშვო ნიგნების ავტორი და მუსიკოსი. მისი ლიტერატურული დებიუტი შედგა 1963 წელს.

10 ბოლტელოკა – სკოლა ოსლოს ცენტრში. დაარსდა 1898 წელს.

მეგობარი ნობელიანტი – ვოლდი ტრანსტრიომერის შესახებ



იან ერიკ ვოლდმა ნორვეგიულ ენაზე თარგმნა ნობელის პრემიის ლაურეატის, შვედი პოეტის, თომას ტრანსტრიომერის რჩეული ნაწერები. 1954-2004 წლებში ტრანსტრიომერს გამოქვეყნებული აქვს ლექსების 12 კრებული, მემუარები (1993) და მიმოწერა რობერტ ბლაისთან (2001).

ვოლდი და ტრანსტრიომერი ერთმანეთს 1965 წლიდან იცნობენ. როცა 2011 წელს ვოლდის შვედი მეგობარი ნობელიანტად დაასახელეს, ვოლდი ნიცაში იყო და ეს სასიამოვნო ცნობა მან შვედი ნაცნობების საშუალებით მიიღო. ამ მოვლენასთან დაკავშირებით იან ერიკ ვოლდს ესაუბრა ნორვეგიული გაზეთის „აფთენპოსტენის“ ჟურნალისტი იერუნ ჰესევიკი. აი, რას ფიქრობს ერთი დიდი პოეტი მეორის შესახებ:



იან ერიკ ვოლდი: ეს იყო ძალიან სასიხარულო და ოდნავ გასაკვირი ფაქტი. ჩემი მეგობარი ნობელიანტობის საუკეთესო კანდიდატი იყო მთელი 20 წლის განმავლობაში, მაგრამ პრემიას ყოველთვის ვინმე სხვას გადასცემდნენ ხოლმე. შვედები ხომ სიფრთხილით ეპყრობიან თანამემამულეთათვის ლიტერატურული ნობელის მინიჭების საკითხს.

მისი პოეზია ერთობ პროვიდენციალური და დახვეწილია. ის ამჯობინებს, ორი სიტყვით ნაკლები დაწეროს, ვიდრე ერთი სიტყვით მეტი, რათა მკითხველმა თვითონ იფიქროს დანარჩენზე. ჯაზის პიანისტების მაგალითი რომ მოვიშველიო, ის უფრო მეტად არის ჯონ ლიუსი, ვიდრე არტ ტატუმი, – რაც იმას ნიშნავს, რომ თავშეკავებულია თავისი ნიჭის გამომზეურებაში.

ტრანსტრიომერი საკუთარ თავში ატარებს იმ შფოთვასა და შიშს, რასაც ჩვენ, პრივილეგირებული ქვეყნების მაცხოვრებლები, შორი მანძილიდან ვუყურებთ. ის დადებითი პიროვნებაა, მოკრძალებული ქრისტიანი, რომელიც არანაირ შოუს არ დგამს ამ ფაქტისგან. ის ღრმადმოაზროვნეა, რომელიც მსოფლიო სევდას დაატარებს; მისი ლექსები მოგვითხრობენ სამყაროში ჩამოწოლილ დიდ სიბნელეზე, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ საკმაოდ ხალისიანი ბუნებისაა.

ტრანსტრიომერი პოპულარულია ნორვეგიაშიც. მას კითხულობენ ნორვეგიელი პოეტები 1960-იანი წლებიდან. მას აქ აფასებენ და ისიც ჩვენთან თავს კარგად გრძნობს.

აღსანიშნავი ფაქტია, რომ როცა ის 1990 წელს დაცემის გამო დაშავდა, ლაპარაკის უნარი წაერთვა და ნაწილობრივ პარალიზებული იყო, მაშინ ეს ფაქტი მან იუმორით მიიღო. ასაკისა და ფიზიკური უძლურების გამოა, რომ ტრანსტრიომერი იშვიათად ჩნდება ხოლმე საზოგადოებაში, თუმცა გამოსვლებზე მაინც არ ამბობს უარს და ამჯობინებს ამ დროს, სხვებმა ლექსები იკითხონ, თვითონ კი პიანინოზე დაუკრას ცალი, მარცხენა, ხელით. ამგვარად, ხანგრძლივი მეგობრობის მანძილზე მივხვდი, რომ ჩემი მეგობარი ნიჭიერი პიანისტიცაა.

ნორვეგიულიდან თარგმნა მანანა მათიაშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პოეზია & პროზა

ერეკლე დეისაძე

* * *

(მე არ ვწერ ლექსებს,
საერთოდ არ ვწერ.)

* * *

ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ,
პასტა თითქმის მითავ

* * *

ადრე ქუთაისში ვცხოვრობდი
ახლა სიცრუეში ვცხოვრობ

პოეზიის ნიშნები

წერეთლის კვეთაზე ტაბიძე რომ იწყება
იქედან ოც მეტრში შეგხვდება სვეტაფორი
სვეტაფორს რო გაცდები ეგრევე ჩიხია
მარცხნივ ჩაუხვევ და იქ დგას მეტაფორა.

* * *

დათო დიქტა-ტურაშვილი
დათო ასპირან-ტურაშვილი
დათო მაგისტრა-ტურაშვილი
დათო ლიტერა-ტურაშვილი

ბასა ბადრი-ჯანიკაშვილი
ბასა გურ-ჯ(ა)ანიკაშვილი
ბასა აზერბაი-ჯანიკაშვილი
ბასა...

აკა მორჩი-ლაძე
აკა ნორჩი-ლაძე
აკა მორჩი!

ლაშა ბულაძე.

რუსთაველზე

გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ტერენტი.
რუსთაველზე მოდიოდა დეფი,
დაეხურა ვარდისფერი ბერეტი.

ორი გიორგი

(გიორგი ლობჟანიძემ თარგმნა ყურანი
გიორგი კეკელიძემ გამოსცა ყორანი)
მერე კი lib.ge-ზე წავაწყდი შემთხვევით
ედგარ პოს პოემას სახელად ყორანი.

ცუდი და კარგი

კარგია –
დათა თუთაშხიას ჭაბუა ამირეჯიბი,
სოლომან მორბელაძის დავით კლდიაშვილი
თორნიკე ერისთავის აკაკი წერეთელი
ოთარაანთ ქვრივის ილია ჭავჭავაძე
ცუდია –
ჭაბუა ამირეჯიბის დათა თუთაშხია
დავით კლდიაშვილის სოლომან მორბელაძე
აკაკი წერეთლის თორნიკე ერისთავი
ილია ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივი.

08.08.08.

1.
დაიფარავს საქართველოს
მათეც
ლუკაც
მარკოზიც.
ან წმინდანებს აქ ნუ ჩავრევთ
მართე
რუკა
სარკოზო.

2.
დო-იბომბა გო (დო)რი
რე-იბომბა გო(რე)რი
მი-იბომბა გო(მი)რი
ფა-იბომბა გო(ფა)რი
სოლ-იბომბა გო(სოლ)რი
ლა-იბომბა გო(ლა)რი
სი-იბომბა გო(სი)რი
დო-იბომბა გო(დო)რი

3.
ჭერი იქა, ჭურვი აქა,
ნატო იქა, ქვრივი აქა,
ამერიკა ჩვენთანაა,
მადა ფაქა!

თანამედროვე ქართული პოეზია

თუკი ლექსი ნატურია
ხარ ტარიელ ჭანტურია.
როცა რითმა დაშლილია
მაშინ იათაშვილია.
ვინც პრემიის მფლობელია
რატი ამაღლობელია.
ზოგმაც ისე აურია
ყველა გომელაურია.
თუ ღმერთზე წერს აუგიანს
ბაძავს პაატა შამუგიას.
გახდნენ საუკუნოვანნი
ვიღას ახსოვს ბუნდოვანი?!

სამშობლო და პოეზია
არის როგორც დედა-შვილი
დედა არის – საქართველო,
შვილი – გოგიბედაშვილი.

სამყაროს მარადიული პრობლემა

(რეცენზია დათო ჩიხლაძისა და დათო ბარბაქაძის საერთო წიგნზე)

ფრთამოტეხილი ყვავები უკანასკნელად ტოვებდნენ ქალაქს
წვიმები იზეპირებდნენ სახურავის სიზმრებს,
ვარსკვლავებიდან ირონიულად იჭვრიტებოდნენ
გალაკტიონი და ქრისტე...

ქალაქი ჰგავდა მორგს,
პოეზია მატარებელს უცდიდა ბაქანზე,
ხოლო ინტელექტუალები იკრიბებოდნენ კლუბებში
წრუპავდნენ ყავას
და მსჯელობდნენ თემაზე, ვინ მოერეოდა:
დათო ჩიხლაძე თუ დათო ბარბაქაძე?

იდგა დეკემბრის სუსხიანი ღამეები,
ვიღაც ისმენდა მაილს დევისს,
ვიღაც ტკბებოდა ტბის სანაპიროს სიმღერებით,
მეოცე საუკუნის დასასრულის პოეტები კი
ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიმულტანური და სტატიკური
ლექსების წერაში..

თუმცა ყველას ერთი კითხვა აწუხებდა:
ვინ მოერეოდა,
დათო ჩიხლაძე თუ დათო ბარბაქაძე?

იმართებოდა მიტინგები რუსთაველის პროსპექტზე,
საქართველო გეზს იღებდა ნატოსკენ,
მაწანწალები იყინებოდნენ,
ბომჟები აგროვებდნენ არყის ფულს,

რაკეტები მიაპობდნენ სივრცეს,
სახელმწიფოები იბრძოდნენ ტერიტორიებისთვის,
ანგელოზებს ეკეთათ შაჰიდის ქამრები და თავს იფეთქებნენ
უსახელო პლანეტებზე,
ხოლო პოეტი პიჟონები იყურებოდნენ მაღლა და
წერდნენ ლექსებს ვარსკვლავთცვენაზე,
გონებაში კი ერთადერთი კითხვა ჰქონდათ,
ვინ მოერეოდა:
დათო ჩიხლაძე თუ დათო ბარბაქაძე?

მუსიკოსები უკრავდნენ სიმებდაწყვეტილ გიტარებზე,
იტანდნენ შიმშილსა და ეპოქის მარწუხებს,
შარდავდნენ ანდერგრაუნდში
და სუნთქავდნენ ერთმანეთის სიმყრალეს,

მეცნიერები აკეთებდნენ ახალ აღმოჩენებს,
ჰიროსიმა დამეგობრდა ამერიკასთან,
ნავთობის ფასი საგრძნობლად მერყეობდა,



* * *
ID – ნახუი ბარათი!

* * *
სამშობლოს მიმართ
ბავშვობიდან დიდი გრძნობა მაქვს
იუმორის გრძნობა!

* * *
თბილისის ანძა
ან დიდი ან ძაან

1990

დენი რო მოვა
დენირო მოვა

ოდა მეტაქსეტამინს

მე ტაქსით მოვალ
მეტაქსით მოვალ

წმინდა მონეგის კრიტიკა

დავდივარ კანტი კუნტად
მხოლოდ მე დავრჩი კენტი
ჩემს გარდა მგონი ყველას
წაკითხული აქვს კანტი.

ხოლო ხალხი ეძებდა პასუხს კითხვაზე,
ვინ მოერეოდა:
დათო ჩიხლაძე თუ დათო ბარბაქაძე?

ისტორია იწყებოდა თავიდან,
იხოცებოდნენ დინოზავრები,
იბადებოდნენ სპარტანელები და არაგველები,
იუდა ითვლიდა ვერცხლის მონეტებს,
იდგა 11 სექტემბერი და ამერიკაც ითვლიდა დაღუპულებს,
გოლგოთის მთაზე იკრიბებოდნენ მომიტინგეები და
ითხოვდნენ ჯვარცმას,
სახსრებს ლეწავდნენ ლურსმნები,
ბარიკადებს საფრანგეთის სტუდენტობა,
პოეზია იდგა ქუჩაში,
ბუდა იჯდა ჩუმად,
ქრისტე ეცვა ჯვარს და იგი უკანასკნელ სიტყვებს ამბობდა:
„ვინ მოერევა,
დათო ჩიხლაძე თუ დათო ბარბაქაძე?!“

* * *
ზუსტად არ მახსოვს თარიღი
თებერვალში თუ მარტში
მე ჩემი თავი ვიპოვნე
კონცეპტუალურ არტში.

ღარიბთა ლოცვა

დიდება შენდა, უფალო,
უფულო შემიწყალე
უფულო შემიწყალე
უფულო შემიწყალე
ჭ-ამენ.

აშშ და ა.შ.

ბარაქა ობამ ობამ ბარაქა
შემოდგომიდან მეთერთმეტე დღე
ბარაკებიდან ილაპარაკებს
ბარაქა ობამ ობამ ბარაქა
ო ობამ ბომბა ო დაიბომბა
ობობა მოლბა მოლბა ლაქლაქა
ბარაქა ობამ ობამ ბარაქა.

დილის აპოკრიფი

მამა ძე და სულიწმინდა,
ჭამა, რძე და ფულიც მინდა!

* * *
ოსანა!
ოსანა!
ოსანა ბინ ლადენ!
ოსამა ბინ ლადენ
Made in china..
(In made
Made in
In made)
ბინ ლადენ
ოსანა
ოსამა
შენ ცათა შინა!..

მოფარფატე ალმნიშვნელი

არსებობს ტექსტი და არსებობს მეტატექსტი
და ამათ შორის ზღვარი სად ივლება
ტექსტია – როდესაც ოთახში ქალი ზის
მეტატექსტი კი – ქალის შეკივლება.
წარმოიდგინეთ ეს ქალი არ კივის
უბრალოდ ამთქნარებს...

* * *
„ქალაქებს სქესი აქვთ“
ერეკლე დეისაძე

გარეთ დეკემბრის დილაა
ოთახი მაწვნის ქილაა
ფანჯრიდან ტაძრის გუმბათი
ქალი ქალაქის ქალაა.

განვითარება

ადრე ხალხი პურის რიგში იდგა,
ახლა შაურმის რიგში დგას,
ქვეყანა წინ მიდის.

* * *
დედა მუშაობს
მამა მუშაობს
ძმა მუშაობს
ბებო მუშაობს
ოცნება – არ მუშაობს.

ნაგავი

აქ ვიყავი გუშინ.
გუშინწინაც.
ზუსტად ასე დაახვავა ნაგვის მორიგი გროვა მანქანამ.
ზუსტად ასეთი სუნი იდგა – სიმწარეშერეული ლპობის.
მაინც აქ მოვედი, კვალმა მაინც აქ მომიყვანა.
რას უნდა ნიშნავდეს? – მერამდენედ ვსვამ შეკითხვას, –
ნაგავში ვეძებო?
ქალაქის მიყრუებულ გარეუბანში
ნაგვის გროვაში ვეძებო?
ხომ შეიძლება ხედვის კუთხე შეეცვალო
და ზემოდან დავინახო ეს ყველაფერი,
საიდანაც ნაგავი იქნება არტისტულად ჭრელი,
არც სუნი შემაწუხებს
და არც დახვავებული უსაშველობის განცდა,
რადგან არამცთუ ნაგავი,
ზემოდან ადამიანებიც კი ნერტილებივით ჩანან?



ნენე გიორგაძე

სოფიზმები

თვალი დავხუჭე და ჩაბნელებულ კინოდარბაზში
სამყაროსა და ჩემს შორის ჩადგა სიზმრის გამჭოლი ობიექტივი.
რაც უფრო ღრმად აქვს მიწაში ფესვი,
მით ძლიერია ხის ცისკენ სწრაფვა.
მხოლოდ მინდვრებით გადასარკულ დედამიწაზე
მწვერვალები არასოდეს მიგვიზიდავდა.
ღამე რომ გაქრეს, დღე ხომ თვალებს ამოიღამებს.
როცა ყინული დნება, წყალად მოედინება – ცრემლიც წყალია.
სიძულვილის მწარე სუნი გვერეკება სიყვარულის სიტკბოებისკენ.
თუ არასდროს მოვხუცდებოდით, ბავშვობაც აღარ იარსებებდა.
ყველა ფურცელი, სანამ ლექსი დაინერება, ცარიელია.
რაც პირში შედის, უკანალიდან ისევ გამოდის,
ხოლო პირიდან გამოსული შიგნით რჩება სამარადისოდ.
ერთმანეთს რომ არ დავშორებოდით,
ფეხმძიმესავით ვერ გატარებდი კანისქვეშეთში.
ცა რომ არ იყოს, მიწაზე ისე ვიხოხებდით, ჭიაყელასაც შეშურდებოდა.
სიმახინჯეს ვუმღეროთ უნდა, მშვენიერება რომ დაგვანახა.
შენ რომ არა, უბადრუკო ადამიანო, ქრისტე ჩვენთან არ მოვიდოდა.
ვერასოდეს წამოვდგებოდი, რომ არასდროს დავცემულიყავ.
მხოლოდ სისუსტეს შეუძლია გვაქციოს გმირად.
ნაგვის გროვაში აღმოჩენილი მარგალიტი
ბროლის კოშკზე მეტად ანათებს.
ღმერთი ერთია, ადამიანი კი – უთვალავი.
რადგან არსებობს უკვდავება, მაშასადამე არსებობს კვდომა,
და სიცოცხლე ისაა, რაც გარდაუვალი მოსახდენია.

პარიკმახერი რიტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალებს ვხუჭავდი,
როცა რიტას ხელი ჩემს თმაში რბილად დაცურავდა,
მაოგნებდა მისი გრძელი ნაწნავი,
პარიკმახერები რომ ასე იშვიათად ატარებენ.
ვინც სხვის თმებს ჭრიდა მთელი ცხოვრება,
საკუთარს აგროვებდა...

საპარიკმახეროში მუდამ სპეციფიური სუნი იდგა.
რიტას მომლოდინეთა სიჭრელე იყო თვალში საცემი.
თუმცა განსხვავებული ასაკისა და ინტერესების ადამიანებს
ერთი რამ უეჭველად ქონდათ საერთო:
რაიმე შეეცვალათ, თუნდაც ვარცხნილობა.
საერთოს მიზეზი სხვადასხვა იყო –
მოწყენის დამარცხებიდან თავდაჯერებამდე...

რიტას უეცარი სიკვდილის შემდეგ
იმ საპარიკმახეროში ველარ შევდივარ,
არ მინდა დავინახო სხვა იმ სარკესთან,
ვიფიქრებ, რომ ისევ იქ დგას,
გრძელი ნაწნავითა და მაკრატლით ხელში –
ალბათ, ასე დავხატავდი სიცოცხლის ღვთაებას,
რომელმაც თმებადქცეული დრო უნდა შეჭრას ადამიანებს...

რიტას სიკვდილის შემდეგ
მუდმივად ვიცვლი პარიკმახერებს,
მაკრატლის თმებთან მოახლოებისთანავე
თვალებს ვხუჭავ და ჩემს გვერდით ჩნდება რიტას ნაწნავი,
მისი რბილი ხელი დაცურავს ჩემს თმაში,
როგორც მოციქული, რომელსაც უკან უნდა გავატანო ის,
რაც ორიოდე წუთის წინ ჩემი ნაწილი იყო...

SECOND HAND GENERATION

„– რა ღირს ეს ძაღლი?
– ერთი მანეთი, მაგრამ არ იყიდება."[1]

ვრცელია სივრცე და მაინც ყველანი ერთმანეთს ვცნობთ,
რადგან გვაცვია ერთმანეთის გამონაცვალი ტანსაცმელი.
ჩვენ, second hand ცოლები, ქმრები, საყვარლები, ფბ-ფრენდები,
ერთი დიდი ოჯახი ვართ და
ერთმანეთის გამონაცვალს სულ არ ვთაკილობთ...
დამიხუდავე, როგორც წესია,
second hand სიყვარულსა და სიძულვილს შორის
მძივებივით ასხმული გრძნობები,
ოქროს ფულივით დიდ იმედს მოგცემ,
შენ კი დაყარე წვრილმან-წვრილმანი სიხარულები...

---

1 დავით ჩიხლაძის ნერილიდან მოსკოველი არტისტის პეტლიურას შესახებ: „ერთი საათი თბილისისთვის ანუ მოსკოვური ხელოვნება, რომელიც არ იყიდება"

ეროვნული ბიბლიოთეკა



რითია ნაკლები ჩვენი second hand არტი
თქვენს ელიტარულ გურუებზე!
ჩვენ ნეხვში ვპოულობთ მარგალიტებს,
შანელის სუნით გაბრუებულო ბურჟუებო!
ჩვენ ყოველ ღამე იქ ვბრუნდებით,
სადაც ფეხი თქვენს კათოლიკოს-ბრწყინვალებას
ჯერ არ დაუდგამს!
პრეზიდენტო, ჩვენო ძვირფასო,
შემოიხედე ჩვენს second hand შოფში,
სეილი გვაქვს, გულდაწყვეტილს არ გაგისტუმრებთ!
კეთილო ხალხო, გინდათ სიცოცხლის
უძაფრესი second hand ოხშივარი
შეისუნთქოთ ოპიუმივით? –
ჩვენს სარდაფებში შემოაბიჯეთ.
აქ ვერ იპოვით ძვირადღირებულ დროს
ან ბრჭყვიალა დეკორაციებს,
აქ ნახმარია ყველაფერი
დამუხტულია ხახუნის ენერგიისგან...
second hand generation –
ერთი დიდი ოჯახი ვართ და
ერთმანეთის გამონაცვალს სულ არ ვთაკილობთ.
მოდი, იყიდე ჩვენთან იაფად...



ფრაგმენტები

ცემენტზე მიმობნეული ვარდის ფურცლები
ყოველთვის იქ გელოდებოდი სადაც არ მოხვიდოდი

პროჟექტორი სქელ ნისლში
ჩვენი ხანმოკლე შეხვედრები დღისა და ღამის შეხვედრებს გავდა

თოვლიან მთაზე მგლის ყმუილი ტელევიზორში თბილ ოთახში
უფაქიზესად კოცნა შეგეძლო გულისრევის ინტერვალებში

ბნელ ქუჩაზე გამკრთალი ჩრდილები კუთხეში უჩინარდებოდნენ
ქალის დაჭიმული ნელი ბოლთა
შავი კოლგოტკა და წითელი ფეხსაცმელი

მატარებლიდან დანახულ პეიზაჟებზე სწრაფად
ადამიანები იცვლიდნენ ადგილს
ერთადერთი კვეთის წერტილი –
პარალელური რელსების წყვილი განშტოება

შევიხედეთ ზამთარში სადაც ჩვენს მაგივრად იდგნენ სადა ხეები
მათზე ფოთლების ნაცვლად ეკიდნენ ართქმული სიტყვები
რომლებიც შემოდგომაზე ჩამოცვივდნენ

ამღვრეული ცხადი გამჭვირვალე ქალაქში
რომელსაც სარკესავით დაჰყურებს ზეცა
ჩვენ ამ სარკეში არ ვირეკლებით

ღამით საწოლში გრძელკუდიანი თაგვები
ვერ ჩამოვხსენი შენი აყუდებული ჩრდილი ჩემს ლოგინთან
მის ნაცვლად დღისით ღამურები კიდიან თავქვე

გაგიმზადე ვარდის ფურცლების სარეცელი ვიქნები ეკალი
რომ დროდადრო გაგახსენდე უქალობის ან მარტოობის ჟამს

ბექა ყორშია

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესვენებულთა

ა.ბ-ს

მეხსიერების სიბნელიდან
გამომყავს თვალდახუჭული ადამიანები
და ლექსებში ვახელ

მეხსიერების სიბნელიდან
გამომაქვს ჩემი თავგადახოტრილი ბავშვობა
და ლექსებში ვახელ

მეხსიერების სიბნელიდან
გამომყავს მამაჩემის ნარკომანი ძმაკაცი
(თვალები სულში რომ ჩაუცვივდა)

მერე კი ლექსს
თოთო სტრიქონს ვუძებნი,
რომ შევიყვანო მასში ორმაგი ემოცია
და მეტი სინათლე –
მე მომაქვს შენთან ეს ლექსები
მე მომაქვს შენთან
ჩემი ლექსები,
გზააბნეული, ხმაბნეული,
ჩვილი ბავშვის ღიმილივით უმიზეზო
ლექსები მომაქვს,
რომელთაც მუდამ
37 და 3 ხაზი აქვთ
სიცხე
დააწყვე სველი თითები ამ ლექსებზე,
(დააწყვე შენი სველი თითები ჩემს შუბლზე)

მოსავალი

ის იყო თვალდახუჭული
და მიწასავით რუხი.

და პირიდან, როგორც მიწიდან
ამოსდიოდა სუნთქვა,
როგორც ბალახი
ის თითებს
ნაზად ასრიალებდა
ჩემს დასერილ, მაგრამ ჯერ კიდევ თბილ
მკერდზე –

თითქოს ბრაილის შრიფტით
კითხულობდა სიკვდილს...

ის იყო თვალდახუჭული
და საერთოდ არ ჰგავდა დედაჩემს.

დაშლა

სულ მთლად თეთრია ეს ოთახი
ერთ ლაქასაც ვერ ნახავ მის კედლებზე –

არ აქვს ფანჯრები
არ აქვს კარი და არ აქვს ჭერი

შუაგულში მრგვალი მაგიდაა
და ერთი სკამი –

ოთახის კუთხეში ზის ახალგაზრდა კაცი,
რომელსაც სიკვდილის შიში აწერინებს
უმსგავსო ლექსებს...

ნუთუ მას მართლა სჯერა
რომ ერთხელაც
მისი ლექსები გაფრინდებიან იქ,
სადაც „კარი“ ნიშნავს ღიას,
ხოლო „კედელი“ –
ასეთი სიტყვა იქ არ არსებობს...

მიწა

დიდხანს ითოვა,
ითოვა და მერე დადო –

თოვლი ჰგავდა შესაწირ კრავს,
და ტალახიანი ორმოებიდან
უმწეო თოვლის კრავები ანათებდნენ

მათ მომალანდეს შენი თვალები –
თბილი სიკვდილის წყვილი კარავი

დიდხანს ითოვა,
ითოვა და მერე დადო –

და კრავივით თეთრი თოვლი დადო.
მგელივით რუხმა მიწამ შეჭამა ეს თოვლი

და მგელივით რუხი მიწა
შენმა სუსტმა მკლავებმა შეჭამეს,
როდესაც მოკვდი

***

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ისევ გვიან დავბრუნდი სახლში
მთელი დღე წვიმდა –
ახლაც წვიმს

ვამბობ –
ასეთ ზამთარს თვალები რომ ჰქონდეს
ჩემი სახლის წყვილი ფანჯარა იქნებოდა
მისი თვალები –

ნეტავ რა მოამზადა დედამ სადილად –

ჩვეულებისამებრ, მოხარშული ჭადრის ტოტები,
თუ შებოლილი, ხმელი ფურცლები
ჩვენი საბჭოთა ბიბლიოთეკიდან –

უგემრიელესი
ლენინის მოზრდილი ტომი ნიორწყალში,
იქნებ ენგელსის მონაჩმახი – კალორიული,
ან სულაც მაო ძე დუნის წითელი ფოტო
და ბრინჯი

დღეს მოთუშული რეცეპტების კრებული გვექნება
სადილად თურმე
გადაშლილი 43-ე გვერდზე –

ღმერთო,
ეს ხომ ინდაურის შნიცელია
ატმის სალსითა და კიდევ რაღაცით

სამზარეულოში თუხთუხებს ქვაბი –

ახალი კამის
ამინდი დგება
და ჭადრის ძვირი ტოტების

და ველოდებით მე და დედა
ხვალინდელ დილას
როგორც ფასდაკლებას
შაქარზე და რძეზე

კანფეტი

(„ჩემო საქართველოვ, მართლმადიდებელო!“)

ოთარ ჯირკვალიშვილი

შესავალი

ქართველი ფილოსოფოსებისთვის გადაულახავ სუბსტანციას, მაგიდას, მივუჯექი და კალამი მოვიმარჯვე. ვგრძნობ, სულ ფეხებზე მკიდია დაკარგვადი პერსონაჟების გადარჩენა! არც ის მაინტერესებს, ვინ როგორ და რითი იტანჯება; რა სულიერ კრიზისს განიცდის, რადგან წერო იმაზე, რაც არ გადაგხდენია, ამორალურია! მე კი მორალიც ფეხებზე მკიდია, ამიტომ დავაზუსტებ – არაგონივრული. და, გონებაც რომ ფეხებზე მკიდია?

კარგი, ფეხებზე დავინყებ ნერას; მათზე ხომ ყველაფერი მკიდია, თან გზადაგზა იმ საგნებსაც შევეხები, რომლებმაც ფეხები დამიმძიმა.

მაგალითად, „გზა“! უკვე საშინლად მაღიზიანებს: „მე ვარ გზა...“ ან „წიგნი გზისა...“; გასაგებია, რომ გზა ხარ, მაგრამ მე ვინ ჩემი ფეხები ვარ, შენზე რომ ვიარო?! იცი, შენც დაგამძიმებ და მეც დავიღლები. ამის მიუხედავად, ჩამჩიჩინებ, მიმითითებ: „აჰა, გზა, იარე მასზე, როცა მარჯვნივ ან მარცხნივ გადაუხვევ“, მანდ რამე ნიშანი უნდა დაგეკიდა, რომელზეც ეწერებოდა: „მთავარი გზა!“, დაახლოებით ისეთი, პილატემ ჯვარზე თავსზემოთ რომ მიაჭედა... და გავივლიდი, ვივლიდი, ვივლიდი, მომშივდებოდა (მაინც ავცდი ფეხებს!) და გზაზე ხე აღმოცენდებოდა წარწერით – „ხარ!“, გზას გადამიკეტავდა, მომიწევდა მარჯვნივ ან მარცხნივ გადახვევა. ერთ მხარეს მომაჩეჩებდნენ წიგნს – „დაო დე ძინ“, მეორე მხარეს ნისლში გახვეულ შენობას დავინახავდი კართან შესამჩნევი ინკრუსტაციით – „შეიცან თავი შენი“, მერე დამინყებდი ჩხუბს – შენ ასცდი გზას, ჭეშმარიტებას და სიცოცხლეს, სასწრაფოდ უკან, ცენტრალურ გზას დაუბრუნდიო!

მე, მე ვეღარ გაგნებ... ჰო, დამიჯერე ვეღარ ვაგნებ, გზაზე ნიშნები არ არის, ინტუიციის იმედზე კი ვერ იქნები. შენ იცი, გზებზე ინტუიცია არ მუშაობს, არც რწმენა, არც გონება... მოკლედ, გზებზე ფეხებს ზემოთ არაფერი მუშაობს! ფეხები კი დამღალა, ამიტომ გავწვები ახლა აქ და პრინციპულად ნაბიჯს აღარ გადავდგამ, იმ რუსი ათეისტის არ იყოს, დოსტოევსკის რომანში რომაა...

აი, გავწექი, მორჩა, ამდგომი აღარა ვარ! გეცინება? მარადიულობით ცდილობ ჩემ დაორგუნვას?! დიდხანს ასე ვერ გავძლებ? ვიცი, უსასრულობასა და არარას, ყველაფერსა და არაფერს შორის ვარ გამოკიდებული და ეს წამომახტუნებს? შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ ახლა ფეხის მომცველი არა ვარ! რა? მოწყენილობა შემიპყრობს? მაგასაც ენახავთ! კარგი, მაცალე ახლა... შენ რა, მეხსიერება წამაროვი? ეს უსამართლობაა! თუ სამ გზას გვთავაზობ, მეხსიერებას არ უნდა შეეხო. ოჰოო, როგორც ჩანს გაჭრა არგუმენტმა...

რამ დამლუპა? ღმერთო ჩემო, რამ დამლუპა?! გამახსენე, რამ მიმიყვანა აქამდე!

ჰო, ჰო, ჰო... აჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა... რა დიდებული რამეა სიცილი! სიცილი, დამთქნარება და დაცემინება – სამი დაუმსახურებელი პატარა, სრულყოფილი სიამოვნება (თომას მანი). თუმცა ამათში სიცილი პირველია! – რად ღირს არისტოტელეს მიერ სასაცილოდ აგდებული კაცობრიობა, ხოლო ქრისტემ ისე გამოგვისყიდა, ერთხელაც არ გაუცინია, ჩვენ კი ვიცინით, ვიცინით დაუსრულებლად და ვერ ვხვდებით, რომ ამ დროს სრულყოფილად გავიცემთ საკუთარი ხასიათის უნვრილმანეს ნიუანსებსაც კი...

აჰა, ჰა, ჰა, მაგრად მეცინება, თან მრცხვენია. არა, რა უბრალო რამემ მომიყვანა აქამდე. გამახსენდა!

5 წლის ვარ. ჩემს სოფელში კლდის პირზე, ხორბლის ყანების წინ, დიდ თეთრ მაღაზიასთან მარტო ვთამაშობ. ვთამაშობ ბურთით, რომელიც ზოგჯერ ყანაში გადამივარდება, გადავალ, ბურთს ვიღებ და ბურთით ხელში ყანაში ზუსტად იმ ადგილზე ვდგები, საიდანაც ნაირნაირი კანფეტების ვიტრინა ჩანს. ასე მწუხარედ ვდგავარ დიდხანს, რადგან ძალიან, ძალიან მინდა კანფეტი... შემდეგ გადმოვეცლები ღობეს და ვაგრძელებ თამაშს. უცებ ვხედავ ჩვენი ნათესავი გოგი ბაბუა მოდის ჩემკენ, უზომოდ გამიხარდა... ჩვენი გონიერი, მოსიყვარულე, კეთილი გოგი ბაბუა. მკოცნის და მეკითხება: „ჩემო პატარა ბიჭო, რამე ხომ არ გინდა, ცოტა აფორიაქებული ჩანხარ“. ღმერთო, რა ბედნიერებაა, რა უცბად მიხვდა... ჩემი საყვარელი ვარდისფერი კანფეტი, რომელიც ემპირიულად (ეს სიტყვა მაშინ არ ვიცოდი) ვიცი, რომ მაღაზიაში იყიდება. „კი, გოგი ბაბუ, კანფეტი მინდა, აი, იმ მაღაზიაში იყიდება – თითი დიდი თეთრი მაღაზიისკენ გავიშვირე – ვარდისსუნიანი კანფეტი, რომელიც ძალიან მიყვარს“, თან მიხარია, იმდენად მიხარია, დარცხვენის სინინთლე მთლიანად გამიქრა ლოყებიდან (ვიცი, ასე მოხდა). და მოულოდნელად რას ვხედავ, ყოველთვის მხიარულმა

გოგი ბაბუამ სერიოზული სახე მიიღო და მითხრა: „ვიცი, რომ ჭკვიანი ბავშვი ხარ, ერთი რაღაც მინდა გკითხო: როგორ ფიქრობ, ადამიანები სიკეთეს მალე რატომ ივიწყებენ? რატომ არ აფასებენ მას?“ ძალიან დავიბენი, გავფიფქრდი, მთელი სხეულით ავკანკალდი... – „არ ვიცი, გოგი ბაბუ“. „ჰოდა, შვილო, ახლავე მინდა ისწავლო და იფიქრო ამაზე, მე შენ კანფეტი რომ გიყიდო, შეჭმიდან რამდენიმე საათში დაგავიწყდება, ახლა კი არ გიყიდი და ეს მთელი ცხოვრება გემახსოვრება“. ეს თქვა და სწრაფი ნაბიჯებით გამშორდა. მე უკან ვერ მივიხედე, თეთრი ქანდაკებასავით ვიდექი და ვთრთოდი ადგილზე... ვიდექი, ვიდექი, ვიდექი, დაუსრულებლად ვიდექი, ვიდრე საღამოს ჩემი ოჯახის წევრებმა არ მომაგნეს და სახლში არ წამიღეს.

მოგვიანებით გავაცნობიერე – და ჩემი ცხოვრების ამ ეპიზოდსაც სწორედ ასე ვუწოდე – „სიბრძნის სისასტიკე“, ამიტომ მეჯავრება დღემდე ბრძენი ადამიანები.

ახლაც იმე ვნეკარ, როგორც მაშინ ვიდექი, ფეხის მომცვლელი არა ვარ! თუ ეგრე ძალიან გინდა, წამომაყენე და წამიყვანე.

როგორია, იმის შემდეგ კანფეტი კი არა, ტკბილი აღარაფერი ჩამიდია პირში. ამას მოჰყვა უშაქრო დიაბეტი, გულსისხლძარღვთა დაზიანება, მხედველობის დაქვეითება და. ა. შ. ესე იგი, ახლა რომ აქ ვარ... ხომ ხვდები? თუმცა, ერთი რამ უნდა ვაღიარო – რომ ეყიდა, მეორე დღეს დამავიწყდებოდა, არ მიყიდა და სიკვდილს მერეც მახსოვს!

* * *

რაკი კითხვას აგრძელებ, გონიერი ადამიანი ჩანხარ, ამიტომ ვიცი, გაგიცინა ფრაზაზე: “სიკვდილს მერეც მახსოვსო“. გეთანხმები, არავითარი სიკვდილის შემდეგ! სინამდვილეში ვიგულისხმე უბრალო და ყველასთვის გასაგები „მარადიული მოძრაობა სულისა“, რომელიც აიძულებს სიგიჟის ზღვარს მიახლოებულ ადამიანს, ტახტზე ვგდოს, ნელ-ნელა ხმებოდეს და ბევრს ფიქრობდეს. ჰო, ჩემსავით, ჩემსავით... უკვე საუკუნეა, აქ ვგდივარ, ფეხს არ ვიცვლი – ვიღაცას კი ეგონა, წამოვხტებოდი და კუნტრუშ-კუნტრუშით გავუდგებოდი გზას, რომელზეც არც ნიშნებია, არც სიმბოლოები, უბრალოდ აბსტრაქტულად როდესღაც ითქვა: „ის“ არის გზა, შესაძლოა ჭეშმარიტება და სიცოცხლეც!.. მგონი, საკმაოდ თვითმყოფადი არსება გამოვდექი, მდიდარი ბუნების. არ ეგონა... ჰოდა, საუკუნეა, უკვე აღარ შემომხმიანებია, ალბათ, შორიდან მაკვირდება, როგორც სჩვეევა, ან გადავავიწყდი – გავექეცი ვი სადმე თუ რა. ვერც იმაზე მიედავება ვინმე, რაღაცეები შენც გავიწყდებაო, თუ მაინც გაუბედავს, აუცილებლად გამტყუნდება არასაკმარისი მტკიცებულებების გამო და მერე, ვაი, იმის დღეს!.. როგორც ვოლტერს დაემართა – ეგონა, აღარ ახსოვდა მისი გამონათქვამი – ღმერთი რომ არ არსებულიყო, ის ჩვენ უნდა გამოგვეგონებინაო; ძვირად დაუჯდა ამ დეისტ განმანათლებელს ეს გახუმრება, გამოგონილ სამყაროში მოათავსეს ისე, როგორც ვიღაც ფოტოგრაფმა ამ რამდენიმე წლის წინ შარდში მოათავსა ჯვარცმა, სურათი გადაუღო და უწოდა „Piss Christ“. მთელი რელიგიური სამყარო აღშფოთდა, როგორც ერთ დროს ვოლტერის გამონათქვამზე... და უთხრეს, ეს ყველაზე კარგი სამყაროა, ყველა შესაძლო სამყაროთა შორის, რადგან აქ შენვე ხარ საკუთარი თავის ღმერთიო. საუკუნეებია უკვე, ვერ გაარკვია წყალი მართლა სწყურია თუ არა, ვერც ის, ონკანიდან რომ მოდის, წყალია თუ არა. რამდენჯერმე თალესი წამოეხმარა, მაგრამ ამაოდ... ის, თავის მხრივ, იმის გარკვევაშია: ონკანიდან რომ წყალი მოდის, ადამიანის ორგანიზმში ფერს და ქიმიურ შემადგენლობას რატომ იცვლის? განა შეიძლება სუბსტანციამ თვისებები შეიცვალოს? ან ვის უნდა მოეფსა ამდენი ასე გაფილტრული წყალი, სამყაროს მრავალფეროვნება წარმოეშვა მყარი საგნებიანად? ერთად არიან ეს ორი უბედური გაურკვეველი შემადგენლობის ძლივსგამჭვირვალე ბლანტი სითხით სავსე კოლბაში და ასეთი „დაკვირვებებით“ გაჰყავთ დრო, დაკვირვებებით, რომლებსაც მე „სიზიფეს ექსპერიმენტები“ დავარქვი. ზოგჯერ სპეკულატორულ განსჯასაც მიმართავენ მათი ამგვარი მდგომარეობის გასამართლებლად, რას ვიზამთ, ადამიანი შემგუებელი არსებაა... არადა, რა იცის საცოდავმა თალესმა, რომ კოსმოსიდან დედამიწაზე შემოჭრილი ასტეროიდები სწორედ წყალს შეიცავს დიდი რაოდენობით... ვინ გააგებინებს მას ამას?! ან რაში სჭირდება?! ამას მართლა სჯობს, სიგიჟის ზღვარს მიახლოებული ტახტზე ეგდო, ნელ-ნელა ხმებოდე და ბევრს ფიქრობდე პოეტური ლიცენციის თავისებურებებზე, შენს მდიდარ ბუნებაზე, რომელთან თანაფარდობაშიც სიცოცხლე აშკარად მოიკოჭლებს, რაც გაიძულებს, გამოიგონო ასეთი პოეტურ-მკრეხელური ფრაზები: „მჯერა სიცოცხლე სხეულის გარეშე“, „მინდა ყველგან ვიყო, როგორც ღმერთი“ და ა. შ. ყურში კოღო ჩაგწუოდეს ან „დების სიმღერასავით“ ჩაგეკმოდეს: „სადღაც სიშორეში, როგორ კვნესის როიალი...“ თან შიშისგან თავისუფალი, „დღიურ ფიქრისგან მოსვენებული“ სახლში შემოსასვლელ კარს აკვირდებოდე, რომლის სახელურზეც მიმხმარია შენი სპერმის ნვეთები, რაც სიმბოლოა ფურისძიების ეფემერულ, ექსტაზურ, ილუზორულ-ტრანსცენდენტურ სამყაროში გასასვლელი დგმანული კარის მიმართ!.. და ამ ფიქრებში კარის სახელურმა მოძრაობა დაიწყო, ჯერ ქვევით ჩამოიწია, მერე ზევით აიწია, მერე ისევ ქვევით...

ალბათ, მელანდება, არავის გავხსენებივარ, საუკუნეა, დავიჯერო, თავად ღმერთი მესტუმრა? ოდნავ შეღებული კარის ნაპრალიდან ხმა შემოესმა, ადრე სხვანაირი, ახლა შეცვლილი, მაგრამ ცვლილება არ უშლის ხელს მიხვედრას!.. ნაცნობმა ხმამ გამოსცა ცნობილი წინადადება: „სახლში ხარ, ძამიკო?“ მიუახლოვდა – „რა ხანია აღარ გამოჩენილხარ, აბა, რა მოგივიდა, ძამიკო?“ შემომსვლელს კარი ნახევრად ღია დარჩა, ასე შემოიტანა თავისი მძიმე სხეული და ასთენიკური ჰაბიტუსის ავადმყოფს კუბოსავით მაგარ ტახტზე ფერხთით ჩამოუჯდა. მართლა ღმერთს გავხსენებივარ, გაიფიქრა მასპინძელმა.

– შენი ლექსი ამეკვიატა, ძამიკო. ეს დღეები სულ ეს სტრიქონები მიტრიალებს თავში: „და მამაჩემი ბედნიერია, და მამაჩემი ფრიდრიხ ნიცშეა“. თან მეცინება, ნიცშეს შვილი არ ჰყავდა და მამაშენი რანაირად იყო?

– არ მომწონს შენი ცინიკური ტონი, – ძლივსგასაგონად თქვა პოეტმა, – მგონი, არც ვერლენი ყოფილა მამაშენი... იმან ცოლ-შვილი არტურ რემბოს საყვარლობაში გაცვალა, დიდი გარყვნილი ვინმე იყო.

– ჰი, ჰი, ჰი, მართალი ხარ, ძამიკო, მართალი, მაგრამ მე სხვა რამ ვიგულისხმე!.. აი, ჩვენ მაგარ ლექსებს ვწერთ, შენი MEMENTO MORI ეხლაც ზეპირად მახსოვს, ნიცშე გენიალურ შრომებს წერდა, ჩვენი ილია ბრწყინვალე პუბლიცისტიკას; თუმცა, არც ნიცშეს, არც ილიას, არც მე და არც შენ შვილები არ გვყავს, ჰი, ჰი...

– ეხლა შენ თუ ისე მოსულხარ ჩემთან, როგორც დიდი პოეტი პატარა პოეტთან, ჯობია, ადგე და წახვიდე!

– არა, ძამიკო, არა, შენ ჩემზე დიდი პოეტი ხარ! შენ იცი, ბავშვები ძალიან მიყვარს, ლექსების ციკლიც დავწერე მათზე... უბრალოდ, მაინტერესებდა, რამ შთაგაგონა ის, რომ მამაშენი ფრიდრიხ ნიცშეა? რამე კავშირში ხომ არ არის გენია და უშვილობა? ჰი, ჰი, ჰი, ისე, ბევრ გენიოსს ჰყავდა შვილები, მაგრამ მაინც რაღაც კავშირში უნდა იყოს ეს ამბები ერთმანეთთან, თორემ ბოზებს ხომ არ მივუძღვნიდი ლექსს „დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ...“

– ვერ ვხვდები შენი ცინიზმის მიზანს! – მკაცრ ტონში თქვა ავადმყოფმა, ამოიოხრა და ისე რომ სტუმრისთვის აღარც შეუხედავს, კედლისკენ მარჯვნივ გადაბრუნდა.

– კარგი ძამიკო, წავალ ეხლა მე, დავმშვიდდი, ცოცხალი რომ დაგინახე.

სტუმარი წამოდგა, ისე რომ უკან აღარ მოუხედავს, მძიმე ნაბიჯებით ღია კარისკენ გაემართა, ხელი კარის შიდა სახელურს ჩაავლო და ძლიერად გაიჯახუნა, შემდეგ ცხვირსახოცი ამოიღო და მთელი გზა ღრმა ფიქრებში წასული ხელებს იწმენდდა... ეჰ, ტერენტი, ტერენტი, მდოგვის მარცვალივით გაბნეული... თუუუმცა, კარგი პოეტი ხარ, პოეზიით ცხოვრობ, გინდა პოეზიაში გაინაფო, მე მაჯობო, სწორედ აქ უშვებ შეცდომას, ხელოვნებაში მთავარი ღვთაებრივი დილეტანტიზმია, ვაგნერისეული – მუსიკაში, ვაკასეული – პოეზიაში და ნიცშესეული – ფილოსოფიაში. მოკლედ, კარგი გამტარი უნდა იყო, ხელოვნური ჩარევებით სულის მოძრაობა არ უნდა შეაფერხო, ხელოვანისგან არაფერს „ითხოვენ“, გარდა იმისა, რომ იყოს „გენიალური დილეტანტი“! პროფესიონალი ხელოვანი არც არსებული და ვერც იარსებებს. პროფესიულად, უფრო სწორად მეცნიერულად, მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, შვილი რატომ ვერ გავაკეთეთ მე, შენ, ნიცშემ და ილიამ... ჰი, ჰი, ჰი, ჰი... არადა, რა-გორ მიყვარს ბავშვები, როგორ უხარიათ ჩემი დანახვა, დღე არ გავა, კანფეტები არ ჩამოვურიგო...

1.

ძველად იერუსალიმში, სილოამის საბანელში, წელიწადში ერთხელ უფლის ანგელოსი ჩამოდიოდა, წყალს აამღვრევდა, ეს იყო ნიშანი წლიდან წლამდე მომლოდინე უშვილოთათვის, აუზში ჩასულიყვნენ – ამ გზით შეიძლებოდა შვილოსნობა დაბრუნებოდათ. ძველ ისრაელში, ისევე როგორც თანამედროვე საქართველოში, უშვილობა ოჯახებისთვის დიდ სირცხვილად ითვლებოდა, გავიხსენოთ ბიბლიური პერსონაჟები, ვისაც ეს პრობლემა დიდ ტკივილს აყენებდა: სარა, რებეკა, ხანა, ელთერი. აქედან, როგორც ბიბლია გვეუბნება, სარას, რებეკასა და ხანას მოგვიანებით შეეძინათ შვილები, ელთერს კი – არა. განსაკუთრებით გამოვყოფდი ხანას შემთხვევას, რომელიც აჩვენებს, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ იმდროინდელ სასულიერო პირებს ასეთი ქალების მიმართ. ხანა ტაძარში მოსთქვამდა, ღმერთს ევედრებოდა გაეხსნა მისთვის საშვილოსნო, სასულიერო პირს კი მთვრალი ეგონა და ერთი კარგად გამოლანძღა. ჯერ ისედაც იმდროინდელი მღვდლები, სადუკეელები, ფარისეელები უბრალო ადამიანებს დამამცირებლად მიწის ხალხს (ამჰა ა რეც) ეძახდნენ, წარმოიდგინეთ, როგორი დამოკიდებულება ექნებოდათ სოციალურად არასრულფასოვან ადამიანთან. მაშინდელი სასულიერო პირების მსგავსად (ესენი ხომ ყველა ეპოქაში ინკუბატორის წინილებივით გვანან ერთმანეთს) ქართული მართლმადიდებლური ეკლესიაც სარგებლობს მრევლში ასეთი სასოწარკვეთილი ადამიანების ფსიქოლოგიური მდგომარეობით და, ვითომ რწმენის განსამტკიცებლად, ასეთ ოჯახებზე ღვთის მიერ თავს დატეხილი განსაცდელის შესამსუბუქებლად სთავაზობს ხატებზე გამოსახული სხვადასხვა „სასწაულმოქმედი“ წმინდანების დახმარებას. თუ მოხდა შემთხვევით და მრავალი წლის მოლოდინის შემდეგ ერთ ოჯახს მაინც შეეძინა შვილი, ამ შემთხვევას ხელზე დაიხვევენ, გააზვიადებენ, ათასნაირად გადააკეთებენ, ბუზს სპილოდ გადააქცევენ ან ხალხს უფრო განამტკიცებენ სიცრუეში, ვითომ სასწაული მოხდა და, აი, ხომ ხედავთ, შეუცნობელ არიან გზანი უფლისანიო, თუმცა, როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში, ასე არ ხდება, რადგან მიუხედავად იმისა, რომ თვითშთაგონებას დიდი ძალა აქვს, მას მაინც არ შეუძლია, ქალს დახშული საშვილოსნო გაუხსნას, კაცს კი მკვდარი სპერმატოზოიდები გაუცოცხლოს და გაუაქტიუროს. რა ქნან ჩვენმა თავსაფარნაკრულმა, დათრგუნულმა, დღედაღამ მლოცველმა ქალებმა, რომლებიც ძალიან განიცდიან, დღენიადაგ სტრესში არიან სოციალური წნეხის გამო.

2.

...და, აი, 1987 წელს საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის, კანონიზაცია მოინდომა. სპეციალურმა საეკლესიო კომისიამ გამოიკვლია მისი პიროვნების ზნეობრივი, რელიგიური მხარეები და დაადგინა მისი სასწაულმოქმედების უნარი, ყოველივე ეს საფუძველი გახდა მისი წმინდანად შერაცხვისა, და ეწოდა წმინდა ილია მართალი... ამ მოვლენაზე, მის დადებით და უარყოფით მხარეებზე ბევრი ითქვა და დაიწერა. მაგალითად, ერთმა ნონკონფორმისტმა ინტელექტუალმა დაწერა, რომ ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვა იყო დაუშვებელი! ერთადერთი პრაგმატული მისაბაძი ადამიანი გვყავდა ზარმაც ქართველებს და ისიც ეკლესიამ მიითვისაო. ნაცვლად იმისა, რომ ვბაძავდეთ, ახლა ყრუებივით მისი ხატის წინ უნდა დავიჩოქოთ და სისულელეები ვთხოვოთო, ეკლესია ყველანაირად ხელს უწყობს ერში მცონარობისა და უსაქმურობის გავრცელებასო. ეს კაცი სულ სხვა მიზნებისთვის და საქმეებისთვის იღვწოდა, გვაფიზლებდა, „ბედნიერი ერიც“ კი დაგვიწერა და ახლა თავად აქციეს იმის ტყვედ, რასაც სიცოცხლეში ებრძოდაო! ამ აზრების წინაალმდეგ მთელი საზოგადოება დაირაზმა – შენ რა, დაგავიწყდა მისი სამება: ენა, მამული, სარწმუნოებაო! ამ თავზეხელაღებულმა ინტელექტუალმა არ დაუთმო: ეგ 23 წლის ყმაწვილმა თქვა, თან ეგრე კი არა, ასე – მამული, ენა, სარწმუნოებაო; სარწმუნოებას მაშინაც ბოლო ადგილზე აყენებდა მაგ სამში და მერე ხომ ათასჯერ შეეცვალა შეხედულება, ამას ადასტურებს მისი ანტირელიგიური, გამოკვეთილად ლიბერალურ-სეკულარული ტიპის პოემა „განდეგილიო“ (იქვე უთითებდა რამოდენიმე პუბლიცისტურ წერილსაც). ეს იყო ამ ინტელექტუალის ბოლო გაბრძოლება, მერე სად გაქრა და რატომ დადუმდა, ალბათ ღმერთმა და იმ რამდენიმე ადამიანმა იცის, რომლებიც მოგვიანებით ერის ერთსულოვნებას და სრული კონსენსუსის აუცილებლობას გვიქადაგებდნენ. მოკლედ, რაზე ალარ დავობდნენ მაშინ, თუმცა ყველას გამორჩა მხედველობიდან ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც მე მინდა გესაუბროთ. ის იყო 1987 წელს ილია ჭავჭავაძე სასწაულმოქმედ ილიად გადაიქცა, რომ მრევლის უშვილო ქალთა გუნდში იფეთქა იმედმა! იფეთქაო კი ვთქვი, თუმცა ეს იმედი, როგორც ამგვარ სიტუაციას შეეფერება, რაღაც ნაირად მაინც მდუმარე იყო, მასზე ხმამაღლა არავინ ლაპარაკობდა, მაგრამ შეიმჩნეოდა, იგრძნობოდა, როგორც სარას ჩუმად ჩაცინება ანგელოზთა უწყებაზე – შვილი გეყოლებაო; ეს ჩაცინება შეუმჩნეველი არ დარჩენილა!

3.

მოკლედ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველაფერი მდორედ და ერთფეროვნად მიედინებოდა, ვიდრე მართლმადიდებელ უშვილო ქალთა გუნდიდან (ამის შემდეგ შემოკლებით მუქვ ვუწოდოთ) გაბედულმა ქალბატონმა გადამწყვეტი ნაბიჯი არ გადადგა და მეუღლეს არ ესტუმრა წინადადებით: „აგერ უკვე 3 წელია, შვილი არა გვყავს, ექიმებმა ისეთი დიაგნოზი დამისვეს, სავარაუდოდ არც არასდროს გვეყოლება; ჩვენი ილია ჭავჭავაძე სასწაულმოქმედი გამოდგა, წამი, კაცო, ერთად მივიდეთ და ვთხოვოთ ამ წმინდას დახმარება“. ქმარმა, ვერ წამოვალ, მე წმინდა ილია მართალს ასეთი კერძო ოჯახური პრობლემის გამო ვერ შევაწუხებო – ოფიციალურ მიზეზად ეს დაასახელა, რეალური მიზეზი კი გახლდათ ურწმუნოება და სირცხვილი. სირცხვილი იმისა, ვინმემ არ დამინახოს, თორემ უეჭველად მიხვდება აქ რისთვისაც ვდგავარო. ცოლისთვის ეს არგუმენტი მისაღები გამოდგა, ამიტომ შავებში გამოეწყო, როგორც დამწუხრებულ ქალს შეეფერება, და სიონში წმინდა ილია მართლის ხატთან მარტომ გასწია. მისი დიაგნოზი კი მართლაც საგანგაშო იყო. გთავაზობთ ამონარიდებს: 01. 10. 1988. პაციენტი: ლ. ბ. პაციენტის პიროვნება იდენტიფიცირებულია პირადობის მოწმობით: პირადი 0113772559. მენსტრუალური ციკლის 24-ე დღე – შეესაბამება სეკრეტორულ ფაზას. საშვილოსნოს ყელის წინა კედელში ისახება ოვალური ფორმის, 20X18X19 მმ ზომის არაერთგვაროვანი დისპერსიული შიგთავსის შემცველი ცისტა – სავარაუდოდ ენდომეტრიოიდული წარმოშობის (იხ. ექოგრამა 1) საშვილოსნოს ყელის უკანა კედელში ისახება სფერული ფორმის 16 მმ დიამეტრის ენდოცერვიქსის ცისტა (იხ. ექოგრამა 2) ენდომეტრიუმის სისქე 22 მმ (ნორმა 7-14) – ექოგენური. სტრუქტურა არაერთგვაროვანი. მის შიდა სტრუქტურაში განირჩევა ქაოტურად გაბნეული ერთეუ-

ლი ექოპოზიტიური ჩანართები (იხ. ქეოგრამა 3) მიომეტრიუმის სტრუქტურა დიფუზიურად არაერთგვაროვანი – დიფუზიური ადენომიოზის (ენდომეტრიოზის) ულტრაბგერითი სურათი. ცერვიკალური არხი არათანაბარი სისქის. შიდა პერიმეტრი არამკვეთრი კონტურით. მარჯვენა საკვერცხე 41X27X34 მმ. მის შიდა სტრუქტურაში განირჩევა რამდენიმე საშუალო ზომის ფოლიკულური ცისტა. ექოგენობა დაქვეითებული. მარცხენა საკვერცხე გადიდებული, მისი საერთო ზომაა 87X53X64 მმ. მასში ისახება ოვალური ფორმის, 66X51 მმ ზომის ცისტა არაერთგვაროვანი შიგთავსით. ზედა პოლუსთან ისახება მეორე ცისტა დიამეტრით 26 მმ არაერთგვაროვანი, ექოგენური, დისპერსიული შიგთავსით – არ არის გამორიცხული ენდომეტროიდული წარმოშობის ცისტები (იხ. ქეოგრამა 4). რეკომენდირებულია განმეორებითი გამოკვლევა ერთი მენსტრუალური ციკლის ჩამთავრებისთანავე (მე-2, 3, 4, დღეს). დუგლასის ფოსო – თავისუფალი.

განმეორებითი კვლევა ჩატარდა ექიმის რჩევისამებრ, მაგრამ, რად გინდა, ექიმებმა პაციენტს კატეგორიულად მოსთხოვეს სასწრაფო ოპერაცია და, შესაბამისად, საშვილოსნოს ამოკვეთა. რა შვილზე ლაპარაკობთ, ქალის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, შეიძლება ავთვისებიანში გადაიზარდოსო!.. – გამოუცხადათ ექიმმა.

ჰოდა, ეს ქალბატონი 1988 წლის 8 ნოემბერს სიონში, სანთლით ხელში, ილია ჭავჭავაძის ხატის წინ იდგა თვალცრემლმორეული და დაახლოებით ასეთი შინაარსის ტექსტით მიმართავდა: „ერში ხომ შენზე დიდი კაცი არა გვყოლია, ჩვენმა ეკლესიამ თქვა, რომ სასწაულმოქმედიც ყოფილხარ. შენ ყოველთვის გაწუხებდა ჩვენი ერის გამრავლების საკითხი. პიროვნულადაც ყველა წმინდანზე უკეთ შენ შეგიძლია გაგვიგო – განსაკუთრებით ჩემს ქმარს, მე, ალბათ, ოლღა უფრო გამიგებდა; რა კარგი იქნებოდა, ისიც წმინდანად შეერაცხათ და ახლა ერთად ყოფილიყავით გამოსახული ხატზე. ნამდვილად იმსახურებს, შენს მკვლელებს აპატია... სანამ ამას იზამდა, ყველა ილია ჭავჭავაძის ცოლად იხსენიებდა, ამ დიდსულოვნების შემდეგ კი, ის უკვე ოლღა გურამიშვილი გახდა, ჭეშმარიტი წმინდანი!.. ჰოდა, იმას ვამბობდი, ხომ იცი, ერის მამავ, გამოგიცდია უშვილობის ტკივილი რაც არის, ამიტომ, გთხოვ, წმინდა ილია მართალო, შეეწიე ჩემს ოჯახს, დაგვეხმარე, რომ შვილი გვეყოლოს..." და დაბრუნდა ქალი სახლში შეგრძნებით, რომ სრულად განიკურნა; ოვულაციის პერიოდი აქვს და დღეს გარდაუვლად დაფეხმძიმდება! დაწვა ქმართან და შემდეგ თვეში ციკლი აღარც ჰქონია. აფთიაქში შეიძინა ტესტი, რომელმაც დადებითი პასუხი უჩვენა. შემდეგ ექოსკოპიაზე გაიქცნენ იმ ექიმთან, ვინც მანამდე იმედი გადაუწერა, და როცა დაინახა ქალი ფეხმძიმედ იყო, ცისტები და ენდომეტრიუმის სისქე კი – დაპატარავებული, თავად გახდა ექიმთან მისასვლელი... ცოლ-ქმარი სასწრაფოდ ეკლესიაში გამოიქცა ილია ჭავჭავაძისთვის მადლობის სათქმელად, და ზუსტად 9 თვეში ვაჟიც ეყოლათ, რომელსაც, რთული გამოსაცნობი არ არის, ილია დაარქვეს. ამის მერე, როგორც ჭეშმარიტ ორთოდოქსებს შეშვენით, საპატრიარქოსთან არსებულ წმინდა ილია მართლის მიერ მოხდენილი სასწაულების აღმნუსხველ კომისიას მიმართეს; დაწვრილებით აღუწერეს თავს გადამხდარი ამბავი, თან ახალშობილიც წარმოადგინეს, როგორც მტკიცებულება. კომისიამ შეისწავლა ყველა სამედიცინო დოკუმენტი, გამოკვლევები, დიაგნოზები და თუმცა ყველაფერი ცხადი იყო, ყველა ეჭვის გასაფანტად დამატებითი კონსულტაციისთვის კვალიფიციურ ექიმებს მიმართა... საბოლოოდ დაადგინა, რომ ეს იყო უდავოდ დიდი სასწაული! კომისიამ, სპეციალურად ამ საკითხზე ერთი კარგი სტატიაც გამოაცხო და „საპატრიარქოს უწყებანში" გამოაქვეყნა უცნაური სათაურით: „სკეპტიკოსებო, აი, თუ არა!" – სტატიაში გამოწვლილივით იყო აღწერილი ყველა დეტალი, გამახვილებული იყო ყურადღება ცოლ-ქმრის დიდ რწმენაზე, რომელსაც ლამის მთების გადაადგილება შეეძლო, ასევე მიუთითებდნენ, რომ მიუხედავად ცუდი დიაგნოზისა, ისინი ფუჭ სასოწარკვეთას კი არ მიეცნენ, პირიქით, განსაცდელმა რწმენა და იმედი განუმტკიცათ, რაც გამოიხატა შემდეგში – არ დაუჯერეს ურწმუნო ექიმების დამღუპველ რჩევას და არ დათანხმდნენ მართლმადიდებლობისთვის შეუფერებელ არაეთიკურ სამედიცინო მანიპულაციებს – მათ, დახმარებისთვის სასწაულმოქმედ ქართველ წმინდანს ილია მართალს მიმართეს, რაც იყო უაღრესად გონივრული საქციელი და უდიდესი ნდობის გამოვლენა. ამით არა-მარტო პირად კეთილდღეობაზე იზრუნეს, საშუალება

მისცეს ქართველ წმინდანს „იქედანაც“ კიდევ ერთხელ დაემტკიცებინა თავისი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარული. ეს ფაქტი უდაოდ ბევრ მორწმუნეს ჩააფიქრებს, ურწმუნოებს კი შემოაბრუნებს დედა ეკლესიის წმინდა წიაღისკენ. წერილი ასეთი მოწოდებით მთავრდებოდა: „უშვილო ოჯახებო, ნუ დაყრით ფარ-ხმალს! გადამეტებულად ნუ დაუჯერებთ ექიმებს, განა ჩვენს წმინდანზე დიდი ექიმი არსებობს ამ ქვეყანაზე?! თქვენი მინდობით, მიეცით მას შანსი დაგეხმაროთ, გაკურთხოთ, განგაკურნოთ და ზღვის ქვიშასავით გაგამრავლოთ, ამინ!

ეს სტატია იყო მოწმეებიდან ცაზე მეხის გავარდნა. ის რაც ლავასავით თვლემდა მორწმუნე მრევლში, უზარმაზარი ძალით იფეთქა! წმინდა ილია მართლის ხატების წინ გაჩნდა მუქგ-ს უზარმაზარი რიგები – სთხოვდნენ, რომ შვილი მიეცა მათთვის. ის კი არა, ეკლესიამ სასწაულნაქნარი პირველი ოჯახის ტექსტზე დაყრდნობით, ახალი ლოცვა შექმნა, დანერა და მიჰყიდა სრულიად მუქგ-ის წევრებს. დაინერა ილია ჭავჭავაძის ახალი ხატები, რომლებიც ზოგი ტაძრებში განთავსდა, ძალიან ბევრი კი მორწმუნე მრევლზე გაიყიდა... საქართველოში, უმოკლეს დროში, როგორც რელიგიურმა, ასევე საზოგადოებრივმა აქტივობამ პიკს მიაღწია, მაგრამ ეკლესიამ შორს ვერ გაიხედა, არ გაითვალისწინა ფსიქოლოგიურად გამანადგურებელი, სრული ფულუტრაციის შესაძლებლობა, რაც ამგვარ ძალისხმევას შეიძლებოდა მოჰყოლოდა ათასობით მართლმადიდებელ უშვილო ქალთა გუნდში, იგივე მუქგ-ში.

4.

მომდევნო წლის დასაწყისი იყო, ჩვენი ღვაწლმოსილი მეცნიერი, ფსიქიატრიის პროფესორი გ. შ. იძულებული გახდა გამოეცა ფუნდამენტური ნაშრომი, რომელიც ეძღვნებოდა ე. წ. ობსესურ-კომპულსურ-იმპულსურ ანუ, აკვიატების აშლილობის სპექტრის დაავადებებს და მათი მკურნალობის მეთოდებს. წიგნში საუბარია სხვადასხვა ტიპის პათოლოგიებზე (შიშები, ფობიები, უნებლიე მოძრაობები და ქმედებები), რომლებზეც მეცნიერები ბოლომდე ვერ შეთანხმებულან ეს შიზოფრენიის ფორმებია თუ მწვავე ნევროზული. ერთი რამ უდავოა, მუქგ-ი მასობრივმა ფსიქოზმა მოიცვა, გადატანილი სტრესებისა და იმედგაცრუებების გამო (მართალია, ჩვენი დიდი წმინდანი, რომელსაც შინაური ხალათის შემოცმა, თავზე თურქული ქუდი, ტახტზე კოტრიალი და თამბაქოს გაბოლება სამშობლოს თუ არა ცოლს მაინც ერჩია – ამას, ლუარსაბის სინდრომი დავარქვათ – ყოველთვის სწუხდა ჩვენი ერის დემოგრაფიული მდგომარეობის გამო, მაგრამ როგორც ჩანს ზემოთ ანტიქართული ძალები არ აძლევდნენ იმის უფლებას, ქართველი ერი დომინირებად პოპულაციად გადაექცია ჩვენს პლანეტაზე). ხელისუფლება, საპატრიარქოს „რეკომენდაციით“ (რომ გაუჭირდებათ, ასე იციან) სასწრაფოდ შეუდგა გამოსავლის ძიებას, დაიბარა ფსიქიატრიაში გამოცდილი მეცნიერები და დაავალა ოპტიმალური გზების მოძიება შექმნილი მძიმე ვითარების შესამსუბუქებლად, თან ისიც დააყოლეს, ვიცით რომ ღმერთები არა ხართო. ფსუსტრირებულ პაციენტებად რაოდენობა იმდენი იყო, სამედიცინო დაწესებულებებს კომპეტენტური კადრები არ ჰყოფნიდათ, ის კი არა, ერთი პერიოდი მთავრობა სერიოზულად ფიქრობდა მსგავსი ჯგუფდაცვის ორგანიზაციას მიემართოთ დახმარებისთვის, იქნება კვალიფიციური მედიკოსებიც მოგვაშველონო, მაგრამ უკუგდებულ იქნა ეს აზრი პოლიტიკიური კონიექტურის გამო, რას იტყვიან ევროპელები, ასეთ სიბნელეს რომ დაინახავენ, ვინ მიიღებს ევროსტრუქტურებში შუა საუკუნეების ცრურწმენებში და ობსკურანტიზმში ჩაძირულ ირაციონალურ ქვეყანასო. ამიტომაც, დაჩქარებულ რეჟიმში გამოიცა ეს ნიგნი, სახელმძღვანელო, რომელიც უფასოდ დაურიგდა ყველა მედიკოსს. წიგნში ყველა შესაძლო შემთხვევა დეტალურად იყო გაანალიზებული, მათი მკურნალობის მეთოდებიც შემოთავაზებული და ასევე მარტივად იყო განმარტებული მდიდარი ფსიქიატრიული ტერმინოლოგია. მაშ ასე, უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ იმაზე, თუ რაზე კეთდებოდა ნაშრომში ძირითადი აქცენტები და ჩვენთვის, ორივესთვის უფრო ადვილი აღსაქმელი გახდება რამხელა საფრთხის წინაშე დააყენა ეკლესიის პროპაგანდამ ქართული საზოგადოება. გთავაზობ ამონარიდებს მისი წიგნიდან:

„ნეირობიოლოგიური კვლევის და თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის მონაცემებით, ობსესურ-კომპულსური სპექტრის აშლილობა მიმდინარეობს თავის ტვინის ახლო წარსულში „ბნელ“ უბნად მიჩნეულ, მაგრამ სწორედ ფსიქიკის უნატიფესი პროცესების ნავსაყუდელში – თავის ტვინის შუბლის წილებში, ე. წ. ფრონტალურ უბნებში...

თანამედროვე კლინიკურ ფსიქიატრიაში აკვიატების აშლილობათა სიმპტომატოლოგია საკმაოდ დანვრილებით არის შესწავლილი და აღნერილი ამ დარგის კლასიკოსების მიერ. დადგენილია მისი უკიდურესი პოლიმორფულობა და შინაარსობრივი მრავალფეროვნება, რომელთა მიმართ პიროვნების კრიტიკული შეფასება ყოველთვის შენახულია, სუბიექტს კარგად ესმის მისი ნაძალადევი და თავს მოხვეული, ხშირად, აბსურდული ხასიათი და ამიტომ იძულებულია მიმართოს ექიმს დახმარებისთვის, რადგან მრავალჯერადი ცდების, მათი საწინააღმდეგო რიტუალების შემუშავების მიუხედავად, თვითონ პიროვნება უძლურია საკუთარი ძალებით და შესაძლებლობებით თავი დააღწიოს ამ აუტანელ აზრებს, სურვილებს, ფიქრებს, მიზიდულობებს, იმპულსურ ლტოლვებს და მოთხოვნილებებს, რომელთა აბსურდულობა, არაეთიკურობა, ამორალურობა და უცნაურობა მისთვის ხშირ შემთხვევაში თავიდანვე ცნობილია, გააზრებულია, მაგრამ არ ძალუძს მათ შეეწინააღმდეგოს და მისგან დაიხსნას თავი, უარი თქვას მისთვის სრულიად უმართებულო და სოციალურ-ეთიკურად მიუღებელ ცდუნებაზე. მაგალითად, როდესაც თანამედროვე მანდილოსანი (ყველა არა, რა თქმა უნდა) შედის საყდარში, აეკვიატება მაცხოვრის (შეგახსენებთ, დიოფიზიტური დოგმატის მიხედვით, მას მეორე ბუნებაცა აქვს, კაცობრივი) ან სხვა წმინდანების (ისინიც ხომ ერთ დროს ხორ-



ეროტიკა

ციელი ადამიანები იყვნენ) მიმართ ბილწი სურვილები და აზრები. იგი, ცხდია, ძალისხმევას არ იშურებს მოიცილოს, განდევნოს ისინი ფსიქიკიდან. ამ მიზნით ცდილობს გამოიმუშავოს რაიმე სახის რიტუალი – დაიჩოქებს და ფორთხვით ეამბორება იატაკს; ხელით შეეხება საეკლესიო ინვენტარს; ტკივილამდე უჭერს ხელს საგნებს და ევედრება მაცხოვარს შეუნდოს მისთვის უსიამოვნო და უარსაყოფი ბილწი აზრები, რომლებიც სატანამ მოახვია თავს. ხშირად ამგვარი რიტუალიც არ არის საკმარისი ასეთი აზრებისგან გასათავისუფლებლად...“

ამ ზოგადთეორიულ ნიაღსვლების შემდეგ ბატონ გ. შ.-ს მოყვანილი და აღწერილი აქვს მართლმადიდებელ უშვილო ქალთა გუნდის, იგივე მუქგ-ის, წევრთა უამრავი შემთხვევა, რომლიდანაც მე მხოლოდ ორი მათგანის ციტირებას მოვახდენ:

„შემთხვევა 6. პაციენტი ნ. ა. 36 წლის ქალი, დაოჯახებული, უშვილო, სოფლის სკოლაში ქართულის მასწავლებელი, მორწმუნე. 2 წელია ეკლესიაში სალოცავად შესულს ილია ჭავჭავაძის ხატთან მიახლოვებისთანავე აღეძვრება, მისივე შეფასებით „ბილწი აზრები“ და აკვიატებული სურვილი კავშირი დაამყაროს წმინდა ილია მართალთან. იქვე ცდილობს დაადგინოს წმინდანის გენიტალიების სავარაუდო ზომა და ფორმა... ასეთი საშინელი აზრების უკუგდება არ ძალუძს. შემდეგში კი არამარტო საყდარში შესვლისას ან ხატთან მიახლოებისას, არამედ წარმოდგენისასაც აღეძვრება „ბილწი სურვილები და ლტოლვები“. სასონარკვეთილებაში მყოფმა მოგვმართა მკურნალობისთვის. გამოკვლევის შემდეგ დაენიშნა: კლომიპრამინის მზარდი დოზები და ასევე მზარდ დოზებში აღპრაზოლამი; ბეტა ადრენობლოკატორ ანაპრილინი და კლონზაპინი ძილის წინ მისაღებად. 3 თვიანი მკურნალობის შედეგად ავადმყოფური აკვიატებული აზრები, ლტოლვები და სურვილები რედუცირებული და დეზაქტუალიზებული იქნა. პარალელურად მოიხსნა შფოთვის სინდრომი, გაუმჯობესდა გუნება-განწყობა, მოწესრიგდა ძილისა და სიფხიზლის მოშლილი ციკლურობა. სამწუხაროდ, როგორც კი პაციენტმა უკეთ იგრძნო თავი, ჩათვალა, რომ მას წმინდანები განკურნავდნენ, უარი თქვა მედიკამენტოზურ მკურნალობაზე და ეკლესიას „დაუბრუნდა“. სულ მალე განმეორებით მოგვმართა მკვეთრად გამწვავებული რეციდივის გამო. დაენიშნა ხელახალი მკურნალობა, რამაც დაუბრუნა შრომის უნარი და იგი დღესდღეობით ჩვეულებრივ რეჟიმში ასრულებს თავის პროფესიულ მოვალეობას...“

„შემთხვევა 66. პაციენტი მ. ს. 39 წლის დიასახლისი, დაოჯახებული, უშვილო, მორწმუნე მართლმადიდებელი. ეკლესიაში სალოცავად შესულს აეკვიატებოდა მორალურად მისთვის სრულიად მიუღებელი, მკრეხელური აზრები და სურვილები. თვალწინ უტრიალებდა წმინდა გიორგისთან, წმინდა ილია მართალთან და სხვა რელიგიურ პერსონაჟებთან გაუკუღმართებული სექსუალური კავშირის პერიპეტიები, იქამდე, რომ ლითონისაგან დამზადებულ საკმაოდ დიდი ზომის ჯვარს, რომელიც ხელში უპყრია ხატზე გამოსახულ წმინდანს, წარმოიდ-

გენდა საკუთარ სასქესო ორგანოში და განიცდიდა ორგაზმის მსგავს სიამოვნებას. ასევე ტაძარში შესულს იპყრობდა განცდა, რომ ფალოსის შიგნით მოექცა, რაც შემოზღუდული იყო ქალის სასქესო ორგანოებით, ანუ აშერების ფორმის (ბაზილიკური ტიპის) საკულტო ნაგებობებით, რაც ბვრილი ექსტაზის მაგვარ გამოუთქმელ განცდას. ამგვარი წარმოდგენებისა და შეგრძნებების დროს ერთდროულად გრძნობდა ღვთის წინაშე უკიდურეს დანაშაულს, რის გამოც აუცილებლად მოხვდებოდა ჯოჯოხეთში, და რაღაც გაურკვეველ ხორციელ ნეტარებას. იგი აკრემლებული გვეხვენებოდა, როგორმე დაგვეხსნა სატანისაგან. გამოკვლევის შემდეგ დაენიშნა ანტიობსესური მედიკამენტები: კლომიპრამი და ალპრაზოლამი მზარდი დოზებით. მათთან კომბინირებულად, სიმპტომატური გამოვლინების შესაბამისად, პაციენტი იღებდა ბეტა ბლოკატორ ანაპრილინს (დღეში 80 მგ), ბრომქაფურის ტაბლეტებს დღეში სამჯერ, აზალეპტინს (50 მგ) უძილობის დროს. მკურნალობა გაგრძელდა ორთვენახევარი და ამ ხნის განმავლობაში მიღებულ იქნა სრულღირებულოვანი რემისია, პაციენტი ბილწ აზრებს სრულიად გაემიჯნა მათი ჯერ დეზაქტუალიზებისა და შემდეგ სრული გაქრობის სახით...“

5.

როდის ყოფილა „ადამიანი მასას“ მეცნიერების მიმართ რელიგიური გრძნობები გასჩენოდა? ან რელიგიის მიერ დანგრეული მეცნიერებას აეშენებინა? მართალია, პროფესორ გ.შ-ს წიგნმა, ცალკეულ შემთხვევებში, შესანიშნავი შედეგი გამოიღო, მაგრამ რა უნდა მოეხერხებინა სახელმწიფოს იმ ასობით და ათასობით შიზოფრენიის ზღვარს მიღმა მყოფი მუქგ-ის წევრისთვის, რომლებიც, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, საფრთხეს უქმნიდა საზოგადოებრივ სტაბილურობასა და სიმშვიდეს?! ამიტომ ხელისუფლებამ და ეკლესიამ ერთმანეთთან კოორდინაციაში შეიმუშავეს გეგმა შემდეგი კოდური სახელწოდებით: „უამი ქვათა მიმოფანტვისა და უამი მათი შეგროვებისა“, რომელიც გულისხმობდა შემდეგს: თვის პირველივე კვირა დღეს, მწუხრის ჟამს (როცა ადამიანის ნება მოდუნებულია), მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში, საიდანაც ღვთისმშობლის ნათელი მოეფინა სრულიად საქართველოს, საყოველთაო ლიტურგია უნდა გამართულიყო, სადაც წაკითხული იქნებოდა ქადაგება, აღავლენდნენ წირვა-ლოცვას – ღმერთს შეევედრებოდა ერი (ძირითადად მუქგ-ის წევრები) და ბერი (ეპისკოპატი), დამცხრალიყო ეს მღელვარება და მრევლს შესძლებოდა დაეთრგუნა ფანატიზმი, რათა საღ აზრს გაემარჯვა!

გამოცხადდა, როგორც მუქგ-ის, ასევე ეკლესიის იერარქების სრული მობილიზაცია. სვეტიცხოველი გადაიჭედა დათრგუნულ ქალთა უზარმაზარი გუნდით (ქმრები, როგორც ჩანს, თავს იკავებდნენ ცოლების გვერდზე დგომისაგან უხერხულობის გამო), ხოლო ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია, ისევე როგორც მთელი ქალაქი, აივსო მრევლით. ქუჩებში დადგეს ხმის გამაძლიერებელი აპარატურა, რათა ხალხს მოესმინა ქადაგება და აქტიური მონაწილეობა მიეღო საყოველთაო ლოცვაში.

მთელ ამ ღონისძიებას უძღვებოდა მცხეთის ეპისკოპოსი, რომელიც, რაღაცით ხევსაბერს ჩამოჰგავდა...

სპეციალურად ამ დღეს დაშვებულ იქნა გამონაკლისი – ტაძარში მყოფ მრევლს მიეცა უფლება, ცოტა არ იყოს მათთვის გაურკვეველი სინერგიის პრინციპის საფუძველზე, ზიარებოდნენ ქრისტეს სისხლსა და ხორცს. ამ მიზნით ტაძარში ორგანიზებულად ჩამოატარეს სეფისკვერი და წყალგარეული ზედაშე. მრევლი პურს ამტვრევდა, თითო პატარა ლუკმას იდებდა პირში (მსგავსად ფსიქოტროპული აბებისა), ღვინოსაც მცირე ყლუპებით ყლაპავდა, როგორც რაიმე კვინტენსენციურ ნაერთს, ან თუ გნებავს, სიცოცხლის ელექსირს. ამ რიტუალმა შექმნა ერთგვარი მასობრივი ექსტატიკური აურა, რასაც ამძაფრებდა ასობით საკმევლის კვამლი. საცეცხლურები, საცეცხლურები, მაგიური საცეცხლურები... ტაძარი პირველყოფილ სურნელებასა და ექსტაზურ ნისლში ჩაინთქა, იქ მყოფთ კი ისეთი აღუწერელი სიმშვიდე დაეუფლათ, რომელსაც ვერც ლევიტაციას დაარქმევ და ვერც კოსმიურ გონთან შერწყმას. ეს უფრო კონტრასტული განცდაა, როდესაც მაქსიმალურად შეიგრძნობ ინდივიდუალობას და არავისი გრცხვენია (მუქგ-ის წევრებს ხელი ჰქონდათ ერთმანეთზე ჩაკიდებული). თითქოს შიშველი ხარ, ნებისმიერთან შეგიძლია შეუზღუდავი ინტიმური ურთიერთობა, მაგრამ არ გჭირდება, რადგან არ განიცდი არასრულფასოვნებას, არ ცდილობ, ვინმეს შენი განსაკუთრებულობა დაუმტკიცო, იმდენად ინდივიდუალური ხარ, იმდენად ავტონომიური, ვინმესთან თანაზიარობა არაფერში გჭირდება! თვითმყოფადი ხარ, თვითსრული. არანაირი სოციალური ვალდებულებები, არანაირი ბიოლოგიური კანონები, იმდენად თავისუფალი, ეთეროვანი და შიშველი ხარ, შეგიძლია უსასრულოდ გაავფართოვო, სამყაროს თავს მოახვიო შენი ეგო. ეს არის არა წვეთის დანთქმა ოკეანეში, არამედ ოკეანისა წვეთში – შეიძლება ითქვას, ადამიანის ეგოს გამარჯვება სამყაროს სულზე! (ალბათ ეს იგულისხმა მიქელანჯელომ, როდესაც სიქსტის კაპელა შიშველი ფიგურებით მოხატა. ჭკვიანმა პაპმა იგრძნო საფრთხე და გაშიშვლებული რელიგიური პერსონაჟები ტანსაცმლით შეამოსინა.) კათოლიკე მორწმუნეები ამას ტრანსსუბსტანციას, ხოლო მართლმადიდებლები ევქარისტიის საიდუმლოს ეძახიან. საიდუმლოს ალბათ იმიტომ, რომ წაშალონ მიჯნა სულსა და ხორცს შორის, ის რაც სამშვინველის თვისებაა რუაპში გადაიტანონ, ამიტომ მე მას ევქარისტიას კი არა, ავი ქარების სტიქიონებს ვუწოდებდი. სწორედ ამ ქარებს ძალუძს ოსტატი და მარგარიტასავით ვოლანდთან ერთად სიმშვიდისა და სინათლის მაგიურ ველში გამოგზაუროს...

ტაძარში სანთლებით ხელში იდგა გ.შ-ს წიგნში ნახსენები, ჩვენთვის უკვე ცნობილი, ორი ქალბატონი. ისინი დღესაც იღებენ ფსიქოტროპულ წამლებს, მაგრამ იმ გენდას, რაც ახლა მათ გულსა და გონებაზე ბატონობდა, ვერ შეედრებოდა ვერანაირი ტრანკვილიზა-

ტორებისა თუ ანტიდეპრესანტების ზემოქმედება. მათთვის ეჭვშეუფავალ ჭეშმარიტებას წარმოადგენდა ის, რომ ქრისტემ სპეციალურად მუეგ-ის წევრებისთვის დაგეგმა დღევანდელი მისტერია, რომელშიც უმთავრესი როლი სწორედ მას ეკისრებოდა, ხოლო მრევლს სულიწმინდის მადლით ამარაგებდა. რომ არა განმეორებითი რეციდივის შიში, ეს ქალბატონები დღესვე გადაყრიდნენ ნამლებს ნაგავში (აკი, ერთხელ მოიქცნენ კიდეც ასე), მაგრამ...

6.

და, აი, ტაძარში ხმა გაისმა, რომელზეც დღესაც ამბობს ერი, ღვთის ხმააო! შესაძლოა, შენც ეთანხმები. დაეთანხმე, პრინციპში მე სანინააღმდეგო არაფერი მაქვს... ამ ხმას სიშორიდან უერთდებოდა საოცარი, არაადამიანური ქართული გალობა, რომლის მრავალგანზომილებიანი დისონანსურ-სივრცული რხევები ოდნავშესამჩნევ ფონს ქმნიდა. ბგერის ძალაზე ბევრი ითქვა და დაინერა. მასზე საუბრობს ფრანგი მეცნიერი კლოდ ლევი-სტროსი – თუ როგორ აძლიერებს პრიმიტიულ რიტუალში მონაწილე აფრიკული ტომის წევრების ექსტაზურ ტრანსს მარტივ რიტმზე წარმოქმნილი შესაბამისი ბგერების ნაკადი... ეს ხდება განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხებში. დაფიქრდით, როგორ დაიხვენა, განვითარდა, წარმოუდგენელ სიმაღლეებს მიაღწია ბგერამ ტრადიციულ ქრისტიანულ რელიგიებში. მათ კარგად უწყიან – „სიტყვა“ ვერასდროს გახდება ადამიანისთვის ღმერთი, თუ განსაზღვრულ ფონემატიკურ და გრაფიკულ ფორმაში არ შეასახლე. არა აქვს მნიშვნელობა ბგერა „სიტყვის“ არსს სწორად გადმოსცემს თუ არა, მთავარია მასზე, როგორც ტრანსცენდენტზე უთითებდეს და ამას აკეთებდეს, უბრალოების და სიმარტივის ნიღბით, რაც შეიძლება პათეტიკურად, პომპეზურად, მსმენელის გრძნობებთან სიტყვის რაღაცნაირი შეთამაშებით, ზეციერის გამნიერებით. დიახ, დიახ, სწორედ იმ ნარმავალ, ადამიანურ გრძნობებთან ბგერის მეშვეობით „სიტყვის“ ასიმილაციით, რომელსაც დღიდან გაჩენისა ებრძვის ეკლესია! და ამ მდაბალი ვნებების იმედზე დაყრდნობით მიიღწევა ნებისმიერი მეტაფიზიკური განზრახვა (ვთქვათ, იდეა ქართველი ერის გამორჩეულობის შესახებ, რაც გამოხატულია ისეთ მარტივ დიფერენციციულ სახელდებაში, როგორიცაა: „ქ ა რ თ უ ლ ი მართლმადიდებელი ეკლესია“, გეგონება ჭეშმარიტება ქართველების ლოგო, ან საფირმო ნიშანი იყოს). ალბათ ამ წერტილშია ყველაზე მეტად შენილბული ეკლესიის მისტიფიკაცია – ხორციელის რეალიზებით (მიჯნის მოშლით) სულიერი ორიენტირები ჭეშმარიტებად შემოგვასაღოს. ამაზე ალბათ რომელიმე ქრისტიანი აპოლოგეტი ასეთ არგუმენტს მოგვიყვანდა: ყველაზე ნათელი აზრები, რომლებიც გამოარღვევს ტვინის სიფრიფანა გარსს და ისხამს ხორცს – სწორედ რომ სულის უსასრულო წყვდიადიდან მოდისო, და ეს მართლაც ასეა...

და, აი, ქალაქში ხმა გაისმა! ჭეშმარიტად ღვთის ხმააო, – ამბობდა ხალხი. შესაძლოა, შენც ეთანხმები... შემდეგ გაჩუმდნენ, გაჩუმდნენ კი არა, დადუმდნენ, გაიტრუნენ, როგორც იტყვიან, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდა კაცი; თვით მცხეთის ეპისკოპოსი ლაპარაკობდა! ხმა რაღაცნაირად რბილი, დახვეწილი და ვედრებით აღსავსე, არავითარი სიმკაცრე, არც პრინციპულობა – ცხოვრებით ტანჯვა შესაძრნეთად გამოსჭვირდა ამ ხმაში. ასეთ დაბალ ტონალობაში შეუძლებელია რაიმეს მოთხოვნა, ვინმესთვის რაიმეს თავსმოხვევა, აქ ჩანს ვინმეს კეთილ ნებაზე მინდობა და ეს ხიბლავდა ყველაზე მეტად მრევლს – ნახეთ როგორ ვუყვარვართ, რა სასიამოვნოა მისგან მონაბერი თავისუფლების სიო, ეს ბგერები გვიპყრობს და ღვთაებრივი მადლით აღავსებს ჩვენს გულებსო. საუბარი იმდენად მარტივი და ბუნებრივი იყო, ტაძარში კი არა, ქალაქში მდგომი მრევლის თითოეულ წევრს ეგონა, ეპისკოპოსი პირადად მას ელაპარაკებოდა. მაგრამ თუ კარგად დააკვირდებოდი ეპისკოპოსის დახუჭულ, ზოგჯერ კი გახელილ თვალებს, მისი სახის გამომეტყველებას, ჟესტებს, მიმიკებს, მიხვდებოდი, რომ აშკარა შეუსაბამობაა ორატორის ხმის ტემბრსა და ჰაბიტუსს შორის... ქადაგების შინაარსი კი დაახლოებით ასეთი იყო:

„სახელისა მამისაითა და ძისაითა და წმინდისა სულისაითა, ამინ! – ეპისკოპოსმა და, შესაბამისად, თითქმის მთელმა საქართველომ პირჯვარი გადაიწერეს. ქადაგება დაიწყო –

ანტიკურ ეპოქაში იყო ერთი ფილოსოფოსი, რომელიც თვლიდა, რომ ადამიანია ჭეშმარიტების საზომი. ქრისტემ ადამიანის ინდივიდუალური ღირებულება არნახულ სიმაღლემდე აიყვანა, მაგრამ ის არ ეთანხმებოდა ამ სოფიტურ მოსაზრებას. იგი თვლიდა, რომ სწორედ ჭეშმარიტებაა ის, რისი მეშვეობითაც შესაძლებელია შეფასდეს ადამიანი. მომიტევეთ ჩემო სულიერო შვილებო, ახლა რასაც ვიტყვი: კაცობრიობის ისტორიაში იყო ისეთი დრო, როცა ერთი დიდი საეკლესიო მამა იძულებული გახდა ეთქვა: ნუ შეადარებთ ცხოველს ადამიანს, ნუ მიაყენებთ ცხოველს შეურაცხყოფასო. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ მძიმე ესქატოლოგიურ დროში, როცა აპოკალიფსი კარსაა მომდგარი. ისმის კითხვა, როცა იესო მოვა მთელი თავისი დიდებით, თავის ანგელოზებთან ერთად, ჩვენ აქ რას დავახვედრებთ? – აქ, ეპისკოპოსმა პაუზა გააკეთა, სათვალე გაისწორა, თვალები ფართოდ გაახილა და მრევლს გადახედა – ამიტომ ადამიანი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ბიოლოგიური და სოციალური ვალდებულებებით! არსებობს ამაზე მნიშვნელოვანი – სულიერი მოთხოვნილებები! აი, რითი შეგვაფასებს იესო წუთისოფლის აღსასრულის ჟამს. მაშინ ის არ იკითხავს ვინ რამდენი შვილის გაჩენა მოასწრო, არამედ, ვინ რამდენი საუნჯე მოაგროვა ცაში. დღესაც, ჩვენს თვალწინ ცხოვრობენ მონაზვნები, ჩვენი წმინდა დედები, რომლებმაც თავი მთლიანად ღვთისმსახურებას მიუძღვნეს, სწორედ მათი მადლით იკურთხება, ზღვის ქვიშასავით მრავლდება ჩვენი ერი, თუმცა მათ არ ჰყავთ ქმრები, არც შვილები, მაგრამ ტკბებიან სასუფევლის ნიაღში უფალთან ურთიერთობით. შეგახსენებთ, სასუფეველი ღმრთისაი თითოეული ჩვენგანის გულებშია. „მაშ, ეძე-

ბეთ უპირველესად უფლის სასუფეველი და სიმართლე მისი, და ყოველივე სხვა მოგეცემათ თქვენ".

ზოგადად, ქართველი ადამიანი მიდრეკილია უკიდურესობებისკენ – ან ყველაფერი, ან არაფერი! – აქ ეპისკოპოსს სული აუფორრიაქდა, ხმა აუკანკალდა და ცრემლები წამოუვიდა, მსმენელშიც ბევრმა დაიწყო ტირილი. – ჩვენ გვიჭირს იმის დაფასება, რაცა გვაქვს. ხშირად გვავიწყდება, რომ მართლმადიდებლური მორალი უპირველესად მოთმინებას გულისხმობს. სახარება გვეუბნება: „ხოლო ვინც ბოლომდე დაითმენს, იგი ცხონდება". – აქ ეპისკოპოსი დამშვიდდა, ხმაც დაუწყნარდა. შესაბამისად მრევლიც.

დიახ, თქვენ ევედრებით უფალს, მოგცეთ შვილი, ეს ბუნებრივია და თხოვნა არასდროს უნდა შეწყვიტოთ. აქ არიან ისეთებიც, ვისი ვედრებაც შეიწყნარა უფალმა... რამდენიმეს მე მოვუნათლე შვილი; ერთ მადგანს ილია ჰქვია და დღეს მგონი სვეტიცხოვლის ტაძარში დგას დედასთან ერთად, მაგრამ წარმოიდგინეთ უფალმა ყველა ლოცვა ერთდროულად რომ შეისმინოს, სამყაროში სრული ქაოსი და განუკითხაობა გაბატონდება. ამიტომ, როგორც ბრძენი მეფე სოლომონი გვასწავლის: ყველაფერს თავისი დრო აქვს ამ მზის ქვეშეთში. იღვაწეთ, იღვაწეთ, დიდი სულიერი ღვაწლით! იდექით უფლის წინაშე წმინდად, შეურყვნელად და უანგაროდ, დაიმშვიდეთ აღელვებული გულები, ჩემო სულიერო შვილებო. შეგახსენებთ, ჩვენი ქვეყანა დედათა შორის უპირველესის, მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრილია, მან კარგად უწყის თქვენი ტკივილი, იღვაწეთ მისთვის, ჩვენი ერისთვის და ის ცის ვარსკვლავებივით გაგამრავლებთ.

ყოფილა ისეც, ადამიანის დიდი ღვაწლისა და თავდაუზოგავი ძალისხმევის გამო, უფალს თავისი გადაწყვეტილება შეუცვლია. გაგახსენებთ ნინეველების შემთხვევას, რომლებსაც განადგურება ემუქრებოდათ, თუმცა მოინანიეს და გადარჩნენ. იყო ასევე აბრაამი და სარა, რომელთაც ღვთის ნებით სიბერეში შეეძინათ შვილი, ისააკი, რომლის მეშვეობითაც ეკურთხა მთელი კაცობრიობა. ასევე, რებეკა და ხანა, რომელთაც დახშული საშვილოსნო გაეხსნათ, მაგრამ იყო ესთერიც, რომელსაც შვილი არ ყოლია, თუმცა ღმერთი უყვარდა სამყაროში ყველაზე მეტად... რა უფრო მნიშვნელოვანია? შვილებო, გაძლევთ ლოცვა-კურთხევას დღეის შემდეგ იფიქროთ უფრო მნიშვნელოვანზე და გადამეტებულად არ აყვეთ ემოციებს..."

შემდგომ ამისა, ქადაგებაში რამდენჯერმე განმეორდა მოწოდება დამშვიდებისკენ. ეპისკოპოსმა, მოიყვანა ბიბლიური მუხლი ფილიპელთა მე-5 თავიდან: „ნურარას ზრუნავთ, არამედ ყოველი ლოცვა-ვედრებისას, მადლიერებით გაუმჟღავნეთ თქვენი სათხოვარი ღმერთს. და მშვიდობა ღმერთისა, რომელიც ყველა გონებაზე უზენაესია, დაიფარავს თქვენს გულებს და თქვენს ზრახვებსაც ქრისტე იესოში". ასევე, გაისმა მოწოდება რიგი საკითხების საღად ჭვრეტისკენ, და შეგონება, რომ თითოეული იქ მყოფი ადამიანი, სწორედაც პერსონალურად ძვირფასია ღვთისთვის და ქრისტემ მათთვის გაწირა თავი. ქრისტესთვის ადამიანის ღირებულება სულ სხვა კრიტერიუმებით ფასდება, ხოლო საზოგადოებისთვის სხვა. დავფიქრდეთ იმაზე, თუ ვისი შეფასება უფრო მნიშვნელოვანიაო ჩვენთვის? ვიფიქროთ უფრო მნიშვნელოვანზე!

ქადაგება მრევლის და სრულიად საქართველოს დალოცვით დასრულდა. ხალხი მართლაც მონუსხულივით იდგა ეპისკოპოსის წინაშე, უსაზღვროდ გამხნევებული, გახარებული! თითქოს მანამდე ბრმები იყვნენ, ეპისკოპოსმა კი თვალები აუხილათ და დაანახათ მათ წინ კარ-განხმული სასუფეველის მთელი სიდიადე, რომელთან შედარებითაც მთელი პლანეტის სწრაფვანი, უბრალო ბავშვური თამაშია.

ბოლოს ეპისკოპოსმა წარმოთქვა ლოცვა, ძალიან ცოცხალი, სულის შემძვრელი, დოგმატური ღვთისმეტყველების კანონიკის ჩარჩოებიდან სრულიად ამოვარდნილი... ლოცვა, დაახლოებით ისეთი ძალის სოლომონმა, რომ წარმოთქვა ერის წინაშე იერუსალიმის ტაძრის გახსნის დროს. მრევლის თითოეულ წევრში ისეთი ზე-ანეული განწყობა იყო, ლამის სხეულებიდან ამომხტარიყო მათი სულები!..

მთელი ეს ლიტურგია, რომელმაც უდაოდ მიაღწია დასახულ მიზანს, დასრულდა ტრადიციული რიტუალით; სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, სადაც 1010 წელს მელქისედეკ კათოლიკოსმა ხუროთმოძღვარი არსუკისძე მიიწვია ახალი ტაძრის ასაგებად, წმინდათა-წმინდის წინ მოხუცი ეპისკოპოსი სპეციალურად მისთვის დადგმულ ტახტზე დაბრძანდა. მუქგ-ის წევრები რაღაცნაირად ჩამწკრივდნენ, რიგში ჩადგნენ, რათა ნელ-ნელა ჩაეკლოთ ტახტის წინ და ეპისკოპოსს ხელზე მთხვეოდნენ. სწორედ აქ მოხდა ისეთი რამ, რის მოხდენასაც ასეთი ამაღელვებელი ღვთისმსახურების შემდეგ არავინ ელოდა.

7.

„თუ გაცთუნებს შენი მარჯვენა ხელი, მოიკვეთე და გადააგდე, ვინაიდან გიჯობს დაჰკარგო ერთი შენი ასოთაგანი, ვიდრე მთელი შენი სხეული ჩავარდეს გეენას." – ნეტავ თუ ახსოვდა მცხეთის ეპისკოპოსს სახარების ეს სიტყვები, როდესაც მის წინ დაწოქილ ადამიანებს მარჯვენა ხელს ჯერ თავზე ადებდა, შემდეგ კი საკოცნელად უწვდიდა?

მხედველობიდან ნუ გამოგვრჩება, რომ ხელებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორც რელიგიურ რიტუალებში, ასევე ხელ-ო-ვნების თითქმის ყველა სფეროში (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ოთარ ჯიქიკალიშვილის მოთხრობა „ლიტერატურული ეკლექტიზმი ანუ საქართველო ეშმაკის სახეში...").

მოდით ახლა ასე დავსვათ შეკითხვა: აქვს თუ არა ხელს უფლება წმინდად ინოდებოდეს? ანდა, რას ნიშნავს ის, რომ ეკლესიას საუკუნეებია გაშვერილი აქვს ხელი და არასდროს აკლდება მკოცნელთა და მუჭში ფულის ჩამგდებთა ლეგიონები? ამ კითხვებს რიტორიკული შეფერილობა დავუტოვოთ – აქედან, ყველამ გულში გავცეთ პასუხი... ჩვენ კი ტექსტის ლაიტმოტივს დავუბრუნდეთ და გავზარდოთ თხრობის დინამიკა!

ჩემთვის, სამყაროში არსებობს სამი ხელის მისტიკის ეზოთერული ესთეტიკა: პირველი, „ღვთის ხელი“ (Hand of God) ეკუთვნის როდენს, მეორე, „ეშმაკის ხელი“ ეკუთვნის როდენს და მესამე „საიდუმლო“ ეკუთვნის ასევე როდენს!

მარჯვენა ხელი – ღვთის ხელი – ქმნილებისთვის თითები შემოუხვევია და იგრძნობა ცდილობს კოლოსალური ძალა (რაც მისი მაჯის მოყვანილობაში ჩანს) მოთოკოს, რამე არ ატკინოს, არ დაუზიანოს ადამიანს. აქ უგულებელყოფილია ბიბლიური გამონათქვამი: საშინელებაა ცოცხალი ღვთის ხელში ჩავარდნაო, სწორედ რომ პირიქ, აქაა შობა, თავისუფლება, მარადიული განახლება. ღვთის ხელში არაა იძულება, არაა შეგრძნება ძლიერის მიმართ უძლურებისა. თუ მეტისმეტად გონიერი არა ხარ, თუ ღმერთს თითებზე არ აობობღდი და ზემოდან არ გადმოხედე, შეიძლება ვერც იგრძნო, რომ მის ხელში ხარ...

მარცხენა ხელი – ეშმაკის ხელი – არაბუნებრივი მოყვანილობა, ამოტრიალებული, გატანჯული, ტკივილით ათრთოლებული, თუმცა ნაზი, საოცრად ნაზი, დატეხილი თხელი ძვლებით შეკოწიწებული. მსუბუქი, ჰაეროვანი, მაგრამ ადამიანით დამძიმებული, ადამიანით, რომელიც შესამჩნევად დიდია ხელის მტევანზე, თითქოს სადაცაა ხელიდან გაუვარდებაო. ადამიანს მის ხელზე სივრცე არ ჰყოფნის, რის გამოც ვერ იმართება, წვალობს, იძულებულია ხელის გულის ერთ წერტილს მიეჯაჭვოს, პრომეთეს მსგავსად. აქ იცი, რომ მის ხელში ხარ, რადგან გადმოიხედავ და ირგვლივ ყველგან უფსკრულია. თუ დაუსხლტები, ერთადერთი იმედი გრჩება, იქნებ ვინმემ მასზე ძლიერმა გტაცოს ხელი საშიშ სივრცეში... ძნელია გარისკვა, დიდი რწმენაა საჭირო...

...და საიდუმლო – ორი მარჯვენა ხელი, გაერთიანებული, ერთმანეთს შერწყმული... არ ვიცით რას მალავს ამ ხელების გულები, რომლებიც რაღაცნაირად ერთმანეთში გადადის. არ ვიცი რა არის ეს თეთრი საიდუმლო, რომელთან ალერსი შეიძლება მოუთოკავიც კი იყოს მნახველისთვის. ვისია ეს გადაჭდობილი ხელები, საიდან ამოდის ეს ვერტიკალი და სად მიემართება? რა არის ასეთ სტატიკაში ამოკვეთილი მშვენიერების დინამიურობა? რატომ გინდა ასე გაშმაგებულმა, ასე ნაზად აკოცო ამ ხელებს?!.

გახსოვს, ეპისკოპოსის ტახტთან ჩამწკრივებული ქალთა გუნდი? პირველი დედაჩემმა ჩაიარა, ეპისკოპოსმა თავზე ხელები დაასხა, შემდეგ მარჯვენა გაუწოდა (ოდნავ უკანკალებდა), დედაჩემმა აკოცა, ღმერთმა დაგლოცოსო, უთხრა ეპისკოპოსმა, პირჯვარი გადასახა და გაატარა. ეპისკოპოსის ხელები იყო თეთრი, თეთრი, წმინდა. რაღაც განსაკუთრებული ენერგიის მატარებელი (ეს დედაჩემის სიტყვებია), რომელიც მუდამ მზადაა სხვათა ბაგეთა მისაზიდად. მართლაც, რაღაც საიდუმლოთი, სინაზით და მიმზიდველობით არის ეს ხელები დამუხტული...

ასე გაგრძელდა დიდხანს, უკვე ეპისკოპოსს დაღლა ემჩნეოდა, ზოგჯერ ხელის ჰაერში დამაგრებაც შესამჩნევად უძნელდებოდა, მაგრამ ჯიუტად არ ეპუებოდა, აგრძელებდა სასოწარკვეთილი მრევლის დალოცვას. მას ასეულობით გაბრწყინებული თვალი შეჰყურებდა, ალბათ ეს ანუგეშებდა, ძალას მატებდა, მცხეთის ძლევამოსილ ეპისკოპოსს!

და აი, მივადექით შემთხვევას, რომელისთვისაც ზევით უკვე შეგამზადე და რომელსაც თავისუფლად შეიძლება ინციდენტი ეწოდოს. რიგში ჩამდგარმა ერთმა ქალბატონმა მოუთმენლობა გამოავლინა, მიუხედავად იმისა, რომ მის წინ სულ ოთხი ხუთი ქალბატონი-ღა იყო დარჩენილი, რიგს გამოეყო და ისე, რომ მის წინ ჩამდგარი ქალბატონებისთვის არც შეუხედავს, ეპისკოპოსის ტახტისკენ გაემართა. ეპისკოპოსმა ოდნავშესამჩნევი ღიმილით ამოხედა და თავისთვის ჩაილაპარაკა, „სასუფეველი ცათა ძალით წარიტაცებაო“ და მის წინ ასვეტილ, თავდახრილ ქალბატონს ხელი დაასხა. ქალბატონი, თითქოს ტრანსშიაო, ერთხანს ასე იდგა ქანდაკებასავით,

თვალდახუჭული, შემდეგ მონყდა ადგილიდან და ტახტის წინ მუხლებზე დაეცა, ეს ისეთი თავგანწირვით გააკეთა, რომ ეპისკოპოსმა ინსტინქტურად ჰკითხა: რამე ხომ არ იტკინე შვილო? და ვინაიდან პასუხი ვერ მიიღო, გააგრძელა მისი დალოცვა, როდესაც ბოლო სიტყვებს ამბობდა და პირჯვარიც გადასახა ქალბატონმა უცბად თვალები გაახილა, თავი ასწია და ეპისკოპოსს უცნაურად მიაჩერდა, ეპისკოპოსმა ოდნავ უხერხულობა იგრძნო და ქალბატონს სწრაფად, თითქოს პირში რაღაც უნდა ჩასჩაროსო, საკოცნელად ხელი გაუწოდა, ქალბატონი ოდნავ შეყოვნდა, ეპისკოპოსს, რაღაცნაირად ქვემოდან, ისე რომ მისი ცერა თითები ეპისკოპოსის მარჯვენა ხელს ზემოდან მოეკვეა – ხელები ჩაჰკიდა, თითებით უცნაურად მოეალერსა და ემთხვია. საკმაოდ უჩვეულო იყო ეს ყველაფერი, მაგრამ აქ რომ დამთავრებულიყო, ალბათ მთელი ამ სიტუაციის უჩვეულობას მხოლოდ ეპისკოპოსი თუ იგრძნობდა... მაგრამ, ქალბატონმა ეპისკოპოსის ხელს ენა აუსვა და წარმოუდგენელი, შეიძლება ითქვას ეროტიკული ალერსი დაუწყო. სასულიერო პირი შეცბუნდა, შეეცადა ხელი ქალისთვის წაერთმია, მაგრამ ვერ შეძლო, იმის გამო რომ დაღლილი იყო და ძალიან სუსტი მაჯა ჰქონდა, ქალს კი საკმაო ძალა აღმოაჩნდა, რათა ეპისკოპოსის მკლავი თავის ხელებში შეეკავებინა. ქალი რაღაც გიჟური ენებით დაიცრა ეპისკოპოსის ხელს, ისე რომ ტაძარში შეკრებილი მთელი საზოგადოების ყურადღება მიიქცია – ეალერსებოდა, კოცნიდა, ხელს ენით ულოკავდა, მკერდზე იხუტებდა... ეპისკოპოსი მთელი ძალით ექაჩებოდა, ქალი კი ხელებს არ უშვებდა... მრევლი დაიბნა, ვერ მოისაზრა ვერავინ ასეთ სიტუაციაში როგორ უნდა მოქცეულიყო. ისევ ეპისკოპოსის დაცვამ, რომელიც ტახტიდან მოშორებით, ნებამოდუნებული მრევლს შეჰყურებდა, იმარჯვა. დაცვის სამი წევრი მივარდა ეპისკოპოსის ტახტს და შეეცადნენ ქალის და იერარქის ხელების განცალკევებას, მაგრამ ეს საქმე არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ისინი ფიქრობდნენ, ქალი ისე იყო ჩაფრენილი ხელს, რომ ორმა დაცვის წევრმა პაერში აიტაცა და მთელი ძალით გამოქაჩა, ეპიკოპოსის ხელს ახლა მესამე დაცვის წევრი ჩააფრინდა და ეპისკოპოსთან ერთად შეეცადა ხელის გათავისუფლებას... და აი, როგორც იქნა, ტრანსში მყოფ, არაადამიანური ძალის მქონე, მორწმუნე ქალბატონს ხელი გააშვებინეს. ეპისკოპოსმა, რა თქმა უნდა, დიდსულოვნად მიუტევა, შემდეგ იგი დაამშვიდეს და სვეტიცხოველის ეზოში მდგარ მეუღლესთან ერთად სახლში გაუშვეს.

ეპისკოპოსი ტახტს დაუბრუნდა, რადგან, ხმის ტემბრის მიუხედავად, იგი ძალიან პრინციპული ადამიანი იყო, და გააგრძელა სულიერი შვილების დალოცვა... თუმცა, როდესაც რიგში მდგომი მორიგი ქალბატონი მიუახლოვდა, იგრძნო, რომ მარჯვენა ხელს მაღლა ვეღარ წევდა, ის კი არა, საერთოდ ვერ ამოძრავებდა, ამიტომ მან მრევლის დალოცვა მარცხენა ხელით გააგრძელა, ოღონდ, მორწმუნე მრევლის წევრებისთვის მხოლოდ თავზე ხელის დადებით შემოიფარგლა. და აი, როგორც იქნა დასასრულს მიუახლოვდა ეს რიტუალი და შესაბამისად მთელი ლიტურგია, რომელმაც მიზანს ნამდვილად მიაღწია, მუდგში ფანატიკური ვნებები დაიცხრო... ბოლოს, მცხეთის ეპისკოპოსი წამოდგა, კიდევ ერთხელ დალოცა იქ შეკრებილი მრეული და სრულიად საქართველო და როდესაც ამბობდა: სახელისა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა, პირჯვრის გადაწერა მოინდომა, მაგრამ იგრძნო მარჯვენა ხელი აღარ ემორჩილებოდა. მან ერთხელ კიდევ მოიკრიბა ძალა, სათქმელს შეგნებულად წელავდა, მაგრამ ვერაფერს გახდა... და აი, პირველად მოხდა ამ უდიდესი ავტორიტეტის მქონე უმაღლესი იერარქის რელიგიური კარიერის განმავლობაში – მცხეთის ძლევამოსილმა ეპისკოპოსმა პირჯვარი მარცხენა ხელით გადაიწერა!

8.

ამ ინციდენტის შემდეგ ეპისკოპოსს ხელზე მკურნალობა დასჭირდა, სასწრაფოდ გერმანიაში გადააფრინეს. დაზიანება ერთობ მძიმე აღმოჩნდა, რის გამოც მოხუც ეპისკოპოსს ხელი თაბაშირში ჩაუსვეს და სპეციალური მკურნალობის კურსი დაუნიშნეს. როდესაც ევროპიდან დაბრუნდა, აეროპორტში ხალხის უზარმაზარი გუნდი დახვდა და იგი იძულებული გახდა ახლა უკვე მრევლისთვის გადაეწერა მარცხენა ხელით პირჯვარი – ამ დროს ეპისკოპოსი შეყოვნდა, რადგან მარცხენა ხელით მიუჩვეველს მომუწული თითების მოძრაობისას სივრცეში მხარეები აერია...

აქ, ისევ მოხდა ყოვლად გაურკვეველი მოვლენა, რომელიც, როგორც პირველი შემთხვევა, რომელზეც თხრობის დასაწყისში უკვე გვქონდა საუბარი, არანაირ ადამიანურ ლოგიკაში არ ჯდება – ქალი, რომელიც ეპისკოპოსს ხელზე ჩააფრინდა და არაადამიანური გზნებით ალერსი და კოცნა დაუწყო, დაფეხმძიმდა (მისი დიაგნოზით თუ ვიმსჯელებთ, ეს ყოვლად გამორიცხული იყო) და ამ ინციდენტიდან ზუსტად ცხრა თვეში ვაჟი შეეძინა, რომელსაც, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, მშობლებმა ილია დაარქვეს. ეს უკვე მე-2 ილია იყო სასნაულით გაჩენილი!

რა თქმა უნდა, ეს ამბავი გახმაურდა, დაიწყო და რა დაიწყო, იმ უდიდესი ლიტურგიის ყველა დადებითი შედეგი წყალში გადაიყარა. მუქგ-ის წევრები, როგორც მგელი კრავს, ისე შეჰყურებდნენ ეპისკოპოსის თეთრ ხელებს. რა არ იღონა საპატრიარქომ, მარტო ბეჭდურ პრესაში კი არა, ტელევიზიითაც კი გააკეთა განცხადება, სადაც შემპარავად უთითებდა მორწმუნე მრევლის ქალბატონების ბევრი ქმედების არაქრისტიანულ და არაზნეობრივ მხარეზე, ასევე, ავტორიტეტული სასულიერო პირები აქტიურად ალაპარაკდნენ მრევლისთვის, (ოტა არ იყოს, ბუნდოვან გაუმაძღარ პიეტიზმზე, ილუმინიზმზე – ბევრი სასწაულის ეშმასეულ წარმომავლობაზე, მადლისმიერი სასწაულის იმიტაციაზე, რომელსაც დედმონები ხშირად მიმართავენ, მორწმუნე მრევლის შეცდომაში შესაყვანად. იმიტაციისა და ჭეშმარიტი მადლის გარჩევის ძალა კი ღმერთმა მხოლოდ ეკლესიას მისცაო, ამიტომ მორწმუნე ადამიანი ვალდებულია, ეკლესიის მითითებებს, ზედმეტი კითხვების გარეშე, დიდი ნდობითა

და რუდუნებით მიჰყვეს, ამით ქრისტეს ემორჩილებაო, – მაგრამ რად გინდა, ნამდვილი ნადირობა გამოცხადდა ეპისკოპოსის წმინდა და სასწაულმოქმედ ხელებზე, ის კი არა, სხვა მაღალი სამღვდელო წოდების პირებსაც შეექმნათ პრობლემები, ისე, რომ ზოგი მათგანი ღვთისმსახურების დროს ხელებს საგულდაგულოდ მალავდა... რაც შეეხება მცხეთის ეპისკოპოსს, საპატრიარქო იძულებული იყო, განსაზღვრული, კონკრეტული ღონისძიებებისთვის მიემართა, რათა თავიდან აეცილებინა სამარცხვინო ინციდენტები. კერძოდ, მცხეთის ეპისკოპოსს და ზოგიერთ სასულიერო პირს (მათ ვისაც სასწაულმოქმედის სახელი ჰქონდა გავარდნილი) შეუკერეს სპეციალური ანაფორები, რომლის ქვეშაც შესაძლებელი იყო მღვდელს ხელები საგულდაგულოდ დამშალა და საჭიროების შემთხვევაში (ალბათ საფრთხის არარსებობის დროს) სპეციალურად შემუშავებული მოძრაობით (ამ საკითხზე სასულიერო პირებმა მკერავებთან ტრენინგები გიარეს) ხელები გამოეწინათ და დაუბრკოლებლად შეესრულებინათ ესა თუ ის მოქმედება. ასეთი ტრაგიკომიკური მდგომარეობა რამდენიმე წელიწადს გრძელდებოდა, შემდეგ მუქგ-ი დაცხრა და დამოშმინდა, ისე, რომ ე. წ. „დამცავი ანაფორები“ საპატრიარქომ ხმარებიდან ამოიღო.

მაინც რამ დაამშვიდა მუქგ-ი? ფროიდულად თუ ვიტყვით, მოხდა მათი ნეგატიური ენერგიის სუბლიმაცია. მოგეხსენებათ 1989 წლიდან მოყოლობელი საქართველომ უმძიმესი წლები გამოიარა, ჰოდა, თავისუფლებისთვის ბრძოლიდან დაწყებული, სამოქალაქო ომითა და რეგიონალური კონფლიქტებით გაგრძელებული და ოპოზიციონერების ცემით დამთავრებული, ქვეყანაში არ ყოფილა მოვლენა, მუქგ-ის აქტიური მონაწილეობა რომ არ მიეღოს. მოგეხსენებათ, სამშობლო ყოფნა-არყოფნის მიჯნასთან იდგა და ვისაც ეცალა უშვილობაზე ფიქრისთვის, ამიტომ მუქგ-იმ სწორედ სამშობლოს გადარჩენაში დაინახა თავისი მისია და რომ იტყვიან თავით ფეხებამდე გადაეშვა ასეთი ამაღლებული, ამაღელვებელი პატრიოტული მიზნების მორევში. ეკლესიამ კი ამოისუნთქა, მაგრამ ახლა ერს დაატყდა განსაცდელი, მუქგ-ი წმინდანების ხატებით, ჯვრებით და სხვადასხვა რელიგიური სიმბოლოებით დარბოდა, საღად მოაზროვნე ქართველებზე (იყო ერთი-ორი ასეთი ადამიანი მაშინ) იერიში მიჰქონდა, ვინც მათ არ ეთანხმებოდა, „ერის მოღალატის“ იარლიყი გარანტირებული ჰქონდა, ერთ გამორჩეულ ფილოსოფოსს გულიც კი გაუხეთქეს... ამის შემყურე ერთმა მწერალმა ინტელექტუალმა დ. ბ.-მ თავისთვის ჩაილაპარაკა – ამათი გადარჩენილი საქართველო შეეარცხვინე მეო! – ამ ჩათქმიდან არ გასულა ერთი წელი, ისეთი მოთხრობა გამოაქვეყნა, მთელი იმდროინდელი საზოგადოება შოკში ჩავარდა. ეს იყო ერთგვარი შოკური თერაპია. მწერალმა ინტელექტუალმა დ. ბ.-მ ტექსტის სათაურად აიღო ერთი ძველი ქართველი მწერლისა და არაინტელექტუალის (ასეთები ბევრი გვყავს) ნაწარმოების სათაური, რათა არქაიზებული ტექსტის პაროდირება-სტილიზაცია მოეხდინა. მან გაამიწიერა ყველა ქართველი წმინდანი და ამ გზით შეეცადა საზოგადოებისთვის დაენახებინა, რომ ყველა პრედიკატი რითაც ეს რელიგიური პერსონაჟები იწოდებიან ჰიპერბოლიზებული და გამითოლოგიზირებულია, სინამდვილეში ისინი იყვნენ ჩვეულებრივი ადამიანები თავიანი არასრულყოფილებითა და ცოდვებით. ისინი ცრუბდნენ, მუშუბდნენ, მამათმავლობდნენ, ყველაფერზე მიდიოდნენ, რათა თავისი ბინძური ვნებები დაეკმაყოფილებინათ და ამ ყველაფერს პატრიოტიზმისა და რელიგიური მსახურების ნიღბის ქვეშ აკეთებდნენ. ის კი არა, ერთ უდიდეს წმინდანზე, ერის განმანათლებელზე ისიც კი დაწერა, როდესაც რამოდენიმე მამაკაცმა ბუჩქებისკენ უხმო, იგი მათ მიჰყვა „მსუბუქითა რონინითაო“. წარმოიდგინეთ რა ამბავი ატყდებოდა ერში? დაინყეს გამოკვლევა, ვინ იყო დ. ბ. და ვაი საოცრებავ, ეს პიროვნება საპატრიარქოში მუშაობდა... საპატრიარქომ მისი ფიზიკურად გადარჩენის მიზნით ფსიქიატრებთან აწარმოა მოლაპარაკება და ამ პიროვნებაზე ე. წ. „თეთრი ბილეთი“ გააცემინა, რაც მის შეურაცხადობას ადასტურებდა, თან დ. ბ. სამსახურიდან გაუშვეს! ეს ინტელექტუალი ფიზიკურად გადარჩა, მაგრამ საზოგადოებამ თავის ნიაღიდან განდევნა, განკეთა, მისი ფსიქოლოგიური ექსორია მოახდინა – სრული გულგრილობა, ინდიფერენტულობა, იგნორირება, ის კი არა, ოჯახის წევრებიც აღარ ეუბნებოდნენ გამარჯობას. ბოლოს, ის მართლა გაგიჟდა! ღირდა მისი ფიზიკურად გადარჩენა? არ ვიცი, ამაზე გულში გასცეს ყველამ პასუხი. დღესდღეობით გარკვეულ სოციალურ ჯგუფებში მოხდა მისი რეაბილიტაცია, ახლა კარგად გრძნობს თავს, ღმერთმა კარგად ამყოფოს...

9.

ისმის კითხვა: რა ხდება დღეს ჩვენს საზოგადოებაში? თუ შეგკერბდა ვოლანდი რომელიმე დიდ თეატრში, სადაც მთელი საქართველო დაეტეოდა, თავად ტახტზე დაჯდებოდა, გადმოგვხედავდა და იკითხავდა, შეიცვალა რამე ქართველებში? რას უპასუხებდა კოროვიევი? არ ვიცი, ეს უფრო რიტორიკული კითხვებია... ამიტომ მე ახლა ფსკერისკენ წავალ...

10.

ეს თავი ყველაზე არასენტიმენტალურია მთელს ამ თხრობაში.

ჩემი სოფლის მდინარეში ქვაა შევარდნილი. ქვა – გახლეჩილი მდინარის შუაში ამოსული, ზეცისკენ შემართული – უძრაობის გენია, მოძრაობის გამანადგურებელი ძალით გარშემორტყმული, როგორც როდენის „საიდუმლო“...

შებინდებისას იმ ქვაზე ვზიავარ.

წვიმს. მდინარე ადიდდა, უკვე ქვას უვლის ზემოდან. წამოვდექი, ხელები გავშალე, დიახ, ქრისტეს ცნობილი ქანდაკებასავით. მდინარემ შიშველი ფეხის ტერფები დამიფარა. მდინარე შავია სატანის თვალებივით! ეგრძნობ, მასზე გავლა არ შემიძლია.

წვიმას შერწყმული ჩემი ცრემლები ნყლის ძლიერ ნაკადთან ერთად ტალახიან მდინარეში ჩაედინება... სტიქიამ ჩემი ენებები მიიტაცა...

ჩამოიქეცი! ჩამოიქეცი! ჩემთვის მაინც სულ ერთია! – ეს ყველაზე ბანალური და მიმზიდველი განცდაა თვითმკვლელისთვის. ყველა სუიციდისკენ მიდრეკილი ასეთ განწყობას იქმნის, განაჩენის საბოლოო აღსრულებამდე, გარდა იმათი, ვისაც მეტმეტად ნესიერი, პედანტურად აკურატული ხასიათი აქვს...

ჰოდა, ვდგავარ ასე, ხარბად ვიყნოსავ დამპალი ბუნების პირიდან ამოშვებულ აშმორებულ ჰაერს და სამყაროს ჩემს სულში ვათვალიერებ. მახსენდება ჩემი ნათლიის დამშვიდებული სახის ნაკვთები, ჰაერში გრაციოზულად მოფარფატე, რაღაც განსაკუთრებული ენერგიით დამუტტული მისი თბილი, თეთრი ხელები, რომელთან შეხებაც თითქმის ყველა ტანში სასიამოვნო ჟრუანტელის დავლას იწვევს... ახლა სად არის იგი? ალბათ, ისევ ვიღაცას ნათლავს... მახსენდება დედაჩემი, მისი გაცისკროვნებული სახე ეკლესიაში, როდესაც მცხეთაში გვერდზე ვედექი და მოჩვენებითი თავმდაბლობით ნიღბავდა საკუთარი რჩეულობის შეგრძნებას, თითქოს არც მიყურებდა, თითქოს იმ მომენტში მისთვის სულ სხვა რამ იყო უფრო მნიშვნელოვანი... და ახლა, და, აი, ახლა, ახლა, ამ მდგომარეობაში დარწმუნებული ვარ, საიდანღაც დედაჩემი მიყურებს, უფრო სწორად, გარემოს შერევია იმის შეშლილი სახე, იმის არეული თვალები. იმ წამში, როდესაც მდინარემ შემაბარბაცა, ფეხებში ძალა გამომაცალა – ეს უზარმაზარი მოხაზულობის, ცრემლიანი სახე წყვდიადში გავიყოლე...

დასასრული

ჩემი გაჩენა, ჩემი გაჩენა, მოვლინება, დედამინაზე პრეისტორიული დარგვა ჩემ უკითხავად, ვიღაცის ნებით, ან უნებართვოდ, ყოფნა-არაოფნა, გაცვეთილი შექსპირული ანტინომიები – დააკვირდი, ალბათ, ამაზე არ მისაუბრია, ისე ვამთავრებ შენთან ურთიერთობას. რაღაც სხვა მანუხებდა, „რაღაც სხვა, უსახელო“, ალბათ, დაგმანული, სამყაროში გასასვლელი კარის დილემა და ის, რატომ ვარ ტახტზე მისვენებული, რას ველოდები, ღმერთის გამოჩენას? არა, ეს ერთხელ იყო, როდესაც კარის სახელური ამოძრავდა... ახლა ღმერთები აღარ არიან, აღარც კარის სახელურები მოძრაობენ, რადგან კარს აქეთ მოლოდინი დაშრა, აორთქლდა და მთლიანად მის ზედაპირს შეენივთა ჩემი მიმხმარი სპერმასავით. ყველაფერი უნაყოფოა... ჰოდა, ნამოვდექი, გაბრუებული მაგიდას მივუჯექი და კალამი მოვიმარჯვე, ვწერ ცოცხლად და ფურცლებს ჰაერში ვფანტავ და თუ შენ ახლა კითხულობ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ცოცხალი ვარ! ისე ბევრჯერ კი მიმტყუნა ფეხებმა – ჯერ გზაზე, შემდეგ მდინარეზე (სადაც ორჯერ კი არა, ერთხელაც ვერასდროს შევაბიჯე)... მაგრამ, ნუ სწუხარ ჩემზე, არამედ საკუთარ თავზე ინუხე! მე შენგან განსხვავებით, მეამბოხე, ახირებული და დაუმორჩილებელი არსება ვარ, უბრალოდ შუა გზაში გავაცნობიერე ერთი ძველი ბერძენი ბრძენის „სასტიკი“ სიტყვების გარდუვალობა – მორჩილნი ბედს მიჰყავს, ხოლო დაუმორჩილებელთ იგი მიათრევსო. ცოტა-ღა დავრჩით, ცოტა, ვისაც გვჯერა, რომ სამყაროს შეცვლა შეგვიძლია, ლამის მეც დავკარგე ამის რწმენა და გავწექი შუა გზაზე იმ რუსი ათეისტივით, დოსტოევსკის რომანში რომაა, მაგრამ, ახლა ვფიქრობ, რომ გზა უნდა გავაგრძელო. ჰო, ჰო, აი, ახლა წამოვდგები და გზას გავაგრძელებ, ისე რომ არც მის დასაწყისზე ვიფიქრებ და არც დასასრულზე. ვივლი, ვივლი, თუ დავიღლები ჩამოვჯდები და იმ ამბავს გავიხსენებ გოგი ბაბუამ კანფეტი რომ არ მიყიდა, აკი გითხარი სიკვდილის მერეც მახსოვს-მეთქი. თუმცა არავითარი „სიკვდილის შემდეგ“, მე მაშინ... ჰო, მისი სახე დავკარგე ტალახიან მდინარეში ... მე კი გადავრჩი... მაგრამ ის უკანასკნელი წვეთი იყო, რამაც ამ სარკოფაგივით ოთახამდე მომიყვანა. ოთახამდე, სადაც ან-ყოფნა არ მუშაობს და ადამიანი სულაც არ არის „ჯამი თავისი წარსულისა“. ოთახში, სადაც გამქრალია საკრალური ქრონოტოპოსი და მხოლოდ ქვეცნობიერის უთხელესი ანაბეჭდები ჟონავს ტვინის ფრონტალურ გარსში. მეხსიერების ეს აჩრდილები დაძრწიან ობიან კედლებზე – იქ, სადაც, ჩვენი ამოწურული არსებობის ფანტომური ინერცია სამი განზომილების ფარგლებსაა გაცდენილი... სნორედ აქაა რეალურისა და ირეალურის გადაკვეთის წერტილი: ღმერთმა სამყარო შექმნა არაფრისაგან – ილია ტახტზე ზის – მე უნდა ვიარო, ვიცი, „გზის ბოლოს ვარდს დავინახავ!“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ახალი თარგმანები

ეს თარგმანები პაკომ ახალი წლის დღეებში გამოგვიგზავნა, გარდაცვალებამდე სულ რაღაც ერთი თვით ადრე. ბოლო ნახევარი წელი ის სიკვდილს ებრძოდა, ებრძოდა პოეზიით, მარადიულზე სწორებით... ვინც როზე აუსლენდერის ამ პატარა ლექსებს ჩაღრმავებით წაიკითხავს, დაინახავს და იგრძნობს, თუ რატომ აირჩია ორი სამყაროს ზღვარზე მდგარმა პოეტმა ისინი სათარგმნად. ასეთი რაღაცეები შემთხვევით არ ხდება – ტკივილიც და იმედიც, რწმენის ძალაც და სააქაოს დატოვების სევდაც იკითხება მის მიერ გადმოქართულებულ ამ სტრიქონებში. პაკოს სურვილი იყო, ორიგინალებთან ერთად დაბეჭდილიყო ეს თარგმანები და ცხადია, ჩვენ მას ვუსრულებთ ამ თხოვნას. მისი ხელიდან გამოსული ერთ-ერთი ბოლო ტექსტები თქვენს წინაშეა. წაიკითხეთ და იგრძენით, კიდევ ერთხელ გაიხსენეთ, თუ როგორი იყო პოეტი პაკო სვიმონიშვილი...

რედაქციისაგან



Rose Ausländer
როზე აუსლენდერი

(1901-1988)

ROSE AUSLÄNDER 1931

ეროვნული ბიბლიოთეკა

Verehrter Gott
Gib mir ein Zeichen
daß gar nichts
ohne dich geschieht

Ich möchte
einem Sternbild gleichen
das sanft
mir leuchtet
wie ein Lied

დამიდასტურე
ღმერთო ქებულო
რომ მხოლოდ
შენი
ასრულდა ნება
მე დამამსგავსე
ვარსკვლავთა კრებულს
გალობასავით
ცას რომ ადნება

Identität

Menschen haben mir
mein ich verboten

Sie wissen nicht
daß ich auch
Baum bin Vogel Stern

und Architekt
der Märchen baut

die sie nicht sehen
obwohl sie
bis in den Himmel reichen

იდენტობა

მას ვინც საზრდოობს
ჩემივე „მეს“
ჩემთვის აკრძალვით
ვერ გაუგია
ვარ მე ჩიტი
ვარ მე ხე
და
ვარ მე ვარსკვლავი
ხუროთმოძღვარიც
მისთვის უცხო ზღაპარს
რომ ხატავს
რას დაინახავს
თავს ცა ქუდად
ჩამოუფხატავს

Am Rand II

Rom führt
zu allen Wegen
wir reisen am Rand
der Wege romwärts
anderwärts
reißt es uns hin
reisen wir hin und zurück
dem flüchtenden Bild
auf der Spur

გზისპირზე

რომი მიგვიყვანს ყველა გზასთან
გზისპირზე დაგვყრის
ბოლოს ისევ რომში გვაბრუნებს
და არეულებს
წინ და უკან გვახეტიალებს
გაქცეული ხატის კვალდაკვალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ich bin
im inneren Rom
geboren
wo tausend nackte
Säulen stehen

Ich kann das Wunder
nicht vergessen
das sich mir wieder
offenbart

მე დავიბადე რომში
ქალაქში
რომელიც ათას შიშველ
სვეტზე დგას
და არასოდეს თავს არ გავიწყებს
ეს სასწაული
მარადმჩენი გამოცხადების

Heimatstadt

Eine goldene Kette
fesselt mich
an meine urliebe Stadt

wo die Sonne aufgeht
wo sie untergegangen ist

für mich

მშობლიური ქალაქი

ჯერარგანცდილი სიყვარული
ოქროს ძეწკვით დაეკიდა
მშობლიურ ქალაქს
აქ ყოველ დილით
ჩემთვის უკვე რომ აღარ ნათობს
ის მზე ამოდის

Erbarme dich
Herr
meiner Leere

Schenk mir
das Wort
das eine Welt
erschafft

გადაირჩინე თავი უფალო
ჩემს სიცარიელეს განერიდე
ან
შემოქმედი დამითმე სიტყვა

Der Regen
klopft
an meine Tür
wie eine strenge
Vaterhand

dann schlägt der Blitz
in meine Augen
und segnet mich
mit lautem Mund

წვიმა კარს დაცხებს
მამაჩემის მკაცრი ხელივით
მერე თვალებში გაიკლაკნება
და მეხთატეხით
ქვეყნიერების გასაგონად
ჩემთვის ილოცებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

Hörst du
die Flöte

Sie spricht
eine helle Sprache
das schöne Naß
einer Melodie

lauschen heißt
beten

გესმის
ფლეიტა რას გვიამბობს
მშვენიერი მელოდიის
წყლიანი ენით
მხოლოდ ლოცვაა
ბგერათა და ხმათა მგრძნობელი

Wenn du
nicht da bist
ist alles blind

Ich sehe
diese Blindheit
mit nackten Augen

როცა შენ არ ხარ
დგას სამყარო
თვალდაშრეტილი
მე ამ სიბრმავეს
გავუსწორე
შიშველი მზერა

Bald
kommt die Freundin
aus der Ferne
mit einem stillen
Blumenkuß

Ich liebe
ihre schönen Worte
wie einen
Himmelsgruß

მეგობარი მოვა ჩქარა
ყვავილთ კოცნის დასადარად
ისე ველი თითქოს ჩემთან
ცამ სალამი დააბარა

გერმანულიდან თარგმნა ამირან (პაკო) სვიმონიშვილმა

ჟან ჟენე

სიკვდილმისჯილი

ეძღვნება
მორის პილონჟის,
ოცი წლის მკვლელის, ხსოვნას

გულს დაადორებს ქვაფენილზე, ეს ქარის ხმაა,
დაჭრილ ანგელოზს ხის ტოტები კაწრავს, არ ინდობს,
და სილაჟვარდით შემოსილა ქვა-მარმარილო,
კარს გამიღებენ ღამით, იქ კი შვება და ხსნაა.

საბრალო ჩიტი, დაცემული, და გემო ნაცრის,
ჩასძინებია მოგონებას კედელზე, დაღლილს,
მუშტი, მუქარით შემართული ზეცისკენ მაღლა
და ხელისგულზე მისვენია ეგ სახე მკაცრი.

სახე, ნიღაბზე უფრო მკვრივი და უფრო მჩატე,
მაგრამ ჩემს ხელში მძიმე არის უფრო იმაზე,
ვიდრე ქურდისთვის ცრემლით სველი თვალი ძვირფასი,
ხელთ რომ უპყრია. მრისხანებას სიფითრე გმატებს.

სახე ბერძენი მწყემსისა გაქვს, ცახცახებს, ბორგავს
ჩემი ხელებით დაფარული. შენი ტუჩები
მკვდრის ბაგე არის და თვალები – ვარდის ბუჩქები.
შენი ცხვირი კი ქერუბიმის ცხვირ-ნისკარტს მოჰგავს.

შენი ბოროტი მოკრძალების სუსხია, ნახე,
რამაც ფოლადის ვარსკვლავებით თმაზე დაგთოვა,
გვირგვინი ვარდის ეკლებისა შუბლზე დატოვა,
ეპილეფსიის ბრალი თუა, რად გიმღერს სახე?

თქვი, რომელ შეშლილ ჭირს და ვარამს შეშურდა შენი,
რამ აგიმღვრია ეგ თვალები სასოწარკვეთით,
რომ თუმცა თვალებს ყინულივით ცრემლები წვეთავს,
შენ ამ ტკივილის სევდიანი ღიმილიც გშვენის?

ამ საღამოთი „მთვარის შუქზე“ შეწყვიტე მღერა!
ოქროს ჭაბუკო, ჯობს, პრინცესა გახდე ამ ღამით,
ჩვენს ტრფობაზე რომ სევდიანმა ფიქრმა დაღალა,
ანდა სჯობს გახდე ბორტზე მყოფი იუნგა ქერა.

სხვა მატროსები თავშიშველნი უმზერენ გემბანს,
„Ave Maria Stella“ მათთან უნდა იმღერო,
თითოეული მეზღვაური შენსკენ იღერებს
თავის იარაღს, მათ ხელში რომ ნელ-ნელა დგება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაკუნთულ ტანზე მეზღვაურებს ლამის ეხევათ
სამოსი, რათა შეაღწიონ, იუნგავ, შენში.
ო, სიყვარულო, გასაღები ჩაიგდე ხელში,
გამიღე ზეცა, რანჰოუტი სადაც ირხევა

და საიდანაც შენ, მეფურად, თეთრ ჯადოს ფანტავ,
თოვლად რომ ფარავს ჩემს ყრუ საკანს, ჩემს ფურცლებს ფარავს:
ძრნოლაა, იის ყვავილებში ჩაფლული მკვდარი...
სიკვდილის მაცნე მამალს ჰგავხარ; მიჯნურთა ფანტომს...

დაძრწის დარაჯი, ფეხის ხმამ არ დააგვიანა.
შენ ავსებ თვალებს ჩემსას, შენზე დარდით ჩაცვენილს.
იქნება, შევძლოთ სახურავზე გავლით გაქცევა.
ამბობენ, ცხელი ქვეყანაა, თურმე, გვიანა.

ო, საპყრობილის სიამენი, უცხონი თითქოს!
ო, მშვენიერი ზეცა, ზღვა და პალმების ჩრდილი,
შეშლილი ღამე, სიმშვიდე და კამკამა დილა,
გადაპარსული თავი, კანის ხავერდის სითბო!

ჩვენ ვიოცნებოთ, საყვარელო, მკაცრ საყვარელზე,
დიდზე, რომელიც მთელ სამყაროს ჩრდილს გადააწვდენს,
და თავის პირქუშ ტავერნებში შიშვლებს დაგვამწყვდევს,
ოქროს თეძოებს შორის, ცხელი მუცლის მხარეზე,

მთავარანგელოზს აღნაგობით ვისაც ვადარებ,
მამრი თავის თესლს გადააფრქვევს ყაყაჩოს, ჟასმინს,
შენ რომ დააწყობ მოცახცახე ხელებით ასე
ფერდზე, რომელსაც შენი კოცნა შეშლის, გადარევს.

სევდის გემო მაქვს ახლა პირში! სიმწარე ავსებს
ჩემს საბრალო გულს! სიყვარულით ტკბობის წუთებო,
მშვიდობით! მტოვებთ საყვარელო ჩემო ბურთებო!
გემშვიდობები ჩამქრალი ხმით, ამაყო ასოვ!

ჭაბუკო, დასთმე ეგ აპაჩის მკაცრი იერი!
ქალწულად იქეც, მოღერებულ კისერზე ნიშნით,
ან, იმ იდუმალ ბავშვად იქეც, თუ არ გაქვს შიში,
ჩემში რომ მოკვდა, ვიდრე ნაჯახს შერჩა კისერი.

ბავშვო ლამაზო, მოისმინე, რაც უნდა მეთქვა,
დანექი, დაე, ჩემი ასო, მაღლა რომ იწევს
შენს მოოქროვილ, შროშანისებრ ყვრიმალებს მისწვდეს,
და შენი მკვლელი სატრფო ძლიერ დაიწყებს ფეთქვას.

მღერის, რომ ფლობდა სხეულს, სახეს, შენს გულს, ახლა კი
ბასრი დეზები მძლავრი მხედრის ველარ დასერავს,
შენი მუხლები, თეთრი, მრგვალი, შენი კისერი
გრილი, ნატიფი შენი ხელი, შენი ასაკი!

გავქურდო სისხლით დაწინწკლული შენი ზეცა და
ყველა სიკვდილი შევაგროვო, რომ მოგიმზადონ
შენი სიკვდილი, შენი ზეცა წმინდა, უზადო,
უცხო შედევრი შევქმნა მათგან, უნდა ვეცადო.

ჭიქებში რომი, სიგარეტი, ზეიმი დილის...
სუნი თუთუნის, საპყრობილის და ზღვის ხმაური,
ჩემს საკანს სტუმრობს, მეხვევა და გვერდზე მაბრუნებს
შარვალზე უბეგაბერილი მკვლელის აჩრდილი.

*

ის სიმღერები, გარს რომ უვლის პირქუშ სამყაროს,
სუტენიორის ყვირილია, მუსიკას მოსდევს,
ჩამომხრჩვალის ხმა, როგორც თოკი, ყელზე რომ მოსდეს,
ძახილი ქურდის, ვნებიანი მეტრფე-საყვარლის.

სძინავს თექვსმეტი წლის ბიჭს, ძილში მაშველ რგოლს უხმობს,
მაგრამ არცერთი მეზღვაური არ გადმოუგდებს.
კედელს აკრულა, თითქოს ძილში ვინმეს ყურს უგდებს,
სძინავს მეორეს, მის ფეხებზე ჩახვეულს უხმოდ.

*

კოხტა, გულცივი, ცისფერთვალა ჭაბუკის გამო,
სიყვარული რომ ვერასოდეს ვერ გავუმხილე,
ვისაც ჩემდამი ტრფობა ექცა დარდად, წუხილად,
ის ქალიშვილი გონდოლაში მე მოვკალ ღამით.

შენ, როცა მზად ხარ მკვლელობისთვის, ნუ აპატიებ,
სისასტიკე გაქვს იარაღად, ქერა თმა ზუჩად,
ვიოლინოთა შეშლილ კივილს ბოლო არ უჩანს,
დაახრჩე შენი თვალთმაქცობით ვინმე რანტიე.

ზეციდან დაბლა დაეშვება ცხენით რაინდი,
ბნელშიც რომ მოჩანს, უმოწყალო, გულგრილი, რკინის,
სადაც მოხუცი ქალი ნელა ბორძიკობს, ტირის.
ნუ შეგაშინებს მისი მზერა, თვალს ნუ არიდებ.

ეს შემზარავი ხილვა ზეცით გადმოვა აქაც,
ტრფობის ცოდვები თავის პირმშოს სხვა ძალას ჰმატებს
და მისი ასო გასაოცარ სიუხვით ბადებს
სურნელოვანი თეთრი სპერმის შეუწყვეტ ნაკადს.

გრანიტის დიდი ლოდი შალით ნაქსოვ ტილოზე,
ხელი თეძოზე, მოუსმინე, ის მოაბიჯებს.
შვებას უნაკლო მისი ტანის მზე მოგანიჭებს,
მშვიდად გაწექი მისი წყაროს სანაპიროზე.

სისხლის ზეიმი ლამაზ ჭაბუკს აძლევს უფლებას
ბიჭს დაეხმაროს, პირველმა ცდამ როცა უწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიცხრე ძრწოლა. შაქარყინულს როგორც წუწნიან,
მის ამდგარ ასოს შენი პირი დაეუფლება.

დაკბინე, კოცნე ჩემი ასო, ნურაფერს უფრთხი
და შენი პირის ბნელ ქვაბულში, შიგნით შეუშვი,
ყელის სიღრმემდე შეაღნიოს, ხელს ნუ შეუშლი,
ჩაყლაპე, მერე ამრეზილმა გადმოაფურთხე!

თაყვანი ეცი მუხლმოყრილმა, როგორც წმინდა სვეტს
ჩემს მკერდზე სვირინგს, შეიყვარე უგონოდ სქესი
ჩემი, რომელიც იარაღზე ძლიერად გესვრის,
თაყვანი ეცი ჩემს კვერთხს, შენში ღრმად რომ შეაღწევს.

შენს თვალწინაა, სულს გიმსჭვალავს, ვნებებით სავსე,
თავი დახარე, ნახავ, როგორ მყარდება, დგება.
კოცნისთვის შექმნილს და დიდებულს წინ შეეგებე,
ქედმოდრეკილმა – „ქალბატონო!“ – მიმართე ასე.

ო, ქალბატონო! აქ მოვკვდებით, ვერ გავიხარებთ!
აჩრდილებს უდევთ ბინა! ციხე თრთის და ცახცახებს!
გვიშველე, მივქრით! ზეციური სახლი გვანახვე,
უმოწყალესო ქალბატონო, იქ წაგვიყვანე!

მზეს უხმე, რათა მოვიდეს და ნუგეში ვპოვო.
მამლებს – დახრჩობა! მიაძინე ყველა ჯალათი!
გისოსებს მიღმა დღე ბოროტად ღიმილს მანათებს:
საპყრობილეში სიკვდილია სუყველას ბოლო.

*

არ მაქვს ჯავშანი, სიძულვილიც არ მიმკობს კისერს,
არც ყულფად მაწევს, ვერც ჩემში ვერ დაისადგურა.
საყელოს ვინევ, ნუ შედრკები, ღიმილი მგლური
ზედ რომ დამემჩნეს, ჩამაჭედე კბილები ისე.

ო, ჩემო მზეო, ესპანურო ღამევ ტიალო,
მოდი ჩემს თვალწინ, სამუდამოდ ხვალ რომ დავხუჭავ.
ხელი მომეცი, სამყაროს ხომ ბოლო არ უჩანს
და წამიყვანე აქედან შორს, ვიხეტიალოთ.

გამოღვიძება შეუძლია ცას კვლავაც, ხოლო
ყვავილებს – ოხვრა, შავ ბალახს კი ნამით ავსება,
დაეწაფება მერე დილა მთელი არსებით,
ზარიც დარეკავს: მე მომცელავს სიკვდილი მხოლოდ.

ო, მოდი, ჩემო ცის ლაჟვარდო, მზის სხივი მოგყავს!
მოდი ამ ღამით, ნახე შენი სიკვდილმისჯილი,
დამკბინე, მირტყი, რასაც მეტყვი, მე დაგიჯერებ,
მაგრამ, ოღონდაც მოდი! თავზე მომადე ლოყა.

ჩვენს სიყვარულზე სასაუბრო ჯერ კიდევ დაგვრჩა.
ჯერ კიდევ დაგვრჩა სიგარეტის ორიოდ ღერი.
რად შეუმოკლა სასამართლომ სიცოცხლის დღენი
მკვლელს, რომლის გვერდით დღის ნათელიც არაფრად არ ჩანს.

მოსწვდი ჩემს ბაგეს, სიყვარულო! კარი გააღე!
გამოიარე დერეფნები მალულად, უხმოდ,
ჩამოიქროლე კიბეებზე, ქარს უნდა უხმო,
როგორც მიაფრენს ხმელ ფოთლებს და დამჭკნარ ბალახებს.

სახურავებზე, თუ დაგჭირდა, კედლებშიც გადი,
შენმა დანახვამ ბოლო სუნთქვა უნდა შემმატოს.
ხან იგინე და ხან ილოცე, ჩემო ფრეგატო,
ოღონდაც მოდი, ჩემს სიკვდილზე საათით ადრე.

*

მოწიფულ მკვლელებს სინათლეში აისი ახვევს
საკანში ჩემთან, აქ ფიჭვების სიმღერა აღწევს,
მეზღვაურების დაწნულ ჰამაკს, მოქსოვილ ბაწრებს,
ოქროსფრად რუჯავს ალიონი და ნელა არხევს.

ქარების ვარდი ამ კედელზე ვინ ამოკაწრა?
უნგრეთის მხრიდან, ვინ ხედავდა ჩემს სახლში სიზმრებს?
ვინ წრიალებდა დამპალ თივის პატარა ზვინზე,
გაღვიძებისას მეგობრები რომ ედგა თვალწინ?

ბოდვაში შექმნი ჯოჯოხეთის ლამაზ სანახებს,
ჯარისკაცებით დასახლებულს, ჩემდა ნუგეშად,
წელამდე შიშვლებს, ყვავილები შარვლის უბეში
რომ გაეზრდებათ და სურნელით თავბრუს დამახვევს.

უსაშინლესი მოიფიქრე რამე ქმედება.
სდიე ბავშვებს და მოიტაცე, რადაც დაგიჯდეს,
სახე უცვალე, სილამაზე დაამახინჯე,
და გაამზადე გვიანაზე ციხის კედლები.

ო, კაიენა სათუთო! ო, ბებერო მარონ!
ვხედავ ოციოდ გეის ქერა ბიჭუნას ირგვლივ,
ბალახებიდან აღებულ ნამწვს აბოლებს იგი,
გუშაგის მიერ გადაგდებულს, მისთვის ეს კმარა.

საუბედუროდ, ერთი ღერი საკმარისია,
თავაღერებულ გვიმრებს შორის, წრეში, ეულად
დგას თავის მოქნილ თეძოებზე, გამორჩეული
და ელის თავის, საკრალური სიძის მისიას.

ბებერ მკვლელებს კი რიტუალი ისევ სურთ, ასე
ერთად დახრილნი ცდილობენ, რომ ოდნავი ცეცხლი
გამოადინონ გამომშრალ ჩხირს, კვლავ არაერთხელ,
უფრო ნატიფი, ვიდრე მათი მთრთოლავი ასო.

ამ კაფანდარა ბიჭუნას წინ რიდით იხრება
მკაცრი ბანდიტი, მოლაპლაპე კუნთების რხევით.
მთვარე ამოდის ცაზე. ჩხუბის მიჩუმდა ხმები.
კედელზე შავი, იდუმალი ფარდა ირხევა.

ასე გმოსავენ მაქმანებით შენი ხელების
ნაზი ჟესტები! ნითელ პალმას მხრით მიყრდნობილი
ეწევი. ბოლი ყელში ჩაგდის, ამ დროს, წყობილად,
სარიტუალო ნელი როკვით კატორღელები

სერიოზული და მდუმარე სახით, მოდიან
შენთან, ბავშვო, რომ გამოსტაცონ შენს ბაგეს ერთი
სურნელოვანი, ერთი ყლუპი, ან ორი წვეთი
შენი ენიდან ჩამოღვრილი ხვეული კვამლის.

ძმაო, მძლეველო! ღვთაება ხარ, ლითონში სხმული,
შესაზარები, დგახარ მშვიდი და უდრტვინველი,
ვიდრე ჰაერში აგიტაცებს, როგორც ფრინველი,
შენი ჰამაკის მომღერალი თოკების წნული.

მაღალი მთიდან შენი სული დაჰყურებს, რა ჩანს,
ხეობის ფსკერზე კატორღელმა გაითარეშა
და იქვე გდია, ცივი, შენზე ფიქრის გარეშე,
ცხელი ტყვია კი სამუდამოდ ფილტვებში დარჩა.

ო, ჩემო ბიჭო, მთვარის შუქზე ცად ახვალ როცა,
შენი ყელიდან მომდინარე, ჩამისხი პირში
სპერმის ნაკადი, სიყვარულო, ამ ტრფობის ნიშნად,
რომ ჩვენს ღვთაებრივ ქორწინებას შევასხათ ხორცი.

შენი სხეულით მომეკარი, მომაკვდავს, შეშლილს,
აღტაცებულმა ჩამიხუტე, მეტი არ მინდა,
მე შენს თეთრ ბურთებს მონუსხული ხელზე დავიდებ,
და მარმარილოს იარაღით შემოვალ შენში.

ო, ნახეთ იგი აღმართული, მოდით, ჩამყლაპეთ!
აღარ ვიქნები მე აქ დიდხანს, მალე, სადა ხართ,
თუკი გაბედავთ, მიატოვეთ თქვენი ტალახი,
თქვენი ტბები და ჭაობები, მოდით ახლავე.

მომკალით! დამწვით! დახოცილნო ჩემგან სულებო!
ვაქანდაკებდი მე სიცოცხლეს, მიქელანჯელო,
მშვენიერებას ვმსახურებდი მუდამ, ტანჯული,
მუცლით, მუხლებით თუ ხელებით – ღმერთო, სრულებით.

დილით მამლების და გალური ტოროლას ხმები,
მერძევის კასრი ურიკაზე, ზეცაში ზარი,
ნაფეხურები, ჩემს სარკმელში ელვარე ბზარი,
გრიფელის შავი საპყრობილე ნათელი ხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



არ მეშინია, ბატონებო! სულ მალე, ვატყობ
შენს თავთან ერთად გააგორებს ჩემს თავს ჯალათი,
ის ბედნიერი ჩაგორდება შენთან კალათში,
მოგეხუტება მხრებზე, ჩემო პატარა ბარტყო.

შეხედეთ! ბაგე გაუხსნია ტრაგიკულ მეფეს,
სასომიხდილმა შენს ბაღებში შემოვაღწიე,
სადაც შენ დგახარ აღგზნებული, ხელი აწიე
და თავზე იდებ ლურჯი ტილოს ქსოვილს საფენს.

ბოდვაში ვხედავ შენს ორეულს და გიალერსებ,
ტრფობავ! სიმღერავ! დედოფალო! ეს შენი მამრი
აჩრდილი არის, რომ დავლანდე კვრინჩხებში გაკვრით,
ასე გამჭოლი მზერით რომ ჩანს კედლის ნალესზე?

დაე, აუღერდეს სიმღერები, ხელი არ ახლო,
შენს ბოშურ გულში; მიწყალობე თუნდ ერთი კოცნა...
ო, ღმერთო, სული ამომხდება იმ წუთში, როცა
ვერ მიგიხუტებ გულთან ან ჩემს ასოსთან ახლოს!

*

შემინდე, ღმერთო, მე უღირსმა მრავალი ვცოდე!
ცრემლი მაქვს ხმაში, ტანში მზარავს, მტანჯავს, მაციებს,
მშობელ ქვეყანას, საფრანგეთს რომ ჩამომაცილეს,
ნუთუ არ კმარა, მოვისვენო, იმედი მქონდეს,
რომ დამაძინებ.

ლოცვა ჯერ კიდევ შემიძლია, ნელსაცხებლიან
შენს მკლავებში მსურს, რომ ვიპოვო თავშესაფარი.
ეს ხომ მე ვიყავ, ვინც შეჰყვირა, მამავ უფალო:
დიდება ჰერმესს, პირმშვენიერს და ნაზტერფიანს,
რომელიც მფარავს!

სიკვდილს მშვიდსა და მარადიულ ძილს ვევედრები,
სერაფიმების ტკბილ გალობას საამო ხმაზე,
კულულებიან ანგელოზებს სუსხიან ცაზე,
დღეებს უმზეოს, უმთვარეოს, რომ გათენდება
სამყაროს თავზე.

ჯერ შემიძლია მშვიდი ძილი. გილიოტინის
ფიცარნაგამდე არ მიმიყვანს ამ დილით გზები.
ჩემი იესო ფხიზლობს ერთი სართულით ზევით
და გადაპარსულ თავში მახლის ჩექმას, ლოდივით
მძიმე თასმებით.

*

მკვდრის ძილით სძინავს საპყრობილეს, ხმაურს ვერ იგებს.
მეზობლად ცხოვრობს ავადმყოფი ეპილეფსიით.
მეზღვაურებსაც ესიზმრებათ მხსნელი მესია
და გასცურავენ, რომ ეწვიონ სხვა ამერიკას.

ვასილ გოლოგოროდკო

(Василь Голобородько, დაბ. 1945)

* * *

სურდა კაცი ყოფილიყო.

რომ არ ეცეკვა – მოიკვეთა ორივე ფეხი
(შეწყვიტა მეგობრებთან სიარულიც),

რომ არ ეჩხუბა და ბრაწი არ ეჩვენებინა –
მოიკვნიტა თითები
(არ შეეძლო ვაშლის მოწყვეტაც),

რომ არ გაეგონა ცუდი სიტყვები – მოიჭრა ორივე ყური
(არ ესმოდა კარგებიც),

რომ არ დაეძახათ მისთვის ცხვირა – ამოიბრუნა ცხვირი
(ცხვირპაჭუა გახდა),

გომბეშოები რომ არ დაენახა – დაითხარა თვალები
(მაგრამ ვარდებსაც ვერ ხედავდა),

რომ უცებ რამე არ წამოეყრანტალებინა – ამოიგლიჯა ენა
(სატრფოს საალერსო სიტყვების თქმაც შეუწყვიტა).

იგი ყოველდღე იტარებდა
რაიმე პლასტიკურ ოპერაციას საკუთარ სხეულზე,
რომ სხვების, ყველას მსგავსი გამხდარიყო.

თვითმკვლელები

ჩვენ ვართ ხოხლანდიის ბოთე მცხოვრებნი,
ჩვენ ვართ ულვაშებჩამოყრილი ხოხლები,
ჩვენ ვართ მცონარეები და ლაჩრები,
ჩვენ ვართ ბობოლები და მათი დამქაშები,
ჩვენ ვართ ყაჩაღები, გამცემლები, პოლიცაები,
ჩვენ ვართ მაზეპელები,
ჩვენ ვართ პეტლურელები,
ჩვენ ვართ ბანდერელები, –

ჩვენ ვერაფრით დაგვიცავს თავი თავდამსხმელთაგან,
ნებისმიერი შეურაცხყოფისგან,
წარამარა რომ გვაყენებენ:

ჩვენი არტილერია ჩუმაკთა ხარებშებმული ურმებია,
მაღლა შემართულ ხელნებს რომ უმიზნებენ
მტერს,
ყოველი მხრიდან და არსაიდან რომ გვიტევს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ავიაცია ქარის წისქვილებია,
თავმოყრილი ერთ საბრძოლო აეროდრომზე –
ხალხური ხუროთმოძღვრების ღია ცის ქვეშ მონყობილ მუზეუმში.

საჩვენო ადგილი არაა საკუთარ მინაზე,
ჩვენ ვერსაით გაგვიწევია ამ ქვეყანაზე:
ჩვენ ვმიგრირებთ მხოლოდ ძველ საბერძნეთში,
როცა ჰომეროსის „ილიადას“ გადავშლით ხოლმე, –
თავის გატანის მიზნით თავს ვიკლავთ:
საკუთარ სახელს – უკრაინელის სახელს – აღვგვით პირისაგან მიწისა,
როგორც საკუთარ ფურთხს,
ჩვენ უარვყოფთ საკუთარ ენას,
როგორც რომელიღაც ჩაუდენელ დანაშაულს,
რომელშიც თითქოს ბრალს გვდებენ,
ჩვენ უარვყოფთ საკუთარ სახლს,
რომლის კედლებიც უკვე აღარ გვიცავენ, –
ჩვენ ვართ თვითმკვლელები.



ანატოლი კიჩინსკი

(Анатолій Кичинський, დაბ. 1950)

სურა

მოდი, დამცალე ბოლო წვეთამდე
და დამამსხვრიე საბედნიეროდ,
მიმოაგროვე ყველა ნატეხი
ისე, რომ ერთიც აღარ მიგირჩეს,
თვით ის რჩეული, ის ერთადერთიც
შენთა ბაგეთა უნაზეს სითბოს
თვით მინაშიაც რომ შეინახავს
ძალიან დიდხანს, ყველა ნამსხვრევთან
ერთად მინაში ჩამარხე ისიც,
რათა მომავალ ბედნიერებას
არ გაუსეროს უეცრად ფეხი...

სასროლეთი

ვუმიზნებთ ვუმიზნებთ ვუმიზნებთ
კურდღლის ბეწვის ქუდს რომელიც ჯერ კიდევ
სიჩუმეში ყურებჩამოყრილად სტაფილოს ახრამუნებს
მელიის ქათიბს რომელსაც ჯერ კიდევ ნადავლის ძებნაში
ზამთრის ველის თეთრ ხელისგულზე
სძულს საკუთარი სასიკვდილო ფერი
ვუმიზნებთ ვუმიზნებთ თვალდახუჭულნი
ციყვს თვალის გუგაში ჩვენ ვუმიზნებთ
ვუმიზნებთ სიჩუმეში
სუნთქვაშეკრულნი პირდაპირ ყურში ვუმიზნებთ
ნაზი ფეხებით მოცეკვავე შველს
სანთლის წამიერად გაელვებულ ყავისფერ სხივს
რომელსაც ჰგავს დამფრთხალი ტყისქათამას აფრენა

ვუმიზნებთ ვუმიზნებთ ოდნავ სულმოთქმულნი
იხვის ჭუკების ნაცრისფერ დუმფარებს
მდინარეთა და ტბორთა აუმღვრევლობას
სისხლის მიმოქცევას ზღვათა და ოკეანეთა
საიდანაც გუშინწინ ამოვედით ნაპირზე
ვუმიზნებთ ვუმიზნებთ ვუმიზნებთ
კაკალ გულში ხეებს რომლებიდანაც
მიწაზე გუშინ ჩამოვბობღდით
ხეებიდან რომელთა წლიური წრეები
იქცნენ სამიზნეებად ჩვენ ვუმიზნებთ
ვუმიზნებთ ვუმიზნებთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტანისლავ ჩერნილევსკი

(Станіслав Чернілевський, დაბ. 1950)

* * *

უკანასკნელად დღეს შენა ხარ ჩემი სტუმარი.
ეს საუბარი დაჭიმული მშვილდის დარია.
წახვალ, დავრჩები ყრუ-მუნჯივით ბაგემდუმარი,
რადგან დუმილი სნორედ წასვლის საწინდარია.

განშორებისთვის ხორციელი ბედმა დაბადა,
ეულად მოსულს ელოდება ყოფნა ეულად...
შემოსასვლელთან დაკიდული ორი ლაბადა
სახელოებით ჩვენს მაგივრად გადახვეულა.

* * *

შექსპირმა ბრძანა, რომ სიბნელეს ბრმებიც ხედავენ,
ფიქრიან სატრფოს, კაცმა რომ თქვას, სიბრმავეც შვენის.
მე კი, ვით ლანდი პილიგრიმის, ბინდს შევედავე
და არც კი ვიცი, რომელია სარკმელი შენი.

სართულებიდან ეშვებიან ნათლის სვეტები,
მე კი, მერნმუნე, კარგად ისიც ვერ გამიგია,
ამ ტროტუარზე უთავბოლოდ რად ვეხეტები,
ან ფეხქვეშ ბაცი კვადრატები რატომ მიგია.

ზურგსუკან ხენი ქანაობენ, როგორც მთვრალები,
თითქოს ბურუსში გზას იკვლევენ ხელის ცეცებით...
შექსპირმა ბრძანა: „მომისმინე თუნდაც თვალებით“,
„თუნდაც სარკმელით მომისმინე“, – მე გეხვეწები!

* * *

თბილა. არ გვათოვს და აღარ გვაწვიმს
და ეს სისხამი სიზმრის ტყუპია.
ამდგარა დედა და კვამლის ბაწრით
სახლი ზეცისთვის გამოუბია.

თითქოს ღუმელში ჭინკები სხედან
და მეშინია, რომ არ ინავსონ.

საბანს სათუთად მისწორებს დედა
და არც კი მკითხავს, რად არ გძინავსო.

დრო უწყვეტ წლებად გადაიქიმა,
სულ დამავიწყდა, რაც კი მტკენია.
მე ძველებურად ციცქნა ბიჭი ვარ
და დედა ჩემზე უფრო ბრძენია.

მოგონებები სადღაც მიდიან,
ბრწყინავს ბავშვობის ოქრო და ვერცხლი
სახლში, რომელიც ზეცას ჰკიდია
სისხამზე დედის დანთებულ ცეცხლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარას ფედიუკი

(Тарас Федюк, დაბ. 1954)

„ჰა გაზაფხულიც აგერ მისი ნაფეხურები!..“

ჰა გაზაფხულიც აგერ მისი ნაფეხურები
მოვიდა ისევ მე ვკითხულობ ვინ დაპატიჟა
სისულელეებს ჟივჟივებენ კვლავ ბეღურები
და მათი ხმები ვეღარავინ ვეღარ გათიშა

არის სხივების ლაპლაპი და რუების დენა
ცოკ-ცოკ... გარშემო მიმოდიან სხვისი ცოლები
ჰო კიდევ წვიმამ უცაბედად აიდგა ენა
ნავიგაცია სანაპირო ქვიშის ზოლები

ბებერ ბახიტის ლექსთა ტომი სტრიქონთა დავა
თავად სტუმრებიც ასარჩევად – პატარა დიდი
შენ თავს იმართლებ საჭიროა ცხოვრება კვლავაც
ახია შენზე მართლაც ახი იცხოვრე მიდი

„შენ მონაზონი დადგებოდი ქორფა ნინველი...“

შენ მონაზონი დადგებოდი ქორფა ნინველი
რწმენა გაკლია მაგრამ გშვენის სათნო იერი
მოკლე სახელიც გამკობს როგორც შავი ფრინველი
და თუმცა ერთად ვეღარ გავხდით ჩვენ ბედნიერი

სჯობს უფალს ერგო ვიდრე ქუჩის თაღლითს და ჯიბ-
გირს
შენ გაქვს ისეთი ტუჩები და ხელისგულები
მხურვალე ლოცვით შეგიძლია დაადნო ფიფქი
და მეც დამლოცო მოკვეთილი შენგან სრულებით

და უკრაინის წყნარი ღამით მხევლისნაირად
როცა საკანში ხელთ გექნება წიგნი ჯვრიანი
იტოკებს გახდილ კაბასავით შავი ჰაერი
და შენ სიგარეტს მოგანდომებს ღამე გვიანი

ВАСИЛ ГЕРАСИМИУКИ

(Василь Герасим'юк, დაბ. 1956)

პოეტი ცაში

ვდებ ჩემს ცისარტყელას ღრუბელში
ნიშნად აღთქმისა ჩემსა და ქვეყანას შორის.
დაბადება, 9. 1.

შენ ხარ ყორანი
შენ კიდობნიდან მტრედზე უნინ
გამოგაფრინა ნოემ
შენს შემდეგ მტრედი სამჯერ გაფრინდა

გეუბნები პოეტი ხარ-თქო
თქვი როდის
ჩამთავრდებიან
თვალგახელილი გოლიათები

ამბობ ეს წარღვნაა
ეს ეხება თვით ნეტართაც
რადგან ზოგი მათგანი სამუდამოდ ჰაერში რჩება
მაგრამ თვით ჰაერიც წყლად იქცა

გეუბნები პოეტი ხარ-თქო
შენ მტრედზე ადრე გაფრინდი
შენ გაფრინდი პირველი
შენ დაფრინავდი უპირველეს აღთქმაზე ადრე

ამბობ ეს ცისარტყელაა
ეს ეხება თვით მკვდრებსაც
რადგან ზოგ-ზოგნი საუკუნოდ რჩებიან ჰაერში
როცა ჰაერი გიუდება
როცა
ჰაერი
გიუდება

გეუბნები ყორანი ხარ-თქო
და ეს ბოლოს და ბოლოს გეხება
მხოლოდ შენ
ო ეს სრულყოფილი კატასტროფაა

* * *

თუკი შორეულ დათოვლილ ტყეში
შუალამისას
გოგონების გალობა ისმის,
იქ უსათუოდ არსებობს სკოლა,
სადაც სწავლობენ ის გოგონები.

ნუთუ იმ ტყეში არავინ ისვრის
ანდა იარებს არავინ ახვევს,
არავინ ყვირის, არავინ ტირის.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუთუ ის სკოლა გადათოვლილ
ნაძვებს მიღმაა.

ოდნავი სიოც რომ არ იძვროდეს,
წყნარი გალობა მიფრინავს სადღაც,
რომ შუა გზიდან მობრუნდეს უკან.
რომ აღარ იდოს თოვლი არსადაც,
წყნარი გალობა მოგწვდებათ მაინც.
თუკი კოსმაჩურ მთვარის მოსასხამს
გადააფარებ იორღას შენსას
და მასზე შესვამ საკუთარ სატრფოს,
მას უმალ ტყეში წაიყვანს ცხენი.



თუკი ჩაიხრჩო კოცონი თოვლში
და კვამლი მიწას ზედ დაეფინა,
გწამდეს, მანდა ხარ განთიადამდე.

ჩვენ იქ ძალიან ადრე გამოვჩნდით,
როს დახსომების თავიც არ გვქონდა,
ვთიბეთ ბალახი, ვჩეხეთ ჯაგნარი,
ვხოცეთ ირმები და ვხოცეთ მგლები,
ჩვენ კოსმოსიდან ჩამოვლალეთ ქათქათა ცხვრები
და გადათოვლილ ზამთრის უღრანში
გოგონებისთვის ავაგეთ სკოლა.
და ჩვენს სოფლებში მას შემდეგ მუდამ
სულ უფრო გვიან იწყებენ ქორწილს.
იწყებენ ახლა შუაღამისას,
რათა გამოვძღეთ, რათა გამოვთვრეთ,
ვიჯეროთ გული ცეკვით, გართობით,
მზის ამოსვლამდე...

იური ანდრუხოვიჩი

(Юрій Андрухович, დაბ. 1960)

აკლდამა

და აპა ისევ შევიყარეთ მთელი ოჯახი
როს სასაფლაოს მსახურებმა საეჭვო სხივი
ბოლო ჩვენგანის კვალდაკვალ მოჭრეს
და ჩვენ კვლავ შევხვდით ისე როგორც ბოლო ხანებში
ბირჟაზე ანდა
ფიაკრებით სეირნობისას
ან ქალაქგარეთ საკვირაო მეჯლისზე კლუბში
ვწევართ ქვასავით იატაკზე
წვიმის წყლითა და
ნეშომპალათი დამძიმებულ მარმარის თასქვეშ
და მაინც ფრიად საპატიო პირების გვერდით
ხელმარჯვნივ შაქრის მაგნატი გახლავთ
ხოლო ხელმარცხნივ საოპერო გახლავთ ტენორი
ჩვენ აღარ გვესმის წყლის შხუილი
ქარის ხმაური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქსანა ზაბუჟკო

(Оксана Забужко, დაბ. 1960)

პოეზიის განსაზღვრება

ვიცი, რომ წვალებით მოვკვდები,
როგორც ყველა, ვისაც უყვარს საკუთარი სხეულის ჩამოქნილი მუსიკა,
ვისაც ძალუძს გააძვრინოს იგი შიშის ნასვრეტში,
ვით ნემსის ყუნწში,
ვისაც მთელი ცხოვრება ცეკვით გაუტარებია – ისე,
რომ მხრების,
ბეჭების, თეძოების ყოველი მოძრაობა სანსკრიტივით
გასხივოსნებულიყო აზრის შორეული
იდუმალებით,
ხოლო კუნთებს კანქვეშ ისე ეთამაშათ,
როგორც თევზებს ღამეულ ტბაში, –
გმადლობ, უფალო, რომ სხეული მიბოძე მოკვდავს!
ჰოდა, როცა სიკვდილი მომადგება, მოუხმეთ ოსტატებს,
რათა საბანი გადამხადონ
(ასე კვდებოდა თურმე პაპაჩემი, ჯადოქარი, როგორც ამბობენ) –
ჰოდა, როცა უკვე დონდლო სხეულიდან
მსუბუქად მოხარშულ ცილასავით
გამოანათებს დასიებული სული
ალაგ-ალაგ დამჩნეული ლაქებით
(სხეული კი ამასობაში აძაგძაგდება,
როგორც საბანი, რომელსაც ავადმყოფი იშორებს,
რადგანაც იგი მას სულს უხუთავს), –
სულს კი სულ ერთი სული ექნება
როგორმე დაუძვრეს სხეულის მარწუხებს, წყეულ გრავიტაციას, –
და მაშინ ხმაურიანი ცივი ვარსკვლავცვენით
გამოანგრევს კედელს კოსმოსი
და თავის გალაქტიკურ მილში
გააძვრენს სულს, ააფარფატებს ქაღალდის ფურცელივით,
ჩემს ჯერ კიდევ ყმაწვილ სულს,
სველი მდელოსფერი რომ დაჰკრავს –
ეჰ, გააძვრენს სამშვიდობოსკენ! – და:
– შესდექით! – შეჰყვირებს იგი
სულთან გაყრის ჟამს,
თვალისმომჭრელ დანისპირზე
ორ სამყაროს შორის გავლისას, –
შესდექით, აქ გაჩერდით,
აი, სადაა პოეზია,
ღმერთო, ბოლოს და ბოლოს!
...თითები უკანასკნელად გაფათურდებიან
ავტოკალმისკენ,
თითქმის გაშეშებული, თითქოს სხვისი თითები...

ალექსანდრ ირვანეცი

(Олександр Ірванець, დაბ. 1961)

ორი მოულოდნელი ვერლიბრი

პირველი მოულოდნელი ვერლიბრი

"The shadov of your smile"
მიწისქვეშა გადასასვლელში.
ამ რიგში ხუთი კაციდან
ყავისთვის მარტო მე ერთი ვდგავარ.
ორი წინ და ორი უკან –
ორჯერ ას-ასი გრამი და კიბორჩხალის ჩხირები.
სამყარო საოცრად სიმეტრიულია,
იგი დგას არა სამ ვეშაპზე,
არამედ კიბორჩხალის ოთხ ჩხირზე.
სამწუხაროდ, მე არ ვიცი მათი გემო –
მე ვერ მოვაჭამ სამყაროს ბოძებს.

მეორე მოულოდნელი ვერლიბრი

თქვენ ხომ კაცნი ხართ, არა ძაღლები.

ტარას შევჩენკო

ჩვენ რომ სამართლებრივი სახელმწიფო გვქონდეს,
პირველი შევიტანდი სარჩელს:
„ალექსანდრე ირვანეცი გიჩივით ქვეყანას, კაცობრიობას,
მთელ მსოფლიოს"
ლეკვებიანი ძუკნისთვის, განნირულად რომ ჩაცუცქულა
ხორცით მოვაჭრე ქალის წინ.
არა მისი გახეხილი გვერდის
და გამოწოვილი ძუძუების,
არამედ მხოლოდ თვალების გამო, რომლებსაც წამით შევეფეთე.
მე მოვითხოვდი ყველა დამნაშავის თუ თანამონაწილის
უსასტიკეს სიკვდილს.
მსგავსი ტანჯვის ყურება
სულს კი არ წვთრთნის, ღრღნის.
სამწუხაროდ, მე მეეჭვება,
რომ ამ სარჩელის შეტანას შევძლებ,
განა თუ მხოლოდ საპირისპიროსი
ჩემი განკითხვის ჟამს.
ვიმედოვნებ, ჩემს სარჩელს
მიიღებს და აცილებას არ მისცემს
ყოვლისშემძლე
უფალი
Dog.

თანამედროვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიანა კიანოვსკა

(Маріанна Кіяновська, დაბ. 1973)

* * *

ვართ სანუკვარნი – ამ სიზმარს და იმ სიზმარს შორის.
მე ბაგეებზე დამეწაფა ბაგენი შენი.
გავერთსხეულდით. და ცის შიშველ კუნძულებს ორის
მაგიერ კენტად ვეჩვენებით, ცის მადლი გვშვენის.

შვიდი ბეჭდიდან სხეულს გვიწვავს ბეჭედი ერთი,
გვანაცარტუტებს. დაგვიფერფლა უკვე მკლავები
და შორი ეფო უსასრულო სივრცეებს ერთვის,
ცის კუნძულები ციმციმებენ, ვით ვარსკვლავები.

* * *

სიშიშვლე შენი სახლის, სადაც წყვილ-წყვილად არის
არსი ყოველი, სიშიშვლეა პირადად ჩემი.
ჩვენ ღრუბელ-ღრუბელ მიგვაფრენდა ფრთამალი ქარი,
და მერე ზეცას შეეზარდა ღრუბელი მრწემი.

და დარჩა მისი ტოტები და მტევანი მუქი.
დავლიეთ ღვინო, აღარა ვართ ვინმეს მგმობელი.
მადლობას გეტყვი, შენს შავ კაცთან გაამხელ თუკი,
რომ თვითონ შავი, სხივფენილი მყავს ღვთისმშობელი.

* * *

ქვა, წყალზე მძიმე, ამოვზიდე ფსკერიდან ნელა.
იგი გაშრება და მიმნუხრად იქცევა მალე.
ის მარცვალს ჰგავს და უძველესი ფერებით ელავს
და ნირვანიდან ეს-ესაა აახელს თვალებს.

მე მინდა იმ ქვას მოვეფერო, მოვბანო წყლული,
რომელშიც თითქოს მდუმარების უფსკრულებს ჩატევ.
მერე კი გულში ჩავისვა და გაჩერდეს გული.
ქვა წყალზე უფრო მძიმეა და ყვავილზე მჩატე.

უკრაინელი პოეტები

უკრაინულიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ

არქივიდან გამოსატანი ფირები



(მაგსად ნურის „ქალაქის მერის“ შესახებ)

შოთა იათაშვილი

მედალს ორი მხარე აქვს: ან აქედან ათვალიერებ, ან იქიდან... ანდა, საუკეთესო შემთხვევაში: ორივედან... მთვარესაც ორი მხარე აქვს. მაგრამ დედამიწაზე მცხოვრებთათვის მუდამ ერთი ჩანს. გალაქტიკა, დედამიწა, მთვარე ერთმანეთთან მიმართებაში რატომღაც ისე ტრიალებენ, რომ მთვარის აი ის, მეორე მხარე ადამიანისთვის მუდამ უხილავი რჩება.

ანუ ხშირად ისე გამოდის, რომ მედალს (და მითუმეტეს მთვარეს) ადამიანისთვის მხოლოდ ერთი მხარე აქვს... ერთი – რომელიც შეგვიძლია დავინახოთ, აღვიქვათ... (თუკი კოსმონავტები მეორე მხარის გამოსახულებებს არ მოგვაწვდიან).

მაგსად ნურის რომანი ასეთია: ერთი მხრიდან აღიქმება, მხოლოდ ერთი მხრიდან აქვს აზრი მის თვალიერებას. ვერ შემოატრიალებ.

ავტორმა ეგრე გადაწყვიტა, ეგრე შემოგვაჩეჩა ხელში: როგორც კი შევეცდებით ტექსტი შევატრიალოთ, ავტორი ტექსტიანად ჩვენც ზურგს შეგვიბრუნებს და ვეღარაფერს დავინახავთ.

ანუ, თუ გვინდა დავინახოთ, აღვიქვათ, ელემენტარულად – წავიკითხოთ, უნდა გავშეშდეთ, ვიდგეთ და ვუყუროთ რომანს, ვეცადოთ მის სტატიკაში გავერკვეთ, გავერკვეთ – რა ხდება...

პირველი სტატიკა და ყველაზე მარტივი ალბათ ისაა, რომ რომანის მთავარი პერიოდი „ზასტოია“. მაგრამ „ზასტოიცაა“ და „ზასტოიც“. სისტემის ზონდირება როგორც კი იწყება, ავტორისეული მეთოდი ზუსტდება: ის სისტემის სტრუქტურის აღწერით არ კავდება. ანუ არ იწყებს ეგრეთ ნოდებული მორიგი ანტიუტოპიის შეთხზვას. ანტიუტოპიის, სადაც რეჟიმის ყველა ბერკეტი, მექანიზმი ფილიგრანულად აღწერილია, და მასში მოყოლილი ადამიანების დრამა ამ მექანიზმის შთამბეჭდავი სურათ-ხატის ფონზე ვითარდება. ეს მეთოდი გამოცდილია, გამოცდილია ისეთი გენიალური ავტორების მიერ, როგორებიც იყვნენ ოლდოს ჰაქსლი, ევგენი ზამიატინი, კარინ ბოიე, ჯორჯ ორუელი... და მათ შემდეგ კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი...

ცხადია, ყოველივე ამის ფონზე არც მაგსად ნურის სხვანაირი მიდგომა შეიძლება ჩაითვალოს უნიკალურად, თუმცა „კარგი პრობლემა“ მაინც ისაა, რომ ცოტა უფრო მიჭირს „ქალაქის მერის“ მსგავსი ტექსტების გახსენება, და რაკი მიჭირს, არც გავინვალებ თავს. უბრალოდ ვიტყვი, რომ მაგსად ნური თავის ამ რომანში არ ცდილობს მორიგი ანტიუტოპიური სისტემა შექმნას, არ ცდილობს ცხოვრებაში დანახულსა და განცდილს ზუსტი, ანდა როგორც ანტიუტოპიებში ხდება, ჰიპერბოლიზებული ფორმირება მისცეს და საკუთარი პერსონაჟები მხოლოდ ამის შემდეგ ჩასვას, განათავსოს ამ გაწერილ, საზარელ მატრიცაში.

ანუ აქ ფაქტიურად არაა მედლის ორი მხარე: აქეთ – სისტემა მთელი თავისი სამუშაო მექანიზმით; და იქით – ადამიანი, ბოლომდე მოქცეული ამ მექანიზმში. აქ მხოლოდ ადამიანია. სისტემა თითქმის არ ჩანს, არ აღიწერება, მის მიერ შემუშავებული მეთოდები ცხვირწინ არ დევს. აქ – კიდევ ერთხელ გავიმეორებ - მხოლოდ ადამიანია: გაჩერებული.

რატომღაც მწერლებს ძალიან უყვართ პროტაგონისტის ერთდღიან რეჟიმში მოქცევა: ანუ ჯოისის უზარმაზარი „ულისეა“ თუ რომელიმე პატარა ნოველა, იქ მთავარი პერსონაჟის ერთდღიანი ცხოვრება უნდა იყოს აღწერილი. მაგსად ნურიც ამ ვნებასაა აყოლილი: მართალია მისი გმირი ხშირად თავის ბავშვობას იხსენებს და ფინალშიც მისი ცხოვრების შემდგომი პერიოდი მოკლედაა აღწერილი, მაგრამ რომანის მოქმედება ძირითადად ერთ დღეში ტრიალებს. და ეს ერთი დღე, მთავარი პერსონაჟის თვალით დანახული და განცდილი, იქცევა არა საშინელი სისტემის ყალიბად, არამედ მის გადღაბნილ ლაქად, მაგრამ

ისეთ ლაქად, რომელიც მთავარ პერსონაჟში შემზარავ დილემას წარმოშობს: ის „ზასტოო“, ის სტატიკა, ის მშვიდი გაყინულობა, რაც მასშია, ინგრევა და დამლუშველ დაპირისპირებაში მოდის სადღაც არსებულ ძალაუფლებასთან შეხებისთანავე.

„სადღაც არსებულს“ იმიტომ ვამბობ, რომ ბავშვობისა და ყმაწვილკაცობის დროინდელი მოგონებები მას ახსენებს, რომ ის მუდამ იყო სახელისუფლებო იერარქიასთან, კონკრეტულად კი ქალაქის მერთან გარკვეულ შეხებაში დედამისის გამო, მაგრამ უცებ თავს დამტყდარი ერთდღიანი აქტიური, პერმანენტული შეხება მასთან ეგზისტენციალურ უფსკრულში აგდებს: და ეს უფსკრული სტატიკის მოულოდნელი გადასვლაა დინამიკაში.

დინამიკა, ცხოვრებისეული ერთდღიანი ცვლილებები მის ფსიქიკას ანგრევს: ანგრევს თითქოსდა პოზიტივი – მისი სახლიდან ორ ნაბიჯზე არსებული ზღვისკენ გზაზე ჩადგმული ქარხნების მიერ ჩაკეტილი ჰორიზონტის გახსნის პერსპექტივა; ანგრევს პასუხისმგებლობა, რომელსაც მას უცებ უმატებენ და იერარქიულ კიბეზე მაღლა აყავთ. ანგრევს ელემენტარულად იერარქიულ კიბეზე ძალიან ზემოთ მყოფ ადამიანთან რამდენიმესაათიანი ურთიერთობა.

და მთავარი სწორედ ესაა: სოციალური ერთი ფენიდან მეორე, თუნდაც უკეთეს ფენაში გადანაცვლების შემზარაობა: პიროვნული, თვინიერი „ზასტოიდან“ გამოსვლის კოშმარი.

ერთი ადამიანის ეს ერთდღიანი კოშმარი ჩერნობილის ავარიის თუ სხვა იმჟამინდელი მოვლენების გაკვრით ჩვენების ფონზე მკითხველში ძალაუნებურად განზოგადებას იწყებს: ეს გინდა არ გინდა მაინც სახელმწიფო სისტემაზე, ავტორიტარულ რეჟიმზე დაწერილი წიგნია, მაგრამ უცნაურად დაწერილი: მისი მექანიზმები თითქმის არ ჩანს, მაგრამ მთავარი გმირის სულიერი ტრავმა, სტატიკიდან დინამიკაში (დავაზუსტებ, არცთუ პოზიტიურ, უფრო კი ნეგატიურ დინამიკაში) გადასვლით გამოწვეული, მის ანთროპოლოგიურ არსს არყევს, ეს კი თვალნათლივ ჩანს ქალაქის მერის მანქანიდან – ცხოველების სურათ-ხატის მქონე ადამიანებით დასახლებული ქალაქის ჩვენებით. ერთი მხრივ თითქოს ავტორის მიდგომა სწორია, მაგრამ მეორე მხრივ ეს პასაჟები მე რომანის ქსოვილიდან მაინც ცოტა არ იყოს ამოვარდნილი მეჩვენება: მგონია, რომ ასეთი ტიპის ტექსტი არ ითხოვდა ამ დონის ანთროპოლოგიურ დესტრუქციას. მგონია, ჯობდა, ავტორი ბოლომდე დარჩენილიყო ყოფით გარემოში და მხოლოდ და მხოლოდ ამ ყოფითი გარემოს ნატიფად ჩვენების სხვადასხვა რაკურსებით მიეღწია იმ ეფექტისთვის, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა და რაც, საერთო ჯამში, მაინც განახორციელა...

დასაწყისში ვთქვი და ისევ გავიმეორებ: მედალს ორი მხარე აქვს: ან აქედან ათვალიერებ, ან იქიდან... ანდა, საუკეთესო შემთხვევაში: ორივედან... მთავარეს კი ორი მხარე აქვს. მაგრამ დედამიწაზე მცხოვრებთ ათვის მუდამ ერთი ჩანს. გალაქტიკა, დედამიწა, მთავარე ერთმანეთთან მიმართებაში რატომღაც ისე ტრიალებენ, რომ მთავარის აი ის, მეორე მხარე ადამიანისთვის მუდამ უხილავი, ბნელი რჩება.

ანუ ხშირად ისე გამოდის, რომ მედალს (და მითუმეტეს მთავარეს) ადამიანისთვის მხოლოდ ერთი მხარე აქვს... ერთი – რომელიც შეგვიძლია დავინახოთ, აღვიქვათ...

მაგსად ნურის რომანი „ქალაქის მერიც“ ასეთია: ერთი მხრიდან აღიქმება, მხოლოდ ერთი მხრიდან აქვს აზრი მის თვალიერებას. ვერ შემოატრიალებ.

და რაკი ასეა, ეს უკვე მწერლის ძალაზე მეტყველებს: ავტორი მკითხველს საკუთარი ტექსტისადმი გარკვეულ, ზუსტად განსაზღვრულ პოზიციაში აყენებს და მერე იწყებს თხრობას.

და მკითხველმაც ამ პოზიციიდან უნდა იკითხოს. დანებებულმა. გაშეშებულმა მთავარი პერსონაჟივით. ან მოულოდნელი ამოძრავებით სულშეძრულმა. მერე რაც მოხდება, მოხდება... უნდა დაელოდოს... ასეა... მაგრამ დამიჯერეთ, რაღაც მომენტში რაღაც მაინც ამოყირავდება, პოზიციები შეიცვლება... ან კითხვისას, ან კითხვის დასრულების შემდეგ, ან კიდევ უფრო მერე, რაღაც დრო რომ გავა...

ანუ მკითხველში ადრე თუ გვიან მაინც გამოჩნდება მონეტის მეორე თუ მთვარის ბნელი მხარე...

ან სხვანაირად ვთქვათ: ის ფირები ადრე თუ გვიან არქივიდან მზის გულზე გამოვა, დატრიალდება და ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდება, რომელსაც მთელი რომანის განმავლობაში მთავარი პერსონაჟი ინახავს; ფირები, რომელზეც იდუმალი ცხოვრებაა აღბეჭდილი ვითომ მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის მერის, სინამდვილეში კი, უნდა ვიგულისხმოთ, მთელი იმ სისტემის, რომელშიც წიგნშია მოცემული.



ქალაქის მერი

(ფრაგმენტი რომანიდან)

აქტი

მაგსად ნური

...დედა თითქმის შეუმჩნევლად ბერდება, დილაობით მესმის, როგორ ახველებს. მართალია, სამსახურში წასვლა არ ეზარება, მაგრამ ქრონიკული დაღლილობა ემჩნევა.

არ მოვისურვე ქალაქის მერისთვის ამის თქმა; სიჩუმე ვამჯობინე. მისკენ გაუხედავადაც მივხვდი, რომ მას ეს არც აინტერესებდა, უბრალოდ მოიკითხა. მორჩა და გათავდა...

დილა ნათელში გახვეულა.

ჩვენ მზის სხივების უზრუნველ ციალში გადმოვედით ქალაქის მერის მანქანიდან. მან დიდი, თეთრი, ქერაბალნიანი ხელი მოიჩრდილა და შორს გაიხედა, მერე კი სწრაფი ნაბიჯებით წავიდა წინ. მზე შეეცადა, მის მაღალ, დარბაისლურ სხეულს ასცდენოდა და ჩემამდე მოეღწია, მაგრამ ვერ შეძლო. იგი მზეს ეთამაშებოდა და არათუ ირგვლივ მყოფთ, არათუ მიწასა და ჰორიზონტისაკენ გაშლილ ზღვას, ამხელა მზესაც კი არაფრად დაგიდევდათ. მზე ეცემოდა მაღალ შუბლზე, ახლადგაჩენილ ნაოჭებში ეღვრებოდა და სახეს უნათებდა. ეს კი მას უფრო ახოვანსა და მომხიბლავს ხდიდა...

მე ისე დავიბენი, რომ ვერც კი შევამჩნიე ჩვენ წინაშე აღმართულ კინოთეატრ „საპილის“ საზაფხულო ფილიალი. აღარ მახსოვდა, სად ვიყავი, საით მივდიოდი, ან რა დრო იყო. მხოლოდ ქალაქის მერსა და მის სიდიადესთან მოთამაშე მზეს ვხედავდი და კუთხეში მომწყვდეული ცხოველივით ვბორგავდი...

– ეს კინოთეატრი ხვალიდან აქ აღარ იქნება, რომ იცოდე! – მითხრა ქალაქის მერმა.

უცებ მივხვდი, რომ იგი პირადად მე მელაპარაკება... თუმცა არც კი მიყურებს, პირი კინოთეატრისა და ზღვისკენ აქვს მიქცეული. გეგონება, კინოთეატრი უკვე დაუნგრევიათ და იგი წარმოქმნილი სიცარიელის მიღმა ზღვის უსასრულობას გასცქერის.

– ეს როგორ?!.. – ბოღმაჩაგუბებულმა გულში ჩავიბურტყუნე.

შევეცადე ყურადღებით მომესმინა ის, რასაც მეუბნება.

ამ დროს შევამჩნიე, რომ ჩვენ გარშემო უამრავი ადამიანი მოგროვებულა, ქალაქის მერის ყველა თანმხლები – ნახევრადმძინარე, ნახევრადშეშინებული, ნახევრადგამოღვიძებული საქმისმკეთებელი და საქმოსანი – აქ იყო. თითოეული მათგანი გაფაციცებით ცდილობდა, უფრო მიახლოებოდა მას, თანაც ისე, რომ დადგენილი დისტანცია არ დაერღვია, ყურადღებით მოესმინა მერისათვის, რათა მისი არცერთი სიტყვა, არცერთი მითითება და არცერთი ჟესტი არ გამოჰპარვოდა. წრეში ვიყავით მოქცეულნი, შუაში მხოლოდ ჩვენ ორნი ვიდექით. მეცა და გარშემომყოფნიც დაძაბული გულისყურით ვაკვირდებოდით მის ყოველ მოძრაობას, ყოველ ჟესტს, სახის ყოველ მიმიკას, რათა გამოგვეხატა დროული და შესაბამისი რეაქცია. თუმცა მხოლოდ მე ვიყავი მის სიახლოვეს.

მგონი, გარშემომყოფებმა ქალაქის მერისაგან ჩემი ჩამოშორება სცადეს, რათა ადგილი გამოეთავისუფლებინათ, მას უფრო მიახლოებოდნენ და მილაქუცებოდნენ. მაგრამ უცებ მიხვდნენ, რომ იგი ჩემით იყო დაინტერესებული, მომცვივდნენ, კინაღამ წამაქციეს, ლამის ატატებული მიართვეს ჩემი თავი მას. მერე კალთებზე დამიწყეს ლოშნა, ასე ლოშნა-ლოშნით მიმაგდეს მასთან, თვითონაც მიუახლოვდნენ და ახლა მას დაუწყეს დორბლიანი ენით შარვლის ტოტების ლოკვა. პირში კვლავ სიმწარე ვიგრძენი: გამაჟრჟოლა, შევნიშნე, ზოგიერთებს, რომლებიც ცდილობდნენ, როგორმე

შეუმჩნევლად ჩამოვეშორებინეთ მერს, როგორ ეზრდებოდათ ბრჭყალები და ამოსდიოდათ ბალანი. მინდოდა, თავი ხელებში ჩამერგო და როგორმე თავი დამეღნია ამ სულისშემხუთავი მდგომარეობისათვის, მაგრამ უადგილო მოძრაობის გაკეთებას ვერიდებოდი. თუმცა როცა გონებას მოვიკრებდი და სიტუაციას ყურადღებით ვაკვირდებოდი, ვხვდებოდი, რომ გასაკვირი არაფერი ხდებოდა.

უეცრად შევამჩნიე, რომ უცნაურ ორომტრიალში მოვხვდი და მას თანდათან ვშორდებოდი. ძალა მოვიკრიბე და შევეცადე, ქალაქის მერს ხელახლა მივახლოებოდი. შევეცადე, გამერღვია ყველა დაბრკოლება და მცველების წრე, რომელთაც იგი ხელახლა ალყაში მოექციათ. და ახლა ბოლომდე დავრწმუნდი, რომ მასთან მიახლოება ჯერ კიდევ ყველაფერს ნიშნავს: როგორც კი მიუახლოვდები, რაღაც გამჭვირვალე მინაში – დიდ აკვარიუმში, ანდა რენტგენის მოზრდილი სარქველის ქვეშ – აღმოჩნდები, გინდა კიდევ წაინიო წინ, გინდა ნაბიჯი გადადგა, მაგრამ მაინც სამმაგ ზღუდეს ანყდები. ჯერ შემოგხვდება წრფელი, კულტურული, არისტოკრატული და შეგნებული ადამიანი, მერე საქმიან, ყოჩაღ, ინფორმირებულ, მზრუნველ და მუდამ პერსპექტივაზე მოსაუბრე არსებას გადაანყდები, რომელიც შენც ხშირად გისვამს შეკითხვას, მესამე კი გაუნძრეველი, კლდესავით სალი და ყინულივით ცივი, უფსკრულივით უძირო ვინმეა; შენ ამ უფსკრულის კიდეზე დგახარ, ერთი ნაბიჯიც რომ გადადგა, გადაიჩეხები...

როგორც იქნა, ქალაქის მერმა ხელის მოძრაობით თავისთან მიხმო. გარშემომყოფნი, როგორც საბელახსნილი ცხენები და როგორც ჯეჯილს შესეული ცხვრები, ისე დაიძრნენ, ლამის ერთმანეთი გადათელეს. სანამ ის დავალებებს იძლეოდა, მე კიდევ ერთხელ შევავლე თვალი კინოთეატრის შენობას, რომელთანაც უამრავი მიძინებული მოგონება მაკავშირებდა.

* * *

საზაფხულო კინოთეატრში, რომელიც ახლა ჩვენ წინაშე აღმართულიყო, ჩემი ბავშვობის ულამაზესმა წლებმა გაიარა. მე და დედა თვეში ორჯერ, კვირადღეობით ამ კინოთეატრს ვეწვეოდით და მერე თბილი ბაასით ვბრუნდებოდით ხოლმე შინ. საერთოდ დედა იშვიათად მესაუბრებოდა, ამიტომაც ძალიან მიხარდა, როცა კინოთეატრიდან გამოსულები შინისაკენ გავემართებოდით. ასეთ წუთებში თავს კაცად მივიჩნევდი და ზრდასრულივით ვიქცეოდი.

დედა გემოვნებით იცვამდა, თანაც ჩემთვის უცნობი ყვავილის ნაზ სურნელს აფრქვევდა. ბოლო დროს ხელკავს გამომდებდა ხოლმე, შეავამჩნიე, ცივ ამინდებში ოდნავ მეტმანსებოდა კიდეც. ეს მე მახარებდა, მაგრამ, ამავდროულად, დედაჩემის სერიოზულობას, დარბაისლობას, ცხოვრების წესს, რომელიც დღემდე დაემკვიდრებინა, ცივ დამოკიდებულებას და ძუნწსიტყვაობას ისე ვიყავი შეჩვეული, რომ რამის შეცვლა სულს მიფორიაქებდა, რაღაცნაირად მაშინებდა კიდეც. და ეს შიში იქამდე მიდიოდა, რომ ზაჯერ მეჩვენებოდა, დედამ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს მარტო დამტოვოს, მოულოდნელად მიმატოვოს და სხვა სახლში, სხვა ქალაქში, ანდა სულაც სულ სხვა ქვეყანაში გადასახლდეს-მეთქი. იქნება, იმ წამს გამომჟღავნებული სითბოთი და სიახლოვით მარილაც მოსალოდნელი განშორებისათვის მამზადებდა.

* * *

ვიღაცამ მიბიძგა, მერე კი თავისკენ მომქაჩა, ლამის წონასწორობა დამაკარგვინა. თითქოსდა ვიღაცის ხელი იქით მექაჩებოდა, სადაც ქალაქის მერს შემოხვეული მოხელენი იყვნენ, პირდაპირ ცდილობდა, ამ ხროვის შუაგულისაკენ წავეყვანე. როცა დრო ვიხელთე და სიტუაციას ყურადღებით დავაკვირდი, შევამჩნიე, რომ მერის თანმხლებთ დერეფანი გაეხსნათ და მე ამ დერეფნით მერისაკენ მიმათრევდნენ. ალბათ, ქალაქის მერს არ მოვუხმივარ (ასე რომ ყოფილიყო, მოხელენი მოცვივდებოდნენ და ჩემს თავს ხელისგულზე დასკუპებულს მიართმევდნენ; უბრალოდ, თავი აუწევია და იქით გამოუხედავს, სადაც მე ვიდექი)... და აი, ახლა, ვიდრე თანმხლებნი აზრზე მოსულან, მე მერის მიმართულებით მივფორთხავ.

– დაინყეთ! – ქალაქის მერმა საზაფხულო თეატრის დანგრევის გაკარგულება გასცა.

ამავდროულად, ჩემკენ გამოიხედა. ამით მიმახვედრა, რომ საქმე დაინყო; იცოდე, თეატრი უნდა დაინგრესო.

მე შინაგანად ჩამოვიშალე; რაღაც ჩამწყდა. აქამდე მეგონა, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მერი დილასაქეთია ამის თაობაზე ლაპარაკობს, ასეთ განკარგულებას არ გასცემს, ანდა შეცვლის გადაწყვეტილებას და საქმე ცოტა სხვანაირად წავა-მეთქი, თუმცა მას საიდან უნდა სცოდნოდა, რომ სწორედ აქ მქონდა გატარებული ბავშვობის საუკეთესო წლები. როგორც კი ამ თეატრის შენობას აიღებენ, ტროტუარები და ქუჩა, რომელიც ნეფთჩილარის პროსპექტისაკენ გრძელდება, სრულიად შეიცვლება, სხვა იერსახეს მიიღებს; ზღვაში ჩაიძირება და ჰაერში გაიბნევა მოგონებების ყველა ნიუანსიც. ეს უეჭველია, მაგრამ მისდამი მორჩილების გრძნობა და ამ გრძნობით გამოწვეული მღელვარება ისეთი ძლიერი იყო, რომ ეს წამიერი ტკივილი გულშივე ჩავიმარხე.

როგორ უნდა მოვქცეულიყავი მე, კინოთეატრის თანამშრომელი, რომელიც აქ ვარ დაბარებული და ქალაქის მერის უშუალო დავალებების პირისპირ აღმოვჩნდი? ეგებ, უბრალოდ, ყურადღებით უნდა მოვის-

მინო ქალაქის მერის მითითებები და თეატრის გამგეს, რომელიც შვებულებას ესენდუკში ატარებს, როცა დაბრუნდება, ყველაფერი სიტყვით გადავცე? მაგრამ რატომ მაინცდამაინც მე უნდა ვყოფილვიყავი მონაწილე ამ განკარგულების გაცვემისა და სისრულეში მოყვანისა? მე ხომ ასეთი უფლება-მოვალეობა არ გამაჩნია? მე ხომ თეატრში, არც მეტი, არც ნაკლები, არქივის გამგე ვარ. არქივში კი, ჩემ გარდა, არავინ მუშაობს. თანაც ის არქივი, იმის მაგივრად, რომ განსაკუთრებული ტემპერატურით უზრუნველყოფილ ოთახში მდებარეობდეს, თეატრის მეშვიდე, ანუ ბოლო სართულზე კინოთეატრის ეოშკს მიტმანსილი მრგვალი შუშაბანდის ქვეშ, რამდენიმე ოთახშია განლაგებული. თანაც კინოთეატრის ყარაულთან შეთავსებით დღეგამოშვებით მორიგეობაც მიწევს ხოლმე. როგორც არქივის გამგეს, მნირი ხელფასი მქონდა. ბოლო თვეში კი დროულად ვერც კი ვიღებდი ჯამაგირს, მაგრამ ორი ყარაულის და კარისკაცის ხელფასი ჩვენი გამგისათვის ძნელი ამოცანა იყო, უფრო მეტიც, საკმაოდ სახიფათოც გახლდათ: ყარაულისა და დამლაგებლის ფულს თეატრის გამგე თავისი ჯიბიდან იხდიდა, მერე კი, მთავრობის ფული ანგარიშზე რომ დაჯდებოდა, გამგე ყველას გვეძახდა, იქვე ხელს მოგვაწერინებდა ხოლმე და კაბინეტშივე იბრუნებდა თავისი ჯიბიდან გაცემულ თანხას. ყოველთვის, როცა ამ საბუთზე ხელს ვაწერდი, ვფიქრობდი, რა დიდი ბედნიერებაა თვეში რამდენჯერმე ჯამაგირის აღება, როცა იგი დღიურ მოთხოვნილებებს მთლიანად აკმაყოფილებს...

ამგვარ ფიქრებში გართული რატომღაც ვცდილობდი, ჩვენი თეატრის გამგე ქალის ყველანაირი სიავე გამეხსენებინა და გულში გამეკიცხა იგი. ის რომ ახლა აქ ყოფილიყო – ჰო, ნეტავ მართლა აქ ყოფილიყო, აქ, მოხელეთა შორის – აი, მაშინ მე არა მხოლოდ არქივის მეშვიდე სართულზე განთავსებასა და ხელფასების დაგვიანებაზე ვილაპარაკებდი მერის თანდასწრებით, არამედ ბევრ რამეს პირში მივახლიდი იმ ქალბატონს. რა გამგე გამოვიდოდა ამ თმაანწეწილი ქალისაგან, რომელსაც ყოველ დილით სამზარეულოს სუნი ასდიოდა (ე.ი. იგი დილაობით სამზარეულოში ფუსფუსებდა და თვითონ ამზადებდა საუზმეს), თავისუფალ დროს კი ხელში ჩხირებმომარჯვებული იჯდა და რაღაცას ქსოვდა?

– ძირეული რეფორმები უნდა გატარდეს კინოთეატრის მმართველობაში! – მომეჩვენა, რომ ეს მე კი არა ვთქვი, თანმხლებთაგან ვიღაცამ წამჩურჩულა და მეც თავის უნებლიე დაკვრით დავუდასტურე.

უფრო ავღელდი, ბრაზის ცეცხლი მომეკიდა. ახლა თეატრის გამგე აქ რომ ყოფილიყო, იმ ქალბატონს კრიტიკის ქარცეცხლში გავატარებდი მერის თვალწინ, ყველაფერს, რაც გულში მქონდა დაგროვილი, პირში მივახლიდი... ამ დროს ჩემი და ქალაქის მერის მზერა ერთმანეთს შეეჯახა. ამჯერად მან არაფერი მითხრა, მზერათა შეჯახება შემთხვევითი ამბავი იყო. იმის გამო, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავი, ვცდილობდი, ჩემი მოქმედება თანმხლებ პირთა მოქმედებისათვის შემესაბამებინა და ყურადღება იმაზე გადამეტანა, რაც ირგვლივ ხდებოდა; თანაც გონება შეძლებისდაგვარად მომეკრიბა. და სწორედ ამ დროს მერის მზერას წავაწყდი. მიუხედავად იმისა, რომ ამ წამიერ გამოხედვაში არაფერი მენიშნა, მოულოდნელად ახალ აზრთა დინება ვიგრძენი – ხელახლა გამახსენდა ჩვენი თეატრის გამგე...

ამჯერად გამგე ქალი ზის თავის კაბინეტში, კვლავ რაღაცას ქსოვს. მე ფართო მისაღები ოთახის გავლით კაბინეტში შევდივარ. გამგე, როგორც კი დამინახავს, საქსოვს კალთაში ჩაიდებს და ტირილს იწყებს. მის ოდნავ აწეწილ, ხინით შეღებილ თმის ძირებში გამორეულ ჭაღარას ვამჩნევ. რამდენიმე ნაბიჯს წავდგამ და ვეკითხები:

– რა მოგივიდა?

იგი უფრო აქვითინდება, ხელით მიმიხმობს, დაჯექით, მანიშნებს და მეუბნება:

– დავილუპე, შვილო, დარდი მკლავს!

მე დაჟინებით ვეკითხები:

– მოკვდა ვინმე?

– არა, შვილო, სიკვდილი მერჩია, მაგრამ... შენ რომ გიყურებ, ბედნიერია დედაშენი... დილაადრიან სამსახურში მოდიხარ, საღამამდე თავისუფლად მუშაობ... ამასაც არ სჯერდები და დამატებით შტატს მოითხოვ... ალალია შენზე... ეს ჩემი ბედოვლათი კი... როგორ არ ვწვალობ, დღესა და ღამეს ვასწორებ, მაგრამ რად გინდა, არაფერი ეშველა!..

გამგემ ცრემლი შეიმშრალა და თავის დაწყნარებას შეეცადა. შემდეგ მინდოდა, კვლავ რაღაც მეკითხა. მას უნდოდა, ეპასუხა, თუმცა დაღლილობამ სძლია. ცხვირსახოცით, ხელში რომ ეჭირა, ჯერ ყელკისერზე ოფლი შეიმშრალა, შემდეგ კი ცხვირი მოი-

წმინდა, სავარძელში მოხერხებულად მოკალათდა და მკითხა, საქმის კურსში ვიყავი თუ არა იმის შესახებ, რაც გუშინდელი მორიგეობის დროს მოხდა. მხრები ავიჩეჩე. სწორედ ამ დროს კაბინეტში შემოაბოტა თეატრის ცენტრალური შემოსასვლელის კარისკაცმა. გამგეს ყოველგვარი ლაქუცის გარეშე, უფრო მეტიც, საკმაოდ მკვახედ დაელაპარაკა. კაცს ეგონებოდა, ნინ გამგე კი არა, ცოდვაზე წასწრებული ცოლი უზისო. თეატრის გამგე შეეცადა, გუშინ ღამით მომხდარი ამბავი თეატრის კარისკაცის მეშვეობით აეხსნა ჩემთვის. როგორც მათი ნაამბობიდან გამოირკვა, ჩვენი გამგის ვაჟი ნარკომანი ყოფილა. რატომ წამოიწყეს მაინცდამაინც ამის თაობაზე საუბარი? რისთვის ატირდა ეს ქალი საუბრის დასაწყისში ან მერე თავისი ძლიერი პიროვნულობის წარმოსაჩენად სავარძელში მოხერხებულად მოკალათებული რიღასთვის უხმობდა კარისკაცს, რათა მისი მეშვეობით აეხსნა ჩემთვის საქმის ვითარება? ეს რა უცნაური მეთოდია? გამოდიოდა, რომ ამ ქალბატონს სურდა, თან შევეშინებინე, თან საქმის კურსში ჩავეყენებინე და თანაც მოვლენათა თანამონაწილედ ვექცეე... როგორც ყოველთვის, კარისკაცმა წუხანდელი ამბავი დაწვრილებით გვიამბო. მე ჩუმად მოვისმინე: საქმე ისაა, რომ ჩვენი გამგის ვაჟი, რომელიც ნემსზე ზის, გუშინ ფიცრულიდან თეატრში შემოპარულა. ფიცრულის ყარაულს სძინებია. თურმე ბიჭს კარის გატეხა განუზრახავს, ამ დროს ხმაურზე ყარაულს გაჰღვიძებია და მათ შორის ჩხუბი და აყალმაყალი ატეხილა. ბოლოს, ფიცრულის ყარაულმა, რომელმაც თურმე იგი ძირს დასცა, ხელფეხი გაუკოჭა და თავზე ჩამოცმული კაპრონის ნინდა წააძრო. სწორედ ამ დროს იცნო მან ბიჭი. გამგის შვილს აუწერებია, დედაჩემის კაბინეტში ვაპირებდიო შესვლას; თითქოსდა დედამ რაღაც დაბარა. თანაც განუზრახავს, ამ დროს ფიცრულის ყარაულს შეხმიანებოდა. გაბრაზებულ ყარაულს გამგისათვის დაურეკავს და ხელფეხგაკოჭილი ბიჭი მისთვის ჩაუბარებია. გამგეს კი მიუყეყია ბიჭი და სახლში წაუთრევია. ერთი სიტყვით, ახლა ამ საქმის მიჩუმათებაა საჭირო. გამგე და ფიცრულის ყარაული შეთანხმებულან და მისთვის ფულადი პრემია შეუთავაზებია. ასე რომ, ყარაულის ხელფასი ორმოცდაათი, ჩემი კი ოცი პროცენტით გაიზრდება, ოღონდ ერთი პირობით – ამ ამბავმა გარეთ არ უნდა გაჟონოს.

* * *

დღევანდელი დღე თავიდან ბოლომდე ჯადოსნურია. მთელი ჩემი ცხოვრება ერთად რომ შეეკრიბო, ამდენი დაძაბული და ბურუსით მოცული ამბავი ერთად არ მქონია. რაღა მაინცდამაინც ჩემს მარტოობას დაემთხვა ეს ყოველივე? ქალაქის მერი ოდნავ გვიან რომ მოსულიყო, სულ რამდენიმე წუთით რომ დაეგვიანებინა, ჩემი მორიგეობა დამთავრდებოდა, სხვა მორიგე შემცვლიდა, მე კი დავიხურავდი ქუდს და სახლში წავიდოდი. ახლა თეატრის გამგე რას მეტყვის? გამორიცხული არ არის, პოსტიდან გამათავისუფლოს. იქნებ, კიდეც მითხრას, ორ ხელფასს ილებ და როგორც გატყობ, თავში აგივარდაო...

ქალაქის მერის მაღალმა ტონმა ფიქრებიდან გამომარკვია. სწრაფად გავაცნობიერე ჩემ წინაშე მდგომის ვინაობა. საკმაოდ შევგულიანდი. უცებ გამახსენდა, არავისთან მითქვამს იმის შესახებ, რომ კინოფირები, განსაკუთრებით კი, ქალაქის მერის აქტიური მოღვაწეობის ამსახველი კადრები, არა მეშვიდე სართულზე, არამედ ისეთ ოთახში უნდა ინახებოდეს, სადაც ამისათვის საჭირო განსაკუთრებული ტემპერატურაა; არც იმის შესახებ მითქვამს ვინმესთვის, რომ ბოლო დროს ხელფასები სისტემატურად იგვიანებს და არც იმის შესახებ მომიხსენებია, რომ მოსკოვში სპეციალური კინოარქივის კურსები დავამთავრე (დედამ დამაბარა, არავისთან გამემხილა, თუ მოსკოვში ვისი წყალობით მოვხვდი) და უბრუნველყოფილი ვარ შესაბამისი სამსახურით. მაგრამ იმის გამო, რომ ბოლომდე არ ვიყავი დარწმუნებული, ყოველივე ეს თეატრის გამგისათვის მითქვამს თუ არა, შემაურჟოლა და თითქოს წამიერად სიცხემ ამიწია. მხოლოდ იმაში ვერ გავრკვეულიყავი: ყოველივე ეს თეატრის გამგესთან ვილაპარაკე, თუ, უბრალოდ, გავიფიქრე? ეს რომ მცოდნოდა, ქალაქის მერის წინაშე უფრო გულიანად ვიქნებოდი, რადგან თქმა და გაფიქრება სხვადასხვა რამეა და ეს სხვაობა ამ წუთში კიდევ უფრო გაღრმავებულიყო. გამახსენდა მლიქვნელური სიტყვები, რომლებიც ქალაქის მერს ვუთხარი წეღან, ავტომობილით აქეთ რომ მოვდიოდით. თუმცა ვერც ეს გავარკვიე ბოლომდე, ქალაქის მერს ვუთხარი თუ არა, რომ კინოფირები, რომლებიც მის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული, შინ გასაკუთრებულ კარადებში მაქვს გადანახული. არ მახსოვს, არ მახსოვს, ემოციურად აღგზნებულმა ვთქვი, თუ ესეც გავიფიქრე, ანუ ფირები ჩემთან სახლშია, თუ კინოთეატრში ლებები? შევეხეთ თუ არა ამ თემას?!

დედა გამახსენდა: კინოფირები სახლშია – კარადებში. დედაჩემმა ყუთები საგულდაგულოდ გადაწმინდა და მოანესრიგა...

ქალაქის მერი ჩემკენ შემობრუნდა. მის ირგვლივ მყოფთაც არ დააყოვნეს, ყველა ჩემკენ შემოტრიალდა. ქალაქის მერმა ჩაილაპარაკა:

– ოქმი მოამზადეთ გუშინდელი რიცხვით, ხვალვე აქტის წასაღებად კაცი უნდა მოვიდეს! – ეს თქვა და წინ გაიხედა, – მთავარმა არქიტექტორმა ხელი მოაწეროს! – მერე მე მომიბრუნდა, – როგორც კი ის პროსტიტუტკა ბაქოში დაბრუნდება, ბეჭედი გამოართვი და ოქმი დაამოწმე... ნიგნშიც გაატარეთ!

ქალაქის მერი დაიძრა, მის კვალდაკვალ ისევ მოხელეთა აზვირთებული ტალღა წარმოიქმნა. ყველა მის დიად ჩრდილს მიჰყვებოდა, ოღონდ ამას ისე აკეთებდნენ, რომ საპატიო ჩრდილზე ფეხი არ დაებიჯებინათ. მის უკან კვლავ ცარიელი დერეფანი გაიჭრა და მე ამ დერეფანში მარტო მივაბიჯებდი, როგორც გაზარმაცებული ფინია ძაღლი, რომელიც თავის პატრონს შორიახლოს მისდევს. ქალაქის მერსა და ჩემ შორის თითქმის ერთი სამანქანო ადგილი იყო დატოვებული, რათა მე საჭირო დისტანციაც დამეცვა და თავისუფლადაც მემოძრავა. თანმხლებნიც ისე იყვნენ ჩამწკრივებულნი, რომ ახოვანი მერი ბრბოში არ გარეულიყო და მუდამ თვალსანიერზე ყოფილიყო მანქანა, რომელიც ჩვენ გველოდებოდა. ამავდროულად, მოხელეთ ისე უნდა ემოძრავათ, რომ (როგორც უკვე მოგახსენეთ) არ გაეთელათ მერის პატივცემული ჩრდილი.

ქალაქის მერს ჩემთვის არ დაუძახია, მაგრამ რატომღაც ყველამ კარგად ვიცოდით, რომ მე მას ფეხდაფეხ უნდა გავყოლოდი და, როგორც აქ მოვედით, უკანა გზაზეც მის ავტომობილში უნდა ჩავმჯდარიყავი. კი მაგრამ, საიდან იცოდნენ ეს? მაგალითად, მძღოლმა საიდან იცოდა, რომ ჩემთვის ავტომობილის კარი უნდა გაეღო? თანაც, რატომ უნდა დავმჯდარიყავი უკან, ქალაქის მერის გვერდით? რას ნიშნავს ეს? ეგებ, ისე ვყავდი მოჯადოებული ქალაქის მერს სიდარბაისლით, როგორც გველი მოაჯადოვებს თავის მსხვერპლს? პატარ-პატარა მინიშნებებსა და მიმიკით მითითებებს ვეღარ ვხედავდი და ვერც ვხვდებოდი. ალბათ, მხოლოდ ქალაქის მერის ამალას შეეძლო, ემოქმედა ქალაქის მერის სხეულისა და მოძრაობის შესაბამისად.

მაგრამ მან დამატებით მითხრა:

– წამო!

ამ დამატებითმა ბრძანებამ გარშემომყოფთა შორის ისეთი აღგზნება გამოიწვია, რომ მათი სისინ-ჩურჩულიც კი შემომესმა. ერთ-ერთმა მცველმა კარი გამოაღო და ქალაქის მერი განსაკუთრებული სიმკვირცხლით ჩაჯდა მანქანაში. ამ დროს იგი საკმაოდ ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. მეორე მცველმა კი მე გამიღო კარი (წეღან ესენი თურმე სხვა მანქანით მოდიოდნენ) და ამ დროს მოხელეებმა ცხოველებივით დაიფრუტუნეს. მაგრამ ისეთი ფარული იყო ეს ფრუტუნი, რომ, მგონი, იგი მხოლოდ მე გავიგონე. შემაჟრჟოლა... მომეჩვენა, რომ ხარების დიდი ნახირის შუაგულში ვდგავარ და ამ ხარებს დრუნჩებზე ორთქლი ასდით. ეს ხარები კი ქარბუქიან დღეს გაქცეულს თავდაღმა ქარიშხალივით მომდევენ, ლამისაა, წამომენიონ და რქაზე წამომაგონ. ოღონდ ეს რომ არ მოხდეს, მათსა და ჩემ შორის ერთი გაფრუტუნებისხელა მანძილი უნდა დარჩეს. მაშინ ეს დევნა-მარათონიც საინტერესო გახდება. თუმცა მე დაზღვეული უნდა ვიყო, გრძელი ქამრებით ზემოთ, ვერტმფრენზე უნდა ვიყო გამობმული. როგორც კი ხარები წამომეწევიან, ზემოთ ამწევენ, მერე კი კვლავ ძირს დამიშვებენ, რომ სეირი გაგრძელდეს.

თანმხლები პირები, რომელნიც მე და ქალაქის მერს გვაცილებდნენ, თითქოს სულისმოუთქმელად გამზადებულიყვნენ, სუნთქვაშეკრულები მანქანის უკან იდგნენ. მომეჩვენა, რომ ისინი მანქანის დაძვრას ელოდებოდნენ, ხოლო დაძვრისთანავე შვებით ამოისუნთქ-ამოიცოხნიდნენ.

შეეყურებდი მერის ამ ხელქვეითებს და კვლავ ჩემი თავი მახსენდებოდა. რა უშინაარსო ყოფილა ჩემი ცხოვრება: მისთვის თვალის გადავლება ერთ წამში შეიძლებოდა. მოჯადოებულ დღემდე მე გახლდით ადამიანი, რომელიც თავისი უფერული წარსულით ცხოვრობს. ესე იგი ჩემი ცხოვრების მოგონებები ამ ავტომობილის ადგილიდან დაძვრის თანაფარდია, ერთ წამში შეიძლება გადაავლო მას თვალი. რა უნდა ქნას ადამიანმა, რომელსაც თავის ცხოვრებაში უფერულობისა და სიცარიელის მეტი არაფერი უნახავს? როგორ უნდა იცხოვროს მან მომავალში? უფრო მეტიც, თუ შენ ამ უფერულობისა და სიცარიელის გამო არავის, მათ შორის, შენს თავსაც კი არ ემდურები და შენი უშინაარსო წარსულით ლაზათიანად ცხოვრობ კიდეც, ესე იგი კმაყოფილი ხარ. მაგრამ ახლა, სანამ ეს ავტომობილი ადგილიდან დაიძრება, მე თუ მოვასწარი და ჩემს ცხოვრებას კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი, ნახე, მასში რამხელა უაზრობა აღმოვაჩინო. თითქოსდა ჩემი ცხოვრება ფონი და დამხმარე დეკორაციაა სხვის მიერ გადაღებული კინოსათვის და სხვისი ცხოვრების ამსახველი სცენებისათვის. ახლა კი, ქალაქის მერთან ერთად გატარებული ამ ერთი დღის განმავლობაში მე რა აღარ განვიცადე და რამხელა ცხოვრება გამოვიარე... აი, ამ განცდებმა და დაძაბულობამ უკვე რაღაც მნიშვნელობა შესძინა ჩემს ცხოვრებას, მოგონებები სისხლ-ხორცით შემოვსო და გამომიცოცხლა...

მანქანა დაიძრა. მე ავტომობილის უკანა ფანჯრიდან გავიხედე. სწორედ ამ ფანჯრიდან დანახულმა უეცრად შოკში ჩამაგდო:

მე აშკარად ვიხილე ცხოველთა თავები, რომლებიც იქ მყოფ მოხელეებს მხრებზე წამოზრდოდათ: ხარი, მელა, ცხვარი, ღორი, თქვენ წარმოიდგინეთ, კატასაც კი იხილავდი მათ შორის... მაგრამ მათში ლომი და ვეფხვი არ ერია...

აზერბაიჯანულიდან თარგმნა იმირ მამედლიმ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კრიტიკა

ნაირა გელაშვილი

ვასილ გულეური

მარიამ წიკლაური

ვაჟა ხორნაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე ქართული საბავშვო პოეზია, როგორც ბიბლიოთერაპიის რესურსი

ქეთი ნინიძე

გოგებაშვილის მაშა და ჩვენი დროის ასტამი

ბავშვი, არა როგორც პატარა დიდი, არამედ როგორც დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ინდივიდი, მხატვრული ლიტერატურის და, საერთოდ, კაცობრიობის აზროვნების განვითარების ფოკუსში საკმაოდ გვიან, მე-18-19 საუკუნეებში ექცევა. მე-19 საუკუნის ბოლოს ევროპული განათლების ფილოსოფიაში მნიშვნელოვანი გადატრიალება ხდება – ტრადიციული სტილით სნავლებას თანდათან ჩაენაცვლება პროგრესული განათლების ახალი მიდგომები, რომლის ძირითადი პრინციპია სასწავლო მიზნების მორგება ბავშვის საჭიროებებზე – მისი ფსიქიკის მზაობაზე, სოციალურ გარემოზე და იმ გამოწვევებზე, რომელსაც ეს ფაქტორები აყალიბებს. შემთხვევითი არ არის, რომ საბავშვო ლიტერატურის ოქროს ხანაც სწორედ აღნიშნული პერიოდიდან იწყება მსოფლიო ლიტერატურაში.

საქართველოში ლიტერატურა (მათ შორის, საბავშვო ლიტერატურა), განათლება და საზოგადოებრივი აზროვნების კულტურა გაცილებით პროგრესული და ლიბერალური იყო ბავშვის საჭიროებების შეფასების საკითხში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით, 70-იანი წლებიდან, ვიდრე საბჭოთა პერიოდში ან, თუნდაც, დღეს, როცა იაკობ გოგებაშვილისა და სხვა განმანათლებლების, ან საბავშვო მწერლების სახელები უფრო ნაციონალურ ნარატივთან გაიგივებულ სიმულაკრებად იქცა, რადგან მათ მიღმა იშვიათად, ან თითქმის არასდროს მოიაზრება კონკრეტული იდეოლოგიები, თეორიები და მიდგომები. ეს ტენდენცია განსაკუთრებით იჩენს თავს სასკოლო პრაქტიკაში მასწავლებლებს, მშობლებსა და თვით, სახელმძღვანელოს ავტორებს შორისაც, რომელთა დიდი ნაწილი თვლის, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ გადახედვას არ საჭიროებს არც პედაგოგიკური და არც სასწავლო მასალის მოდიფიცირების, ან შეცვლის თვალსაზრისით. ამიტომ ისინი უკმაყოფილონი არიან პატარებით, რომლებიც უკვე პროგრამული თუ აპარატურული ინტერაქციული ხელსაწყოებით თავისუფლად მანიპულირებენ დამოუკიდებლად და გულწრფელად ვერ ინტერესდებიან ქართული ლიტერატურის გაკვეთილებით, სადაც ასე „ო“-ზე კვლავ „ორშიმო“ ისწავლება, „მ“-ზე – „მაშა“. სინამდვილეში, იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ არ არის ბიბლია – ანუ წიგნი, რომელიც იგივის უნივერსალური ენით მარადიულ ჭეშმარიტებებზე გვიყვება. „გოგებაშვილის მეთოდიც“ არ არის უნიკალური, რაც, ცხადია, „დედაენის“ ავტორის ავტორიტეტს არა და არ აკნინებს, თუმცა ძალიან თანამედროვეა დღესაც და მისი აქტუალურობა არა სასოფლო-სამეურნეო იარაღების ლექსიკური აღმნიშვნელების სწავლებაში მდგომარეობს, არამედ იმ ფილოსოფიაში, რომ კითხვა, აზროვნება და განათლება ბავშვის, ინდივიდის ყოფით გამოცდილებებს უნდა ეხმიანებოდეს. პარადოქსებით არის აღსავსე ქართული კულტურა და პარადოქსია ისიც, რომ იაკობ გოგებაშვილის, სეკულარული იდეებით ატაცებული ამ მოაზროვნისა და განმანათლებლის „დედაენა“ – თავის დროზე თანამედროვე, მწვავე და, ამასთანავე, ბავშვებისთვის ყველაზე სასიამოვნო საკითხავი წიგნი ხდება საკრალური ტექსტი, მისი ავტორი კი – კერპი, ერთგვარი გეშტალტი, რომლის იდეები ქართულმა საზოგადოებამ ვერა და ვერ შეაფასა. იაკობ გოგებაშვილს, ალბათ, ძალიან დასწყდებოდა გული, თუკი გაიგებდა, რომ მისი უწყინარი „მაშა“, რასაც ალბათ, მე-19 საუკუნეში სოფლად მცხოვრები ბავშვები იყენებდნენ მინავლებული ცეცხლის ასაგუზგუზებლად – ანუ, გასათბობლად და გასანათებლად, იქცა დამსჯელ ასტამად (შდრ. „შუშანიკის წამება“) ჩვენი დროის სასწავლო და საკითხავ პრაქტიკებში.

ვფიქრობთ, საკითხავი მასალა, რომელსაც თანამედროვე სახელმძღვანელოები ან საბავშვო გამოცემები თავავაზობენ პატარა მკითხველს, უნდა იყოს სხვადასხვა ასაკის ბავშვების ფსიქოსოციალურ გამოწვევებზე მორგებული; რაც მთავარია, ლექსიკურად, ფრაზეოლოგიურად, თემატურად გასაგები და მახლობელი, მათთვის აქტუალურ პრობლემებზე ორიენტირებული. თუმცა, ხშირად გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორი:

1. ვერ ელევა აგრარულ ლექსიკას, ფრაზეოლოგიას, თემატიკას, თითქოს, იცავს დარგობრივი კონიუნქტურის ძირითად პრინციპს;
2. წერის პროცესში იშვიათად წარმოისახავს სამიზნე ჯგუფს, ანუ ბავშვთა ასაკობრივ კატეგორიას;
3. ამუშავებს თემებს, რომლებიც, უიშვიათესად ეხმიანება ბავშვების აქტუალურ პრობლემებს.

ყოველივე აღნიშნულიც, გარდა უამრავი სოციალური და დარგობრივი სისტემური პრობლემისა, რომელიც თავს იჩენს საბავშ-

ვო ლიტერატურის განვითარების წინაშე, ხელს უწყობს პატარების კიდევ უფრო გაუცხოებას კითხვის პროცესისადმი, ე.ი. ხელს უშლის მათ დამეგობრებას წიგნთან. მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართველი საბავშვო ავტორები თვლიდნენ, რომ ტექსტი, თავისი ფორმალური და შინაარსობრივი მხარით უნდა იყოს ბავშვისათვის და არა ბავშვი ტექსტისათვის. ეს აუცილებელი პირობაა ბავშვზე წერისას და მათთან თანამშრომლობისას სასწავლო თუ საკითხვა პრაქტიკაში.

ბიბლიოთერაპია. თეორია პრაქტიკაში

„ბიბლიოთერაპია", როგორც ტერმინი, პირველად 1916 წელს გვხვდება ამერიკელი თეოლოგისა და ესეისტის, უნიტარიანელი მოაზროვნის – სემუელ მაკქორდ კროთერსის საეტაპო სტატიაში – „ლიტერატურული კლინიკა" (The Atlantic Monthly, Vol.118, No.3, (September 1916), pp.291-301). კროთერსის მიზანი იყო ლიტერატურის გამოყენებითი ფუნქციის შეფასება იმ ასპექტით, რომ მხატვრული ტექსტი ხშირად ეხმარება რეციპიენტს (პაციენტს) გარკვეული ფსიქოსომატური ხასიათის პრობლემების იდენტიფიცირებაში. 1950 წელს კეროლაინ შროდსმა ნაშრომში „ბიბლიოთერაპია. თეორიული და კლინიკურ-ექსპერიმენტული კვლევა" – ბიბლიოთერაპიის არსი განსაზღვრა შემდეგნაირად: „დინამიკური ინტერაქციის პროცესი მკითხველის პერსონალურობასა და ლიტერატურას შორის სპეციალისტის მეთვალყურეობით". შროდსის მოდელი, რასაც სამომავლოდ დაეფუძნა თანამედროვე ბიბლიოთერაპიული პრაქტიკები, ახლო დგას არისტოტელეს კათარზისის უნივერსალურ იდეასთან, რადგან პროცესი აქაც



იდენტიფიკაციის, ტექსტში ემოციური ჩართულობისა და თანაგანცდის ფაქტორებს აერთიანებს. ზოგადად, ბიბლიოთერაპიის, როგორც იდეის, ჩანასახი ჯერ კიდევ ანტიკურ კულტურაში უნდა ვეძიოთ, სადაც წიგნები ადამიანების კლინიკური პრობლემების მოსაგვარებლად არცთუ იშვიათად გამოიყენებოდა. მაგალითად, როგორც ვიცით, პითაგორა მიმართავდა მუსიკასა და პოეზიას პაციენტთა გასაჯანსაღებლად.

ფსიქოლოგები ბიბლიოთერაპიის ორ პრაქტიკას განასხვავებენ – კლინიკურსა და განვითარების. კლინიკური ბიბლიოთერაპია პაციენტისათვის სპეციალურ ფსიქიატრიულ დახმარებას ითვალისწინებს. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ბრიტანეთსა და აშშ-ში დიდი საავადმყოფოები საკმაოდ ხშირად მიმართავდნენ ამ პრაქტიკას. განსაკუთრებით აქტუალური იყო საომარ პერიოდებში სამხედრო პირების ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური რეაბილიტაციის პროცესში. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ში ომის მონაწილე ჯარისკაცებისთვის ყველაზე მასშტაბური ბიბლიოთერაპიული პროგრამა ამოქმედდა, რომელსაც უძღვებოდა ALA (ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაცია). რაც შეეხება განვითარების ბიბლიოთერაპიას, ის იშვიათად ითვალისწინებს მკურნალობას და შეიძლება ითქვას, უფრო პრევენციული ხასიათისაა – ითვალისწინებს ინდივიდებს შორის იმ უნარების გამომუშავებას, რაც გაუადვილებს მათ პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათ მართვას. ამგვარი ბიბლიოთერაპია ფართოდ დაინერგა მსოფლიოს არაერთი მსხვილი საბიბლიოთეკო და საგანმანათლებლო ორგანიზაციის საქმიანობაში. ამ შემთხვევაში, ფასილიტატორის ფუნქცია ეკისრება ბიბლიოთეკარს, სკოლის მასწავლებელს, ან სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელს, ძიძას, ან სოციალურ მუშაკს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიბლიოთერაპიული აქტივობების წარმართვა საოჯახო წიგნიერების ფორმატით მშობლების, ბებია-ბაბუებისა და უფროსი და-ძმების მიერ.

არტთერაპიის სხვა პრაქტიკებთან შედარებით ბიბლიოთერაპიის უპირატესობად შეიძლება მივიჩნიოთ მასალის ხასიათი და ჟანრობრივი სპეციფიკა, რაც მრავალფეროვნი ეფექტის მიღწევის შესაძლებლობებს იძლევა. ლირიკული ტექსტი შეიძლება დაეხმაროს რეციპიენტს საკუთარი განცდების ვერბალიზაციასა და იდენტიფიცირებაში, ამ თვალსაზრისით ის შეიძლება წარმატებით გამოიყენებოდეს ფსიქოანალიზში. ამდენად, ლიტერატურული ნაწარმოები ბავშვებში განავითარებს კრიტიკული, ანალიზური აზროვნების უნარს. გარდა ამისა, ლირიკულმა ნაწარმოებმა რიტმის, ასონანსებისა და ალიტერაციების საშუალებით შესაძლებელია მუსიკალური თერაპიის ეფექტსაც წარმატებით მიაღწიოს. ეპიკური და დრამატული ნაწარმოები, სადაც წამყვანი დატვირთვა მოდის ამბავზე, ნარაციაზე, მოქმედებაზე, გარდა ზემოხსენებული ფაქტორებისა, მკითხველს სთავაზობს ქცევის მზა სტრატეგიებს. ნაწარმოებში აღწერილი კონფლიქტების გაცნობით, გმირის განცდების გაზიარებით კი მცირდება პაციენტში საკუთარი იზოლირებულობის შეგრძნება, რაც განსაკუთრებით მწვავეა ბავშვის ადრეული განვითარების საფეხურებზე, სკოლამდელ და სასკოლო პერიოდებში. როგორც კლინიკური, ასევე, განვითარების ბიბლიოთერაპიაში მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა უპირველეს ყოვლისა, პრობლემის იდენტიფიცირება (დიაგნოსტიკა) და რელევანტური

მასალის შერჩევა. აღნიშნულ პროცესში აუცილებლად არიან ჩართულნი ფსიქოლოგები ან ფსიქიატრები. მასალად შეიძლება შერჩეული იყოს როგორც მხატვრული, ასევე, არამხატვრული ლიტერატურა, მითები, ამბები და სხვა წერილობითი თუ ზეპირსიტყვიერი ნიმუშები.

არაერთი მნიშვნელოვანი ბიბლიოთერაპიული პროექტი განხორციელებულა ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგ. „ბიბლიოთერაპიული განათლების პროექტი" (Bibliotherapy Education Project), რომელიც ორეგონის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების, პერსონისა და მაკმილენის ინიციატივით ჩამოყალიბდა და განხორციელდა ცენტრალური მიჩიგანის უნივერსიტეტის ბაზაზე. პროექტი შეიქმნა არამხოლოდ სტუდენტებისა და სპეციალისტებისთვის, რომლებიც სწავლობდნენ ბიბლიოთერაპიის საფუძვლებს, ან დასაქმებულნი იყვნენ ამ სფეროში, არამედ მოყვარულთათვისაც. პროექტი 70 ქვეყნის მასშტაბით განივრცო და მისი უმთავრესი ამოცანა იყო საკითხავი მასალების მოძიება და გავრცელება, რაც დაეხმარებოდა სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებს ბიბლიოთერაპიული პრაქტიკების ნარმართვაში.

ბავშვთა ბიბლიოთერაპიული პროგრამები წარმატებით შეიძლება განხორციელდეს საქართველოში როგორც საგანმანათლებლო, ასევე, სამკურნალო და სარეაბილიტაციო მიზნების მისაღწევად ოჯახებში, ბაღებსა და სკოლებში, მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლებსა და თავშესაფრებში, საავადმყოფოებსა და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრებში და სხვ. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ორი კომპონენტის სრულფასოვანი ფუნქციონირება – ერთი მხრივ, საბავშვო მწერლების გადამზადება ბიბლიოთერაპიული მეთოდოლოგიის ადეკვატური მასალის შექმნის მიზნით, მეორე მხრივ კი – ბიბლიოთეკარების, მასწავლებლების, სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელების, ძიძების, მშობლების, სოციალური მუშაკების წვრთნა ბიბლიოთერაპიული პროცესის ეფექტური ფასილიტაციის ტექნიკაში.

საგამომცემლო პოლიტიკა და თანამედროვე ლიტერატურული კონიუნქტურა

არსებობს თანამედროვე ქართული საბავშვო პოეზიის არამხოლოდ ბიბლიოთერაპიულ პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობები, თუმცა მისი ეს რესურსიც სრულებით შეუსწავლელია. მწირი დარგობრივი გამოცდილება, საუნივერსიტეტო პრაქტიკებისგან მოწყვეტილი განვითარება, პროფესიული საზოგადოებების უკუკავშირის არარსებობა, სახელმწიფო, კერძო და კომერციული ორგანიზაციებისგან მინიმალური დაინტერესება აფერხებს თანამედროვე ქართული საბავშვო ლიტერატურის ხარისხის ამაღლებასა და ბიბლიოთერაპიის პრაქტიკებში მათ გამოყენებას.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო პოლიტიკის შემქმნელებმა თუ ცალკეული სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა (მაგ. ბიბლიოთეკებმა, უმაღლესმა სასწავლებლებმა, სკოლებმა და სხვ.) გამოიჩინონ ინიციატივა ორიგინალური ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის ბიბლიოთერაპიული პოტენციალის კვლევისთვის. საზოგადოებაში დიდ დაინტერესებას გამოიწვევდა მსგავსი პროექტების შედეგად მომზადებული ელექტრონული თუ ნაბეჭდი პროდუქტები, რომლებსაც თან დაერთვებოდა რეკომენდაციები ბიბლიოთერაპიის ფასილიტატორთათვის საოჯახო, ანდა სასკოლო პირობებში. გარდა ამისა, არანაკლები პოპულარობით ისარგებლებდა პირისპირი შეხვედრების ფორმატის ჯგუფური, ან ინდივიდუალური სეანსები სხვადასხვა სახელმწიფო ბიბლიოთეკების საბავშვო ოთახებში. ამგვარი პროექტები უნდა განხორციელდეს ლიტერატურათმცოდნეების, ფსიქოლოგების, სოციოლოგების, განათლების ექსპერტების კოლაბორაციის საფუძველზე, თუმცა დანანებით უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით დარგებს შორის კომუნიკაციის ტრადიციები ძალიან ღარიბია. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ გამომცემლებმა, ვინც ყველაზე გავლენიანი შუალედური რგოლია ლიტერატურასა და მომხმარებელს შორის, გამოავლინონ სტრატეგიული ხედვა, ერთი მხრივ, ზოგადად, ორიგინალური საბავშვო მწერლობის განვითარების, მეორე მხრივ კი, კონკრეტულად ბიბლიოთერაპიული პროექტების განხორციელებისადმი. ვფიქრობთ, ეს მათ კომერციულ ინტერესებს არ დაუზარალებს. პირიქით, მარკეტინგის სწორად წარმართვის შემთხვევაში, შესაძლოა, ბაზარზე არსებული „შავი ხვრელებიც" კი ამოავსოს.

ორიგინალური ქართული საბავშვო ლიტერატურის თანამედროვე გამოცემების ერთ-ერთი მთავარი ნაკლი არის ის, რომ ისინი ნაკლებად არის მომხმარებლის (ეგულისხმობთ, მცირეწლოვან მკითხველს) საჭიროებებზე მორგებული გასაგები მიზეზის გამო – ისინი მშობლების გემოვნებაზეა გათვლილი. მშობელთა დიდი ნაწილი კი, ალბათ, უპირატესობას ანიჭებს ე.წ. „კლასიკოსი" ავტორების შემოქმედებას, ვიდრე – თანამედროვეებისას, რომლებსაც ან არ იცნობს, ან არ ცნობს. ამ შემთხვევაში მშობლისადმი საკვანძო გზავნილი წიგნის გარეკანზე

მთავრული ასოებით მონიშნული მისი ავტორია და ალბათ, არ შევცდებით, თუ ჩავთვლით, რომ ამ შემთხვევაში სახელი და გვარი იყოდება და არა ის ლიტერატურა, რომელიც პატარებმა უნდა წაიკითხონ, ან ჩვენ წავუკითხოთ მათ. ამ ჰიპოთეზის არგუმენტად შეიძლება ისიც გამოდგეს, რომ გამოცემებისა და ალბომების ყველაზე „კარგად იყიდება", ეკლექტურია როგორც ლირებულებრივი თვალსაზრისით, ასევე არ არის მიზნობრივი, მორგებული კონკრეტული ასაკის, მიზნობრივი ჯგუფის ბავშვების ინტერესებზე არც ტექსტუალური ინდიკატორების მიხედვით და არც იმ პრობლემატიკით, რომელსაც ეს ლიტერატურა მათ სთავაზობს. ამ მხრივ ერთ-ერთი სასიამოვნო გამონაკლისია გამომცემლობა „გორგას" სერია „ჭკვიანი წიგნები" („ჰიგიენა. ვიმეგობროთ საპნის ბუშტთან", „ზხიარული ციფრები", „მე მინდა, ვიყო...", „მარტივი ცნებები" და სხვ.), რომლებიც ირმა მალაციძისა და მარიამ წიკლაურის საბავშვო პოეზიას სთავაზობს მკითხველს. მართალია, გამოცემებზე არ არის მითითებული მკითხველთა მიზნობრივი ჯგუფები, თუმცა, თითოეული მათგანი, მასალისა და ილუსტრაციების ხასიათით, დაახლოებით ერთი და იმავე ასაკის მკითხველის საკითხავ/მოსასმენ ლიტერატურად შეიძლება, მოვიაზროთ. სასიამოვნო გამონაკლისი იქნებოდა გამომცემლობა „საუნჯის" „ბიბას წიგნების" სერიაც, უფრო თვალნათელი რომ ყოფილიყო, რა პრინციპით არის განსაზღვრული მკითხველთა ასაკობრივი ჯგუფები, მათი საჭიროებები და რა მეთოდით არის კლასიფიცირებული საკითხავი მასალა. სერიაში ვასილ გულეურის „ციცქნა ციკოს თავგადასავალი" განკუთვნილია 5-8 წლის ბავშვებისთვის, ნათია ჯანაშიას „ლიფსტიები" და მარიამ წიკლაურის „ანბანის სამეფო" – 3-6 წ. ასაკის პატარებისთვის და ა.შ. ფსიქოლოგები და თვით არასპეციალისტი მშობლებიც კი დამეთანხმებიან, რომ რთულია, ერთ მიზნობრივ ჯგუფში მოიაზრო 5 და 8 / 3 და 6, ან, თუნდაც, 5 და 6 წლის ასაკის ბავშვები. მიუხედავად ამისა, „ბიბას წიგნების" სერია მნიშვნელოვანი საფეხურია ორიგინალური საბავშვო ლიტერატურის გამოცემის საქმეში, რადგანაც მასში პირველი მცდელობაა მკითხველთა საჭიროებების იდენტიფიცირებისა. სხვა შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, საბავშვო ორიგინალური გამოცემების აბსოლუტური უმრავლესობა კლასიკური ან იშვიათად, თანამედროვე ავტორების საბავშვო თხზულებათა მექანიკურ ჯამს გვთავაზობს, სპეციალური კონცეპციის გარეშე. ასე ხვდება ერთსა და იმავე გამოცემაში მორის ფოცხიშვილის ერთსტროფიანი ნაკვესი – „ვინც არ ტოვებს / ჯამში ფაფას, / ის იზრდება / სხვაზე სწრაფად", „მყვალა მრეველშვილის „საქანელა" („ახლა ჩემი ჯერია, / ჩამობრძანდი მელია...") და გიგი ჭიჭინაძის „სიმღერა საქართველოზე" („მოკაკაშე ცაო, / ზღვაო, ლიცლიცაო..."), რომლებიც ვერც ენობრივად, ან ესთეტიკურად და ვერც პრობლემაზე ორიენტირებული ხედვით ვერ უპასუხებს ერთი და იმავე მკითხველის გემოვნებასა და ასაკობრივ გამოწვევებს.

ის, რომ ქართველი გამომცემლები ორიგინალური ლიტერატურის შერჩევისას უფრო მეტად ეტანებიან ქართველ კლასიკოს ავტორებს, კიდევ უფრო აღრმავებს საკომუნიკაციო ნაპრალს წიგნსა და მკითხველს შორის სხვა ასპექტითაც – ბავშვისთვის გაცილებით რთულია სულ სხვა დროსა და სოციოკულტურულ გარემოში შექმნილი ტექსტების გათავისება, გმირებთან თანაგანცდა და მით უფრო, საკუთარი პერსონის იდენტიფიკაცია აღნიშნულ კონტექსტთან. ამ მხრივ, ბიბლიოთერაპიული გამოცდილების გაღრმავებისთვის გაცილებით ეფექტურ პლატფორმას შექმნიდა თანამედროვე ქართული საბავშვო ლიტერატურა, სადაც არამხოლოდ თემები და პრობლემები, არამედ ყოფა, რეალიები და თვით გმირების სახელებიც თუ თანამედროვე იქნება, წიგნთან „დამეგობრების" დამატებით შესაძლებლობებს შეუქმნის პატარებს. ჯერჯერობით კი ქართველ ავტორებს ამ ნიშნულამდე დიდი გზა აქვთ გასავლელი, რადგან თანამედროვე ქართული საბავშვო პოეზიის იმ იშვიათ გამოცემებშიც კი, რომელსაც წიგნის ბაზარი სთავაზობს დაინტერესებულ ადამიანებს, ნაკლებად ჩანს პრობლემაზე ორიენტირებული მიდგომა და ბავშვების ინტერესებზე ფოკუსირება. განსაკუთრებით მწვავეა ისეთი თემების უგულებელყოფა, როგორიც არის, მაგალითად, გაყრილი ოჯახები, ქრონიკული დაავადებები, სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები და მისთ. თვით, სათვალეების მატარებელი და ჭორფლების მქონე ბავშვების შესახებაც კი, რაც ბევრი პატარასთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, თუ არ ვცდები, ბოლო წლებში არაფერი დაწერილა. ასეთი დელიკატური თემების დამუშავებას, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, პრობლემის სიღრმისეული აღქმა და საკითხისადმი ეთიკური დამოკიდებულება სჭირდება, ისევე, როგორც პროფესიული დახელოვნება და წერის მაღალი კულტურა.

ცხადია, ხშირ შემთხვევაში საგამომცემლო პრობლემები უშუალო კავშირშია საბავშვო ლიტერატურის დარგობრივ პრობლემებთან, თუმცა, ალბათ, ყველანი ვთანხმდებით, რომ საბავშვო ლიტერატურა არ უნდა ქმნიდეს ხელსაყრელ პირობებს პატარებს შორის და მათ გარშემო სტიგმების, იარლიყების, სტერეოტიპების და კლიშეების, ნეგატიური ფანტაზიისა და დასჯის ძალადობრივი ფორმების განვითარებისთვის. ამიტომ სასურველი იქნება, თუ ბავშვებისთვის განკუთვნილ ახალ გამოცემებში მაინც აღარ მოხვდება ჩვენთვის ძალიან ცნობილი ტექსტები:

„თუ გსურს, ბიჭად / დარჩე, ბიჭო, / ეგ თმა უნდა / შეიკრიჭო" (მორის ფოცხიშვილი, „დალაქის ლექსი");

„რომ ვიტირე, დედიკომ / დამაწინწკნა ქოჩორი, / ბებიამ კი მიძახა / გაუზრდელი ჩოჩორი". (ნოდარ დუმბაძე, „ჩოჩორი");

„უჰ, რა ცუდი სიტყვებია: / „უზრდელი" და „უმეცარი", / „უპირო" და „უსამართლო", / „უგულო" და „უტიფარი"... / ნუ შეირქმევ, მოდი, ნურცერთს, / თუ ხარ ჩემი მეგობარი!" (თამარ ფხაკაძე, „ანბანთქება");

„ხმალს ჯერ ვერ მოგცემ, უშიშავ, / მამალს დაჰკრავ და მოკვდება. / გაიზრდები და გაჩუქებ, / მამულის მტერსაც მოხვდება!“ (ვაჟა ხორნაული „უშიშ“). და მრავალი სხვა. თუმცა, ამჯერად, აქ შევჩერდებით, რადგან მოცემული სტატიის მიზანი სულაც არ არის ჩვენთვის და მკითხველთათვის საყვარელი ქართველი ავტორების შემოქმედებაში აღმზრდელობითი და ეთიკური ხარვეზების ძიება. ვფიქრობთ, ქართულმა საბავშვო ლიტერატურამ უნდა გადაადგასოს ე.წ. ნეგატიური განმტკიცების სტრატეგიაზე ორიენტირებული რიტორიკა, ისევე, როგორც მოჭარბებული დიდაქტიკური პათოსი, რისი იმედისმომცემი მაგალითებიც დღეს, საბედნიეროდ, არსებობს.

პრობლემებზე მომართული ხედვით მარიამ წიკლაურისა და ნაირა გელაშვილის საბავშვო პოეზია მართლაც გამორჩეულია. როგორც ჩანს, ავტორები სწავლობენ ბავშვების ასაკობრივ ქცევებს, ემოციებს, ტიპურ პრობლემებს, რადგან მათი გმირები და მათ მიერ შეთხზული ამბები ბავშვებს ამ პრობლემების მართვის საუკეთესო მაგალითებს სთავაზობს. ასეთი ტიპური პრობლემებია: გაბუტვა და სიზარმაცე (მარიამ წიკლაურის „ებუტება – ვის?“, მისივე „ზარმაცუნა“), კვების პრობლემები (ნაირა გელაშვილის „ლექსი ბავშვებისთვის, რომლებსაც ჭამა ეზარებათ“), დედისერთობა (მარიამ წიკლაურის „ნატვრა“), ავად ყოფნა (მარიამ წიკლაურის „მხიარული რეცეპტები მოწყენილ ავადმყოფთათვის“), ნეგატიური ემოციების მართვის პრობლემა (მარიამ წიკლაურის ლექსები: „მტირალას კვერი“, „დარისა და ავდრისა“, „ყველა შიშის ჯიანაზე“), წამლის მიუღებლობა და ექიმისადმი გაუცხოება („ნუწუნა წრუწუნა“, რომელიც სპაიკ მილიგანის ნაწარმოების მიხედვითაა შექმნილი მარიამ წიკლაურის მიერ; მისივე „ექიმი“), ძილის უსიყვარულობა (მარიამ წიკლაურის „ძილისპირული“).

მარიამ წიკლაურის საბავშვო ლიტერატურაში ორი დომინანტი ენობრივი პლასტი ვითარდება – გამოყენებითი და ფოლკლორულ-საკრალური ტექსტი. გამოყენებითი ლიტერატურის ველის ფარგლებში ავტორი პრობლემაზე ორიენტირებულია და მისი ეს კონტექსტი ფორმალურადაც მარკირებულია მარტივი ენობრივი მასალითა და ბავშვებისთვის გასაგები ტროპებით, კარნავალური წარმოსახვებითა და პოეტური თამაშებით, რაც ქმნის ნაწარმოებში ბავშვის ემოციური ჩართულობის პირობას. რაც შეეხება წიკლაურის ფოლკლორულ-საკრალურ ტექსტს, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი კრებულები – „ნატვრისთვალო მზისაო“ და „ნანინები“, სადაც ავტორი ქართული ენისა და ხალხური პოეზიის მეხსიერებაში წვდომის საშუალებით ახერხებს ლოკალურ კულტურაში დაგროვილი მატერნალური ენერგიის არტიკულირებას საბავშვო პოეზიის ენაზე. მისი ნანინების სახეობრივი სისტემა (მზის აკვანი, წყაროს წყალი, ღუღუნა მტრედი, ღუღუნა სიზმრები, ანგელოსების უჩინარი ფრთები, დილის ნამი, ბალახების ცვარი, რძის ცვარი, ია-ვარდის ძნები, სოსანები და იები და სხვ.), რიტმული სტრუქტურა, შელოცვისა და დალოცვის ელემენტებით კოდირებული პოზიტიური რიტორიკა, ქმნის ერთგვარ საკრალურ ტექსტს – ბიბლიოთერაპიისა და მუსიკის თერაპიის უნიკალურ მასალას.

დადებითი განწყობებისა და შიშების რეფლექსიის, ვერბალიზაციისა და მართვის მიზნით ნაირა გელაშვილს შექმნილი აქვს არაერთი ტექსტი, რომელთა შორის გამორჩეულია ლექსები – „ქარი“, „ნუ გეშინია“, „როცა გიო ტიროდა“, „პიანინო“ და სხვები. პატარების ყოველდღიურ ყოფით გამოცდილებებთან ახლო დგას, ასევე, ვასილ გულეურის გულწრფელი, ხალისიანი და სისადავით მიმზიდველი შემდეგი ტექსტები: „ქარი და ღრუბელი“, „ნიჟარა“, „საბანწლრ სიზმარი“, „ამოცანა“. „ლექსი ნაყინის მოყვარულ სელაპზე“, „ნვიმა“, „გოზინაყი“, განსაკუთრებით საინტერესოა მისი „რა დახატა ბაქარმა“ – რაც ვფიქრობთ, ბიბლიოთერაპიისა და ზოგადად, არტთერაპიის პროცესის წარმართვისთვის ერთ-ერთი ძალიან საინტერესო ნიმუში შეიძლება იყოს.

საინტერესოა ვაჟა ხორნაულის კრებული „იქით მზე და აქეთ – დედა“, რომელიც მკითხველთა განსაზღვრული წრისთვის, საქართველის მთიან რეგიონებში სოფლად მცხოვრები ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. ამ თვალსაზრისით გამოცემა მიზნობრივია, რამდენადაც ეხმიანება თავისი მკითხველის განცდებსა და პრობლემებს, ყოფას. ეხმიანება იმ თვალსაზრისითაც, რომ ამ შემთხვევაში ტექსტების გმირები არიან არა სანდრო და ანასტასია, არამედ ღვთისო, ზეზვა, ბათირა და სხვები. საერთოდ, მნიშვნელოვანია, საბავშვო ლიტერატურა ყველა ასაკობრივი, სოციალური და კულტურული იდენტობის წარმომადგენლობის პატარასთვის იქმნებოდეს.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ კლასიკური ქართული საბავშვო ლიტერატურა, რომლის მეინსტრიმული ტექსტი მაინც აგრარული საზოგადოების პროდუქტია, სოფლისა და ბუნების თემაზე წერის გაცილებით მდიდარ ტრადიციას სთავაზობს თანამედროვე საბავშვო ავტორებს, ვიდრე ქალაქური ყოფის ასახვის გამოცდილებას. ეს უკანასკნელი კი, უმეტეს შემთხვევაში, ინერციით აგრძელებს მშვენიერი ბუნების,

წელიწადის დროების აღწერისა და ტყის ამბების თხრობის უკვე გაკვალულ გზას. სასურველი იქნებოდა, თუ საბავშვო ლიტერატურა რეპრეზენტატული იქნებოდა თემატური, მოტივური და პრობლემური თვალსაზრისით იმ ყოფისა და რეალიებისა, რა გარემოშიც დღეს ბავშვებს უწევთ ცხოვრება.

ცხადია, ბუნებასთან ურთიერთობა თერაპიული თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის და დიდ გავლენას ახდენს მათი და კოგნიტური უნარების განვითარებაზეც. გარდა ამისა, პიროვნებაში ჰუმანური ღირებულებების განვითარებას საფუძველს უმზადებს ბუნებისადმი ეთიკური დამოკიდებულების გამომუშავება ბავშვობის წლებშივე. თანამედროვე ქართულ საბავშვო პოეზიაში ამ მისიას ასრულებს ნაირა გელაშვილისა და მარიამ წიკლაურის ტექსტები და როდესაც ბიბლიოთერაპიას განვიხილავთ ეკო- და ნატუროთერაპიის, როგორც ფსიქოთერაპიის ერთ-ერთი მიმართულების კონტექსტში, არ შეიძლება, ამ ჭრილში არ დავინახოთ ნაირა გელაშვილის კრებული – „წინწკლების ქოხი“ და მარიამ წიკლაურის კრებულები „ქართული ანბანი“ და „ანბანის სამეფო“.

მარიამ წიკლაურის „ქართული ანბანი“ („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“) და „ანბანის სამეფო“ (გამომცემლობა „საუნჯე“) მსგავსი კონცეპციისა და ფორმატის გამოცემებია. საერთოდ, ამ ტიპის წიგნის (თითო მარტივი ლექსი ანბანის თითო გრაფემაზე / ფონემაზე) პირველი ნიმუში ჯერ კიდევ 1744 წელს გამოსცა ცნობილმა ბრიტანელმა გამომცემელმა – ჯონ ნიუბერიმ. ეს ის ნიუბერია, რომლის სახელობის ჯილდოს ყოველწლიურად გასცემს ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაცია ამერიკული საბავშვო ლიტერატურის წინაშე გაღებული განსაკუთრებული წვლილისათვის. წიგნს ერქვა „პატარა, მიმზიდველი ჯიბის წიგნი“. დღემდე თვლიან, რომ ამ წიგნმა როგორც შინაარსობრივი, ასევე, ფორმალური თვალსაზრისით გადატრიალება მოახდინა საბავშვო ლიტერატურის გამოცემის საქმეში, რადგან ის იყო ბავშვის გემოვნებაზე და მის ინტერესებზე ორიენტირებული პირველი წიგნი. მარიამ წიკლაურის „ქართული ანბანიც“ ასევითვე ხასიათის გამოცემაა. ის აერთიანებს მცირე მოცულობის, მარტივი ენითა და ბავშვებისათვის მახლობელი ესთეტიკით შექმნილ ლექსებს, რომელთა განსაკუთრებული ღირსება, ასევე, მდგომარეობს მის ვერსიფიკაციულ თავისებურებაში – რიტმულ მრავალფეროვნებაში. ნიკლაურის აღნიშნულ კრებულებში ანბანი, როგორც სისტემა, როგორც განათლების უნივერსალური ინსტრუმენტიც და მეტაფორაც, ბუნებრივი სამყაროს შესწავლის საშუალებაა. ანიდან ჰომდე, მცირე გამონაკლისების გარდა, მისი საკითხავი მასალა აგებულია ბუნებაში არსებული საგნებისა (ა – ალუბალი, ბ – ბეკეკა, გ – გუგული და სხვ.) და მოვლენების (ხის აყვავება, გაზაფხული, რთველი, ზამთარი და აცივება, თოვლი, ქათმის მიერ კვერცხის დადება, დღე და ღამე, ფუტკრის მიერ თაფლის დამზადება, ქარი, წვიმა და მისთ.) თემებზე. ეს საანბანო პოეზია და მარიამ წიკლაურის სხვა გამოცემებში წარმოდგენილი ცალკეული ტექსტები შეიძლება გამოიყენებოდეს ბიბლიოთერაპიულ პრაქტიკებში ეკოთერაპიის მიმართულებით; ასევე ეფექტურად შეიძლება მუშაობდეს ეს ლიტერატურა ბავშვის პერსონალური იდენტიფიკაციის პროცესში.

იმავეს ვერ ვიტყვით მსგავსი ფორმატის გამოცემაზე – „ანბანთქება“ (თამრი ფხაკაძე, პალიტრა 1). მოვიხმობთ რამდენიმე მაგალითს: „პირაქეთა ხევსურეთში / პაპა ცხოვრობს, – აპარეკა, / პაპამისსაც, პაპის პაპებს – / ყველას აპარეკა ერქვა. / პირში სული სანამ უდგას, / პაპა არის სოფლის ძელქვა.“; ასო „დ“-ზე ვკითხულობთ: „დარიალში ნაავდრალზე / დადგა დარი დიდებული, / დედა დპრეს დაჭიანახე / დრუნჩა ბელმოკიდებული, / გადატოპეს დევისსელელ, / დელგმით ნამოდიდებული“ და სხვ. როგორც ვხედავთ, ავტორისა ფორმალისტური (ასონანსები, ალიტერაციები) ექსპერიმენტის ხარჯზე მასალა სცილდება 5-6 წლის პატარების ასაკობრივ საჭიროებებს შინაარსობრივი, ენობრივი და ესთეტიკური თვალსაზრისით. მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში გრამატიკულ და ლექსიკურ ცდომილებასაც კი ვხედებით: „ჰეიდა, ჰარი ჰარალე, / ჰაერში ყურძნის **სუნია**, / ... / ჰამაკში ძილი ვის უნდა? – / ჰკითხეთ ზარმაცს და **უნიათს**“.

საბავშვო ეკოპოეზიის კლასიკურ ნიმუშებად შეიძლება მივიღოთ ნაირა გელაშვილის ტექსტები, რომლებიც წარმოდგენილია მის კრებულში „წინწკლების ქოხი“. ეს ლექსები ბავშვებს ასწავლის ბუნებასთან ურთიერთობის გრამატიკას. აქაურ წარმოსახვებში ბუნების თითოეული საგანი გაპიროვნებულია, გასულიერებულია (მაგ. ლექსებში – „ფანტელი“, „ენუტის სიმღერა“, „მაწანწალა ძაღლების სიმღერა“ და სხვ.). ლექსები ნაძვების, მუხებისა და ბზების, ჭინაჭყვლებისა და ჭიაღუების განცდებზე, საფიქრალზე – თანაზიარებისა და პასუხისმგებლობისაკენ განაწყობს პატარა მკითხველს. მეორე მხრივ, ბუნება ის უზენაესი ძალაა, რომელიც ბავშვს დადებითი განცდებით აღავსებს, ეხმარება მას საკუთარი ემოციების ესთეტიკური ფორმით, პოეტურ ენაზე არტიკულირებაში. ამ მხრივ ნაირა გელაშვილის საბავშვო პოეზია განსაკუთრებით საინტერესოდ შეიძლება იქნას გამოყენებული ბიბლიოთერაპიულ პრაქტიკაში. უფრო ფართო კულტურულ ჭრილში კი, ეს ტექსტი ბუნების ენასა და მითოსურ წარმოსახვებში რომანტიკულ-მისტიკური და მოდერნისტული ძიებების გამადიდებელი ხელსაწყოა, რომელიც, როგორც ბავშვის ფანტაზია და აზროვნების სტილი, არ ცნობს კლიშეებსა და ფორმალურ-შინაარსობრივ კანონებს. ნაირა გელაშვილის საბავშვო პოეზია არღვევს ჟანრობრივ კონიუნქტურას – თემატური, რიტმული, ტროპული თვალსაზრისით და ბავშვებს მაგალითს აძლევს, თუ როგორც უნდა იფიქრონ, შეაფასონ, შექმნან ნორმებისა და სტერეოტიპებისგან თავისუფალი დამოკიდებულებით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ხელოვნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამელუქნი სოცრეალიზმისა

დავით ანდრიაძე

ესსე I

1836 წლის შემოდგომაზე, მოუხშირა თურმე პუშკინმა სამხატვრო აკადემიის გამოფენებზე სტუმრობას.

ერთხელაც, ათვალიერებს დამწყები აკადემისტების ნამუშევრებს და, უცებ, მის წინაშე ძველი რუსული თამაშობა გაცოცხლდა...

პუშკინი შეჩერდა; გაიღიმა...

– Слава богу, наконец и скульптура в России явилась народная, – აღმოხდენია აღფრთოვანებულს.

დღევანდელი გადასახედიდან, აღსაფრთოვანებელი, თითქოსდა, არც არაფერი იყო – ეს კლასიცისტური ქანდაკება ლენინგრადის (ან ისევ პეტერბურგის) რუსულ მუზეუმში მაქვს ნანახი: „Мальчик, играющий в бабки" – ასე ჰქვია პუშკინის მიერ მოწონებულ უსიცოცხლო კომპოზიციას.

ალექსი ნიკალაევიჩ ოლენინმა, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა და პუშკინის ძველისძველმა მეგობარმა, ავტორი წარუდგინა დიდ პოეტს – ახალგაზრდა მოქანდაკე ნიკალაი პიმენოვი.

პუშკინმა უბის წიგნაკი ამოიღო და ფანქრით რაღაცის ჩაწერა დაიწყო.

ჩქარობდა...

მერე ამოხია ფურცელი, ავტორს გაუწოდა და ორივე ხელი მაგრად ჩამოართვა.

აი, ეს პიმენოი იყო ტფილისში დადგმული პირველი ძეგლის – კავკასიის მეფისნაცვლის, გენერალ-ფელდმარშლის, გრაფ მიხაილ ვორონცოვის მონუმენტის ავტორი.

ძეგლის გახსნას ვეღარ მოესწრო – ბრინჯაოში ჩამოსასხმელად გამზადებული დარჩა მოდელი.

ეს საქმე ბოლომდე მიიყვანა პიმენოვის მოწაფემ – კრეიტანმა, რომელმაც სამხატვრო აკადემიის საბჭოს მეთვალყურეობით დაასრულა ქანდაკება.

სამმეტრნახევრიანი სიმაღლის ძეგლი ჩამოიტანეს ტფილისში, ოტო სიმონსონმა არქიტექტურული კონტექსტი შეურჩია და 1867 წლის 6 აპრილს (ძველი სტილით 25 მარტს) ზარ-ზეიმით გახსნეს.

ნიკალაი პიმენოვის მამა – სტეპან სტეპანიჩი, ვგონებ, კიდევ უფრო განთქმული მოქანდაკე იყო. წლების მანძილზე დემუტ მალინოვსკისთან ერთად მუშაობდა: კარლო როსის მიერ აშენებული სასახლეებიც ერთად შეამკეს სკულპტურული დეკორით. მანამდე კი, ყაზანის ტაძრისათვის, ვორონიხინის დაკვეთით გამოძერწა ალექსანდრე ნეველისა და კიევის მთავრის ვლადიმერ სვიატოსლავიჩის ფიგურები.

ნიკოლოზ I გადაემტერა საცოდავს – 1830 წლის ბოლოს დაითხოვა აკადემიიდან.

ეგ კი არა, ამ მელაძუამ, კინაღამ რექტორი, აკადემიკოსი მარტოსი, „მინინისა და პოჟარსკის" სახელმოხვეჭილი ავტორიც თან მიაყოლა.

მერე, ვითომდაც, დინნდო და ასე შეიწყალა: „прилично будет оставить доживать в академии".

აი, სტეპან სტეპანიჩს კი, მას შემდეგ, რაც აკადემიურ გამოფენაზე წარმოდგენილი მეფე-დედოფლის ბიუსტები დაუწუნა, დაუნდობლად ამოჰკრა პანლური; ნარვას ტრიუმფალურ კარიბჭესთან დასადგმელი ცხენების სამუშაოც ჩამოართვა და...

სამი წლის შემდეგ სტეპან სტეპანიჩ პიმენოვი მოკვდა – დარდს გადაჰყვა...

ეს ისტორიები ვორონცოვმა გამახსენა.

მე „ვორონცოვზე" დავიბადე და ბებიაჩემის მონაყოლით ვიცი ამ ძეგლის აღების ამბავი.

1921 წელს, მე-11 არმიის შემოსვლისთანავე დაუნგრევიათ, ხოლო, თუ ვინ მოუძღოდა ამ არმიას, იმედია, მოგეხსენებათ...

მე შევესწარი, თუ როგორი პატივით მიაბრძანეს უბადრუკი სერგოს ძეგლი საბურთალოზე; და იმასაც შევესწარი, თუ პატივაყრილსა და გათახსირებულს, როგორ მიათრევდნენ რუსთაველზე...

ეს იყო მთელი პერფორმანსი...

რას იზამ, ყველა ძეგლს არ უწერია მშვიდი ცხოვრება – ძეგლიც ხდება ხოლმე ძალადობის ობიექტი.

ძეგლებს აბინძურებენ, ანგრევენ, აფეთქებენ, რათა მათ ადგილას ახალი რეჟიმის უკვდავსაყოფი მონუმენტები აღმართონ.

ისეც ხდება, რომ ერთი და იგივე ალაგი აღმოჩნდება ხოლმე ორი ურთიერთსაპირისპირო ინტენციის – ვანდალიზმისა და ახლის აღმართვის კონსტრუქციული გზაჯვარედინი.

მართალსა წერს მიხაილ იამპოლსკი, რომ გარკვეულ კონტექსტებში ძველი მონუმენტების დესტრუქცია და ახალთა კონსტრუქცია იმორტალიზაციის ორ, თანაბრად გამართლებულ პროცედურად მოიაზრება.

დესტრუქცია ხომ დამარცხებულის ხელისუფლებას იმავე ძალით განამტკიცებს, რითაც გამარჯვებულის მონუმენტის აღმართვას?!

მაგრამ, დიდხანს ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა, – ორჯონიკიძეები გაეხარებინა?!

საქართველოს „განითლებიდან" გავიდა ოთხი ათეული წელი და... კიდევ ერთი დიდებული რუსის – ალექსანდრ გრიბოედოვის ძეგლი დაიდგა.

მისი ავტორი საკაკშირო სამხატვრო აკადემიის „ჩლენ-კორის“, კოტე მერაბიშვილის 30 წლის ვაჟი, მერაბ მერაბიშვილი იყო – მომავალი აკადემიკოსი.

რუსული აკადემიური კლასიციზმის პოზიციებიდან მართლაც „ხუთიანზე“ შესრულებულმა ნამუშევარმა საბჭოთა იმპერიის სამხატვრო აკადემიის უმაღლესი ჯილდო – ოქროს მედალი დაიმსახურა.

საინტერესო დეტალია:

ლენინგრადის განთქმულ ქარხანაში – „მონუმენტ-პლასტიკა“ – გრიბოედოვს რომ ასხამდნენ ბრინჯაოში, ახალბედა მოქანდაკეს შესთავაზეს, ვერცხლი ხომ არ გაგვერიაო...

სად ვიშოვოთ ვერცხლიო, გაიკვირვა თურმე „პატარა მერაბიშვილმა...“

აგერ, ბაზრობაზე იყიდება ხუთ მანეთად ნიკოლოზის ვერცხლის მონეტებიო – მიასწავლეს გამოცდილმა ოსტატებმა...

მაშინვე გაქანდა „ავტორი“, ასი ვერცხლის მანეთიანი იყიდა და ასე ჩადო გრიბოედოვის თავში ეს ძვირფასი ინვესტიცია.

ამას „კოლოკოლნოე სერებრო“ ჰქვია!

გავა კიდევ ოთხი ათეული წელი და პეტრე ბაგრატიონის მოსკოვური ძეგლისათვის, მერაბ მერაბიშვილს ამჯერად უკვე რუსეთის სამხატვრო აკადემიის მორიგი ერთი ბაჯაღლოთი აჯილდოებენ...

ესაა ორადორი ჯილდო, რომელიც გულწრფელად ეამაყება მხცოვან მოქანდაკეს.

სხვა, რაიმე სახელმწიფო ჯილდო – ორდენი თუ პრემია მას არასოდეს მიუღია.

არადა, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თითქოსდა, დახუნძლული უნდა იყოს ორდენებით.

და ამ გაგებით, მერაბ კონსტანტინოვიჩი სულაც არ ტოვებს ანგაჟირებული მხატვრის შთაბეჭდილებას.

საქვეყნოდ „იზვესტნი“ ერნსტ ნეიზვესტნი იგონებს:

ერთხელ, სახელოსნოში საკმაოდ გავლენიანი ჩინოვნიკი სწვევია, საქაღალდე დაუძვრია და დარდი გაუზიარებია – აი, სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ნიკალაი ვასილევიჩ ტომსკი... დაახლოებით ოცი წოდება აქვს, მაგრამ სოციალისტური შრომის გმირი არ არის. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს კი, ევგენი ვუჩეტიჩს, რომელსაც ნეიზვესტნი სხვა ადგილას განგსტერს უწოდებს, იგივე ოცი წოდება აქვს და, ამას გარდა, სოციალისტური შრომის გმირიცაა. ასე რომ, სატაბელო რანგში დისბალანსია!

ახლა შეიძლება სასაცილოდ არ ღირდეს ეს ამბავი, არადა, საბჭოური ნომენკლატურული კანონებით, ეს – დიდი თავსატეხი იყო...

მადლობა ღმერთს, მალე გამოსწორდა საქმე – ტომსკისაც მისცეს გმირობა და, იმედია, იმ ჩინოვნიკმაც შვებით ამოისუნთქა.

დიახ, წოდებები და ჯილდოები აუცილებელი იყო დიდ სამხატვრო-აკადემიურ ფუნქციონერთათვის იმ ქვეყანაში, სადაც გენიოსები ინიშნებოდნენ.

ჰო-ჰო, ინიშნებოდნენ. არც მეტი და არც ნაკლები, ინიშნებოდნენ!

იმავე ნეიზვესტნისთვის უთქვამს ერთ-ერთ იდეოლოგიურ დამას: „Когда нам понадобится, чтобы кто-нибудь был гениальным, мы его назначим“.

ასე დაინიშნა 60-იანი წლებიდან „საქართველოს გენიალურ მხატვრად“ გუდიაშვილი.

სხვათა შორის, 1975 წელს მერაბ მერაბიშვილი გახდა სსრკ სამხატვრო აკადემიის „ჩლენ-კორი“; გუდიაშვილი კი... „ჩაადგეს“.

ამ ამბავს შეეწირა უჩა ჯაფარიძის კარიერა და გამძვინვარებულმა შევარდნაძემ საწყალი უჩა მხატვართა კავშირის თავმჯდომარეობიდან კინწისკვრით გააგდო...

უცნაური ქვეყანა იყო, ყველაფერი საათივით ჰქონდათ აწყობილი.

ასეთ „სისტემაში“ მოუხდათ ცხოვრება მამა-შვილ მერაბიშვილებსაც.

ფაქტია: ნიჭიერი მხატვრების მზრუნველობაც იცოდნენ ბოლშევიკებმა.

კალაშნიკოვისეული საცხოვრებელი კორპუსის ეზოში, პლეხანოვზე, ბერიას „პრიკაზით“, ერთ თვეში აუშენეს მამა მერაბიშვილს მისივე დაპროექტებული სახელოსნო.

ეს იყო 1937 წელს.

სხვათა შორის, აბასთუმანშიც, ბერიასავე მზრუნველობით გაამგზავრეს კოტე მერაბიშვილი სამკურნალოდ...

ამ სახელოსნოში გამოიძერწა მერაბ მერაბიშვილისეული მონუმენტებიც.

ერთი შეხედვით, ისიც ტოტალიტარიზმის ადეპტია;

თუმცა არა! საქმე არც ისე მარტივადაა.

1960-იან წლებში „ლიტერატურნაია გაზეტაში“, რელიქტურ მარქსისტ მიხაილ ლიფშიცსა და მომავალ დისიდენტ გრიგორი პომერანცს შორის, მოდერნიზმის გამო გაჩაღებულ დისკუსიაში, ლიფშიცი სწორედ რომ მოდერნიზმს სდებდა ბრალს ტოტალიტარულ დესპოტიზმში.

ნიკიტუშკას მიერ აბსტრაქციონისტების ტუტუცურ დატუქსვას შეჩვეულნი, სასიამოვნოდაც კი იყვნენ გაოცებულნი ლიფშიცის არგუმენტებით.

სხვათა შორის, ბორის პარამონოვი თვლის, რომ „პარტიული პოზიციებიდან“ მოიერიშე ლიფშიცი იმიტომ იყო ესოდენ დამაჯერებელი, რომ ილია ერენბურგის „ხულიო ხურენიტოთი“ იყო შთაგონებულიო.

ცხადია, ყოველივე ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თავად ერენბურგიც, პიკასოს ძველი მეგობარი, ლიფშიცივით ანტიმოდერნისტი იყო (ხომ გახსოვთ, ამ უკანასკნელის (sic) გახმაურებული სტატია „Почему я не модернист“?!).

უბრალოდ, კონსტრუქციული სილამაზის „ეპოქალური“ მეხოტბე – ერენბურგი, „უკანა რიცხვით“ აღმოჩნდა ტოტალიტარიზმის პროპაგანდისტი.

ისე, მერაბ მერაბიშვილიც, უკანა რიცხვითვე ხომ არ გამოდის ტოტალიტარიზმის მეხოტბე?!

და ამაში, დასაძრახიც არაფერია.

ნებისმიერი მონუმენტი ხომ თავისი კონსტრუქციული სინტაქსითა და „საყოველთაოს“ პრეგალირებით, ინდივიდუალურის წინააღმდეგ, კომუნისტურ-სინდიკალის-

ტურ იდეოლოგიას გამოხატავს?!

აქედან ფორმულა: „რაციონალურად კონსტრუქტიულ ხელოვნებას არსებობა, საკუთრივ, გონივრულად ორგანიზებულ სოციუმში ძალუძს“.

აი, ასეთ „საზოგადოებას“ აშენებდნენ კომუნისტები!

და მონუმენტური სკულპტურაც (და არა პლასტიკა) შესატყვისი სჭირდებოდათ...

არადა, მერაბ მერაბიშვილისეულ მონუმენტებში მაინც დაიძებნება ლაბილური პლასტიკის ერთგვარი დოზა, რაც მემკვიდრეობით დაემადლა მამის ხელწერიდან; მამისა, რომელიც თითქოსდა ვერ ჰგუობდა ნაჯახივით ქანდაკებას; ამიტომაც ცდილობდა ეპოქის, შემზარავად მკაცრი და მონსტრუოზული სტილისთვის, შეძლებისამებრ, დაეცინცლა ლირიულ-რომანტიკულ სახიერებასთან დაწყვილებული მგრძნობელობა და ასე გაეთბო მონუმენტები.

ასეთი ლიმიტირებული სითბოთი გამოირჩევა 1937 წელს დადგმული რუსთაველის ძეგლი.

ბევრი ეცადნენ, მაგრამ ამ ძეგლის „შემცველელი“ ვერ იპოვეს.

უმცროსმა მერაბიშვილმაც დადგა რუსთაველი, ოღონდ უნგრეთში, კეჩკემეტში.

ეს ის კეჩკემეტია, გარგარის შარბათით, ინგლისის სამეფო გვარეულობის საყვარელი სასმელით რომაა ცნობილი ევროპაში.

სხვათა შორის, გიორგი ლეონიძეს აქვს ერთი ლირიკული ტექსტი, სათაურით, „გარგარის წყალი“.

მერაბ მერაბიშვილის რუსთაველიც გარგარის წყალივითაა...

მანდელშტამი წერდა: „Нет, что не говорите, а в основе классического танца лежит отрастка - кусочек государственного льда“.

ჩვენი მამა-შვილის ნეოკლასიციზტურ ქანდაკებებშიც იგრძნობა „სახელმწიფოებრივი ყინული“, თუმცა, ეს ყინული შიგადაშიგ ღღვება და მეტ-ნაკლებად ლირიულ ნოტებად იღვრება.

რაც შეეხება სიცივეს, კაცმა რომ თქვას, სიცივე სულაც არ უნდა ყოფილიყო საბჭოური ტოტალიტარიზმის ესენცია.

უფრო – პირუკუ...

სტალინიზმის „სეზონი“ ზაფხული იყო.

„სტალინიზმის ზაფხული“ – აი, სისტემის „ღვთაებრიობის“ სიმბოლო!

ზამთარი და დანარჩენი სამი სეზონი პრინციპულად იყო გაუქმებული...

საზაფხულო მსოფლგანცდა „კულტურა-2“-სთვის (მოგეხსენებათ, ვლ. პაპერნის ტერმინია!) მისსავე რეალურ არსებობას მოწყვეტილია.

დიახ, ამ კულტურაში ცხელა!

ცხელა, მიუხედავად იმისა, თუ რას უჩვენებს თერმომეტრი...

განა შემთხვევითი იყო, რომ ვოლგა-დონის არხზე აღმართული, შინელში გამოწყობილი სტალინის მონუმენტის შიგნით, სპეციალური ელექტრორადიატორები იყო დამონტაჟებული?!

კოლოსი არასოდეს არ უნდა დაეფაროს თოვლს.

ესეც – ბრძოლა ფრიგიდულობასთან!

და კიდევ: „სტალინისა“ და „მზის“ მითოლოგიური იდენტიფიკაციაც სიმპტომური რამაა; და „შეფისა“ და „მზის“ გაიგივებიდან მომდინარეობს უთუოდ...

დაახლოებით ისე, აფანას ფეტმა რომ უმღერა ალექსანდრე III-ს:

„Как солнце вешнее сияя, в кучах недаром не взошел“...

აპენდიქსი

„ყოველ ღამე, როცა ფუნიკულორზე ხუთქიმინი ვარსკვლავი აენთება, მეფის მოადგილე, ვორონცოვი, იბერტყავს თუჯის გრძელ მოსასხამს, შლის სრულიად რუსეთის თვითმპყრობელ იმპერატორის რესკრიპტს, მთვარის სინათლეზე კითხვით ჩამოდის გრანიტის კვარცხლბეკიდან, წუთით ძველ მტრობას ივიწყებს და პუშკინთან ერთად მკლავგაყრით მიდის აბანოში.

– ალექსანდრ სერგეევიჩ, ალექსანდ სეერგეევიჩ, – ამბობს ინგლისური სნობიზმით შეპყრობილი ვორონცოვი და რომანტიული მწუხარებით ხელს ნერვიულად უჭერს პოეტის ხელს, – სად გაჰქრა ნეტავ ეს იტალიური ოპერა, ქართველი წარმტაცი კნეინები, ეს რაუტები, ჯვარიმამობა და თავადი პოეტები!.. ეს გლუხარიჩიც რომ დაიკარგა!

პუშკინი მხრებს იწევს, მოუსვენარი და ულამაზო, მთვარის სხივებზე თავისი თითებით სტკბება.

ვორონცოვი მაინც ჩივის ფრანგიცულად, წუწუნებს სპლინმორეული და უზარმაზარ ფეხებს ადგამს ცხენივით.

ასე მიდიან ისინი სეიდბადის ქუჩით და მერე მთელი ღამე დგაფუნობენ ეს უზარმაზარი ბრინჯაოს ძეგლები აბანოში აპოკალიფსურ ვაყებივით და გულგახეთქილ მექისეებს არა აქვთ მთელი ღამე ძილი და მოსვენება“.

ამ პასაჟით მთავრდება დემნა შენგელიას ერთი ადრეული მოთხრობა.

„ტფილისი“ ჰქვია და 1925 წელსაა დაწერილი.

ასეთი თბილისი დრომ თან წაიყოლა და იქნებ, სადმე, მტკვართან თუ ჩააგუბა...

სამაგიეროდ, დარჩა ადგილის ხსოვნა...

და ამ ადგილებს ძეგლებიც ინახავენ, თუნდაც ან უკვე „გარდაცვლილი“ ძეგლები...

თუმცა, ვინ თქვა ძეგლის გარდაცვალება – ძეგლი ხომ ისედაც მორტალური საგანია?!

ესსე II

. ვორონცოვების კლანს სიკვდილი მუდამ ყურისძირში ჰყავდა ჩასაფრებული...

და არა მხოლოდ ომებში იხოცებოდნენ ეს დიდგვაროვანნი.

ბავშვებიც ხშირად ელუპებოდათ...

მიხაილ სემიონიჩმა და ელიზავეტა ქსავერიევნამ სამი შვილი დამარხეს.

ერთი – მთლად ჩვილი; ორიც, მოზარდი...

მომწიფებულ ასაკს ორმაღა მიაღწია; და ესეც იმის წყალობით, რომ ოჯახი იყო შეძლებული და გარს საუკეთესო ბრიტანელი მკურნალები ეხვიათ.

თავად მეფისნაცვალი ნოვოროსიისა და კავკასიისა, უნეტარესი ვორონცოვი ოდესაში, 1856 წელს აღესრულა; ნოემბრის 29 დღესა...

კაი ხანს იავადმყოფა;

ბევრი ევნო და ენამა...

თუმცა, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, მოულოდნელად გამოუხედავს ამა ქვეყნისკენ.

დანაყრებულა კიდეც; მერე, უბრძანებია, ჩემი მარნის ღვინოთა რეესტრი მომართვით, ეპისკოპოსს მინდა ვუჩვენოო...

ცოტა სიცხე აწუხებდა თურმე; სხვა მხრივ, სავსებით მშვიდი იყო...

ერთი ეგაა, მოწყენილობას უჩიოდა.

მოიწყენდა, აბა რა იქნებოდა – მარტოდმარტო ინვა ძვირფასად მოჩითული შრმის მილმა...

კვირა ღამემ, ორშაბათამდე მშვიდობიანად განვლო.

ხოლო ერთ დღეში კი უნეტარესის სული უფალმა მიიბარა.

მისი ბოლო სიტყვები იყო „que faire“.

ანუ „რას იზამ“...

მოკვდა ბოროდინოს გმირიცა....

მერაბ მერაბიშვილმა ბოროდინოს სხვა გმირი – პეტრე ბაგრატიონი გამოძერწა.

ქართველი მამელუქი!

შევარდნაძის ზეობის ხანაში, 1986 დაიდგა თბილისში, ორთაჭალაში...

მეორე ვარიანტი კი, უკვე 1999 წელს გაიხსნა გმირ ქალაქ მოსკოვში...

საბურველი საბჭოური უღლისაგან გათავისუფლებული რუსეთის პრემიერმა და მოსკოვის მერმა ჩამოხსნეს.

პრემიერში, მიმიხვდებით, – პუტინს ვგულისხმობ, მერში კი, ლუჟკოვს.

მგონი, სიტყვაც კი წარმოსთქვა რუსეთის აწ უკვე მარადიულმა ხელმწიფემ...

ხო – მაგრამ, ვორონცოვის მიძინების ამბავი რომ არ დამიმთავრებია?!

უფრო ზუსტად, გმირი ნამესტნიკის სიკვდილის მეორე ვერსია გველოდება.

მაშ, ასე...

1856 წლის 3 ნოემბერს, შაბათ დღეს, სისხამ დილით, ვორონცოვის მკურნალი ექიმი თავისი სოფლიდან ჩასულა ოდესაში და ეგრევე თავის დიად პაციენტს სნვევია.

10 საათისათვის ჯნიაგინიასთან ერთად, უცდია, ცოტაოდენი ღვინო დაელევინებინა; ძველი ღვინო...

ვორონცოვის პლევრიტიან ორგანიზმს ღვინო კარგად შეერგო; თუმცა, დამბალი პურის ნაჭრის მიტანება გაუჭირდა და იძულებული გახდა, უკანვე გადმოეგდო.

და ეს ყველაფერი ყბა-სახის მუსკულებით გააკეთა – საყლაპავის ნერვები სნეულებას დაეძაბუნებინა.

ცოტაც და, კიდურები მთლად გაუცივდა; პულსი დაეცა...

ნერვული აპოპლექსიის პირველი შეტევა როგორღაც მოიგერიეს.

სპირტით დაზელვის შემდეგ, პულსი დაუბრუნეს; ცოტა ჯანიც გაუთბა...

ხელები კი, საშინლად უკანკალებდა და სულ იმას ცდილობდა, სახესთან მიეტანა.

პროსტრაცია 7 საათამდე გაგრძელდა... და სავსებით მოულოდნელად, ვორონცოვმა თვალებში გამოინეძა. ალაპარაკდა, მერე ლოგინზე წამოჯდა, ჩაიც დალია, პურიც მიატანა – სულაც არ გასჭირვებია მოზრდილი ფინჯნის ხელში დაჭერა.

აი, ხელები აღარ უკანკალებდა – სუყველამ შვებით ამოისუნთქა...

მეუღლე წუთით არ ტოვებდა სნეულს; არც დღისით, არც ღამით...

ყველანი გაფაციცებით იჭერდნენ მის ყოველ სურვილს, ყოველ მინიშნებას, ყოველ მოძრაობას...

ვორონცოვი თითქოსდა, საბოლოოდ დამშვიდდა; ეგ კი არა, ხანდახან მხიარულადაც კი ჩანდა.

თითქმის არაფერს მიირთმევდა – მარტო ჩაის სვამდა; და... სოდიან წყალს; თანაც სიამოვნებით...

მხოლოდ ფეხს უჩიოდა; მდოგვის საფენებიან ფეხს...

6 ნოემბერს, ორშაბათს, უკვე მისავათებულად გამოიყურებოდა.

ღამითვე იგრძნო კუჭში მტანჯველი სიცარიელე...

უცნაურია, მაგრამ, ფინჯანი შავი ყავა მოითხოვა; არადა, აქამდე ყავას რომ არ ეტანებოდა?!

ვორონცოვი აბსოლუტურად საღ გონზე გახლდათ, მეტიც, იმდენად დეტალურად ლაპარაკობდა გარშემო მყოფთათვის გაუგებარ საგნებზე, რომ ამათ, ისიც კი გაიფიქრეს, სანყალს – ხომ არ აბოდებსო და გამომცდელად ჰკითხეს, თუ როგორ მიდიიოდა საქმეები...

ამასობაში, ვორონცოვმა მდივანს უხმო და მასთან ერთად, წერილებზე პასუხების გარჩევა დაიწყო?!

ვინ იფიქრებდა, რომ მიხაილ სემიონიჩი ამ დღეს ვერ გადაიტანდა...

სამ რიცხვში, ოთხს ნახევარზე, კიდევ ერთხელ მიიღო წამალი; თან დააყოლა, რომ არ ესიამოვნა... და ისევე სოდიანი წყალი მოითხოვა...

ხუთ წუთში, განაცხადა, რომ დასვენება უნდოდა...

ცოტაც და, ელიზავეტა ქსავერიევნამ საშინელ ხროტინს მოჰკრა ყური.

ეს იყო ნერვული აპოპლექსიის საკვირაო შეტევის განმეორება.

4 საათსა და 20 წუთზე გული ისევ უძგერდა;

თუმცა, უგონოდ იყო...

4 საათსა და 25 წუთზე, ამ კეთილშობილი სულისაგან უმოძრაო სხეულიღა დარჩაო – იტყვის თავის მემორანდუმში ერასტ სემიონიჩ ანდრეევსკი.

უცნაური ისაა, რომ ის – „ენერგიით და სიკეთით“ სავსე გამომეტყველება, მისი მშვენიერი ჰაბიტუსისათვის დამახასიათებელი, უცებ დაიბრუნა განსვენებულმა...

მართლაც ლამაზი ბავშვი იყო; მშვენიერი ყმაწვილი; და ლამაზი მოხუცი...

და იმის ბედნიერებაც არგუნა განგებამ, რომ იშვიათი სიკვდილით მომკვდარიყო.

ხანგრძლივი, მტანჯველი აგონიის გარეშე ჩაბარდა გამჩენს.

ელიზავეტა ქსაერიევნა განსვენებულის საწოლთან მუხლებზე იდგა გაქცავებული.

მკურნალმა სახელოვან გვამს საქორწინო ბეჭედი ფრთხილად გაავრო და მგლოვიარე კნიაგინიას მონინებით გადასცა.

აი, ასე მშვიდად, აკადემიურად დასრულდა ვორონ-ცოვის ცხოვრება.

ცხოვრება ბოროდინოს გმირისა...

მერაბ მერაბიშვილი, სანამ „ბაგრატიონზე“ მუშაობას შეუდგებოდა, აურაცხელი ანალები წაიკითხა ამ ბრძოლის შესახებ.

ალბათ, არც ბატონი კოტე ძერწავდა (წა)უკითხავად ახალგაზრდა სტალინს.

სოცრეალისტი კი იყო, მაგრამ უფრო, ლირიკული სო-ცრეალისტი-მეთქი, ზემოთაც მივანიშნე.

გარდა ამისა, ყოველივე – აკადემისტურად ნორმატი-ული, ჯერაც არ ნიშნავს სოცრეალიზმს.

არანაკლებ არსებითი კი, იქნებ, ის გახლავთ, რომ სო-ცრეალიზმი, ბორის გროისის ცნობილი წიგნის სათაურსა და სულისკვეთებას თუ დავესესხებით, „სტილ სტალინს“ ნიშნავს. არადა, ფაქტია, რომ სტალინური კულტურის გაგება მეტ, გაცილებით მეტ და სერიოზულ ესთეტიკურ სიზუსტეს თხოულობს.

სტალინური პერიოდის სოცრეალიზმი არა მხოლოდ დროითი ჩარჩოებით შემოფარგლული მოვლენაა, არამედ, ისევე, როგორც XX საუკუნის ნებისმიერი მოდერნისტული მოძრაობა, თავისი ტიპიური რეპრეზენტანტებითაც შეზღუდულია.

საქმე საქმეზე თუ მიდგა, მართლაც რომ, ხუთი-ექვ-სი ნამდვილი სოცრეალისტი თუ შეგრჩება ხელთ. სახ-ელდობრ: ეფანოვი, გერასიმოვი, შედარებით ნაკლებად – იოჰანსონი, არქიტექტორებიდან -იოფანი, მოქანდაკეე-ბიდან, ალბათ, ტომსკი...

ნაფიცი სოცრეალისტების დისკურსი ფოტოგრაფი-იდან, პლაკატიდან, მასმედიალური ტოპოლოგიიდან მომ-დინარეობს.

თხზავდნენ რა თავიანთ იპუსებს, ეს ავტორები იმ-თავითვე წარმოიდგენდნენ, თუ როგორი იქნებოდა მათი რეპროდუქციები, როგორ „იმიჯს“ მიიღებდნენ ისინი მასობრივი შესრულებისას, ტირაჟირებისას; როგორ გამოიყენებდნენ პროპაგანდისტული მიზნებისთვის...

ყველა დანარჩენი მხატვრები კი, პოსტსეზანისტები, – კრიმოვები, მაშკოვები, კონჩალოვსკები, მირისკუსნიკები – იუონები, გრაბარები, ლანსერეები, თუ პოსტპერედვი-ჟნიკები, ელემენტარულად, გარკვეულ ცენზურას ემორ-ჩილებოდნენ და, სინამდვილეში, სოცრეალიზმის ქოლგის ქვეშ ავითარებდნენ მეტნაკლებად საინტერესო და მხატ-ვრულად ღირებულ მიმართულებებს.

სხვა ყველაფერი, ფერწერა იქნება ეს თუ ქანდაკება, უბრალოდ, ცუდი და უვარგისი მხატვრობაა. იგივე შეი-ძლება ითქვას იმავე, პერიოდის ნაციისტური გერმანიის სახვით ხელოვნებაზეც.

ცხადია, იყო არნო ბრეკერი, იყო ლენი რიფენშტალის კინოფირები, იყო შპეერის არქიტექტურა...

ისინი, მართლაც, სერიოზულად ამუშავებდნენ რასის-ტულ პრობლემატიკას, ხატავდნენ შიშველ სხეულებს ... ყველა რასობრივი მახასიათებლებით...

ამ დროიდანვე შემორჩა პაულ შულცე-ნაუმბერგის ფო-ტოკოლაჟები და თეორიული წიგნები; ივო ზოლგერის – ცნო-ბილი სურათის „პარისის სამსჯავროს“ ავტორის ოპუსები...

ყველა დანარჩენი, ექსპრესიონისტულად, იმპრესიონ-ისტულად, სიმბოლისტურად, „ახალი საგნობრიობისა“ თუ რეალიზმის საკმაზით ხატავდა.

საბოლოო ჯამში, არავითარი ნაციისტური ხელოვნება არ არსებობდა; და ამდენადვე, არც სოცრეალიზმი თუ „ნაციისტური რეალიზმი“ არ წარმოადგენდნენ რიმე ფუნ-დამენტურ მასობრივ ინდუსტრიას, ანდა გაბატონებულ კულტურას.

იმავე გროისისა არ იყოს, ეს იყო სამი-ოთხი ავტორის მხატვრული პოზიცია.

და მაინც, ნაციისტური თუ საბჭოთა ხელოვნება მოდ-ერნისტული პარადიგმის შიგნით, ერთობ საინტერესო ეს-თეტიკურ პოზიციებს წარმოადგენს. დანარჩენი კი (ისევ დანარჩენი!), ნაცრისფერი მასაა, რომელსაც ცენზურულ ჩარჩოებში თუ გაჰქონდა თავი...

ასე რომ, სტალინური კულტურაც, რამდენიმე ავ-ტორითაა რეპრეზენტირებული, ისევე, როგორც კუბიზმი თუ აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი...

სხვა საქმეა, რომ ხელოვნების ნაწარმოების იდე-ალური ავტორი, საბოლოო ჯამში, მაინც სტალინი იყო; და სტილსაც ამიტომაც შეიძლება ეწოდოს „სტალინი“.

ამ „სტილ სტალინს“ კი, სტალინის სიკვდილთან ერ-თად მოეღო ბოლო.

ცხადია, ამგვარ კონტექსტში, ჩემი ესსეს პროტაგო-ნისტიც ვერ ივარგებს სოცრეალისტად; სოცრეალისტად – „დიდი ასოთი...“

აკადემისტური ორიენტაციის რეალისტად – კი ბატონო!

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენს წინაშე აღმართულ ტექსტის ჩარჩოებში, სოცრეალიზმის საკითხი რომ დაიხ-ეროს, იქნებ, ისიც დამემატებინა, რომ სოციალისტური რეალიზმი კანცელარული შემოქმედების მკვდრადშო-ბილი პროდუქტი კი არა, მხატვრული სტილია, რომელ-საც სრულფასოვანი არსებობის უფლება აქვს; კანონიერი უფლება... და ეს პირველად აბრამ ტერცმა (იგივე ანდრეი სინიავსკიმ) შეიგნო.

მონუმენტური პლაკატურობაც უხდებოდა სოცრეალ-იზმს და ბუკოლიკური იდილიურობაც.

მონუმენტური პლაკატურობისა და „ბამბანერკის“ კოლოფის სილამაზის შერწყმა იყო სოცრეალიზმის იდეა-ლი. აი, ისეთი, გერასიმოვის სურათზე რომაა აღბეჭდილი – სტალინი და ვოროშილოვი, სადღაც, ლამის კრემლის სახურავზე რომ სეირნობენ... სულ ზევით, ზევით, მაღლა და მაღლა...

კრემლის კოშკები დაბლა რჩება...

არა, ეს უბრალო მოციონი კი არა, ტოტალიტარული პატრუალია.

ესეც – სოცრეალისტური „ნაჩნოი დაზორი“!

რა კარგები არიან ამ სურათზე ბელადები – მოლაპლაპე ჩექმები, შინელები, ულვაშები...

რა ლამაზები არან, ღმერთო ჩემო, რა საყვარლები?!

მაინცდამაინც, ირონიად ნუ ჩამითვლით და, მერაბ მერაბიშვილისეული ლენინიც როგორი კოხტაა, ცქვიტი, მოქნილი?!

როგორი უშუალოა ეს ჩია ტანის „ზეკაცი“, სიარულის დროსაც რომ არ კარგავს დროს და ნიგნსა თუ ბლოკნოტს ჩაპკირკიტებს...

აბა, სადაა აქ მონუმენტური პლაკატურობა ანდა ბუტაფორული სფინქსურობა?!

სამაგიეროდ, არის რაღაც ავტოპორტრეტული ამ კოპნია ქანდაკში!

ქართველი საბჭოთა მოქანდაკის „ლენინი“ მოსკოვის კრემლისათვის განკუთვნილი ძეგლის 54 პროექტიდან გადარჩეული 6 საუკეთესო ნამუშევრის რიცხვში მოხვდა.

აქედან, გეფონსს იოკუბონისის „კამერული“ ლენინი 1967-ში დაიდგა „ილიჩის საგუშაგოს მოედანზე“, მერაბიშვილისა კი, 1970-ში გაიხსნა ზელენოგრადში.

ლენინის ჯავრი ვიღას გასწყვეტია, თუმცაღა, ვისაც უნახავს ეს ძეგლი, და ამასთან, ცოტა რამ, გაეგება კიდეც ქანდაკების ენისა, დამეთანხმება, როგორი „სველი“ ნაძერწია, როგორ უნისონშია მოყვანილი ტანისამოსის – პიჯაკის, ჟილეტისა და შარვლის დრაპირებული დეტალიზაცია და ფიგურის მთლიანი, კონსტრუქციული სინტაქსი; მასებისა და მოცულობების როგორი დისტრიბუციაა, თანაც, რაოდენ პროპორციულია ეს ყველაფერი;

პრო-პორციული!

როგორც წესი, სოცრეალისტური „იკონოგრაფიული პროგრამისამებრ“, დიდ ბელადს გრძელ, დრაპირებულ პალტოში ამწყდევდნენ, რითაც უფრო „მონუმენტურ“ პროპორციებს მოუზომავდნენ.

აი, პატარა მერაბიშვილმა კი ჩვეულებრივი, მინიერი, ყოველდღიური გამოძერწა...

საერთოდ, ილიჩი, მომცრო ტანის მიუხედავად, არაჩვეულებრივად პროპორციული აღნაგობისა ყოფილა; და ამას ჯერ კიდევ ნიკალაი ანდრეევი – „ლენინიანას“ განთქმული ავტორი აღნიშნავდა, რომელმაც ბელადის სიცოცხლეშივე შეისწავლა მისი კომპლექცია.

მერაბიშვილიც ანდრეევის კვალს გაჰყვა...

პროპორციულობა, როგორც კლასიკურ-ანაქრონისტული სტილის დისკურსი, ისტორიული მოვლენის (თუ მისი პროტაგონისტის) „ჰარმონიზირებად“ ნარატივში მოქცევის ხერხიცაა, რითაც თავად ისტორიაც „ნორმალიზდება“.

მონუმენტი სწორედ ასეთი ჰარმონიზირებადი ნარატივის (თუ მეტანარატივის) იკონოგრაფიული გამოხატულებაა, დროებითსა და წარმავალს მარადიულის ჰორიზონტში რომ გარდასახავს და უნივერსალური და აბსტრაქტული ღირებულებების – გმირობისა და მსხვერპლშეწირვის, ღირსებისა და დიდების განსხეულებას ემსახურება.

ამ ღირებულებების უნივერსალიზმი აძლევს სახელმწიფოს უფლებას, მოქალაქეებს თავს მოაბვიოს ისტორიის „ოფიციალური“ ვერსიაც და მშვენიერის საკუთარი, სახელმწიფოებრივი გაგებაც...

მაგრამ, როცა ეს, „ვერსია“ იცვლება?!

ხშირად მონუმენტი თავად ხდება ისტორიული ხსოვნით მანიპულაციის მსხვერპლი, ერთ დროს ღირსეულად შერაცხული პიროვნების ძეგლის დანგრევა (თუ დემონტაჟი) კი, მისი უღირსობის ძეგლად იქცევა.

ასეთი „უღირსობის ძეგლები“ საკმაოზე ბევრი აქვს ბატონ მერაბს.

თუნდაც, ბორის ძნელაძის ძეგლი, ქართული კომკავშირის მებაირახტრის სახელობისვე ქალაქში რომ იდგა.

სამაგიეროდ, არც ერთი პროფესიულად უღირსი ძეგლი არ დაუდგამს...

ჟან-პოლ რიხტერს აქვს ასეთი გონებამახვილი სიტყვები – არასოდეს არაფერს ვიხსომებთ ისე ხშირად, ვიდრე იმას, რასაც ვივიწყებთო...

ასეა, ამხანაგებო, მონუმენტის ნგრევაც დავიწყების თავისებური სტრატეგიაა; ოღონდ დავიწყებისა, რომელიც მუდამ გვახსოვს; და ეს მტანჯველი ხსოვნა (თუ ბოღმა), როგორც რესენტიმენტი მემორიალური რეფლექსიის ფორმად აღიქმება; ისიც მონუმენტად განიხილება; მონუმენტად – არტეფაქტის გარეშე. თუმცა, აქაც პროპორციის დაცვაა საჭირო, თორემ, საბოლოო ჯამში, არც ერთი რეალური ძეგლი აღარ შეგვრჩება.

დარჩება მხოლოდ ადგილები, სადაც ეს ძეგლები იდგა.

რაც შეეხება პროპორციის ემპირიულ-მხატვრულ თვისებას, მისი გრძნობა და დრაპირებულ ტანისამოსში რეპრეზენტაცია, მართლაც, პროფესიულად მოსდგამს ჩვენს შეძლებისამებრ რომანტიკოს აკადემისტს და ნონბუტაფორიულ მონუმენტალისტს – პროპორციები ზუსტად კონსტრუქციული ლოგიკით აქვს „დაჭერილი“ ჯერ კიდევ გრიბოედოვის ძეგლში, სადაც დრაპირების დენადი რიტმი „მუსიკალურად“ ეთანხმება თავდახრილ და იმპერსონალურ რუსულ-ინტელექტუალურ განცდებში – ამ „მსოფლიო სევდაში“ ჩაძირული პიროვნების ხატს.

სხვათა შორის, „გრიბოედოვისათვის“ მერაბიშვილმა საგანგებოდ შეაკერინა ძველი „ფასონის“ მოსასხამი, მოახურა მოდელს და ასე ძერწავდა...

მიუხედავად ამისა, ამ ლამისაა ჰიპერნატურალისტურ მოსასხამშიც აღმოჩნდა ლაფსუსები.

ძეგლის მიღებაზე მოსკოვიდან თბილისს ჩამობრძანებულმა პედანტმა აკადემიკოსმა – გენრიხ მატვეიჩ მანიზერმა მიუთითა ახალგაზრდა მოქანდაკეს, რომ გრიბოედოვის მოსასხამის დრაპირებაში „შეცდომა“ იყო.

შეცბა თურმე მერაბიშვილი – რის შეცდომა, რა შეცდომა?!

არადა, შეცდომა, მართლაც დაუშვია...

არა, მოქანდაკეს კი არა, მკერავს დაუშვია შეცდომა!

* * *

მერაბ მერაბიშვილს არასოდეს უხმაურია.

ამ მხრივ მასზე ვერ გავრცელდება გრიბოედოვისეული, ირონიული რეპლიკა: „Шумим, брат, Шумим“...

ეს – მისი „დაყენებული“ არისტოკრატული ნატურის თვისებაა; ანდა, იქნება, უფრო – იმიჯის ნანილი...

ასეა თუ ისე, არისტოკრატიზმი – წყალობაა;

ტალანტი კი არა, მადლია!

არადა, რამდენი ნიჭიერი პლებეი ძერწავს, თანაც გემოვნებიანად?!

აი, პრესტიჟულ ძეგლებს კი, მხოლოდ „არისტოკრატებს“ ადგმევინებენ...

არისტოკრატიზმში კულტურაც გამოსჭვივის; კულტურა – შუალედურ, ზომიერ პოზიციას რომ გვკარნახობს ხოლმე. შემთხვევით არ უწოდებს ბერდიაევი კულტურას – „Срединное царство“.

გენიოსი სხვაა; გენიოსი მუდამ ზეკულტურულია!

უმცროსი მერაბიშვილი თავისი მონუმენტებით, არასოდეს მიმართავდა ნაციონალური იდეის მონოპოლიზებას; ყოველ შემთხვევაში, არასოდეს გამოდიოდა სახელმწიფოს, როგორც ნაციონალური იდეის მონოპოლისტის „ბრმა იარაღის“ როლში.

მეორეც: ის მუდამ ახერხებდა ლავირებას იმ ორ ფენომენს შორის, რომელსაც დასავლური დისკურსით „identity politics“-ს და „memory politics“-ს უწოდებენ.

ორივე მათგანი, წარსულის „გმირთა“ აწმყოში რეპრეზენტაციისაკენ, თანაც, სამართლიანი წარმოდგენისკენაა მიმართული.

ასეთი პროტაგონისტები იყვნენ ერეკლე II და მით უმეტეს, გენერალი პეტრე ბაგრატიონი.

„პატარა კახის“ თელავურ ძეგლში ყველაზე ტიპიურად წარმოჩინდა მერაბიშვილის, როგორც რომანტიკოსი აკადემისტისა და პოლიტკორექტული ისტორიზმით აღფურვილი მოქანდაკის ტეხნე.

ერეკლის იმპოზანტური დაჭიმულობა და მსუბუქად მონავარდე ცხენის ლაბილური მოძრაობები ერთგვარ კონტრასტს ქმნიან, რასაც ემატება ცხენის მორკალული თავის პლასტიკისა და ჯვარ-მახვილის მკაცრი ვერტიკალის „ანტითეზა“, მთლიანობაში ხაზგასმულ ემბლემატურობას მოკლებულ სილუეტურ ხატს რომ ქმნის; პრეზენტაბელურ ხატს... და ტაქტიანად ეხმიანება ნახევრადოვალური კვარცხლბეკისა და მისგან გაშლილი ტრიბუნის ფრთებს.

თუმცა, ამგვარი „ანალიზი“ დღეს „საბჭოურ-ირეალისტური ხელოვნებათმცოდნეობის“ გამოშრალი ენის პაროდიად უფრო აღიქმება.

საბოლოო ჯამში, ამ ძეგლს მაინც აკლია ფრთები; მაინც არ ჰყოფნის მონუმენტური ჰაერი, გნებავთ, აურა...

გარეგნულად, ყველაფერი თავის ადგილზეა; არადა, რაღაც მთავარი და აუცილებელი, მაინც გვესაკლისება.

ეს – მაინც „ჩინოვნიკის“ ნამუშევარია; ჩინოვნიკისა – ხელოვნებაში...

კაბინეტის დისკურსი უფროა მასში, ვიდრე სახელოსნოსი...

ცხენი და მხედარი თითქოსდა „ცალ-ცალკეა“ გამოძერწილი – ერთიანი სტილური ჯიში“ არ იგრძნობა.

უფრო აკადემიურად ასე შეიძლებოდა მეთქვა:

ცხენისა და მხედრის რელაციები ბაგრატიონის ძეგლშიც პრობლემატურია. ავტორი – თავადაც მამელუქი სოცრეალიზმისა, აქაც შორს იჭერს რუსული იმპერიული არმიის „მამელუქის“ ცხენოსანი ფიგურის სემანტიკურად დამძიმებული და პროვინციულად გართულებული „სფინქსური“ ინტერპრეტაციისაგან და კლასიკურ ნორმატიულ ჩარჩოში სვამს ამოცანას, რომლის „გამჭოლი მოქმედებაც“ მზარდი ექსპრესიულობის ილუზორული ეფექტია; დროში განვითარებული ხდომილების იმგვარი, როგორც ლესინგი იტყოდა, „ნაყოფიერი მომენტის“ დაჭერა, რომლის მეოხებითაც, მაყურებლის აღქმაში ვირტუალურად ამოძრავდება არა მხოლოდ ფიგურატიული კომპოზიცია, არამედ სამგანზომილებიანი სივრცული სხეულის პრეციოზულად დამუშავებული ყოველი კუნთიც, ყოველგვარი, გადაჭარბებული კონსტრუქციული პირობითობისა და ბუტაფორიული უტრირება-ჰიპერბოლიზაციის გარეშე, მიმეზისური სიფხიზლით რომ დაგვისახავს ისტორიული პიროვნების ჰეროიკული იმიჯის ილუზიას.

აი, მხედართმთავრის მიერ ენერგიულად მოჭიმული აღვირი კი, გაცილებით საფუძვლიან კონოტაციასაც გვკარნახობს – ამ ჟესტით, სიმბოლურად აილაგმება ისტორიული ტემპორალობა.

ასე ხერხდება „დროის შეჩერება“, დავიწყების ბლოკირება...

თუმცა, ერთიცაა: გაცილებით იოლია და ხელსაყრელი, სახელოვანი ისტორია უფრო გვახსოვდეს, ვიდრე ტრაგიკული, ანდა, სულაც სამარცხვინო წარსული...

ისე, ტრამვულ ხსოვნასაც თავის ადგილი უნდა მიეჩინოს.

ტრავმატულ ადგილებსაც სჭირდება გახსენება; და ტრავმირებულ ძეგლებსაც...

„ბაგრატიონში“ არაფერია ტრავმატული; და, ვერც ორთოპედიული ფორმადაქნაფული ნასახს იპოვით მის ვითომცდა, მოზეიმე პლასტიკაში.

არავითარი სტილისტური ქაოსი და ეკლექტიკურად საჭოჭმანო დისკომფორტი!

ამ ძეგლის მოსკოვურ ვარიანტში, კიდევ უფრო გამჟღავნდა რუსული მონუმენტური სკოლის ადეპტის თვისებანი, ინტერნაციონალისტი პროტაგონისტისადმი გამჟღავნებული ისტორიული პიეტეტიც და ის პოლიტკორექტული ტაქტიც, რაც არასოდეს ეშლებოდა არც მამას და არც შვილს; მერაბიშვილებს – ვისი „ხსოვნის დისკურსიც“ რომანტიზმის და აკადემიზმის ნელთბილი სინთეზია.

ასეა, ცოცხალ მონუმენტალისტებსაც სჭირდებათ გახსენება; და მკვდრებსაც...

* * *

ამ ათიოდე წლის წინ ბატონ მერაბს შევეხმიანე და, როგორაა საქმე, ბოგოლიუბოვის ბიუსტი თუ დაამთავრეთ-მეთქი, ვკითხე.

იმ პერიოდში, ნობელიანტი ფიზიკოსის ძეგლზე მუშაობდა, რომელიც მალევე გაიხსნა კიდეც დუბნაში.

– არა ბატონო დავით, ქანდაკებს ამთავრებდნენ ძველი ბერძნები; მე, უბრალოდ, გავჩერდიო – ჩვეული თავაზიანობით მიპასუხა.

მეც გავჩერდები...

პოლიტკორექტულობის მარწუხები და „პოპულარული“ მუსიკა

გია ხადური

1976 წელს ერიკ კლეპტონმა თავისი კონცერტის წინ პუბლიკას განუცხადა, რომ ის თანაუგრძნობდა ნაციონალისტურ ფრონტს და მომავალ არჩევნებზე ხმას მისცემდა ყოფილ კონსერვატორ მინისტრს ინოკი პაუელს, რომელიც წინააღმდეგი იყო ყოფილი კოლონიებიდან ემიგრანტების მასობრივი ჩამოსახლებისა ბრიტანეთში. კლეპტონს მიანნდა, რომ ემიგრანტები ძალიან მომრავლდნენ და არაადეკვატურად იქცეოდნენ ბრიტანეთში. დღეს ასეთი რამ ასეთი რანგის ვარსკვლავისგან წარმოუდგენელია (ვინ აპატიებს), ხოლო მაშინ, კლეპტონის მხრიდან მემარჯვენე-კონსერვატულ გამოხტომას მიაწერდნენ მხოლოდ იმას, რომ სწორედ მაშინ დაიძრა ყოფილი კოლონიებიდან ბრიტანეთში მასობრივად ხალხი, სწორედ მაშინ იყო ყველაზე დიდი ეკონომიური კრიზისი ინგლისში და სწორედ მაშინ იყო საზოგადოება ორად გაყოფილი ამ საკითხზე. ასე რომ ასეთ გამონათქვამებს იმ ხალხისგან, რომელთაც უზარმაზარი გავლენა ჰქონდათ ახალგაზრდებზე, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მუსიკალური გამოცემა „ნიუ მიუზიკლ ექსპრესმა“, იგრძნო რა პირადი პასუხისმგებლობა ამ ფაქტთან დაკავშირებით, გახდა ფაქტიურად ერთადერთი, რომელმაც ხმა აღიმაღლა ამ დემარშის წინააღმდეგ და გამოაცხადა, რომ ის აარსებს მოძრაობას „როკი რასიზმის წინააღმდეგ“, რომლის მთავარი მიზანი იყო დაესამარებინა ის ნაციონალისტური მოძრაობა, რომელიც მოდებული იყო მთელ ბრიტანეთში და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა ახალგაზრდებში (რომელთა 60 პროცენტი უმუშევარი იყო მაშინ), თვლიდნენ რა, რომ ემიგრანტების მასობრივი ჩამოსახლება კიდევ უფრო დაამძიმებდა ეკონომიკურ სიტუაციას ინგლისში. სხვათაშორის, პარლამენტიც კი ორად იყო გახლეჩილი და ერთიანი მოსაზრება არ არსებობდა. უნდა ითქვას, რომ ამ ბრძოლაში უზარმაზარი როლი მიუძღვით სწორედ ახალი თაობის პანკ, თუ „ახალი ტალღის“ როკ არტისტებს, რადგან მათ ჰქონდათ ყველაზე დიდი გავლენა ახალგაზრდებზე, სწორედ ისინი იყვნენ მათი მხრიდან ყველაზე ნდობით აღჭურვილი პირები. მუსიკა, რომელიც აქტუალური გახდა 70-იანების მეორე ნახევარში (და არა კომერციულად მომგებიანი, ანდაც მეინსტრიმული), სწორედ იმიტომაც გახდა აქტუალური, რომ ყველანაირად ცდილობდა გულწრფელად და უანგაროდ ესაუბრა მთელ თაობასთან იმ პრობლემებზე, რომელიც მათ წინაშე იდგა. ახალი თაობის არტისტები იმ ბრძოლით ავანგარდში იდგა, რომელიც მაშინ მიმდინარეობდა საზოგადოებაში, ხოლო თუ რა გადამწყვეტი როლი ენიჭება ასეთი პროცესების მსვლელობის დროს ახალგაზრდულ, უანგარო ენერგიას, ეს ყველამ კარგად ვიცით. საინტერესოა, რომ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს, რომლებიც ვერანაირად წყვეტდნენ პრობლემებს, ზოგი მარცხნიდან უტევდა („როკი რასიზმის წინააღმდეგ“, „როკი ბირთვული იარაღის წინააღმდეგ“ და ა.შ.), ხოლო ზოგი მარჯვნიდან. იყო მათ შორის გაუთავებელი დაპირისპირებები, ჩხუბი და მუშტი-კრივი, მაგრამ უცნაურია, რომ ეს პიროვნულში არ გადადიოდა და ეს ორი, ერთი შეხედვით შეურიგებელი ფრთა ერთმანეთის მიმართ ზიზღით და შურისძიებით არ იყო გამსჭვალული. ეს ეხება როგორც არტისტებს, ისე მთელ მოძრაობასაც, რადგან ორივე გულწრფელი იყო თავის მცდელობებში და ეს აშკარად ჩანდა მათ შემოქმედებაში. ორივე ფრთა შეწუხებული იყო იმით, თუ როგორი იქნებოდა ინგლისის ბედი მომავალში – ეს მათი მომავალიც იყო და სწორედაც რომ ახალგაზრდულ ასაკში ცდილობდნენ აეღოთ ინიციატივა საკუთარ ხელში. ასეთმა უშეღავათო, მაგრამ უანგარო ბრძოლამ ფასეულობათა შორის მოიტანა ის რეზულტატი, რაც დღეს გვაქვს. ნაციონალური ფრონტი დამარცხდა, ის საერთოდ გაუქმდა, რადგან სრულიად დაკარგა მხარდაჭერა საზოგადოებაში და განსაკუთრებით ახალგაზრდებში. რასობრივმა ტოლერანტობამ, ადამიანურობის კულტმა ამ კონტექსტში და პრაგმატულობაზე ჰუმანურობის დომინირებამ გაიმარჯვა და ამ მონაპოვარზე დგას დღეს ე.წ. პოლიტკორექტულობაც (თუმცა ზემოთ მოყვანილი მაგალითი მხოლოდ ერთ-ერთი ეპიზოდია იმ მრავალთაგან, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელი 50 წლის მანძილზე) და რომელიც დასავლური ფასეულობების ერთ-ერთი განმსაზღვრელია. სხვათაშორის, მაშინ გატყდა წელში ჰომოფობიაც, ყოველ შემთხვევაში, დიდ ბრიტანეთში. ბილი ბრეგი, შესანიშნავი ბრიტანელი მუსიკოსი იგონებს, რომ როდესაც პირველ ანტირასისტულ კონცერტზე მოხვდა, მან პირველად ნახა, თუ როგორ კოცნიდნენ ერთმანეთს ერთი და იგივე სქესის წარ-

მომადგენლები და გაუკვირდა, რომ ანტირასისტული კონცერტი ლამის ანტიჰომოფობიურადაც გადაიქცა და მიხვდა, რომ ეს მჭიდრო კავშირში იყო ერთმანეთთან, რადგანაც გააცნობიერა, რომ ეს არ იყო მხოლოდ „რასობრივი“ ბრძოლა, ეს იყო ბრძოლა ადამიანური ღირსებისთვის, ეს იმათი ბრძოლაც იყო, რომლებიც „უმცირესობაში“, ანუ ალტერნატივაში არიან და დინების საწინააღმდეგოდ ცდილობენ ცურვას. გასაგებია, რომ როკ-მუსიკა ყოველთვის იყო სოციალური მოვლენა და ყოველთვის იყო ამ პროცესების ავანგარდში, მაგრამ ისმის შეკითხვა, აქვს კი ამას კავშირი მუსიკის ხარისხთან? ნიშნავს ეს აპრიორი იმას, რომ ამ პროცესში ჩართული მუსიკოსები თავისთავად ფასეულნი არიან კულტუროლოგიური თვალსაზრისით? სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ამ ეპოქაში შემოსული ახალი მუსიკა, თავისი რევოლუციურობით, კრეატივით, კომპლექსურობით არის ერთ-ერთ მწვერვალი თანამედროვე მუსიკაში (იგივე შეგვეძლო გვეთქვა 60-იანელებზეც) და ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც სნორედ ფასეულობებისათვის ბრძოლის პროცესში შეიძლება შეიქმნას რამე მნიშვნელოვანი და არა მაშინ, როცა იძულებული ხარ აქსიომსავით მოწოდებულ ფასეულობების პაკეტს (რომელიც სისხლის სამართლის კოდექსს უფრო ნააგავს) დაემორჩილო, რადგანაც ეს უკვე ტოტალიტარიზმია, ერთგვარი ტაბუ, რომლის ეჭქვეშ დაყენება არ შეიძლება. პედრო ალმადოვარმა ჯერ კიდევ 10 წლის წინ თქვა, პოლიტკორექტულობა ხელოვნებას დაღუპავსო, და არავისთვისაა ეს ისე მტკივნეული, როგორც თანამედროვე ახალგაზრდული მუსიკალური კულტურისთვის... რატომ?

უცნაურია, რომ დღევანდელ არტისტებს ძალიან ეშინიათ, რომ არასწორად იქნებიან გაგებულნი, ამიტომ ან სდუმან, ან უაღრესად მორიდებულად გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს ისეთ საჩოთირო თემებზე, რომელსაც პოლიტკორექტულობის გრიფი ადევს წარწერით, „რევიზიას არ ექვემდებარება“. ბევრი ფიქრობს, რომ მთავარი ცენზორი, რომელიც დგას ჯანსაღი ფასეულობების სადარაჯოზე, არის ის, რასაც ეძახიან შინაგან ცენზურას, რომელიც ადამიანის ცნობიერების განვითარების დღევანდელ საფეხურზე ყველას უნდა გააჩნდეს და ვისაც უფრო დიდი ზემოქმედების ძალა გააჩნია „მასებზე“, მათ



ერიკ კლეპტონი

უფრო, რადგანაც მათი უფრო სჯერათ და ნებისმიერი არასწორი ქმედება თუნდაც საკუთარ შემოქმედებაში მავნე იმპულსების გამომწვევი შეიძლება გახდეს, ისეთი ვნებები გამოიწვიოს მასებში, რომლის ამოძირკვასაც ამდენი ათეული წელიწადი მოანდომეს თავად როკ-არტისტებმაც, რომლებიც როგორც უკვე ვთქვით, ყველაზე ნდობით აღჭურვილი პირები იყვნენ და ნანილობრივ ახლაც არიან მთელი თაობებისთვის. ეს ყველაფერი შეიძლება ძალიანაც სწორი იყოს, მაგრამ პირდაპირ და უაპელაციოდ იწვევს თანამედროვე ახალგაზრდული კულტურის სტერილიზაციას. მას ადგილი აქვს მაშინ, როცა ეს კულტურა არ ებრძვის, ანდა ეჭქვეშ არ აყენებს იმ მოსაზრებას, რაც მთელ საზოგადოებას, თუნდაც პროგრესულს, მიაჩნია უალტერნატივოდ. ზემოთ მე ვახსენე ის პროცესები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ევროპაში 30-35 წლის წინ. მაშინდელი მონაპოვარი, როცა განვითარებადი ქვეყნების და ყოფილი ევროპული კოლონიების მოსახლეობას ევროპაში (ანუ ყოფილ კოლონიზატორ ქვეყნებში) გადასახლებისთვის მწვანე შუქი აენთო, იყო უაღრესად პროგრესული, და ეს მოხდა იმიტომ, რომ ამ პროცესის მართებულება გააცნობიერა ევროპელმა მოსახლეობამ. გააცნობიერა და არა აქსიომასავით მიიღო, ანუ მოხდა ფასეულობების გადაფასება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ერთჯერადი და სტატიკური პროცესია. ანუ, იქიდან გამომდინარე, თუ როგორ განვითარდა მოვლენები და როგორ ვითარდება დღემდე, ევროპული საზოგადოება მუდამ დგას გამოწვევის წინაშე: როგორ უნდა მოხდეს ამ უზარმაზარი არაევროპული წარმომავლობის ხალხის (რომლებიც სხვათაშორის უფრო სწრაფად მრავლდებიან, ვიდრე „ადგილობრივები“) „გაევროპელება“. აქ არ არის ამა თუ იმ ეთნიკური წარმომადგენლობის იდენტურობის დაკარგვაზე ლაპარაკი, აქ ლაპარაკია გათავისებაზე იმ ევროპული ლიბერალური ფასეულობებისა, რომლის მოპოვების (ფასეულობები არ არსებობს თავითავად, აბსტრაქტულად) და დამკვიდრების პროცესმა რამდენიმე ათეული მილიონი ევროპელის სიცოცხლე შეიწირა თუნდაც მხოლოდ 20-ე საუკუნეში. (მარტო ჰიტლერსა და გერმანიაზე ამის გადაბრალება რომ უმეცრებაა, ამას თანამედროვე პოლიტკორექტულობაც აღიარებს). ეს ევროპელებს ძალიან ძვირად ღლერთ და ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის, არადა ხომ ფაქტია, რომ სწორედ ევროპაში დასახლებული არაევროპელებისგან ემუქრება პირველ რიგში ხიფათი ამ ფასეულობებს... რატომ და რისთვის, ეს ყველამ იცის

და ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს, მაგრამ ფაქტია, რომ ამაზე ღიად საუბარს ლიბერალური ევროპა გაურბის, ეს სახიფათოა, რადგან ამ თემის წამოწევამ შეიძლება ქსენოფობიურ განწყობას მისცეს იმპულსი, რაც თავის მხრივ ენინააღმდეგება პოლიტკორექტულობის საფუძვლებს, ანუ ჩიხია. სწორედ ამიტომ ამბობს ბევრი, რომ დასავლურ ლიბერალიზმს ძალიან გაუჭირდაო. ჩემი აზრით სწორედ ასეთ სიტუაციაში იძენს დიდ მნიშვნელობას აქტუალური ხელოვნება (თუ ის მართლა აქტუალურია). ანუ სწორედ აქ შეიძლება ამოიწიოს თამამად, ხისტად და უკომპრომისოდ ეს (და არა მარტო ეს) პრობლემა, მაგრამ ვერ ხერხდება, და თუ ცდილობს ვინმე ამის გაკეთებას, დელიკატურად ცდილობს, რაც უკარგავს კიდეც დატვირთვას ნამუშევარს, ხოლო თუ ვინმე გაბედავს და დაარღვევს ამ კორექტულობის საზღვარს, მას მყისვე „პოლიტკორექტულ ანათემას" გადასცემენ და შეიძლება კარიერასაც კი გამოემშვიდობოს. გერმანიაში მოღვაწე ქართველმა რეჟისორმა დიტო ცინცაძემ ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მას მკაცრად მიუთითეს იმაზე, რომ თავის ფილმებში დამნაშავეებად უმთავრესად თურქები, ან სხვა არაგერმანელები გამოჰყავს, არადა ხომ ფაქტია, რომ ევროპულ ყველა ქვეყანაში თითქმის ანალოგიური პრობლემები დგას. რამდენი არაკონიუნქტურული ნამუშევრის შექმნა შეიძლებოდა ამ თემაზე? განა ვინმეს ან რამისს წინააღმდეგ, არამედ სწორედ პრობლემის სოციალურ კონტექსტზე ყურადღების გამახვილებით, თუნდაც არაპოპულარულ, არაკორექტულ ჭრილში. თუ ასეთი მცდელობები აბსოლუტურად გულწრფელია, ადრე თუ გვიან აუცილებლად მოიტანს დადებით შედეგს (ნამუშევრის მხატვრულ სახეზე რომ არაფერი ვთქვათ), უფრო მეტს, ვიდრე სირაქლემას პოზაში დგომაა, მაგრამ არა, არ შეიძლება და ვითომ ნონკონფორმისტი არტისტებიც მორჩილად ხრიან თავს. არადა ახალგაზრდული მუსიკალური კულტურის კიზირი ყოველთვის სწორედ ის იყო, რომ იგი ყოველთვის გადადიოდა საზოგადოებრივი ცნობიერებისთვის აკრძალულ ზონებში და ეჭვქვეშ აყენებდნენ გაბატონებული ფასეულობებისადმი ცალსახა დამოკიდებულების მართებულობას. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათი არჩევანი სწორი იყო, რა თქმა უნდა არა, „შეიძლება ცდებოდე, მაგრამ მთავარია იყო გულწრფელი". აი, ეს იყო როკენროლის დევიზი მთელი მისი არსებობის პერიოდში და სწორედ ამას მოჰქონდა ის რეზულტატები, რასაც ჰქვია ფასეულობების გადაფასება მთელ თაობებში, რადგანაც ჭეშმარიტება არ არსებობს თავისთავად, ის საწინააღმდეგო მოსაზრებების ჭიდილში იბადება და მკვიდრდება. დღეს ასეთი ჭიდილის გაღვივება მორალური დანაშაულია, სწორედ ამიტომაც არის რომ თანამედროვე ლიბერალური ფასეულობების ეჭვქვეშ დაყენებას გაურბის ნებისმიერი პანკ-არტისტიც კი და ვინც არ გაურბის, მისი მარგინალიზაცია ხდება. ყოველ შემთხვევაში მე არავინ მაგონდება ვინმე ფასეული, ვინც არ გაურბის, თუნდაც მხოლოდ პროვოცირების, ეპატაჟის გამო, ან ისეთი ეპატაჟის, ბოუიმ რომ მოაწყო ლონდონში 1977 წელს, როდესაც ბერლინიდან, ხანგრძლივი შემოქმედებითი მივლინებიდან დაბრუნებული, რკინიგზის სადგურზე წინასწარ გამზადებულ, 30-იანების კაბრიოლეტ „მერსედესში" მოთავსდა და ნაცისტური სალამით გაიარა ლამის ნახევარი ლონდონი, ხოლო გაოცებულ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჰიტლერი ყველაზე დიდი პოპვარკვლავი იყოო. წარმომიდგენია რას უზამენ მას, ვინც დღეს ასე „იხუმრებს". მარტო ლარს ფონ ტრიერის სკანდალი რად ღირდა კანში, როცა ჰიტლერის „არასწორ" კონტექსტში მოხსენიების გამო ნამდვილი ოხსტრუქცია მოუწყვეს. ამაზე მსახიობი ბრუნო განციც მაგონდება, ერთი ამბავი რომ აუტეხეს: რატომ მიეცი „ბუნკერში" შენს პერსონაჟს (ანუ ჰიტლერს) ადამიანური სახეო. ისე შემდგომში ბოუიმ ბოდიშიც მოიხადა: მაშინ რაღაც ირეალურ სამყაროში ვიყავი, სულ კოკაინის ზემოქმედების ქვეშ და თანაც ბერლინშიო. არადა მუსიკალური კრიტიკოსები სწორედ იმ 1977 წელს, ბერლინში ჩანერილ მის ორ ალბომს „heroes" და „low" მიიჩნევენ საუკეთესოს მის კარიერაში, და ამაში არის ლოგიკა. ამერიკელი ჟურნალისტი ლეგს მაგკინლი წერდა: როკენროლი უნდა მიისწრაფოდეს იმისკენ, რაც დაუშვებელი და აკრძალულიაო. ან ამისკენ რომ არ მიისწრაფვის დღეს, იმიტომაც არ გააჩნია თანამედროვე მუსიკალურ ნიმუშებს ის დატვირთვა და ფუნქცია, ის სოციალური კონტექსტი, რაც ადრე ჰქონდა, და ამის შედეგია ისიც, რომ მათი „ბრძოლა" მილიტარიზმის, გლობალიზმის, უსამართლობის წინააღმდეგ უშედეგოა და კონიუნქტურული, თუმცა რაც არ უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, ეს სულაც არ ეწინააღმდეგება იმას, რომ ისინი ამავდროულად გულწრფელნი იყვნენ. უფრო სწორად, კონიუნქტურული გულწრფელობა დღეს პარადოქსულად აღარ ჟღერს, და ამაში ცუდი არის ის, რომ დღევანდელი არტისტების თაობა ვერანაირ მენტალურ გარღვევებს ვერ მოახდენს. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ ის მენტალური ფასეულობანი, რომლითაც დღეს კეკლუცობს დასავლეთი, გარკვეულწილად წინა თაობების არტისტების მუშაობის შედეგიც არის, დღევანდელი თაობა მომავლის წინაშე ასეთი დამსახურებით ვეღარ დაიკვეხნის. და სწორედ ამიტომაც მეეჭვება, რომ მათმა სიცოცხლისუნარიანობამ დიდხანს გასტანოს. მაგრამ ისმის კითხვა, რატომ ხდება ასე და საერთოდ, საჭიროა თუ არა ასეთი გამოწვევის წინაშე დავაყენოთ თანამედროვე აქტუალური არტი და კონტრეტულად მუსიკა? არ ვიცი, ალბათ აღარც არის საჭირო, რადგან ასე ხდება. მე მიჭირს იმის თქმა, თუ ახალგაზრდა დამწყებ მუსიკოსთაგან რატომ არავინ ცდილობს ყველაფრის თავდაყირა დაყენებას და „ქვეყნის ამოტრიალებას", რატომ არავისა აქვს თუნდაც მერილინ მენსონის ამბიცია. ძნელი სათქმელია, ალბათ იმიტომ, რომ ისინი ისეთ ეპოქაში დაიბადნენ, როდესაც დასავლეთმა თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია და ამ თაობის ჩამოყალიბებამ სრულიად „კომფორტულ" ვითარებაში ჩაიარა. მათ „მამების

თაობასთანაც“ არ ექნებოდათ კონფლიქტი, თუნდაც იმიტომ რომ მათი მშობლების თაობა უფრო კონტროვერსიალურ მსოფლმხედველობითან იყო ნასაზრდოები. და რა თქმა უნდა ვირტუალური რეალობის დომინანტი, რაც დღეს გვაქვს, რამაც უზარმაზარი ზემოქმედება მოახდინა მთელ ახალ თაობაზე და ინდიფერენტული გახადა იმ თემატიკისადმი, ფასეულობებისა და ესთეტიკისადმი, რომელსაც ლამის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა წინაპრებისათვის („როდესაც ჯგუფი შევკრიბეთ 1976 წელს, შევფიცეთ ერთმანეთს, რომ თუ სჭირო შეიქმნებოდა, თავსაც შეეწირავდით როკენროლს, და სწორედ ასეთი სულისკვეთებით იქმნებოდა ყოველი მეორე ჯგუფი“ – რობერტ სმითი). ამიტომაც მათი პრიორიტეტები და ინტერესები ცოტა განსხვავებულია და უხიფათოც. ალბათ ამიტომ მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. სწორედ ამაზე წუხს გერმანული ალტერნატიული როკ-ჯგუფის, „სურროგატე“-ის ლიდერი პატრიკ ვაგნერი, თავის სიმღერაში „ჩემი თაობა“: „ჩემი თაობა – ის ზარმაცია, ის მოტეხილია, ის შეშინებულია და არაფერს რისკავს, მას არაფერი შეუძლია და არც არაფერი უნდა, ის ეჭვობს და ვარდება სასოწარკვეთილებაში, ყოველთვის გზაშია და არასდროს მიზანთან ახლოს, ყოველთვის გერმანულია, და ყოველთვის გამოდებილებული, ის ფუნქციონირებს, ყოველთვის განონასწორებულია, ის იმსახურებს მხოლოდ დაცინვას, მას ეზიზღება რევოლუცია, მე ვერ ვიტან ჩემს თაობას, მას უნდა მხოლოდ გართობა, უნდა რომ მფარველობდნენ როგორც ცხვრის ფარას, უნდა რომ შეუნარჩუნონ სიმშვიდე, მას არ უნდა რომ „იყოს“, უნდა რომ ვინმემ იყიდოს, ის იმსახურებს მხოლოდ დაცინვას, მას ეზიზღება რევოლუცია, მე მძულს ჩემი თაობა“. ამ ტექსტს არა აქვს პრეტენზია ჭეშმარიტებაზე, მაგრამ ის ეჭქვეშ აყენებს იმ „ჭეშმარიტებას“, რისი მატარებელიც ახალი, ანუ მისი თაობაა და სწორედ ეს იდეური ჯახია აქ მთავარი და დამაინტრიგებელი.

„ევროპული პრობლემა“, რომელზეც ჩვენ ზემოთ ვსაუბრობდით, არ არის ერთადერთი პოლიტკორექტულობის ტაბუდადებულ ნუსხაში. შეგვიძლია ვახსენოთ რასობრივი თემა: რასობრივი პრობლემა დღეს აღარ არსებობს, მაგრამ მაინც არ არის მიზანშეწონილი თეორი და შავი რასის ადამიანებს შორის განსხვავების აქცენტირება, ის, რომ მათ სხვანაირი გემოვნება აქვთ, სხვადასხვა მანერები, სხვადასხვა სენსიტიურობა და მენტალიტეტიც კი. დღეს პოპ-კულტურაში ერთ-ერთი მოდური ტრენდი აფროამერიკული და თეთრი მუსიკალური სენსიტიურობის შერწყმაა, რაც შეიძლება უაღრესად სარფიანი და სოციალურად აქტუალურია, მაგრამ კრეატიულად უღიმღამო და უპერსპექტივო. ასეთი მცდელობები იშვიათად, მაგრამ ადრეც იყო, მაგრამ იშვიათი გამონაკლისის გარდა, წარუმატებელი, სწორედ ამ ორი განსხვავებული რასის მუსიკალური შეგრძნების განსხვავებულობის გამო. სხვათაშორის, ასეთი გამალებული ინტეგრაციული მცდელობები (მარტო მუსიკა არ მაქვს მწედველობაში) უკვე აფროამერიკელების გაღიზიანებასაც იწვევს, რომლებსაც აღარ სჭირდებათ ეს გაუთავებელი სინანულის გამოვლინებანი წარსულის გამო. როდესაც „MTV“ შეიქმნა, 1981 წელს, ორი წლის განმავლობაში იქ შავკანიანი (სწორედ ასე ერქვათ აფროამერიკელებს მაშინ) არტისტები ამ არხზე ვერ ხვდებოდნენ, და თურმე იმიტომ, რომ ისინი როკს არ უკრავდნენ. „შავი მუსიკა“ რაღაც იატაკქვეშეთში აღმოჩნდა მაშინ, რამაც უაღრესად პოზიტიურად იმოქმედა მათი მუსიკის ხარისხზე და როდესაც ისინი დაბრუნდნენ მეინსტრიმში, ძალიან სწრაფად დაიბრუნეს ის ნამყვანი პოზიციები, რომელიც დაკარგული ჰქონდათ 70-იანებში. ასე რომ კონტროვერსიალური, არაკორექტული ფონი ხშირად შემოქმედებითი პოტენციას გაძლიერების სტიმულატორია და ეს პოპ თუ როკ კულტურის ისტორიაში ძალიან ხშირად ხდებოდა.

სექსუალურ უმცირესობათა თემა ალბათ ყველაზე ყბადაღებული სეგმენტია დასავლურ ლიბერალურ ფასეულობათა კოდექსში. ალბათ იმიტომ, რომ წინააღმდეგობაშია ქრისტიანულ-რელიგიურ მორალთან, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია ევროპული ცივილიზაციისთვის, თუმცა ეს ყველა ქვეყანას ნამდვილად არ ეხება. აი აქ კი პოპ-კულტურა არასდროს მოვა დაპირისპირებაში პოლიტკორექტულობასთან, რადგანაც ოსკარ უაილდისა და ჰარეი მილკის გარდა არაფერს არ მიუძღვის ისეთი დიდი წვლილი სექსუალური უმცირესობების უფლებების და ღირსების სრული მორალური ლეგალიზაციის საქმეში, როგორც თანამედროვე მუსიკალურ კულტურას. სწორედ პოპ-არტისტები იყვნენ პირველნი, რომლებმაც საჯაროდ აღიარეს თავისი ორიენტაცია, უფრო მეტიც, ზოგი ნატურალიც

დევიდ ბოუი

ჩართული იყო ამ პროცესში და საკუთარ თავს ბისექსუალად აცხადებდა და ამ განცხადებას ქმედებითაც ამაგრებდა, როგორც მაგალითად კელავ დევიდ ბოუი. სწორედ ამის შემდეგ იყო რომ ძალიან ბევრმა ახალგაზრდამ მთელ დასავლეთში გადაწყვიტა აშკარად გამოეცხადა საკუთარი იდენტობა, ისე რომ საკუთარი თავი ადამიანთა მოდგმიდან განდეგილად არ ეგრძნო. ერთადერთი თეთრი ლაქა ამ კუთხით ყოველთვის იყვნენ ე.წ. პანკ-სკინები (ანუ სკინჰედები), რომლებიც უსამართლოდ არიან გაიგივებულები ნაციისტ-რასისტებთან. ასეთი მხოლოდ ერთი, მაგრამ აქტიური ნაწილი იყო მხოლოდ, მაგრამ ისინი ჰომოფობები ნამდვილად იყვნენ და მათი არსებობა აუცილებელიც იყო. მხოლოდ მოგვიანებით, 90-იან წლებში, როდესაც ერთმანეთის მიყოლებით ამ მოძრაობის ვეტერანმა ლიდერებმა და საკულტო ფიგურებმა, რომლებიც ხშირად ციხეშიც კი ხვდებოდნენ ხოლმე, განაცხადეს, რომ სინამდვილეში გეები არიან, ამ მოძრაობამ ისეთი გამანადგურებელი დარტყმა მიიღო, რომ დღესდღეობით, მორჩენილები, კომიქსების პერსონაჟებად თუ გამოდგებიან (დარწმუნებული ვარ, ასეთივე ბედი ელით მათ რუს კოლეგებსაც).

უმცირესობის პოზიციისა და უმრავლესობის ნების ურთიერთქმედება არის ალბათ ყველაზე რთული გამოწვევა თანამედროვე „პოლიტკორექტულობისთვის", რომელიც ვალდებულია დაიცვას ალტერნატიული, არაპოპულარული მოსაზრება მეინსტრიმული, ანუ დომინირებადი მოსაზრების წინაშე, მაგრამ ალტერნატიული მოსაზრება ხომ შეიძლება იყოს არაპოლიტკორექტული... მაშინ? აი ამ პრობლემას ძალიან მარტივად წყვეტდა, როკენროლი, ის თავიდანვე იყო ალტერნატიულ უმცირესობაში, რომელიც მერე ხვდებოდა მეინსტრიმული უმრავლესობაში, და ეს მყისვე წარმოშობდა ახალ ალტერნატიულ უმცირესობას, რომელიც მერე ასევე ხდებოდა მეინსტრიმში და ეს ციკლურობა რამდენჯერმე განმეორდა. მთავარი აქ იყო ის, რომ არანაირი თემატური ტაბუ როკ-ალტერნატივაში არ არსებობდა, წინაალმდეგ შემთხვევაში განვითარებას არანაირი ბიძგი არ მიეცემოდა. პოზიტიურ რეზულტატამდე, ნამდვილ ფასეულობამდე მისვლა, როგორც შემოქმედებითი, ასევე მენტალური თვალსაზრისით, ხდებოდა ცხოვრებისეული პოზიციის გამომუშავების, ცნობიერების განვითარების და დახვეწის ხარჯზე, რომელსაც შეიძლება წინ უძღოდა უამრავი ჩიხი და შეცდომა. მაშინ როდესაც პოლიტკორექტულობის ტაბუ თავიდანვე ზღუდავს „სახიფათო" ალტერნატიულ მოსაზრებას, რითაც წამგებიან პოზიციაში აყენებს მას უმრავლესობის პოზიციის წინაშე. სხვათაშორის ის, რომ დღეს არაკომერციული, აქტუალური მუსიკა არსებობს და ვითარდება, სწორედ თავის დროზე ყოველგვარი შეზღუდვებისგან თავისუფალი, ამ ე.წ. ალტერნატიული სივრცეების დამსახურებაა.

პარადოქსია, მაგრამ თანამედროვე დასავლური ლიბერალური და პოლიტკორექტული აზროვნება შეუძლებელია იყოს ტოლერანტი იმათ მიმართ, ვინც ამ ფასეულობებს უპირისპირდება. ბევრი შეიძლება იმასაც ამბობს, რომ ეს ფასეულობები გაცვდა, დაბერდა და ისე ეფექტურიც აღარ არისო და შეიძლება მართლებიც არიან, მაგრამ საქმეც სწორედ იმაშია, რომ უკეთესი ვარიანტი ჯერჯერობით არ არსებობს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს ფასეულობათა პაკეტი დასავლურმა ცივილურმა სამყარომ შექმნა თავისთვის, ანუ იმ ქვეყნების მოსახლეობისთვის, რომლებიც განაგებენ ეკონომიკურად თუ პოლიტიკურად ჩვენს პლანეტას, მაგრამ რა ქნას იმ დანარჩენმა უზარმაზარმა ნაწილმა, რომელთათვისაც ეს ფასეულობანი არ არის აპრიორი, არ არის აქსიომა, თუნდაც იმიტომ, რომ განსხვავებული მსოფლშეგრძნება გააჩნიათ, თუნდაც იმიტომ, რომ საერთოდ არ იციან, რა არის დასავლური პოლიტკორექტულობა, და სულ სხვა წარმოდგენა აქვთ მთავარ ადამიანურ ფასეულობებზე. ხომ ფაქტია, რომ დასავლეთის მცდელობანი, მოახდინოს თავისი „მიღწევების" ექსპორტი ყველგან, ნებისმიერი მეთოდით, ჯერჯერობით არ მუშაობს და რბილად რომ ვთქვათ, პრობლემების მეტი არაფერი მოაქვს იმ ხალხებისთვის.

დაბოლოს, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩვენთვის, თუ როგორ ეპასუხება ერთმანეთს დასავლეთში პოლიტკორექტულობა და თანამედროვე მუსიკა? საქმე იმაშია, რომ ჩვენ კი გვინდა გავიზიაროთ დასავლური ღირებულებები, მაგრამ ამ ღირებულებების გათავისება და შესისხლხორცება საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენში ჯერ ჰომოფობიაცაა, ცოტა ქსენოფობიაც და ცოტა რასიზმიც, უმცირესობის ჩაგვრაც გვეხერხება და ალტერნატიულ აზრსაც ვერ ვეგუებით, და გამომდინარე იქიდან, რომ არ ვართ ჯერ შეზღუდული პოლიტკორექტულობით, ვფიქრობ, ეს ნოყიერ ნიადაგს ქმნის, რათა ფასეულობებისთვის ბრძოლის ასპარეზმა გადაინაცვლოს სწორედ ამ სცენაზე, ახალგაზრდულ მუსიკალურ სცენაზე. მუსიკაა იდეალური იარაღი ახალგაზრდებისთვის სათქმელის გასაზიარებლად, და სწორედ ეს მისცემს ბიძგს ფასეულობების გადაფასებისთვის ბრძოლას, რომელიც ჩვენში მართალია დიდი ხნით ადრე დაიწყო, მაგრამ ვფიქრობ, სწორედ ახლაა ჩვენი საზოგადოება მზად ამისთვის, და არაა აუცილებელი, ყველა ერთ პოზიციაზე იდგეს: მთავარია გულწრფელნი და უკომპრომისონი იყვნენ თავიანთ შემოქმედებაში და სწორედ ეს მოიტანს რეალურ რეზულტატს. ვეჭვობ, ამ ბრძოლაში მთელი თაობა ჩაერთოს, მაგრამ სერიოზულ რეზონანსს აუცილებლად გამოიწვევს, ის მაინც გამჟღავნდება, თუ საით იცქირება მომავალი თაობა და რას ხედავენ ისინი იქ. წინაალმდეგ შემთხვევაში ეს დასავლური ღირებულებანი კვლავ ჰორიზონტზე იქნება გართხმული და რამდენითაც მივუახლოვდებით, ზუსტად იგივე მანძილით დაგეშორდება.

გამომცემლობა „საუნჯის“ ახალი წიგნები


მარადი
ქალი
ქალი
ქალ

Сучасні українські поети

Сучасні українські поети

ISSN 0134-9848